

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-7  
 1982

ისტორიის  
 არქეოლოგიის  
 ეთნოგრაფიისა და  
 ხელოვნების ისტორიის  
 სერია

2.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, № 2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

2.1982

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს  
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეჯი:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,  
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),  
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,  
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),  
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-95-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 25.III.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.VII.1982; შეკვ. 1117;  
ანაწყოების ზომა 7×11; ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.8;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.3;

შე 05639;

ტირაჟი 1100;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა რ ს ი

წერილები

ი. ჩიქავა, სკკ XXVI ურილობა სოციალისტური დემოკრატიის განვითარების შესახებ	5
ო. მაშინთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის 50—60-იან წლებში	13
დ. თუშანიშვილი, „არქიტექტურის იკონოგრაფიის“ შესახებ	28
ი. ჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში	41

ცნობები და შენიშვნები

ი. მანჯგალაძე, საქართველოს სსრ დახმარება განთავისუფლებული რაიონებისადმი მრეწველობის აღდგენის საქმეში დიდი სამამულო ომის წლებში	63
ზ. ლუპკვა, სამხედრო ნაწილების რევოლუციური გამოსვლები აფხაზეთში 1905 წელს და ჭავჭავაძის „პოტიომკინის“ გავლენა მათზე	74
მ. ჩხარტიშვილი, წყაროების მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში	83
ვ. ვაჭაძე, სტრაზონის „გეოგრაფიის“ ტექსტის ერთი ადგილის გაგებისათვის	92
ნ. ბრეზინაძე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, VI	96
რ. ბაგლოძე, სატევარი ზოომორფული თავით სოფ. მონასტრიდან	109
ზ. სხირტლაძე, ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი ბერთუბნის ტაძრის მონატულობაში	114

კუბლიკაცია

თ. შაუხრიშვილი, წილენის აკლდამის ბერძნული წარწერა	134
ვ. სილოგავა, ახალი მასალები საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობის ისტორიისათვის	149

დისკუსია და განხილვა

ბ. შორანაშვილი, ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან	160
ა. სურგულაძე, პასუხი რეცენზენტს	173

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი. სოსელია, ცხოვრება საქართველოზე (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზად, შეხავალი, შენიშვნები და სძიებლები დაურთო გ. აღასანიამ	188
--	-----

ჭრენიკა და ინფორმაცია

თ. ცაგარეიშვილი, ეთნოგრაფიული ლიტერატურის განხილვა	191
--	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

И. ЧИКАВА, XXVI съезд КПСС о развитии социалистической демократии . . . . .	5
Э. МАМИСТВАЛИШВИЛИ, Внешнеполитическое отношение Грузии в 50—60 годах XVI в. . . . .	13
Д. ТУМАНИШВИЛИ, По поводу «иконографии архитектуры» . . . . .	28
О. ДЖАПАРИДЗЕ, Западно-грузинская культура эпохи поздней бронзы . . . . .	41

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

О. МАНДЖГАЛАДЗЕ, Участие Грузии в деле восстановления промышленности в освобожденных от фашистской оккупации районах . . . . .	63
З. ЛАКОБА, Революционные выступления воинских частей в Абхазии в 1905 году и влияние на них броненосца «Потемкина» . . . . .	74
М. ЧХАРТИШВИЛИ, Приемы ссылки на источники в сочинениях Леонтия Мровели . . . . .	83
В. ВАШАКИДЗЕ, К понятию одного места в тексте «Географии» Страбона . . . . .	92
Н. БРЕГАДЗЕ, О связанной с пшеницей лексике, VI . . . . .	96
Р. ГАГЛОЕВ, Кинжал с зооморфным навершием из с. Монастери . . . . .	109
З. СХИРТЛАДЗЕ, Апокрифический цикл жития Богоматери в росписи Бертубанского храма . . . . .	114

### ПУБЛИКАЦИИ

Т. КАУХЧИШВИЛИ, Греческая надпись Цилканского склепа . . . . .	134
В. СИЛОГАВА, Новые материалы по истории грузино-болгарских взаимоотношений . . . . .	149

### ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Г. КОРНАШВИЛИ, А. Сургуладзе, Очерки из истории грузинской интеллигенции . . . . .	160
А. СУРГУЛАДЗЕ, Ответ рецензенту . . . . .	173

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

О. СОСЕЛИА, История Грузии (Цховреба Сакартвелойса), Подготовка текста, исследование и указатели Г. Г. Аласания . . . . .	188
---	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Т. ЦАГАРЕИШВИЛИ, Обсуждение этнографической литературы . . . . .	191
--	-----

იოსებ ჩიქავა

სკკპ XXVI ყრილობა სოციალისტური  
დემოკრატიის განვითარების შესახებ

17353

სკკპ XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გაანალიზებულია საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხასიათი და მდგომარეობა, თანამედროვეობის სხვა ძირეული პრობლემები. შემუშავებული და დასაბუთებულია პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა კომუნისტური მშენებლობის ახალი, მომავალი ეტაპისათვის. საანგარიშო მოხსენებაში განზოგადებულია ახალი საზოგადოების მშენებლობის ისტორიული გამოცდილება. ამიტომ ეს მოხსენება არის კომუნისმისაყენ შემდგომი წინსვლისათვის პარტიისა და ხალხის მოღვაწეობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერული კომუნისმის თეორიაში.

სკკპ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო და რჩება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების ჩაბმა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს მართვაში. ამიტომ სკკპ XXVI ყრილობამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების საკითხებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადმა ვ. ი. ლენინმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, დაასაბუთა მის მართვაში მშრომელთა მუდმივი და სულ უფრო და უფრო აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა.

სოციალიზმის დროს, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ისტორიაში მოსახლეობის მასა პირველად ამაღლდა და მოუკიდებელ მონაწილეობამდე არა მარტო კენჭისყრასა და არჩევნებში, არამედ, ყოველდღიურ მმართველობაშიც“<sup>1</sup>.

სოციალისტური საზოგადოება — ეს არის ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოება, რომლის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებრივი საქმიანობის ეფექტიან მართვას, მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ცხოვრებაში.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში ფართო მასების რეალური მონაწილეობა განსაზღვრავს საბჭოთა დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფის დონეს, ამიტომ ეს არის საბჭოთა დემოკრატიზმის რეალური განხორციელების მთავარი კრიტერიუმი.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 609.

ბ. შაბაძის სახელობის  
სსრ სახელმწიფო  
არქივალური  
ბიბლიოთეკა



ლ. ი. ბრევენევი სტატიამი „კომუნისმის გზის ისტორიული მიჯნა“, აღნიშნავს, რომ „მომწიფებელი სოციალიზმის ეტაპზე, საერთო სახალხო სახელმწიფოს პირობებში, ქვეყნის ცხოვრების მართვაში მშრომელთა მასების სულ უფრო ფართო და აქტიური მონაწილეობა მტკიცედ დამკვიდრდა როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური განვითარების ცენტრალური მიმართულება“<sup>2</sup>.

ამ მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1977 წელს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება, ვინაიდან თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ხალხს ცხოვრება და მოღვაწეობა უხდება უპირატესად დემოკრატიული, ხალხის ინტერესებისა და ნების გამომხატველი სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოქმედების პირობებში. კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების მიღწეული დონე და შექმნა მტკიცე საფუძვლები მისი შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

სკკ XXVI ყრილობის შეფასებით საერთო-სახალხო სახელმწიფოს დემოკრატიზმმა კონცენტრირებული გამობატულება პოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, მან დასაბამი მისცა უფრო დიდ ეტაპს მის განვითარებაში.

ჩვენი საზოგადოების მიერ უკანასკნელ წლებში განვლილი გზის ერთ-ერთი მთავარი შედეგის შესახებ პარტიის XXVI ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „საბჭოთა ადამიანები უფრო აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში“<sup>3</sup>.

ამასთან, ყრილობამ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში“ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა სოციალისტური დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარება, მშრომელთა ინიციატივის ზრდა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაძლიერება, მშრომელთა კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმა სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში<sup>4</sup>.

საზოგადოებრივი საქმეების მართვაში ფართო მასების მონაწილეობა—სოციალისტური ტიპის პოლიტიკური სისტემის არა მარტო მთავარი თვისებაა, არამედ სოციალიზმის ერთ-ერთი არსებითი ნიშანთაგანაცაა, ისტორიული გამოცდილება დაბეჯითებით მოწმობს სოციალიზმის როგორც სოციალურ-ეკონომიკური წყობილების არსსა და დემოკრატიას შორის შინაგან, უღრმეს დიალექტიკურ კავშირს, რაც უმთავრესად გამოიხატება მშრომელთა უფართოესი მასების მონაწილეობით საზოგადოების ყველა საქმეების მართვაში. განსაკუთრებით საგულესხმოა და ღრმა შინაარსიანი ლ. ი. ბრევენევის განცხადება იმის თაობაზე, რომ როგორც ნამდვილი დემოკრატიაა შეუძლებელი უსოციალიზმოდ, ისევე სოციალიზმი შეუძლებელია დემოკრატიის მუდმივგანვითარების გარეშე<sup>5</sup>.

<sup>2</sup> ლ. ი. ბრევენევი, კომუნისმის გზის ისტორიული მიჯნა, თბ., 1977, გვ. 12.

<sup>3</sup> სკკ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 3.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 265.

<sup>5</sup> სკკ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 117.

სოციალიზმის შესატყვისი ისეთი დემოკრატიული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელი მასების ფართო მონაწილეობას სახელმწიფოებრივ მმართველობაში არ წარმოადგენს წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების უბრალო ავტომატურ შედეგს. ასეთი სისტემის შექმნა უმთავრესად დამოკიდებულია პარტიის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ კურსზე, პარტიისა, რომელიც გამოდის სოციალურ გარდაქმნათა ორგანიზატორად. სკკპ ისტორიული გამოცდილება დაბეჭილებით მოწმობს, რომ მხოლოდ ლენინური პარტია, რომელიც მტკიცედ ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, გვევლინება „სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების მთავარ გამტარებლად, მისი წარმატებით წინსვლა-განვითარების გარანტიად“<sup>6</sup>.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამჟამად მოქმედი, ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომელმაც არა მარტო შეაჯამა, არამედ მძლავრი იმპულსი მისცა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება: მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება და ა. შ.<sup>7</sup>

სადღესოდ ჩვენს საზოგადოებაში შეიქმნა არხების განშტოებული სისტემა, რომელთა მეშვეობით მილიონობით საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ აქტიური ზეგავლენა მოახდინონ და სინამდვილეში ახდენენ კიდევ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაზე. ამჟამად უმთავრესია, რომ სრულყოფილად გამოვიყენოთ მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ფორმების პრაქტიკაში დამკვიდრებული შესაძლებლობანი, რათა როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, ყურადღების ცენტრში იყოს ჩვენი დემოკრატიის ეფექტურობა<sup>8</sup>. ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება სკკპ როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლის ზრდა.

კომუნისტები, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური მოღვაწეობით ათასგვარი საშუალებებით დაკავშირებული არიან რა უპარტიო მასასთან, თავიანთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში გამოხატავენ მათ შეხედულებებსა და აზრებს, წინადადებებსა და მოთხოვნებს. ამიტომაც მიაქცია ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ „პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ნამდვილად ეფექტიანი ვერ იქნება, თუ პარტიის წევრები კრებაზე მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ ისხდნენ გარკვეული დროის განმავლობაში და უსმენდნენ წინასწარ განსაზღვრულ ორატორებს. პარტიული კრება, ისე როგორც ყოველი პარტიული კომიტეტის პლენუმი, ის ადგილია, სადაც ღრმად, სერიოზულად უნდა განიხილებო-

<sup>6</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე 1974 წ. 14 ივნისს (ვახ. „კომუნისტი“, 1974 წლის 15 ივნისი).

<sup>7</sup> სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხლი 9.

<sup>8</sup> ვახ. „პრავდა“, 1979 წლის 21 აპრილი.

დეს ყველა საჭირობოროტო საკითხი, და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ სწორედ ასე მიმდინარეობდა მზადება ყრილობისათვის<sup>9</sup>.

როგორც მთელი ჩვენი საზოგადოების, ისე ცალკეული კოლექტივების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტაში, მშრომელთა ფართო მასების რეალური მონაწილეობის ნათელი გამოვლენა ჩვენს ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა საყოველთაო-სახალხო განხილვები, რომლებიც ტარდება პარტიული ყრილობების მოწვევის წინაპერიოდში. ასეთი დოკუმენტის განხილვის დროს, რომელიც წინ უძღვოდა სკკპ XXV ყრილობას, გამოვიდა 7,6 მლნ კაცი, გამოითქვა მრავალი წინადადება და სურვილი.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“ ფართოდ განიხილეს პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა კრებებზე, პრესაში. ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილვისას მშრომელები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებას კომუნისტური მშენებლობის მრავალ რთულ, საარსებო მნიშვნელობის საკითხებზე... ეს არის სოციალისტური დემოკრატიზმის ქმედითობის მკაფიო და დამაჯერებელი მაგალითი, მისი ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით<sup>10</sup>.

დიდი გაქახებით, მილიონობით კომუნისტისა და უპარტიო მასების მაღალი დანტერესებით და აქტივობით მიმდინარეობდა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა სკკპ XXVI ყრილობის წინ. მის განხილვაში მონაწილეობდა 121 მილიონი კაცი, დიდი რაოდენობით შეტანილ იქნა სასარგებლო წინადადებები, დამატებები და შესწორებები.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების განხილვის ასეთი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოების განვითარების მართვის პერსპექტიული და მიმდინარე პროგრამის განსაზღვრისას კომუნისტური პარტია ეყრდნობა ფართო მასების მონაწილეობას მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შექმნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობისათვის საკუთარი პოლიტიკური კურსის შემუშავებაში. როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, მილიონობით მშრომელთა მეურნეობრივად დანტერესებული დამოკიდებულება პარტიის სოციალურ-ეკონომიკური გეგმებისადმი, მათი ზრუნვა სახელმწიფო საქმეებზე, შეადგენს საბჭოთა წყობილების ნამდვილი დემოკრატიზმის გამოხატულებას.

ახალი კონსტიტუციის ძირითადი თვისებურებაა მისი უაღრესად დემოკრატიულობა. ასორმოცმა მილიონმა ადამიანმა, ე. ი. ჩვენი ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის ოთხ მეხუთედზე მეტმა მიიღო მონაწილეობა მის განხილვაში, ახალი წინადადებები წამოაყენა და შესწორებები შეიტანა პროექტში. საკონსტიტუციო კომისიის სახელზე შევიდა ოთხასი ათასამდე წინადადება. საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგად საკონსტიტუციო კომისია მივიდა

<sup>9</sup> სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 113.

<sup>10</sup> სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 63, 148—149.



იმ დასკვნამდე, რომ ცვლილებები და შესწორებები შეეტანა კონსტიტუციის პროექტის 173 მუხლიდან 118 მუხლში და დაემატებინა ერთი მუხლი. კონსტიტუციის პროექტის განხილვაში საბჭოთა ხალხის ასეთი აქტიური მონაწილეობის გამო ლ. ი. ბრეჟნევი შესანიშნავად აღნიშნა, რომ „ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ და ამაყად ვთქვათ: სწორედ მთელი საბჭოთა ხალხი გახდა თავისი სახელმწიფოს ძირითადი კანონის ნამდვილი შემოქმედი“<sup>11</sup>.

უმთავრეს არხად, რომელიც უზრუნველყოფს მართვაში მასების მონაწილეობის შესაძლებლობას, გვევლინება საბჭოთა საერთო სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს მექანიზმი, მისი მოღვაწეობის დემოკრატიული ფორმები თავის მხრივ შეიცავენ სოციალისტური ცხოვრების ბუნების მეტად მნიშვნელოვან ელემენტებს. სახალხო დეპუტატების საბჭოები, შეადგენენ სახელმწიფოებრივი მექანიზმის საფუძველს და თავისი ბუნებით — ხელისუფლების ნამდვილი სახალხო ორგანოებია, რომლებიც ერთ და იმავე დროს წარმოადგენენ მშრომელთა როგორც სახელმწიფოებრივ ისე მასობრივ-სახოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მთელი საბჭოთა ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. სახალხო ხელისუფლების ერთიან სისტემას ქმნიან მასში შემავალი ყველა საბჭოები, რომლებშიც განუწყვეტელი მუშაობით, სახელმწიფოებრივი მმართველობის ფუნქციის შესრულებით დაკავშირებულია 2,2 მლნ. მეტი დეპუტატი. აქ ღირსეულადაა წამოდგენილი საბჭოთა ქვეყნის ყველა სოციალური ჯგუფი, ყველა ერი და ეროვნება. საბჭოების შემადგენლობის პერიოდული განახლების გზით მათში სახელმწიფოებრივი მმართველობის სკოლა უკვე გაიარა ათეულ მილიონობით მოქალაქემ.

საბჭოების აქტივი აერთიანებს 31 მილიონამდე ადამიანს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ არიან მუდმივ კომისიებში, შტატგარეშე ორგანოებში, ქუჩისა და სახლის კომიტეტებში, ქალთა საბჭოებში და სხვ. სახალხო კონტროლის არჩევით ორგანოებში 9,5 მლნ მშრომელი მუშაობს, ისინი თავიანთ მტკიცე მეთვალყურეობას უწევენ მმართველობის სხვადასხვა რგოლის საქმიანობას<sup>12</sup>.

პარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ განვითარებულ სოციალიზმის პერიოდში შესამჩნევად გამოცოცხლდა ხელისუფლების ყველა ორგანოს მოღვაწეობა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ჩათვლით. გაფართოვდა და ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების — მოსახლეობასთან ყველაზე ახლო მყოფი სახალხო ხელისუფლების ორგანოების უფლებები და როლი. უკანასკნელ პერიოდში ისინი ყოველწლიურად იხილავენ და წყვეტენ სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის თითქმის 800 ათას საკითხს, რაც ორჯერ აღემატება 60-იანი წლების მეორე ნახევარში განხილული საკითხების რაოდენობას<sup>13</sup>.

საქართველოს სახალხო დეპუტატების საბჭოების საქმიანობას გულმოდგინედ ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საბჭოების საქმიანობას გულმოდგინედ ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ სახალხო დეპუტატების საბჭოების მოღვაწეობის შესახებ აღნიშნა: „საბჭოებმა საგრძნობლად გაააქტიურეს საქმიანობა, გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა,

<sup>11</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, თბ., 1977, გვ. 5.

<sup>12</sup> ჟურნ. «Коммунист», 1980, № 16, გვ. 17.

<sup>13</sup> Л. И. Брежнев, Ленинским курсом, речи и статьи, т. 6, გვ. 629; «Советы народных депутатов», 1980, № 5, გვ. 70.

სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის... კიდევ უფრო განვითარდა დემოკრატიული საწყისები, გაუმჯობესდა სესიების საქმიანობა, განმტკიცდა დეპუტატთა კავშირითიერთობა ამომრჩევლებთან, უფრო ზუსტად მიმდინარეობს მუშაობა მათი განაწესების რეალიზაციისათვის, რეგულარული გახდა აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშები საბჭოებისა და მოსახლეობისადმი. გამოცოცხლდა მუდმივი კომისიების საქმიანობა<sup>14</sup>.

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში ახლა 50 346 დეპუტატი მოღვაწეობს, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში, — ხედავიან ამომრჩევლებს, აბარებენ ანგარიშებს, აქტიურად მონაწილეობენ საბჭოს აღმასკომების ყოველდღიურ მუშაობაში, წამოჭრილი პრობლემების და ცხოვრებისეული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში.

სკკპ XXVI ყრილობამ დააყენა საბჭოების, კერძოდ, მათში ჩაბმული მილიონობით ადამიანისა, და პირველ რიგში, კომუნისტების აქტივობის ამაღლების ამოცანა. „ჩვენ, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი, — თითქმის მილიონი კომუნისტი დეპუტატი გვყავს. თავიანთი ავტორიტეტი, თავიანთი გამოცდილება მათ უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ საბჭოს თითოეული სესია, მუდმივი კომისიის თითოეული სხდომა ადამიანთა ნამდვილ ბუკობას, ყველაზე სწორ გადწყვეტილებათა კოლექტიურ ძიებას წარმოადგენდეს“<sup>15</sup>.

საბჭოთა დემოკრატიის მექანიზმი მოიცავს მრავალ ფორმას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოებრივი ორგანოების მჭიდრო კავშირს მთელ მოსახლეობასთან. ამდენად, მართვაში არა მარტო მილიონობით დეპუტატი და აქტივისტი მონაწილეობს, არამედ გაცილებით მეტი ხალხი.

პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა დეპუტატების, საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა, მათი განყოფილებების და სამმართველოების ანგარიშგება მშრომელთა კოლექტივების წინაშე და მოქალაქეთა კრებებზე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, ამომრჩეველთა განაწესები თავიანთი დეპუტატებისადმი, რომლებიც ბევრად განსაზღვრავენ საბჭოების და მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების მოღვაწეობას.

სკკპ უკანასკნელი ყრილობები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხალხთან საბჭოების სულ უფრო მტკიცე კავშირის უზრუნველყოფის აუცილებლობას, წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშგებას გაძლიერებას, მუშაობაში საჯაროობას, ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების პასუხისმგებლობის ზრდას. განვითარებული სოციალიზმის პირობებში, დღეს ვიდრე ოდესმე განსაკუთრებით აქტუალურია ლენინის ის დებულება, რომ „სახელმწიფოს ძლიერების წყაროა მასების შეგნება, რომ იგი მაშინ არის ძლიერი, როცა მასებმა ყველაფერი იციან, შეუძლიათ ყველაფერი განსაჯონ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ“<sup>16</sup>.

პარტიის ამ პრინციპულმა ხაზმა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოებრივ მართვაში მოსახლეობის ყველაზე ფართო მასების ჩაბმისაკენ, თავისი განმტკიცება პოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში და ამ ხაზის განხორ-

<sup>14</sup> საქ. კპ ცკ-ის ანგარიში XXVI ყრილობას, ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, თბ., 1981, გვ. 121.

<sup>15</sup> სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 100.

<sup>16</sup> სკკპ ცკ-ის დადგენილება (ვახ. „კომუნისტი“, 1979 წლის 6 მაისი).

ციელებამ მოგვცა საგრძნობი დადებითი შედეგები. კრებების რაოდენობა, სადაც განიხილავდნენ დეპუტატების ანგარიშს, მხოლოდ უკანასკნელ 5 წელიწადში 2 მილიონიდან — 3, 7 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო მათზე დამსწრე მოქალაქეთა რიცხვი — 126 მილიონიდან 198 მილიონამდე<sup>17</sup>.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მუშაობის მიმართულების შემუშავებაში მოქალაქეთა ეფექტური მონაწილეობის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ამომრჩეველთა განაწესები. სახელმწიფოებრივ მართვაში მშრომელთა როლის ამაღლებას კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უკანასკნელ წლებში. ამ მიმართულებით მუშაობის გაცხოველებაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: ადგილობრივი საბჭოების მიერ 1977 წ. შესასრულებლად მიღებულ იქნა 770 ათასზე მეტი ამომრჩეველთა განაწესი, 1979 წლის დეკემბრისათვის 708 ათასი (ანუ 91, 3%) უკვე იყო შესრულებული, დანარჩენი შესრულების სტადიაში იმყოფებოდა<sup>18</sup>.

სახელმწიფოებრივი ორგანოების მოსახლეობასთან კავშირის შემდგომ სრულყოფას, რომლის გამოხატულებაა მათი პერიოდული ანგარიშგება მოქალაქეთა კრებებზე და ამომრჩეველთა განაწესები, აქვს განსაკუთრებით დიდი, და შეიძლება ითქვას, პირველხარისისიხოვანი მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვაში უკლებლივ ყველა მშრომელის ჩაბმის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ დაყენებული ამოცანის გადაწყვეტაში<sup>19</sup>.

საბჭოთა საზოგადოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაცია და სხვ. რომლებიც ამკამად მოიცავენ ქვეყნის თითქმის მთელ მოზრდილ მოსახლეობას. ეს ორგანიზაციები როგორც კომუნისტური პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებებსა და სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში აღნიშნული, თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში<sup>20</sup>.

საბჭოთა დემოკრატიის არსის სრულყოფილი ანალიზი მოცემულია სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, რომელშიც ნათქვამია „საერთო საქმით, წარმოების განვითარებით დაინტერესება, აზრთა შეპირისპირება, გულახდილი და პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, თითოეული მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის გაძლიერება — ეს არის საბჭოთა დემოკრატიის, მომუშავე, მოქმედი დემოკრატიის არსი“<sup>21</sup>. როგორც მოხსენებამია აღნიშნული, საბჭოთა დემოკრატიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ყოვლის მომცველი სახალხო კონტროლი მმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა მუშაობისადმი.

პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები და მოვალეობანი უაღრესად ფართოა. ისინი ზრუნავენ მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, მონაწილეობენ სამეურნეო, სოციალური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტა-

<sup>17</sup> ვაზ. „იზვესტია“ 1980 წლის 2 სექტემბერი.

<sup>18</sup> «Советы народных депутатов», 1980, № 5, გვ. 71.

<sup>19</sup> В. И. Ленин, соч. т. 36, ст. 74.

<sup>20</sup> სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 110; სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხ. 7.

<sup>21</sup> სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 100.

ში, ბევრ რამეს აყეთებენ სოციალისტური შეჯიბრების, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისათვის.

პარტიას პროფკავშირები, რომლებიც ამჟამად თავის რიგებში 130 მლნ წევრს აერთიანებენ, მიაჩნია მასებში თავისი საიმედო დასაყრდენად, დემოკრატიის განვითარების, კომუნისზმის მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის მძლავრ საშუალებად<sup>22</sup>.

40 მილიონზე მეტ ქალიშვილსა და ჰაბუკს აერთიანებს ლენინური კომკავშირი. გაძლიერდა კომკავშირის მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დიღია შრომითი კოლექტივების როლი. სსრ კავშირის კონსტიტუციამონათქვამია, რომ შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმოებისა და სოციალური განვითარების დაგეგმვაში, კადრების მომზადებასა და განაწილებაში...<sup>23</sup>

ამრიგად, უქვევლია სოციალისტური დემოკრატიზმის წარმატებები, რომლის მთავარ თვისებას შეადგენს მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში.

სკკ ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას უთმობს პარტიულ ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის აქტიურობის ამაღლებას, მათი მრავალმხრივი მოღვაწეობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. და ამაში, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, მთავარია, რათა „თითოეული, ვინეორებ თითოეული საბჭოთა ადამიანი გრძნობდეს თავის კავშირს სახელმწიფო საქმეებთან, დარწმუნებული იყოს, რომ მის აზრს, მის ხმას ყურად იღებენ და გაითვალისწინებენ დიდ თუ მცირე გადაწყვეტილებათა შემუშავების დროს...“

მეტი საჯაროება, მეტი ყურადღება ადამიანთა საჭიროებებისა და აზრებისადმი. მეტი უშუალო, დაინტერესებული ურთიერთობა მასებთან, ასე სვამს საკითხს პარტია<sup>24</sup>

სამოცდაათიან წლებში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები კიდევ უფრო განმტკიცდა. ღრმავდება სოციალისტური დემოკრატია, XXVI ყრილობაზე დაისახა საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის სრულყოფის ამოცანები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე.

პარტიის ასეთი კურსის თანმიმდევრულ განხორციელებას მიეყვართ საზოგადოების საქმეების მართვაში მშრომელთა მასობრივი, რეგულარული და ეფექტური მონაწილეობისაკენ. სწორედ ეს იღებები დაედო საფუძვლად სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების საქმეში სკკ XXVI ყრილობის მიერ შემუშავებულ კურსს.

<sup>22</sup> სკკ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 103.

<sup>23</sup> სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხლი 8.

<sup>24</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე 1979 წლის 2 მარტს (გაზ. „კომუნისტი“, 1979 წლის 3 მარტი).



**საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის 50—60-იან წლებში**

1555 წ. 29 მაისს ამასიაში დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომის ერთი პერიოდი. ზავმა ბოლო კი არ მოუღო ირან-ოსმალეთის აგრესიას ამიერკავკასიაში, არამედ იგი გადაიქცა ამ ორი აგრესორის დაპყრობითი პოლიტიკის ახალი ეტაპის ამოსავალ პუნქტად<sup>1</sup>. ირანისა და ოსმალეთის აგრესიის მორიგი ეტაპი გამოიხატებოდა, აღმ. საქართველოს დაპყრობის ცდებში. „ოსმალეთის და ირანის ჯარები დრო და დრო თავს ესხმოდნენ ქართულ მიწებს, რათა „შეეხსენებინათ“ 1555 წლის ხელშეკრულების პირობების შესახებ“<sup>2</sup>. ირანი ამის განხორციელებას ცდილობდა ამასიის ზავის პირობების დაცვით, ოსმალეთი მისი გაუქმების გზით<sup>3</sup>.

ამასიის საზავო ხელშეკრულებამ კარგა ხნით განსაზღვრა საქართველოს ბედი<sup>4</sup>. მაგრამ ქართველი ხალხი არ ფიქრობდა შერიგებოდა ირანისადმი მორჩილებას და იარაღით ხელში იცავდა თავის დამოუკიდებლობას. ყიზილბაშური ირანი ცდილობდა ესარგებლა საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულიობით და სურდა მისი სრული დაპყრობა განეხორციელებინა.

აღმ. საქართველოს სამეფო-სამთავროების დამოკიდებულება ამასიის საზავო ხელშეკრულებისადმი ერთნაირი არ იყო. სამთავროების დიდი ნაწილი, უნდა ვიფიქროთ, აღნიშნული ზავის მომხრენი იყვნენ, რადგან ამის შედეგად ქართლისა და კახეთის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ირანსა და ოსმალეთს გამოიყენებდნენ. რაც შეეხება ქართლისა და კახეთის სამეფო კარს, ამასიის ზავი მათთვის მიუღებელი იყო, რადგან ამიერიდან მათ ნაკლებად შეეძლოთ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობის გამოყენება თავიანთი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ირანი და ოსმალეთი როცა ერთმანეთთან ბრძოლას შეწყვეტდნენ, საქართველოს საქმეებში უფრო ენერგიულად ჩაეროვნენ.

ქართველი დიპლომატებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ირან-ოსმალე-

1 ვ. ჩოჩიევი. კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI საუკუნის 60-იან წლებში, თსუ შრომები, ტ. 118, თბ., 1957, გვ. 243.

2 А. П. Новосельцев, Освободительная борьба народов Закавказья XVI—XVII веков, М., 1969 გვ. 118.

3 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

4 ამასიის ზავის შემდეგ ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში შექმნილი ვითარების ამსახველი წყაროები საკმაოდ მრავალადა მოღწეული ჩვენამდე. მაგრამ მათი ავტორებისათვის ყოველთვის გასაგები არ იყო საქართველოში მიმდინარე ამბები. წყაროებში უმეტესად ნახსენებია „საქართველო“, რაც აძნელებს იმის გარკვევას, თუ რომელი სამეფო სამთავროა ნაგულისხმები. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნების ან აღდგენის მიზნით ევროპულ დამკვირვებლებს ხშირად სწორად არა აქვთ გაგებულნი: თუ ქართველები შაჰს ებრძვიან, მაშინ მათ მიიჩნევენ ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომებად ან მოკავშირეებად, ხოლო თუ პირიქით ხდება, მაშინ შაჰის მომხრეები ჰგონიან. წყაროების ასეთი ტენდენცია ართულებს სინამდვილის დადგენის შესაძლებლობას.

თის ომი საქართველოს გამოც მიმდინარეობდა. ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ორი დამპყრობელი კვლავ ერთმანეთისათვის წაეკიდებინათ.

ოსმალეთთან ბრძოლაში დამარცხებული და დასუსტებული ირანი მყარად ვერ გრძნობდა თავის პოზიციებს აღმ. საქართველოში, ამიტომ მისი აქტიური საგარეო პოლიტიკის მთავარ უბნად აღმ. საქართველო რჩებოდა. შაჰმა ვერ მიღწია აქ თავისთვის სასურველ მდგომარეობას და ხშირად შეიარაღებული ძალების გამოყენება უზღებოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ ამხედრებული ქართლის სამეფოს დასამორჩილებლად. აღმ. საქართველოზე ირანის შეტევის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ყარაბაღის გამგებელი შაჰვერდი—სულთანნი.

ოსმალეთის სულთანნი ფიზიკურად ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას აღმ. საქართველოში და ყოველ ზელსაყრელ ვითარებაში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს აღმ. საქართველოზე დროებით ამბობდა უარს და მისთვის სულ ერთი არ იყო, თუ რა ხდებოდა იქ.

1556 წლის 18 სექტემბერს სულთან სულეიმან კანუნის აცნობეს, რომ ირანის შაჰ თამაზმა თავრიზში მზადყოფნაში მოიყვანა 70 ათასი მეგრძოლი და განზრახული ჰქონდა საქართველოზე თავდასხმა. ამასთან დაკავშირებით ავსტრიის იმპერატორ ფერდინანდს მისი აგენტი სწერდა კონსტანტინოპოლიდან, რომ შაჰის საქართველოზე გალაშქრების მიზნები ქართველების მიერ სულთნისადმი მხარდაჭერაა<sup>5</sup>. იმავე წყაროს მიხედვით, როცა ქართველებმა შაჰის სამზადისის შესახებ შეიტყვეს, მაშინვე დახმარება სთხოვეს სულთანს. ისინი მოითხოვდნენ, რომ სულთანს საქართველოს მეზობელი სანჯაყები დაეხმარებინა მათთვის.

იმავე წლის 21 სექტემბერს სულეიმან II-მ წერილები გაუგზავნა სპარსეთის მოსახლერე ყველა სანჯაყს, რათა დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ ქართველებს. სულთნის ამ განკარგულებამ მითქმამოთქმა გამოიწვია. ყველას ეგონა, რომ ოსმალეთი კვლავ ომს დაიწყებდა ირანთან<sup>6</sup>.

იტალიურ წყაროში აღნიშნული ირან-ოსმალეთს შორის შექმნილი დაძაბული ვითარებისა და სულთნის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებაა ლაპარაკი ირბაჰიმ ფეჩევის შემდეგ ცნობაში: „ფადიშაჰს მოხსენდა, რომ გზადანებული შაჰი საქართველოში რამდენიმე ფადიშაჰისეულ ციხეს შეესია. ოთხი ათასი იანიჩრის და სრულად რუმელიის, ანატოლიისა და ყარაბაღისის ლაშქრისა და ყველა ბულუქის აღათი და ბოლუქის ჯარის სარდალ-სპასალარად დაინიშნა სახელოვანი დიდი ვეზირი და გაიგზავნა /საქართველოში ... როდესაც [ყიზილბაშებმა] შეიტყვეს, რომ დიდი ვეზირი ისლამის ლაშქრით მოვიდა და ძღვევამოსილი ჯარით [საქართველოს] მფარველობას უწევსო, ორი დღის სავალი ერთ დღეს გაირბინეს და შინ მოკურცხლეს — დიდი ვეზირი კი მისდამი რწმუნებული ლაშქრით უავგუსტოეს ჯარს შეუერთდა“<sup>7</sup>.

ჩვენი აზრით, საქართველოს, კერძოდ სამცხის საკითხთან დაკავშირებით ირან-ოსმალეთს შორის ურთიერთობის დაძაბვა აისახა ვახუშტის თხზულება-

<sup>5</sup> L. T a r d y, Rapports diplomatiques sur la Géorgie entre les années 1550 et 1570. «Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie», vol. XXXIV, Paris. 1976, გვ. 102.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯ ი ა მ, თბ., 1964, გვ. 31.

ში, იქ სადაც სულთან სულეიმანის და შაჰ თამაზის საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან მოსვლაზეა ლაპარაკი და 1556 წლით არის დათარიღებული. „შემდგომად მოვიდა სულტანი სულეიმან, აღაშენა კარი, მოსრნა ურჩინი, უკუნიქცა და დადგა ბასიანს ქ-სა ჩ-ფზე, ქარ. ს-მდ. ამას მოუდგა შასთამაზ და დადგა არტანს. ხოლო სულტანი სულეიმან წარვიდა სტამბოლს“<sup>8</sup>.

1556 წლის 25 ნოემბერს სტამბულში ელჩად ჩავიდა ორი ქართველი დიდებული, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სულთნისათვის გადაეცათ საჩივარი შაჰის მოქმედების გამო. მათ განაცხადეს, რომ ყოველდღიურად განიცდიან შაჰისაგან შევიწროებას და მას მზად ჰყავს დიდი არმია საქართველოზე თავდასასხმელად<sup>9</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნული ელჩები სიმონ პირველის მიერ იყვნენ გაგზავნილი. როგორც ცნობილია, სიმონ მეფემ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაიღუპა მამამისი ლუარსაბ (1534—1556). შაჰ თამაზმა განიზრახა შეუპოვარი ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ მაინც დაემორჩილებინა ქართლის სამეფო, რომელიც ყიზილბაშების ყველა მოწინააღმდეგის დასაყრდენს წარმოადგენდა. ქართლის ტახტზე ასულმა ახალგაზრდა მეფემ, როგორც ჩანს, სწრაფად შეაფასა ვითარება და თავისი სამეფოს გადარჩენის მიზნით ოსმალეთთან დაკავშირება სცადა. ქართველ ელჩებს სტამბულში პასუხი ვერ გასცეს<sup>10</sup> და, ალბათ, ასეთ სერიოზულ საკითხზე მოსალაპარაკებლად იქვე ურჩიეს, რომ სატახტო ქალაქ ადრიანოპოლში წასულიყვნენ.

6 დეკემბერს ერთი ქართველი ელჩი შეხვდა დიდვაზირს როსთემ ფაშას. როგორც მოლაპარაკებებიდან ირკვევა, ელჩმა კარგად იცოდა ოსმალეთის მარცხის შესახებ უნგრეთში 1556 წლის გაზაფხულზე და ამიტომ დიდვაზირთან შეხვედრისას კატეგორიულად მოითხოვა, ეცნობებინათ მისთვის, აპირებდა თუ არა სულთანი მომავალ წელს უნგრეთში წასვლას. გაკვირებულმა ფაშამ იკითხა: რატომ აინტერესებდა ქართველ ელჩს ეს საკითხი? ელჩმა უბასუხა, რომ ოსმალეთთან დაკავშირებულ ყველა ქართველს აფიქრებს სულთნის მოსალოდნელი გამგზავრება უნგრეთში და იქ ომის გაჩაღება. ამით ისარგებლებს შაჰი და ბრძოლას დაუწყებს ქართველებსო<sup>11</sup>.

როგორც ჩანს, ქართველ დიპლომატებს კარგად ესმოდათ, რომ ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთის საქმეებზე ყურადღების მოდუნება გამოიწვევდა ირანის გააქტიურებას კავკასიაში. ამ საკითხის დაზუსტებით ქართველი პოლიტიკოსები უფრო მოხერხებულად წარმართავდნენ ირანთან ურთიერთობას.

დიდვაზირმა სცადა, დაერწმუნებინა ელჩი, რომ ოსმალეთის მთავრობა მშვიდობიანად მოაგვარებდა უნგრეთის ამბებს, მაგრამ იმპერატორი ფერდინანდი თუ მაინც დაიწყებს სამხედრო მოქმედებას და აუცილებელი შეიქმნება სულთნის წასვლა უნგრეთში, მაშინ ის ყოველ ღონეს იხმარს რომ არც ქართველებმა და არც ოსმალეთის სხვა მოკავშირეებმა ზარალი არ განიცადონ<sup>12</sup>.

<sup>8</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 717.

<sup>9</sup> E. Hurmuzaki, Documente privitcare la istoria Romanilor, vol. II, p. II, Bucaresti, 1891, გვ. 353.

<sup>10</sup> E. Hurmuzaki, გვ. 353.

<sup>11</sup> L. Tardy, გვ. 103.

<sup>12</sup> L. Tardy, გვ. 102—103.

უნდა ვიფიქროთ, რომ შაჰის კარზე მალე გახდა ცნობილი სიმონ პირველის დიპლომატიურ ურთიერთობაზე ოსმალეთთან, რამაც სეფიანთა სახელმწიფოში საესეებით გასაგები შეშფოთება გამოიწვია. ეს მიჩნეული იქნა როგორც ოსმალების მიერ ამასიის საზავო ხელშეკრულების უგულვებლყოფა.

მართალია, სულთნის მდგომარეობა დას. საქართველოში უფრო მყარი იყო, ვიდრე შაჰისა აღმ. საქართველოში, მაგრამ ჯერ ვერც ოსმალებს დაესრულებინათ დას. საქართველოს სამეფო-სამთავროების დამორჩილება. იმერეთის სამეფოს, თუ ცალკეული სამთავროების შინაურ საქმეებში ოსმალეთის ჩარევის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ფეოდალური განკერძოებისაკენ სწრაფვა. ოდიშისა და გურიის მთავრები ჯერ კიდევ ამასიის ზავის დადებამდე ატარებდნენ ისეთ პოლიტიკას, რომლითაც სულთნის მორჩილებაში აღმოჩნდნენ.

საინტერესოა ერთ-ერთი ანონიმი ვენეციელის ცნობა, რომლის მიხედვით ოდიშის მთავარი ოსმალეთს ხარკს არ უხდიდა. იგი, როგორც სულთნის ვასალი, ვალდებული იყო, 30 ათასი მხედრით ემსახურა სულთნის ჯარში, ყოველთვის როცა კი იგი ყიზილბაშების წინააღმდეგ საომარად წაიხილავდა<sup>13</sup>. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ შაჰ თამაზ I დიანტერესებული იყო ოდიშის სამთავროს დასუსტებით და მეზობლებთან მისი ცუდი ურთიერთობით. ამიტომ იყო, რომ იგი იმერეთის მეფეს აქეზებდა ოდიშის სამთავროს დასაპყრობად<sup>14</sup>.

1557 წ. ოდიშის მთავარმა სულთანს ხარკის გადახდა აღუთქვა და ძღვნად ძვირფასი ქვები გაუგზავნა. სამაგიეროდ მთავარს ოსმალეთის ფლოტი იმერეთის („კოლხეთის“) მეფე ბაგრატ მესამესადმი ანგარიშის გასწორება სურდა<sup>15</sup>. სინამდვილეში ოდიშის მთავარი თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობდა. აი როგორ აგვიწერს დადიანის პოზიციას ოსმალეთთან ურთიერთობაში 1560 წელს მარინო კავალი: „მეგრელები, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები, ოსმალებთან დაახლოებულნი და მათი ქვეშევდრომნი არიან, ცდილობენ მათ გარეშე გააკეთონ ყველაფერი. ოთხი თუ ხუთი წლის წინათ (ალბათ 1557 წელი — ე. მ.) მათი მეფე თუ მთავარი დადიანი, რომელსაც სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა ჩერქეზებთან, პირადად წავიდა კონსტანტინოპოლში სულთანთან დახმარების სათხოვნელად<sup>16</sup> და მიიღო ექვსი ვალერა. მაგრამ [ოსმალები] ისე დაეხმარნენ, რომ მისთვის ნათელი შეიქმნა, სულთნის მონა და მასზე უფრო დამოკიდებული ხდებოდა, ვიდრე დახმარებას იღებდა. ეს მტრებთან ბრძოლაზე უფრო მიძიმე იყო. ამიტომ შემდეგ წელს მადლობა მოახსენა სულთანს გაწეულ დახმარებაზე, ჩერქეზებს შეუთანხმდა, რომლებთანაც უფრო მეტი სამართლიანობა ნახა ვიდრე თურქებთან“<sup>17</sup>.

1557 წლის დასასრულს სულთნის კარს ეწვია ირანის ელჩი, რომელსაც

<sup>13</sup> E. Alberi, Relazioni degli ambasciatori veneti al Senato. Serie III<sup>a</sup>, vol. II<sup>o</sup>, Firenze, 1844, გვ. 314.

<sup>14</sup> Monumenta Hungarica Historia, t. V, Budapest, 1877, გვ. 249.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 249.

<sup>16</sup> ავსტრიის იმპერატორის ელჩის ბუსბეკის მიხედვით დადიანი 1560 წელს ჩასულა კონსტანტინოპოლში The turkish letters of Ogier Chiselin de Busbecq imperial ambassador at Constantinople 1554—1554. Newly translated from the latin of the elzevir edition of 1633 by Ed. S. Foster, Oxford, 1937, გვ. 223.

<sup>17</sup> E. Alberi, გვ. 279.





მოლაპარაკება ჰქონდა უმალეს მოხელეებთან. ირანში დაბრუნების წინ ელჩი მიიღო სულთანმა და დიდვაზირმა. შეხვედრისას სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საქართველოს საკითხიც. ირანის ელჩმა უქმყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სულთანი კეთილგანწყობილებას იჩენს იმ ქართველების მიმართ, რომლებიც ირანს ესაზღვრებიან, ე. ი. ქართლ-კახეთის მიმართ. მან მოითხოვა, რომ აღნიშნულმა ქართველებმა ძველებურად გადაუხადონ შაჰს ხარკი. ელჩის ასეთ მოთხოვნაზე სულთანმა უპასუხა: „რადგან ქართველები სულთნის მოხარკენი გახდნენ, ამიტომ [სულთანი] ვალდებულია დაიცვას ისინი“. სულთანმა ელჩს მისცა იმის გარანტია, რომ „არ დაუშვებდა შაჰის სამფლობელოებზე ქართველების თავდასხმებს“<sup>18</sup>.

17353

ამგვარად, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. შაჰისათვის გასაგები იყო, რომ სულთანს გარკვეული მიზნები ჰქონდა აღმ. საქართველოს მიმართ და გადაწყვიტა იარაღით დაეცვა თავისი ინტერესები. წყაროების მიხედვით, 1557 წლის დეკემბრის დასაწყისში ყიზილბაშები უკვე საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ<sup>19</sup>. იტალიურ წყაროში არ ჩანს, კონკრეტულად სად შეიჭრნენ ყიზილბაშები. მაგრამ ამის გარკვევაში დაგვეხმარება ჰასან რუმლუს ერთი ცნობა, საიდანაც ვიგებთ, რომ შაჰვერდი სულთან ზიად ოღლი და სულეიმანბეგ ბაიათი ქართლში შეიჭრნენ. მტრის სიმრავლისა თუ მოულოდნელი თავდასხმის გამო სიმონ მეფემ მთებს შეაფარა თავი. „ლაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ველაიეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს [მიწიდან] და გამაჩრვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“<sup>20</sup>.

ქართლისა და კახეთის პოლიტიკურ მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალით ყიზილბაშების მოგერიებას ვერ შეძლებდნენ. ოსმალეთი მხოლოდ ბუნდოვან დაპირებებს იძლეოდა. რეალური დახმარება არსაიდან არ ჩანდა. ამიტომ მათ განიზრახეს ისეთი ძალა დაეპირისპირებინათ ირანისათვის, რომელიც აიძულებდა შაჰს შეეჩერებინა ან, უკიდურეს შემთხვევაში შეესუსტებინა აგრესია საქართველოს მიმართ. ქართველმა დიპლომატებმა სცადეს გამოეყენებინათ რუსეთის გაძლიერება და მისი ახლოაღმოსავლეთის საქმეში ჩაბმა.

XVI ს-ის 50-იან წლებში ივანე IV-მ დიდ წარმატებას მიაღწია. მან დაიპყრო ჯერ ყაზანის (1552), ხოლო შემდეგ ასტრახანის (1556) სახანოები. ფაქტობრივად მოსკოვის სამეფოს ხელში აღმოჩნდა მთელი ვოლგისპირეთი კასპიის ზღვამდე და ჩრდ. კავკასიაშიც მოიკიდა ფეხი. ქართველები ცდილობენ კონტაქტი დაამყარონ გაძლიერებულ მოსკოვის სახელმწიფოსთან.

1557 წ. მოსკოვში ჩავიდა ყაბარდოს გავლენიანი მთავრების ელჩობა და მფარველობა სთხოვა ივანი IV ყირიმის სახანოსა და ოსმალეთისაგან დასაცავად. როგორც ჩანს, ქართველები თვალს ადევნებდნენ ჩრდ. კავკასიის მთავრების მოსკოვთან ურთიერთობის დაწყებას და ამ საქმეში ხელს უწყობდნენ კიდევ. კავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში მესამე ძალის თანაც ქრის-

<sup>18</sup> L. Tardy, გვ. 104.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>20</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. თუფურაძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიცნაძემ, თბ., 1966, გვ. 35.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1982, 2

ქ. მარტოვიძე  
სსრ კახეთის რესპუბლიკის  
არქივთმცოდნეობა

ტიანულის გამოჩენა გააძვირებდა ყიზილბაშებთან და ოსმალებთან ბრძოლას. ალბათ ქართლის სამეფოსაგან იყენენ უფლებამოსილნი ყაზარდოს მთავართა ელჩები, როცა ივანე IV-ს ვანუცხადეს, რომ ჩვენთან ერთად «в одной правде и заговоре иверский князь и вся земля Иверская, государю с ними же бьют челом, чтоб государь цар и великий князь их по тому же пожаловал, как и тех всех»<sup>21</sup>. რუსეთის კავკასიით დაინტერესებისა და მისი აქ გაბედულად მოქმედებისადმი ქართველების კეთილგანწყობილებას ყაზარდოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის ფართო პერსპექტივები იშლებოდა. ამის გამო იყო, რომ, როგორც მოტიანილი წყაროდან ჩანს, ყაზარდოს მთავრები საქართველოს მესვეურებთან, თავიანთ სამხრეთის მეზობლებთან ერთად წყვეტდნენ ასეთ საპასუხისმგებლო საკითხს.

მაგრამ, რატომ ცდილობდნენ ქართველები თავისი სურვილი მოსკოვის მეფისათვის სხვათა პირით ეცნობებინათ და რატომ არ აჯაზავნიდნენ საკუთარ ელჩებს?

ქართველი პოლიტიკოსები ფრთხილობდნენ. მათ დარწმუნებით არ იცოდნენ, შესწევდა თუ არა ძალა რუსეთს კავკასიის საქმეებში გაბედულად ჩარეულიყო. ვაი თუ მოსკოვთან ურთიერთობა უნაყოფო აღმოჩნდეს, დახმარება ვერ შეძლოს და ყიზილბაშები კიდევ უფრო გაღიზიანდნენ. ამ საკითხის აწონ-დაწონისას მხედველობაში იმასაც მიიღებდნენ რომ ქართლ-კახეთის ასეთი მოქმედებით უკმაყოფილო დარჩებოდა ოსმალეთიც (ოსმალეთი მტრულად შეხვდა მოსკოვის სახელმწიფოს წარმატებებს ვოლგისპირეთში), რომელიც როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართლსა და კახეთს მფარველად აჩვენებდა თავს და ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მეფეები ჯერჯერობით ნიადაგის მოსინჯვით კმაყოფილდებოდნენ.

შაჰ-თამაზ I დარწმუნდა, რომ ოსმალეთი საქართველოში სპარსეთის ინტერესების განხორციელების მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ სულთანს ზავის დარღვევას არ ფიქრობდა და დაიწყო ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ. თანამედროვეთა მიხედვით, 1558 წლის მარტში ქართველები უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდნენ ყიზილბაშებთან. ამის გამო მათ თავიანთი ელჩები გაუგზავნეს სულთანს და დახმარება სთხოვეს. შაჰ-თამაზის ვარაუდში გამართლდა: სულთანმა უარი უთხრა ქართველებს ჯარით დახმარებაზე<sup>1</sup>, რამაც გამოიწვია ურთიერთობის გამწვავება ქართლსა და ოსმალეთს შორის.

1559 წ. ოსმალეთში დაიწყო დინასტიური ბრძოლა. სულთანს სულეიმანი და უფლისწული სელიმი (შემდეგში სელიმ II, 1566—1574) ებრძოდნენ უფლისწულ ბაიზიდს. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ ქართველებიც (უნდა ვიფიქროთ ქართლის სამეფო). ქართლის მეფე სიმონ I კმაყოფილი არ იყო სულთან სულეიმანისა, რადგან მრავალჯერს თხოვნის მიუხედავად, იგი არ ეხმარებოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში. უფლისწული ბაიზიდი კი ცნობილი იყო თავისი დაუდევარი ხასიათით და უფრო სავარაუდო იყო, რომ

<sup>21</sup> О. Белокуроз, Сношения России с Кавказом, I, 1572—1613, М., 1889, гл. IX, Полное собрание русских летописей, т. XIII, I половина, СПб, 1904, гл. 244; Кабардинско-русские отношения в XVI—XVIII вв. Документы и материалы в 2-х томах, М., 1957, т. I, XVI—XVII вв., гл. 4.

<sup>22</sup> L. Tardy, гл. 102—105.

ტახტის ხელში ჩაგდების შემდეგ დაარღვევდა ამასიის ზავს. სიმონ I-მა, მსგავსად მაშინდელი მრავალი დამკვირვებლისა, სწორედ ვერ შეაფასა ბაიაზედის შესაძლებლობები და მას დაუჭირა მხარი. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ბაიაზედს ქართველების მხრიდან დახმარების იმედი ჰქონდა. იქიდანვე ვიკებთ, რომ სულთანმა, რათა ბაიაზედი დაეშინებინა და მისთვის დახმარების ვაწყვეის შესაძლებლობა მოესპო, ჯარის მზადყოფნაში მოყვანა და საქართველოზე გალაშქრება ბრძანა<sup>23</sup>.

1959 წლის 1 მარტს კონსტანტინოპოლიდან ვენაში გაგზავნილ მოხსენებაში ბაიაზედსა და ქართველებს შორის ურთიერთობაზეა ლაპარაკი. სულთანს უფლისწულ ბაიაზედზე თავდასხმა განუზრახავს, მაგრამ ხმა გაუერცყელებათ, რომ საქართველოზე სალაშქროდ მიდისო<sup>24</sup>.

მსგავსი ხმების გავრცელება უსაფუძვლო არ იყო და დაიჭრებდნენ კიდევ, რადგან ყველა იცოდა, რომ ბაიაზედის დასახმარებლად მიდიოდნენ ქართველებისა და ქურთების რაზმები, რომლებიც სურსათ-სანოვავითაც ამარაგებდნენ პრეტენდენტის ჯარს<sup>25</sup>.

ვიდრე ბაიაზედი ძალებს მოიკრეფდა, მანამდე უფლისწული სელიმი უზარ-მაზარი ჯარით დაესხა თავს და დაამარცხა. ბაიაზედი იძულებული გახდა, აღმოსავლეთისაკენ, ყიზილბაშთა საზღვრებისაკენ დაეხია<sup>26</sup>. იგი ბასიანდაში მივიდა და შაჰს მოციქული გაუგზავნა, რომელმაც განაცხადა: „სულთან-ბაიაზედი ბასიანს მოვიდა და გამომგზავა (იმის გასაგებად), შაჰთან რომ მივიდე, შემინახავს თუ არაო“<sup>27</sup>. შაჰმა მაშინვე შეაფასა ეს მომენტი როგორც სულთანზე პოლიტიკური ზემოქმედების მშვენიერი საშუალება. შაჰ-თამაზის ასეთი განზრახვის შესახებ ოსმალეთის სამეფო კარს აცნობა „ერთთმა ქართველმა ბატონმა, სულთანის მეგობარმა“, რომელსაც მიუწერია, რომ შაჰმა ბაიაზედი მხოლოდ მზაკვრული მიზნით შეიფარაო<sup>28</sup>.

შაჰ-თამაზმა ბაიაზედს ყაზვინში მისვლის ნება მისცა, სადაც დიდი ზემოთ და საჩუქრებით მიიღეს. მაგრამ მალე დევნილი უფლისწულისა და მისი თანმხლებლებისათვის ნათელი შეიქმნა, რომ შაჰი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედებდა და ხელსაყრელ შემთხვევაში „სტუმრებს“ სულთან სულეიმანს გადასცემდა. ამიტომ მათ განიზრახეს მოეწყით შაჰზე თავდასხმა და თავი შეეფარებინათ ბაღდადში, შირვანში ან საქართველოში<sup>29</sup>. მაგრამ შეთქმულება გამომყლავნდა და ყველა (დაახლოებით 10 ათასი კაცი) შეიპყრეს, მათი ნაწილი გაწყვიტეს, ხოლო ნაწილი შეიწყალეს და შაჰის სამსახურში მიიღეს. ბაიაზედი და მისი ოთხი ვაჟი დააპატიმრეს.

1560 წ. შაჰ-თამაზთან მოვიდნენ სულთნის მოციქულები, რომლებმაც დიდალი საჩუქრების სანაცვლოდ ბაიაზედი და მისი შვილები მოითხოვეს. შაჰი ამაზე არ ღათანხმდა და თავის ვაჟ ჰეიდარ-მირზასთვის საგამგებლოდ

<sup>23</sup> L. Tardy, გვ. 105.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>26</sup> Шараф-хан Бидлиси, Шараф-наме. перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, т. II, М., 1976, გვ. 204.

<sup>27</sup> შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადდა თარგმნა. შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976, გვ. 54.

<sup>28</sup> I. Tardy, გვ. 106.

<sup>29</sup> Шараф-хан Бидлиси, გვ. 205.

ბაღდადის გადაცემა მოითხოვა.<sup>30</sup> სულთანმა ამაზე უარი განაცხადა. შაჰი, რომელსაც არ სურდა კიდევ უფრო გაემწვაებინა ურთიერთობა ოსმალეთთან, ბოლოს დათანხმდა, 30 ათასი ერაყული თუმნის ღირებულების საჩუქრების სანაცვლოდ, ოსმალეთიდან ჩამოსული ჯალათებისათვის გადაეცა უფლისწული ბაიაზედი და მისი ვაჟები<sup>31</sup>.

1561 წლის 21 სექტემბერს ისინი ყაზვინში, ცხენის მოედანზე სიკვდილით დასაჯეს.

ჩვენამდე მოღწეული წყაროები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართველები ბაიაზედის გვერდით მონაწილეობდნენ შაჰის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. შარაფ-ხან ბითლისის მიხედვით, ბაიაზედი ხომ საქართველოშიც აპირებდა გაქცევას. კიდევ უფრო საყურადღებოა 1561 წლის 4 ნოემბრის წერილი (იგი ვანიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაა დაწერილი). რომლის მიხედვით შაჰმა დიდ ჯარს მოუყარა თავი და განზრახული ჰქონდა საქართველოში (ალბათ ქართლში) შეჭრა. რადგან ქართველებმა ბაიაზედს დაუჭირეს მხარი<sup>32</sup>.

სიმონ I და მისი თანამებრძოლები ქართლის შიგნით და გარეთ მოსვენებას არ აძლევდნენ ყიზილბაშებს. როგორც თანამედროვე ევროპული წყაროებიდან ჩანს, ქართლის ბრძოლას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი ახლოაღმოსავლეთის დიდ პოლიტიკაში.

სიმონ მეფეს მთავარი ამოცანა იყო თბილისის განთავისუფლება, სადაც ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა. მაგრამ ამისი განხორციელება სხვა ქართული სამეფო-სამთავროების დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო.

ქართლის სამეფოს მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდა 1559 წელს, როცა სიმონ I დაქორწინდა კახთა მეფის ლევანის ასულზე. ეს ფაქტი დაუფარავად მიანიშნებდა აღმ. საქართველოში ორი ქართული სამეფოს ანტიირანული კოალიციის შექმნაზე.

სიმონ I იარაღით ხელში ებრძოდა ყიზილბაშებს. მეფე ლევანი კი ოფიციალურად შაჰის ვასალად ითვლებოდა. ალბათ კახეთის მეფე ლევანს გულისხმობდა შაჰისა და ვენეციის რესპუბლიკის ელჩი შაჰ თამაზის კარზე, ვინჩენცო დელი ალესანდრი, როცა ამბობდა, რომ შაჰზე „დამოკიდებულია ერთი ქრისტიანი მეფე, ქართველების ბატონი, რომელიც მას უხდის ყოველწლიურად ოცი ათას დუკატს. მისი სახელმწიფო კასპიის ზღვის მახლობლადაა. ეს მეფე ოსმალეთთან ომის შემთხვევაში [შაჰს] უნდა ემსახუროს ათი ათასი ახალგაზრდა და მამაცი ცხენოსნით“<sup>33</sup>. თუ როგორ ტვირთად იწვა კახეთის სამეფოს სეფიანთა სახელმწიფოსადმი მორჩილება, კარგად ჩანს ისქანდერ მუნშის თხზულებიდან<sup>34</sup>. მართალია, ისქანდერი XVI ს-ის 80-იანი წლების დასაწყისზე ლაპარაკობს, მაგრამ მაშინ კახეთის ყიზილბაშებისადმი მოვალეობაში იმავე საუკუნის 50-იანი წლებიდან ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.

<sup>30</sup> Шараф-хан Бидлиси, ვვ. 206.

<sup>31</sup> იქვე, ვვ. 207—208.

<sup>32</sup> E. Charrière, *Negotiations de la France dans le Levant ou correspondances, memoires et actes diplomatiques*, t. II, Paris, 1850, გვ. 679.

<sup>33</sup> A. Alberi, გვ. 126.

<sup>34</sup> ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა ვ. ფუთურაძემ, შენაშენები დაურთო დ. კაციტაძემ, თბ., 1969, გვ. 37.



მეფე ლევანს შაჰის მიმართ უკმაყოფილების საფუძველი ჰქონდა გარდა ზემოაღნიშნული მიმე გადასახადისა და ვალდებულებისა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს სცემდა, შაჰ-თამაზი პოლიტიკური დაწოლთაც აფეთებდა კახეთის სამეფოს კარს. აი როგორაა სუმირებელი სულთნის მიერ ლევან I-სადმი გაზზავნილ წერილში (1564 წ.) კახეთის მეფის მიერ შაჰისადმი წაყენებული ვაზღდებები. (შეიხტყეთ), რომ შენი შეილებიდან ერთ-ერთი ღვიძლი შვილი, მოუყლია უდანაშაულოდ<sup>35</sup>, ხოლო (მეორად) ვაჟი, სახელად იესე, რომელმაც ისლამი მიიღო, დაპატიმრებულა<sup>36</sup>. და რომ ძველი დროიდან მომდინარე ჩვეულებისა და აზრის საწინააღმდეგოდ შემოღებული გადასახადების გადახდის ღონე დაჰკარგეთ, ხოლო ტანჯვის მოთმენა აუტანელი გახდა. ამბობ, რომ მათი განზრახვაა საქართველოს მოსპობა, შემდეგ კი ისლამის ქვეყნებში შეჭრა და თავდასხმა (რის გამო, სამყაროს ღირსება მოსილი ჩვენი ზღრუბლისაგან დახმარებას და შემწეობას ითხოვთ<sup>37</sup>.

ოსმალურ წერილში ნათქვამს ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ კახეთის სამეფომ XVI საუკუნის 60-იან წლებში შაჰის „წყალობით“ ტერიტორიული დანაკლისი განიცადა. ყიზილბაშებმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილეს მდ. სამურის ქვემო წელზე მდებარე წახურის ქრისტიანული ქვეყანა, რომლის მფლობელი შაჰის მფარველობის ქვეშ გამოცხადდა<sup>38</sup>. შაჰ თამაზმა იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზემოაღნიშნული ოლქის დაკარგვას კახეთისათვის და მოსალაგნელი იყო, რომ მეფე ლევანი შეეცდებოდა ამ მხარის კვლავ კახეთისათვის დაბრუნებას. ალბათ ამიტომ აფრთხილებდა 1562 წელს კახეთის მეფეს, რომ წახურის ბატონი არავის შეევიწროებინა<sup>39</sup>.

ამგვარად, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, კახეთიც ისევე უკმაყოფილო იყო ირანისა, როგორც ქართლი. ამ ორი ქართული სამეფოს ერთმანეთთან დაკავშირება განპირობებული იყო გართულებული საგარეო ვითარებით.

ლევან I-ისა და სიმონ I-ის დანათესავება დადებითად შეაფასა ივ. ჯავახიშვილმა. იგი აღნიშნავდა: „კახთ ბატონის ლეონ მეფის სიძობამ სვიმონ მეფეს საშუალება მისცა, არამეტუ მტრის შემოსევისაგან კახეთის მხრით უზრუნველყოფილიყო, არამედ თავისი დიდი განზრახვის გასსახორციელებლად (თბილისის განსათავისუფლებლად. — ე. მ.) მეშველი ჯარაც მიეღო“<sup>40</sup>. სიმონ მეფე დიდი ომისათვის ემზადებოდა. ისქანდერ მუნშისა და ჰასან რუმელუს გადმოცემით, სიმონ მეფეს მრავალი დახმარე რაზმი მიუყვია<sup>41</sup>.

კახეთის მეფემ, ჩვეული სიფრთხილით, თვითონ კი არ მიიღო მონაწილე-

<sup>35</sup> 1554 წ. ოსმალების აზერბაიჯანში შეჭრის დროს ლევან მეფის ერთი ვაჟი დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში (იხ. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალების ელჩებთან, გვ. 50). კახთამეფეს ალბათ ჰქონდა საფუძველი, რომ იგი შაჰ-თამაზისაგან „უდანაშაულოდ მოკლულად“, ჩაეთვალი.

<sup>36</sup> ლევან მეფემ, ქართლში ყიზილბაშების უკანასკნელი შემოსევის დროს (1556), შაჰს არ გაუწია დახმარება და შიშობდა, რომ შაჰი ამის გამო შურს იძიებდა. ამიტომ მან თავის ვაჟი იესე დიდი საჩუქრებით გაგზავნა ყაზვის 1558 წ. (ვახუშტი, გვ. 575). შაჰისა და გამამალიანის 1559 წ. (პასან რუმელუ, გვ. 35). და ცდილობდა ლევან მეფის ტახტის მოცილე შეემზადებინა. მაგრამ ისემ ვერ გაუმართლა შაჰს იმელები. მან 1562 წ. უარყო მამალიანობა და გაქცევა სცადა. იგი შეიპყრეს და იმავე წლის 23 დეკემბერს ალამუტის ციხეში ჩასვეს (იქვე, გვ. 37).

<sup>37</sup> ე. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 257—258.

<sup>38</sup> მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953; გვ. 8.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 225.

<sup>41</sup> ისქანდერ მუნში, გვ. 23; პასან რუმელუ, გვ. 36.

ობა ომში, ჩვეული კახთა რაზმით გაგზავნა თავისი უფროსი ვაჟი გიორგი. ლევან მეფე, საჭიროების შემთხვევაში, თავს გაიმართლებდა შაჰის წინაშე<sup>42</sup>.

როგორც ცნობილია, ქართველთა ბრძოლა თბილისის განთავისუფლებისათვის მარცხით დამთავრდა. 1561 წლის 6 აპრილს მუხათაგვერდთან ბრძოლაში მრავალი ქართველი და მათ შორის კახეთის უფლისწული გიორგიც დაიღუპა.

ციხილბაშებთან ვანცდილ მარცხს ქართლის სამეფოსათვის ერთი მნიშვნელოვანი შედეგიც მოჰყვა: სიმონ მეფეს განუდგა ძმა დავითი (შემდგომში დაუთხანანი) და ტახტის დაპატრონება ისურვა. ის 1562 წ. ყაზვინს წავიდა, გამაჰმადიანდა და შაჰ-თამაზის „შვილის წოდებულება მიიღო. ისქანდერ მუნშის მიხედვით, „სამოთხეში დამკვიდრებულმა შაჰმა (შაჰ-თამაზი) მისი (დაუთ-ხანის) ალერსიანი მოპყრობა, აღზრდა ბრძანა და მას შვილის წოდებულება მიანიჭა. უზუნაესი მდივნისადმი დაქვემდებარებული თბილისი და მიმდგომი სანახები უწყალობა, დროდადრო კარის ერთი ამირათავანი თბილისის ციხისთავად, დაუთ-ხანის ლალად და მის გამგებლად იყო“<sup>43</sup>. მაგრამ სიმონ მეფე არ სცნობდა დაუთ-ხანისა და ციხილბაშების უფლებას ქართლზე და განაგრძობდა ბრძოლას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი სიმონ პირველისა და დაუთ-ხანის ბრძოლა. სიმონი არ სცდებოდა შაჰის მარიონეტის უფლებას ქვემო ქართლსა და თბილისზე და ყველგან ებრძოდა ციხილბაშებს. დაუთ-ხანის მიმხრობა ციხილბაშებისადმი არც სულთნის კარისათვის უნდა ყოფილიყო სასიამოვნო. დაუთ-ხანის გამარჯვების შემთხვევაში შაჰის პოზიციები აღმ. საქართველოში განმტკიცდებოდა. მართალია, სულთანმა შაჰის „კუთენილი“ საქართველოს საქმეებში აქტიურად არ ერეოდა. მაგრამ, როგორც წყაროებიდან ჩანს, სულთნის აგენტურა ყველაფერს აკეთებდა, რათა ქართლის მეფეს ციხილბაშებისა და მათი მომხრე მოღალატე თავადების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეწყობინა.

1562 წლის 5 ნოემბერს კონსტანტინოპოლში მივიდა შაჰთამაზის ელჩი, რომელიც 9 ნოემბერს მიიღო სულთანმა. ელჩის ვიზიტის ოფიციალური მიზანი იყო ყაზვინში დასჯილი უფლისწულ ბაიაზედის პირადი ნივთებისა და იარაღის სულთნისათვის გადაცემა. სინამდვილეში ელჩს შაჰის სახელით სამღურავე უნდა ეთქვა სულთნისათვის, რომლის წაქეზებით ქართველები თავს დაესხნენ შაჰის ქვეშევრდომებს და ბრძოლის დროს დიდი ზარალი მიაყენეს<sup>44</sup>.

ასეთივე უქმაყოფილება გამოთქვა შაჰის ახალმა ელჩობამ ქართველების მოქმედების გამო 1563 წლის აპრილში. „ბაბილონის სანჯაყმა იჩივლა ქართველებისა და თურქმანების მიერ სპარსელებისადმი მიყენებული უსამართლობის შესახებ და მოითხოვა ზარალის ანაზღაურება“<sup>45</sup>.

ამავე პერიოდში ქართველები კვლავ შეეცადნენ კავშირი დამყარებინათ რუსეთთან. მათ ამის გაკეთება სურდათ ინგლისის „მოსკოვის კომპანიის“ აგენტის ჯენკინსონის საშუალებით.

ცნობილია, რომ ჯენკინსონი 1562 წლის 20 ნოემბერს შაჰთან აუდენციის დროს კახელ უფლისწულს, იესე ლევანის ძეს გაეცნო. იესე, როგორც

<sup>42</sup> ისქანდერ მუნშის ვერ გაურკვეველია გიორგის მოქმედების კანონიერება და შენიშნავს, რომ „შაჰის ნებართვით თუ თვითნებურად“ მივიდაო (ისქანდერ მუნში გვ. 23).

<sup>43</sup> იქვე, გვ. 24. იხ. ახალი ქართლის ცხოვრების პირველი დამესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 367, 312; ვახუშტი, გვ. 407.

<sup>44</sup> L. Tardy, გვ. 106.

<sup>45</sup> იქვე.

ზემოთ ვთქვით, 1558 წლიდან მძველად იყო ირანში. უნდა ვიფიქროთ, რომ იესემ აცნობა კახეთის მეფეს (ამ უკანასკნელმა კი სიმონ 1-ს) ჯენკისონის ინტერესებისა და მისი მოგზაურობის მიმართულების შესახებ.

1563 წლის 10-დან 16 აპრილამდე ჯენკისონი შემახში იმყოფებოდა როცა, მასთან მივიდა საქართველოს მეფის წარმომადგენელი. მან ილაპარაკა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ: რომ საქართველო მოქცეულია ორ მტრულად განწყობილ სახელმწიფოს — ირანსა და ოსმალეთს შორის. რომლებიც საშინელ მდგომარეობაში აყენებენ მას. საქართველოს მეფე განუწყვეტილ ბრძოლებს აწარმოებს ორივე დამპყრობელთან<sup>46</sup>.

საინტერესოა რომელი სამეფოდან იყო გაგზავნილი ელჩი? ამ საკითხით თავის დროზე დაინტერესდნენ ი. ცინცაძე<sup>47</sup> და ვ. გაბაშვილი<sup>48</sup>. მათ ივარაუდეს, რომ ჯენკისონის მიერ დასახელებული „საქართველოს მეფე“ კახეთის მეფე ლევანი იყო.

როცა ჯენკისონის ცნობებს ვუკვირდებით, ჩვენი აზრით, მასში იგულისხმება ქართლის მეფე სიმონ I. მაშინდელი საქართველოს მეფეთაგან მხოლოდ სიმონი აწარმოებდა განუწყვეტელ ბრძოლებს. ეს კი არ ითქმის ლევანზე, რომელიც თანამედროვეებში ცნობილი იყო როგორც მშვიდობისმოყვარე (გაგიძნელდება დავასახელოთ ლევანის მიერ გადახდილი ბრძოლა 50—60 წლებში) და ფრთხილი დიპლომატი. ამ საკითხზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ ი. ცინცაძის მოსაზრება: „არ შეიძლება დავუშვათ, რომ ქართლის პოლიტიკოსებს რუსეთთან კახეთის ურთიერთობა გამოეპარათ, ისინი უდავოდ საქმის კურსში იყვნენ, მაგრამ უფრო ლოდინის ტაქტიკას ადგნენ, შესაძლებელია, რუსეთის ძლიერებას. როგორც თურქეთ-ირანის დამთრგუნავ ძალას. სეპტიკურად უცქეროდნენ იმ პერიოდში. ასეთ ძალაზე დაყრდნობას არსებული მდგომარეობის გაუარესება რომ მოჰყვებოდა, მათთვის ეს აშკარა უნდა ყოფილიყო“<sup>49</sup>.

აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. ქართლის პოლიტიკოსებს, როგორც ჩვენ მიერ მოყვანილი წყაროებიდან კარგად ჩანს, ამასიის ზავის შემდეგ არც დრო და არც საშუალება არ ჰქონდათ „ლოდინის ტაქტიკისა“. ასეთი პოლიტიკის წარმოება კახეთისაგან იყო მოსალოდნელი. კახეთს რომ ირანისადმი უკმაყოფილების მიზეზი ჰქონდა, ამის შესახებ ზემოთ ჩვენც ვთქვით, მაგრამ მისადმი მტრობას ახდლილად ჯერ ვერ ამჟღავნებდა. ასე რომ კახეთის პოლიტიკოსებს უფრო უნდა ეზრუნათ რათა მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით მდრომარეობა არ გაერთულებინათ, რისი შედეგიც ლევან კახთა მეფეს ადვილად შეეძლო წარმოედგინა. მაგრამ ნათქვამი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ლევანი არ მონაწილეობდა ამგვარ დიპლომატიურ დაზვერვაში. ჩვენი აზრით, სიმონი და ლევანი შეთანხმებულად მოქმედებდნენ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დანათესავდნენ. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ მოპოვებულ ინფორმაციას, სად ჰქონდა მეფე ლევანს იმის გარანტია, რომ ჯენკისონი შაჰს არ აცნობებ-

<sup>46</sup> R. Hakluyt, Voyages. In eight volumes. v. II, Introduction by John Masefield, New York, 1962, გვ. 24—25

<sup>47</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956.

<sup>48</sup> ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველოს და ანტი-ოსმალური კოალიციები XVI—XVII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 71—72.

<sup>49</sup> ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.





და მისი განხრახვის შესახებ? ჯენკინსონისავე ცნობებიდან ვიცით, როგორი ეპკით უყურებდნენ შაჰი და აღმ. ამიერკავკასიის მაჰმადიანური სახანოები ევროპელი ქრისტიანების საქართველოსთან ურთიერთობას. ეს გარემოება კარგად იყო ცნობილი საქართველოს მეფისთვისაც. იგი ბოდიშს უხდიდა ჯენკინსონს მის გამო, რომ წერილობით და სპეციალური წარმომადგენლის ხელით არ აცნობა თავისი სურვილის შესახებ, რადგან საეჭვო იყო, რომ გაგზავნილი კაცი მშვიდობიანად მიაღწევდა დანიშნულების ადგილამდე. სიფრთხილის მიზნით ჯენკინსონმაც ზეპირად შეუთვალა პასუხი<sup>50</sup>.

ქართველები რომ უსაფუძვლოდ არ ფრთხილობდნენ, ამაში ჯენკინსონიც მალე დარწმუნდა. მან კომპანიის წარმომადგენელი ელჰარდ კლარკი გაგზავნა საქართველოს მეფესთან, რათა მისთვის მიეცა საჭირო რჩევები, მაგრამ, როცა საქართველოს საზღვართან მივიდა, ცნობილი გახდა მისი ქრისტიანობა და იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო<sup>2</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში იესეს საშუალებით საკმაოდ დავწრილებითი ცნობები ჰქონდათ ჯენკინსონის შესახებ. მათ ალბათ იცოდნენ, რომ ის მეორედ იყო რუსეთში: 1557 წ. ინგლისის ელჩს ჩენსლერს ახლდა მოსკოვში, 1558—1559 წლებში კი იმოგზაურა ბუხარაში, ხოლო 1561—1563 წლებში ისევ ეწვია რუსეთს, საიდანაც კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით იმოგზაურა ირანსა და ამიერკავკასიაში. ჯენკინსონი (1571—1572 წწ. ინგლისის დედოფალ ელისაბედის ელჩი ივანე IV-ის კარზე) თავის დროისათვის კარგი დიპლომატიც იყო. იგი კარგად ერკვეოდა მაშინდელი რუსეთის მდგომარეობაში და მის ინტერესებშიც. ასე რომ ქართველებმა შემთხვევით არ მიმართეს მას.

ქართველ მეფეს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა ჯენკინსონის აზრი: შეეძლო თუ არა რუსეთის მეფეს, დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის გარეშე მტრებთან ბრძოლაში და თუ არსებობდა ასეთი მხარდასჭერის იმედი, მაშინ რომელი გზით შეიძლებოდა ელჩის გაგზავნა მოსკოვში. ჯენკინსონმა დაარწმუნა მოციქული, რომ მოსკოვის მეფე აუცილებლად დაეხმარებოდა საქართველოს და ელჩი გაეგზავნა ჩერქეზების ქვეყანაზე გავლით. რომელთა მეფის ქალიშვილი ცოტა ხნის წინათ ცოლად შეირთო ივანე IV-მ<sup>52</sup>.

ჯენკინსონის ნათქვამი სიმართლეს შეეფერებოდა მცირეოდენი ხარვეზით. 1561 წელს ივანე IV-მ ცოლად შეირთო ყაბარდოს მბრძანებლის (ჯენკინსონის თქმით ჩერქეზეთის მეფის) ტემრიუკ იდაროვიჩის ასული კუჩენა, რომელსაც მოსკოვში მარია დაარქვეს<sup>53</sup>. ეს ქორწინება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იყო. ყაბარდომ მეტი მნიშვნელობა შეიძინა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, ყაბარდოს მბრძანებელი დაინტერესებული იყო საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით.

ახლა საინტერესოა, გაიკვცეს თვით ჯენკინსონის როლი საქართველოს რუსეთთან კონტაქტების საქმეში.

ჩვენი აზრით, ამ კავშირის განხორციელება „მოსკოვის კომპანიის“ ინტერე-

<sup>50</sup> Hakluyt, გვ. 25.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> Н. А. Смирнов, Политика России на Кавказе в XVI—XIX веках, М., 1958.



სებს შესაბამებოდა. კომპანია დიდად იყო დაინტერესებული აღმ. საქართველოს, განსაკუთრებით, კახური ნედლი აბრეშუმის შესყიდვით. აღნიშნული კომპანიის აგენტის არტურ ედუარდის მიერ 1566 წლის 25 აპრილს შემახადან გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, გაზაფხულზე შემხაზში ნედლი აბრეშუმის შოვნა მხოლოდ მცირე რაოდენობით შეიძლებოდა. „მისი შოვნა შეიძლება საქართველოში, მაგრამ იმის (შესასყიდად ხალხის) გაგზავნა ვერ შეეძლო, რადგან თავიდანვე დაეკარგეთ დრო. როცა ჩვენ გვეყოლება წარმომადგენლები, რომლებიც შეძლებენ მთელი ზაფხულის განმავლობაში აქ დარჩენას, მაშინ შესაძლებლობა გვექნება შევისყიდოთ პირველი ხელიდან, უშუალოდ სოფლებიდან, რომლებსაც მოაქვთ გასაყიდი აქაც და სხვა ადგილებშიც“<sup>54</sup>.

ჯენკინსონს, თავის კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, უშუალოდ სურდა დამყარებინა სავაჭრო ურთიერთობა საქართველოს აბრეშუმით მდიდარ რაიონებთან, რაც დიდ მოგებას მისცემდა აღნიშნულ კომპანიას. ამის გაკეთება მას განზრახული ჰქონდა მაშინ, როცა ედუარდ კლარკი გაგზავნა „საქართველოს მეფის დასახმარებლად. ჯენკინსონმა პირდაპირ დაავალა, რომ მეფესთან შეხვედრისას მიეღწია იმისათვის, რომ ინგლისელ ვაჭრებს მის სამფლობელოებში ვაჭრობის უფლება მიეღოთ“<sup>55</sup>. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კლარკმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საქართველოში ვერ შეაღწია. დარჩა ერთი ყველაზე უფრო საიმედო საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა ქართული ნედლი აბრეშუმის ხელში ჩაგდება. ეს იყო საქართველოს შეყვანა რუსეთის მფარველობაში. თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ „მოსკოვის კომპანიის“ აგენტებს, რომლებიც მოსკოვის სახელმწიფოში ვაჭრობის მონაპოლიური უფლებით სარგებლობდნენ, წინ ველარაფერი დაუდგებოდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, ჯენკინსონმა რუსეთისაგან დიდი დახმარების იმედი მისცა საქართველოს მეფის წარმომადგენელს და არ შეიძლებოდა გადაეკრით მაინც არ ეთქვა მოსკოვის კომპანიის ინტერესებზეც. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ჯენკინსონმა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ივანე IV-ზე და დაარწმუნა საქართველოსთან კავშირის მნიშვნელობაში.

იმის შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის მეფეებისათვის გასაგები გახდა ინგლისელი ვაჭრების საქართველოში დაინტერესებისა და მათი აზრის მნიშვნელობაზე ივანე IV-ის კავასიურ პოლიტიკაში, გადაწყდა, კახეთის (როგორც აბრეშუმით მდიდარი ქვეყნის) ილჩები გაეგზავნათ მოსკოვში.

ელჩს მოსკოვში კავაყოფილებით შეხვდნენ (1564 წ.) და ივანე IV-მ კახეთს მფარველობა აღუთქვა. მფარველობის გამოხატულების ნიშნად კახეთში გამოგზავნეს დამხმარე რაზმი, რომლის მებრძოლები კახეთის ციხეებში ჩააყენეს. ისინი 1565—1572 წლებში კახეთს იცავდნენ დაღესტნელთა თავდასხმებისაგან. ამაზე მეტის გაკეთება მაშინ მოსკოვის მთავრობას არ შეეძლო, რადგან ავით რუსეთს ჰქონდა უაღრესად გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ამით ისარგებლა ირანმა და ოსმალეთმა და რუსეთს შეუტრია. ოსმალებმა ჩერქეზეთიდან განდევნეს რუსეთის გარნიზონი, ხოლო ირანისაგან თავდასხმის მუქარამ აიძულა ლევან მეფე კახეთიდან დაეთხოვა რუსთა რაზმი.

ოსმალეთი ირანის წინააღმდეგ აღამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

<sup>54</sup> Hakluyt, გვ. 38.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 25.

სულთანს მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა სურდა. ამის მიღწევა კი ხელსაყრელი კომუნიაციების გარეშე შეუძლებელი იყო. ოსმალეთს უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა იმისა, თუ რა გასაჭირში აღმოჩნდებოდა ხოლმე ირანთან ომის დროს ოსმალეთის ჯარი, რომლის სურსათ-სანოვაგითა და იარაღით მომარაგება, ასევე დამხმარე ჯარის გადაყვანა, ძნელდებოდა.

ამ საკითხის მოგვარებას ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, 1567 წლის დასასრულს, შეუდგა სულთანი სელიმ II. მან თავისთან მიიწვია დადიანის ვაჟი, რომელთანაც სურდა ეწარმოებინა მოლაპარაკება, რათა ირანთან ომის შემთხვევაში უფლება ჰქონებოდა სამეგრელოს ტერიტორიაზე გავლით გადაეყვანა ჯარი. ამ გეგმის განხორციელება სულთანს შემდეგნაირად ესახებოდა: ოსმალეთიდან ჯარს გემებით გადაიყვანდნენ სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროზე (არ ვიცით კონკრეტულად სადამდე). ხოლო შემდეგ სამეგრელოზე გავლით ჩრდილო-დასავლეთიდან დაარტყამდა ყიზილბაშებს<sup>56</sup>.

ადვილად მისახვედრია, რომ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში პირველი დარტყმა იმერეთის, ქართლის და კახეთის სამეფოებს უნდა განეცადა.

ჩვენთვის უცნობია, თუ რატომ ვერ განხორციელდა ეს გეგმა. ალბათ დადიანმა, რომლისთვისაც ასევე საბედისწერო იყო სულთნის განზრახვა, ყველაფერი იღონა, რათა თავი დაეღწია ამ სახიფათო წამოწყებიდან და წარმატებითაც გაართვა თავი. ისიც ირკვევა, რომ ოსმალეთმა, გარკვეულ დრომდე მოთმინება არჩია. 1579 წელს, ირანთან ომის მეორე წელს, როცა ნათელი შეიქმნა აღმ. ამიერკავკასიაში ომის სირთულე, ოსმალეთმა დაიპყრო ფოთი<sup>57</sup>. სულთანი მაშინ ანგარიშს აღარ გაუწევდა იმას, თუ როგორ შეხედავდა დადიანი ოსმალეზის ასეთ მოქმედებას.

აგვარად, ამასიის ზავის შემდეგ ირანი და ოსმალეთი ყოველ ღონეს ხმარობდნენ განემტკიცებინათ პოზიციები თავიანთ წილხვედრილ საქართველოში. მაგრამ საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, ირანის მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ოსმალეთისა. ირანის პოლიტიკას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა ქართლის სამეფო. ირანს არც კახეთის სამეფო უერთგულდებდა.

დას. საქართველოში ოსმალეთს არ უხდებოდა რაიმე სერიოზული დახმარების გადალახვა. მას ირანთან ზავი ევროპაში საქმეების მოსაგვარებლად სჭირდებოდა და ქართული სამეფო-სამთავროებისაგან ხარკის და ჯარის გარკვეული კონტინგენტების მიღებით კმაყოფილდებოდა. ზავის პერიოდში ირანთან დიპლომატიური ურთიერთობისას ოსმალეთი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მისთვის ახლობელი იყო აღმ. საქართველოს საკითხი და ზოგჯერ იქ თავისი გავლენის გავრცელების მიზნით, მის დამცველადც გამოდიოდა.

ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები კარგად ხედავდნენ, თუ როგორი სერიოზული წინააღმდეგობა დარჩა ირან-ოსმალეთს შორის დაზავების შემდეგაც იმავე საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, ითვალისწინებდნენ მასლობელ აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (ოსმალეთი ებრძოდა ავსტრია-უნგრეთს) და ჩრდ. კავკასიაში (რუსეთის გასვლა კასპიის ზღვაზე და მისი წაწევა კავკასიისაკენ) შექმნილ მდგომარეობას და საკუთარი პოლიტიკური კურსი შეიმუშავეს. ამ ეტაპზე ორივე დამპყრობელი ერთნაირად მიღებული

<sup>56</sup> L. Tardy, გვ. 110.

<sup>57</sup> შ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., თბ., 1971, გვ. 124.

იყო. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებამდე ქართველი პოლიტიკოსები ოსმალეთისაკენ უფრო იხრებოდნენ. ამავ დროს ისინი ოსმალეთის და ირანის ერთმანეთთან დაპირისპირებას ლამობდნენ.

Э. М. МАМИСТВАЛИШВИЛИ

## ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ ГРУЗИИ В 50—60-х ГОДАХ XVI В.

### Резюме

Заклученный в 1555 году мирный договор между кызылбашским Ираном и османской Турцией надолго определил судьбу Грузии. Однако грузинский народ не смог примириться с господством покорителей и с оружием в руках защищал свою независимость. Иран пытался воспользоваться феодальной раздробленностью Грузии и добиться ее полного покорения.

Грузинским дипломатам было хорошо известно, что причиной войны между Турцией и Ираном было стремлением их к обладанию Грузией. Поэтому они действовали так чтобы снова столкнуть Турцию и Иран друг с другом.

Побежденный и обессиленный Иран чувствовал себя в Восточной Грузии неуверенно. Исходя из создавшегося положения, Восточная Грузия оставалась главным объектом его внешней политики. Шах никак не мог достичь здесь желаемого положения. Он часто использовал вооруженные силы в борьбе против восставшего Картлийского царства.

Картлийские и кахетинские политические деятели хорошо понимали, что лишь своими силами не смогли бы отразить натиск кызылбашей. Турция же давала им неопределенные обещания. Вследствие этого они решили противопоставить Ирану усилившееся в это время Московское государство (в 1557 году посредством Кабарды, а затем, в 1563 году посредством английского дипломата — купца Дженкинсона), но ощутимых результатов не достигли.

წარმოადგინა ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის კათედრამ

ლიბრეო თუბანიშვილი

„არქიტექტურის იკონოგრაფიის“ შესახებ

მეცნიერების სხვა დარგების მსგავსად ხელოვნებათმცოდნეობაშიც უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მრავალი ახალი საკითხი წამოიჭრა, არაერთი ახლებური კვლევის წესი თუ მეთოდი იქნა შემოთავაზებული, ამათგან ზოგიერთმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი მეცნიერულ აზროვნებაში, ნაწილი მაშინათვე უარყვეს, რამდენიმე აქამდე საკამათოა. ერთი ასეთი სადავო მეთოდი აღრქვრისტიანული ხუროთმოძღვრების ისტორიაშიც მოიპოვება — მხედველობაში გვაქვს ე. წ. „არქიტექტურის იკონოგრაფიის“ მეთოდი, რომლის თაობაზე ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანია გამოთქმული.

როგორც ვიცით, ეს ცნება, ასევე შესაბამისი თეორიაც, რ. კრაუტჰაიმერს ეკუთვნის. 1942 წელს მან გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით „შუა საუკუნეების არქიტექტურის იკონოგრაფიის შესავალი“<sup>1</sup>, სადაც დაუპირისპირდა შუა საუკუნეების ხელოვნების კვლევის „ფორმალისტურ მეთოდს“. მისი აზრით, განსხვავებით ახალი დროის ხუროთმოძღვრებისაგან, შუა საუკუნეების არქიტექტურა „უშინაარსო“ არ ყოფილა, მეტიც, „შუა საუკუნეების ხუროთმოძღვართათვის უმთავრესი სწორედ ამა თუ იმ ფორმის სიმბოლური მნიშვნელობა იყო.

ამ დებულების დასაბუთებისათვის რ. კრაუტჰაიმერი აანალიზებს შუა საუკუნეების „არქიტექტურულ პირებს“ — IX — XII საუკუნეების გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ა. შ. ეკლესიებს, რომლებიც წერილობითი წყაროების პირდაპირი მითითებით, იერუსალიმის წმ. საფლავის როტონდის „მიბაძვით“, „მიმსგავსებით“ არიან აგებული. ირკვევა, რომ თავისი ხუროთმოძღვრებით ამ ძეგლებს არც ერთმანეთთან აქვთ რაიმე საერთო და არც მათ პალესტინურ ნიმუშთან. რ. კრაუტჰაიმერი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ მშენებელთა საზრუნავი ის იყო, გაემეორებინათ სიმბოლურად არსებითი ელემენტები — იქნებოდა ეს საბჭენთა რაოდენობა, რომელიც 12 მოციქულს მიანიშნებდა, თუ ნაგებობის წრიული მოხაზულობა, რომელიც შეეძლო, ვთქვათ, რვაკუთხედით შეეცვალათ, ვინაიდან ორივეს აზრი ერთია: უკვდავება, მარადისობა. რ. კრაუტჰაიმერის თქმით, ნიმუშს „შლდენენ“, არჩევენენ მის შინაარსით დატვირთულ ნაწილებს და გადაჰქონდათ ისინი საკუთარ, ვიზუალურად სულ სხვა სახის მქონე, ნაგებობებში.

როგორღა ღებულობს ესა თუ ის ფორმა განსაზღვრულ შინაარს? პასუხს ამ კითხვაზე რ. კრაუტჰაიმერი პოულობს ბაპტიტერიუმთა ხუროთმოძღვრებაში, რომელიც მისი აზრით ანტიკური სამარხის კომპოზიციებს ეფუძნება. ქრის-

<sup>1</sup> R. Krautheimer, Introduction to an Iconography of Medieval Architecture, Journal of Warburg and Courtauld Institutes, Vol. V, London, 1942. ჩვენ ვსარგებლობთ ამ წერილის მეორე გამოცემით რ. კრაუტჰაიმერის ნაწერების კრებულში: Studies in Early Christian, Medieval and Renaissance Art, New York, 1969.



ტიანმა მშენებლებმა სანათლავისათვის აკლდამის ფორმა იმის გამო გამოიყენეს, რომ ნათლისღებისას ყოველი მორწმუნე სიმბოლურად იმეორებს ქრისტეს გარდაცვალებას და კვლავ აღდგომას საუკუნო ცხოვრებისათვის. სიმბოლური კავშირი იმითაც იყო განმტკიცებული, რომ აკლდამები ოქტოგონური და როტონდული იყო ხოლმე. ამდენად, შუა საუკუნეების ხელოვნება ითვისებს ანტიკურ-წარმართულ მხატვრულ სამყაროში შექმნილ ფორმებს მათთან დაკავშირებული სიმბოლური ასოციაციების მიხედვით და სწორედ ეს უკანასკნელი ანიჭებენ მათ შინაარსს.

რ. კრაუტჰაიმერის ნაშრომში მკაფიოდაა მოხაზული საკითხთა ის წრე, რომლებიც „იკონოგრაფიის“ შემსწავლელთა ყურადღებას იქცევს და მათი წანამძღვრებიც. უპირველესად ყოვლისა უნდა ითქვას, რომ არქიტექტურის „შინაარსი“ არქიტექტურის იკონოგრაფიის ფარგლებში ვაგებულება, როგორც ის სიმბოლური ასოციაციები, რომლებიც აქვს დროის რაღაც მონაკვეთში ამა თუ იმ ფორმას. ეს იმასაც ნიშნავს, რომ შინაარსი საკუთრივ ფორმის კუთვნილება კი არ არის, არამედ, ნებისმიერად მიეწერება მას და ნამდვილია მხოლოდ გარკვეული კულტურული წრისათვის. რ. კრაუტჰაიმერი, მართლაც „იკონოგრაფიას“ აფუძნებს, ე. ი. ფორმის უშუალო „სიუჟეტს“ იკლავს<sup>2</sup> და არა, იკონოლოგოსთა მსგავსად, მის მსოფლმხედველობით განპირობებულობას. ასეთი რამ ადრეც ყოფილა. მაგრამ მაინც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მისი თეორია „საეკლესიო არქეოლოგოსთა“ კვლევის წესისაკენ უბრალო მიქცევაა. ისინი, თუნდაც რ. კრაუტჰაიმერის მიერ დამოწმებული ი. ზაუერლი<sup>3</sup>, კმაყოფილებდებოდნენ სხვადასხვა წერილობითი წყაროს მოშველებით ეკლესიის შენობისა და მისი ნაწილების სიმბოლური აზრის დადგენით. რ. კრაუტჰაიმერთან სხვა ვითარება გვაქვს. იგი თვალს ადევნებს ერთი „შინაარსის“ სხვა „შინაარსთან“ ასოციაციურ დაკავშირებას და ამის მეშვეობით ხსნის ძველი ფორმების ხანგრძლივ შენარჩუნებას ან ძველი ელემენტების ახალ კონტექსტში ხმარებას. ამდენად კი ისიც შეიძლება ითქვას, რომ რ. კრაუტჰაიმერს გადმოაქვს ხუროთმოძღვრების ისტორიაში ის მიდგომა, რომელიც XIX ს-დან იყო მიღებული შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების ისტორიაში; ხატისა და კედლის მხატვრობის შემსწავლელთა მსგავსად, ისიც ეძებს შუა საუკუნეების ნაწარმოებთა ანტიკურ პროტოტიპებს და მათ შემართებულ გზებს. ეს მეთოდი ყველა ეპოქისათვის როდი გამოდგება: მისი პოზიციიდან არსებობს „შინაარსიანი“ და „უშინაარსო“ არქიტექტურის ეპოქები. 1942 წელს რ. კრაუტჰაიმერი ასეთ „შინაარსიან“ ეპოქას XIII ს-მდე მაინც ვარაუდობდა, მოგვიანებით მან გამოთქვა აზრი, რომ „ბიზანტიური“, ე. ი. აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში იგი ძირითადად უკვე V ს. დასრულდა<sup>4</sup>. საქმე ისაა, რომ იკონოგრაფიული მეთოდის ხმარება მხოლოდ იმდენად შე-

<sup>2</sup> ე. პანოფსკის აზრით, „ამჟამად, რომ ზუსტი იკონოგრაფიული ანალიზი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით გულისხმობს მოტივის ზუსტ იდენტიფიკაციას“ — ე. ი. გამოსახული საგნისა თუ პირის (საუბარია სახვით ხელოვნებაზე) რაობა-ვინაობის დადგენას გარკვეული ლიტერატურული თუ რელიგიური ტრადიციის შესაბამისად. (იხ. მ. ისი, Studies in Iconology, New York, 1939, გვ. 7).

<sup>3</sup> J. Sauer, Symbolik des Kirchengebäudes und seiner Ausstattung in der Auffassung des Mittelalters, Aufl., Feiburg in B., 1924.

<sup>4</sup> R. Krautheimer, Early Christian and Byzantine Architecture, Harmondsworth, 1965, გვ. 72.



იძლება, რამდენადაც ფორმა „მიმაგრებულია“ რაღაც რელიგიურ შინაარსსა თუ ფუნქციაზე; როგორც კი კრება მათ შორის ამგვარი აუცილებლობის მიმართება, აზრი ეკარგება რ. კრატუტაიმერისეულ მეთოდსაც. მისი საფუძველი არქიტექტურული ფორმების „სპეციალიზაცია“.

„არქიტექტურის იკონოგრაფიაში“ რ. კრატუტაიმერი გულისხმობს ნაგებობისა და მისი ნაწილების სიმბოლური საზრისისა და სპეციალურ სახელდებასა და რელიგიურ ფუნქციასთან მათი კავშირის ცოდნას. როგორც ნაშრომის მოკლე შინაარსიდან ჩანს, თვით იგი ჩერდება პირველსა და მეორე მომენტზე, ფუნქცია-ფორმის მიმართებას კი სიმბოლური აზრისა და ფორმისას უქვემდებარებს.

თანამედროვე მეცნიერებაში მოიპოვება ისეთი თეორიებიც, სადაც წინ სწორედ ფუნქცია-ფორმის დამოკიდებულება წამოწეული. პირველ რიგში აქ მოსახსენებელია ა. გრაბარისა და ე. ლასიუსის ნააზრევნი. მათი ვარაუდით, ადრექრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია ტიპების დიფერენციაცია და ამის მიზეზი ანტიკურ კულტურაშია საძიებელი. მათ მიიჩნიათ, რომ ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა ორი რიგის — ცენტრულ ნაგებობათა და ბაზილიკების — ერთდროული არსებობა მათი განსხვავებული დანიშნულებითაა განპირობებული: პირველნი სამარტვილეებია, მეორენი კი საკრებულო ტაძრები. ისტორიის მსვლელობაში ეს ფუნქციები ერწყმის ერთი მეორეს და წარმოიქმნება გუმბათიანი საკრებულო ტაძარი. ფუნქციით არის გამოწვეული აშკარად შესაბამისი ანტიკური პროტოტიპების მოძიებაც<sup>5</sup>. ასე რომ ეს მეცნიერებიც ხუროთმოძღვრული ფორმების შენარჩუნებისა და განვითარების (როგორც მათ იგი ესმით) პირობად მათთვის მიწერილ რელიგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებულ მომენტებს მიიჩნევენ.

ამჟამად მეცნიერთა მთელ რიგს აეჭვებს „არქიტექტურის იკონოგრაფიის“ ძირითადი დებულებების სისწორე. ასე მაგ., ძველი რომის ხუროთმოძღვრების მკვლევარი ჟ. ბ. უორდ-პერკინსი საგანგებო მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ არ არის საფუძველი გვიანანტიკური ხუროთმოძღვრების ფორმათა დანიშნულებისა და მიხედვით დანაწილებისა<sup>6</sup>. ეს მოსაზრება გაიზიარა და ცალკეული „იკონოგრაფული ტიპების“ არსებობა უარყო ს. მანგომაც<sup>7</sup>. 50-იანი წლებიდან ეკამათება იკონოგრაფოს-ფუნქციონალისტებს ფ. ვ. დაიჰმანი<sup>8</sup>, რომელმაც ბოლო დროს კვლავ გადაჭრით განაცხადა, რომ „ადრექრის-

<sup>5</sup> A. Grabar, *Martyrium, Recherches sur le culte des reliques et l'art chrétien antique*, vol. I, Paris, 1946; I. Lassus, *Sanctuaries chrétiens de Syrie*, Paris, 1947.

<sup>6</sup> ს. მანგო (Byzantinische Architektur, Stuttgart-Mailand, 1974, გვ. 89) ამ მეთოდს „ფუნქციურს“ უწოდებს. ეს სახელწოდება იმგვარ ნაშრომებს უდევდა, როგორცაა ა. მ. შნაიდერის *Liturgie und Kirchenbau in Syrien*, Nachrichten der Akademie der Wissenschaften in Göttingen. Philol. hist. Klasse, 1949, N 3.

<sup>7</sup> B. Ward-Perkins, *Memoria, Martyr's Tomb and Martyr's Church*, Akten des VII Internationalen Kongres für Christliche Archäologie, Citta del Vaticana — Berlin, 1969.

<sup>8</sup> C. Mango, დასახ. ნაშრომი; იხ. აგრეთვე მისი, *The Church of Saints Sergius and Bacchus of Constantinople and the Alleged Tradition of Octagonal Palatine Churches*, in: *Jahrbuch der österreichischen Byzantinistik*, Bd. 21, Wien, 1972.

<sup>9</sup> F. W. Deichmann, *Entstehung der Basilika und Entstehung des Kirchengebäudes*, *Kunstchronik*, 1951, Heft 5, გვ. 113—114.

ტიანულ არქიტექტურაში სივრცითი ფორმა არასოდეს ყოფილა მიჯაჭვული საგანგებო დანიშნულებაზე<sup>10</sup>.

50-იან — 60-იან წლებშივე გ. ჩუბინაშვილმა დაადგინა, რომ ქართულ ხელოვნებაში არ დასტურდება ა. გრამარისა და ე. ლასუსის შეხედულებანი, რომლებიც მუდამ არც თვით მათ მიერ მოტანილი მაგალითებით საბუთდება<sup>11</sup>.

თუ გავითვალისწინებთ იმ მკაცრ კრიტიკას, რომელიც გამოითქვა ამ ბოლო დროს ტიპების სპეციალიზაციის დებულების მიმართ, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს ზედმეტია ლაპარაკი რაიმე „იკონოგრაფულ“ კვლევაზე, რომ მას, ერთხელ და სამუდამოდ გამოეცალა ნიადაგი. მაგრამ მაინც ძნელი იმის უარყოფა, რომ ხუროთმოძღვრება შუა საუკუნეების სივრცეზე სიმბოლურად უაზრდებოდა და თავი და თავი საკითხი ისაა, თუ როგორი იყო „იკონოგრაფიის“ წვლილი შუა საუკუნეების ოსტატთა შემოქმედებაში. ვფიქრობთ, იკონოგრაფიული მეთოდის ღირსება-ნაკლოვნებებიცა და მისი გამოყენების საზღვრებზე შეიძლება წარმოჩენილ იქნას ქართული ხელოვნების ძეგლთა ერთი ჯგუფის—VI-VII საუკუნეების ე. წ. „თავისუფალი ჯვრის“ (croix libre) სახის ეკლესიების მაგალითზე.

ძნელად თუ ბადებს რომელიმე ხუროთმოძღვრული ფორმა ისეთ პირდაპირსა და უშუალო სიმბოლურ ასოციაციებსა როგორც ჯვრისსახე ეკლესია-ხატი ქრისტიანული ეკლესიის უმთავრესი სიმბოლოა. მაგრამ მათ შორისაც, ალბათ ყველაზე ცხადლივ იგი სწორედ croix libre-ს ხილვისას განიცდება. საესებით კანონზომიერია, რომ ამ ტიპს მიემართება ყველა ის სიმბოლური ასოციაცია, რასაც ყოველგვარ ჯვარული გეგმის მქონე ეკლესიას უკავშირებენ. უკანასკნელი რომ ქრისტიანული სიმბოლიკის საფუძველზე აღმოცენდნენ, არავენ დაეჭვებულა, მაგრამ ადრე ამას ზოვადად თუ იტყოდნენ, ი. სტრიგოვსკის შემდეგ ეს წარმოდგენა კონკრეტული საბუთითაცაა შემაგრებული. მან ყურადღება მიაქცია წარწერას, რომელიც წმ. ამბროსი მელიტანელმა მოათავსა მილანოს წმ. მოციქულთა ეკლესიის კედელზე: „ჯვრის ფორმის ტაძარი ქრისტეს გამარჯვების ტაძარია“. წარწერაში, როგორც ვხედავთ, აზრი სრული სიცხადითაა გამოთქმული — ჯვრისსახე ტაძარი მაცხოვრის გამარჯვების, ტრიუმფის გამომხატველადაა გამოცხადებული.

რა თქმა უნდა, ამ სიტყვებს ნაკლებად ექნებოდა მნიშვნელობა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მაინც, ისინი რომ წმ. ამბროსის კერძო შეხედულებას გვიცხადებდნენ. მაგრამ აქ გამოთქმული აზრი ორგანულად გამომდინარეობს ქრისტიანული მსოფლმხედველობის მთელი სისტემიდან, რომლის არსება „მოხსნილი დუალიზმია“ სამყაროსი და ტრანსცენდენტული ღვთაებისა<sup>12</sup>. აღამაინათა ღმერთთან შემაერთებლად ქრისტიანულ თეოლოგიაში გამოდის სამების „განკაცებული“ მეორე პირი, იესუ ქრისტე, რომლის მისიაა

<sup>10</sup> F. W. Deichmann, Das Oktogon von Anticcheia: Heroon — Martyrion, Palastkirche oder Kathedrale? Byzantinische Zeitschrift, 65 Bd. I Heft, München, 1972, გვ. 56.

<sup>11</sup> Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 1959., გვ. 592—598; Г. Н. Чубинашвили, О первоначальных формах христианского храма. ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია წიგნში: Вопросы истории искусств, I, Тб., 1970.

<sup>12</sup> А. Каждан, Византийская культура (X—XII вв.), М., 1968, გვ. 100.

„ადამიანის ცოდვის“ გამოსყიდვა, რაც მისი ჯვარცმითა და აღდგომით ხორციელდება.

ამისდა მიუხედავად, ჯვარი შედარებით გვიან შეიქმნა ქრისტიანობის ემბლემად, თუმცა II — III საუკუნეებში მას უკვე იცნობენ<sup>13</sup>. IV ს-ის დასაწყისში ძლიერდება, როგორც ეტყობა, მიდრეკილება ჯვრის სწორედ ტრიუმფის აღმნიშვნელად წარმოდგენისა, რასაც უკავშირებენ კონსტანტინე დიდის ცნობილ ხილვას<sup>14</sup>. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ სარკოფაგზე სატრიუმფო გვირგვინით შემკული ჯვარი აღდგომის ხატადაა გადმოცემული, თანაც ისეთგვარად, როგორც წარმართნი ტროფეებს გამოხატავდნენ ხოლმე<sup>15</sup>. ჯვარი — ქრისტეს მოკვდინების იარაღი — გადაქცეულია სიკვდილის დათრგუნვის, აღდგომის სიმბოლოდ, მას ცხადად გამოკვეთილი სატრიუმფო ხასიათი შეუძენია, რასაც ეკლესიის მამათა ნაწერებიც გვიდასტურებს<sup>16</sup>.

იმთავითვე შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს ყოველივე უცნობი ვერ იქნებოდა ძველ საქართველოში. ჩვენ საამისოდ ქართველ მწერალთა თხზულებებში პირდაპირი მოწმობანიც მოგვეპოვება. ამ მხრივ პირველ რიგში მოსახსენიებელია გადმოცემა ქართლის გაქრისტიანების შესახებ. მისი უძველესი მწიგნობრული რედაქცია დაკუთვლია ქართული საისტორიო მწერლობის ორ ძეგლში — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატინესა და მასთან შერწყმულ ე. წ. „სატბერდულ-ქელიშურ წმ. ნინოს ცხობებაში“<sup>17</sup>. ამ წყაროთა მონათხრობში არც თუ უჩინარი ადგილი აქვს დათმობილი ქართლის მოსანათლავად კონსტანტინოპოლით მოვლენილი სამღვდელოების ჩაგონებით მირიან მეფისაგან ჯვრების აღმართვის ამბავს (თხზულების სხვადასხვა ადგილას ხან ერთი ჯვარი ჩანს, ხანაც — უფრო ხშირად — სამი).

აკად. კ. კეკელიძე ამ გადმოცემის ანალიზისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი დამყარებულია ორ ადრექრისტიანული ხანის თხზულებაზე. ერთში მითხრობილია კონსტანტინე დიდის მიერ თავისი სამი გამარჯვების სამახსოვროდ ჯვრების აღმართვა, მეორეში კი IV ს-ის შუა ხანაში იერუსალიმში ცად ჯვრის სახილავის გამოჩენის ამბავი<sup>18</sup>. საესებით შესაძლებელია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დამწერსა თუ წმ. ნინოს ისტორიის ვინმე სხვა მომთხრობელს ესარგებლა ამ ნაწარმოებით, მაგრამ ვასათვალისწინებელია, რომ ამ ჯვართა არსებობის ნივთიერი კვალიც გვაქვს შემორჩენილი. ვერვის შეეპარე-

<sup>13</sup> E. Dinkler — v. Schubert, in: Lexikon der Christlicher Ikonographie, 2. Bd., Rom — Freiburg — Basel — Wien, 1970, გვ. 564.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> A. Grabar, Christian Iconography. A Study of Its Origins, London, 1969, გვ. 125.

<sup>16</sup> Григорий Богослов, Творения, т. 2, СПб., გვ. 313. Избранные сочинения Блаженного Августина, епископа Иппонийского, ч. IV, М., 1787. გვ. 343. Иоанн Златоуст, Творения, т. III, ч. I, СПб., 1897, გვ. 20.

<sup>17</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ცხობებაჲ წმიდისა ნინოასი, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1964.

<sup>18</sup> К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия), Тиф., 1912, გვ. 233—245. თ. მგალობლიშვილის აზრით, ჩვენი ძეგლის კიდევ ერთი წყარო უნდა ყოფილიყო VI საუკუნის მწერლის ალექსანდრე კვიპრელის ჯვრის საკითხავი — იხ. ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა (X—XIV საუკ. ხელნაწერების მიხედვით), ტექსტი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1978, გვ. 21—28.





ბა ეკვი, რომ მცხეთის პირისპირ ნამდვილად იდგა ერთ დროს ღია ცის ქვეშ ჯვარი, რომელსაც VI ს-ში ჯერ გვერდით აუშენეს ეკლესია, ცოტა მოგვიანებით კი თავზე სახელგანთქმული მცხეთის ჯვრის ტაძარი დაადგეს. ცნობილია ის რიდიც, რაც ჰქონდათ ამ ჯვრის მიმართ მთელს კავკასიაში<sup>19</sup>. რეალური საფუძველი უნდა გააჩნდეს უჯარმის ჯვრის შესახებ ცნობასაც; ბოლო დრომდე აქ ინახებოდა წმ. ნინოსად აღიარებული ჯვარი<sup>20</sup>. ყოველ შემთხვევაში, ქართული წყაროების ეს გადმოცემა, ვფიქრობთ, უბრალო შენათხზი არ უნდა იყოს. ჩვენთვის კი ამჟამად უმთავრესი მაინც სხვა არის. სახელდობრ კი, ვაცილებით უფრო საყურადღებოა, თუ რა აზრია ჩაქსოვილი ამ ნამდვილსა თუ ნაზღაბრევ მოთხრობაში.

ჯვრების აღმართვა ხდება ქართლში, სადაც ქრისტიანობა უკვე დამკვიდრებულია და კახეთში, რომელსაც აგრეთვე გასწვდა წმ. ნინოს მოღვაწეობა. სხვას რას უნდა მოასწავებდეს ის ფაქტი, თუ არა წარმართობის დამხობას და „ქრისტიანობის აღიარებას, რამაც საბოლოო და დასრულებული ფორმის ნათლისღებით მიიღო“<sup>21</sup>. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და წმ. ნინოს უძველესი ცხორება IX საუკუნისა მაინც არის და, საერთო აზრით, უფრო ადრეულ თხზულებებსა და გადმოცემებს ემყარება და, ეგებ, შეიცავს კიდევ<sup>22</sup>. ასე რომ, თუ IV საუკუნისა არა, ზოგადად ადრე შუა საუკუნეების ქართველთა შეგნებაში მაინც, მთის წვერზე ამართული ჯვარი წარმართობის დამხობის და ახალი რელიგიის გამარჯვების აღმნიშვნელია. ნ. ჩუბინაშვილის მართებული შენიშვნით, სავანებოდ უნდა გამოვყოთ წმ. ნინოს ცხორებაში ჯვრის მიმართ ნახმარი ეპითეტები — მას „ძლევის მყოფელი“, „ძლევით შემოსილი“ და „ძლეც“ ეწოდება<sup>23</sup>. ჯვრის ტრიუმფალური ხასიათი პირდაპირ არის კიდევ წარმოჩენილი: „ცხორების“ ამ აღგილას, რაც კ. კეკელიძის მოსაზრებით გრიგოლ დიაკვნის (VIII ს.) თხზულებიდან უნდა იყოს ნასესხები<sup>24</sup>, ნათქვამია: „და ვითარცა აღმართა ნიში ჯუარისაჲ ქუეყანასა მას ქართლისსა, მეყსეულად მას ჟამსა დაეცნეს ყოველნი კერპნი, რომელნი იყვნეს საზღვართა ქართლისათა, და შეიმუხრნენ, და საკერპონი დაირღუეს...“<sup>25</sup>.

ჯვრის გამარჯვების მომტანად და იარაღად ვაგებებს ქართულ სასულიერო პოეზიაშიც ვხვდებით<sup>26</sup>.

საკითხავია, მოიძიება თუ არა ამ წარმოდგენათა კვალი საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და კერძოდ „თავისუფალი ჯვრის“ სახის ეკლესიებში. V — VII საუკუნეებიდან დღეს ამ ტიპის ექვსი ნაგებობაა გადარჩენილი, ამათგან ოთხის სახელობა შესაძლოა მეტ-ნაკლები დაბეჭილებით გაირ-

<sup>19</sup> იხ. ამის შესახებ: Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, გვ. 3—5.

<sup>20</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 515, სქოლო 1.

<sup>21</sup> Г. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972, გვ. 10.

<sup>22</sup> იე. ჭავჭავაძის მიხედვით, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი 1. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII საუკ.), თბ., 1945, გვ. 101, 103—105; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 25; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 525.

<sup>23</sup> Г. Чубинашвили, იქვე: ცხორებაჲ წმიდისა ნინოისი, გვ. 147, 151, 154.

<sup>24</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127—128.

<sup>25</sup> ცხორებაჲ წმიდისა ნინოისი, გვ. 154.

<sup>26</sup> პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი 1., ტექსტები (V—X საუკუნეები), ტფ., 1913, გვ. 12, 144, 175.

3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1982, № 2



კვეს, ეს, კი ცხადია, მათთან დაკავშირებული სიმბოლური ასოციაციების გაგების ერთი საუკეთესო საშუალებაა. ერთი ოთხთავანი, სამწვერისისა (VII საუკ.), ამჟამად წმ. გიორგის სახელობისად ითვლება. მაგრამ მის კედლებზე დაცული ძველი წარწერები, რომელთაგან ყველაზე ვრცელი და შინაარსიანი აღმოსავლეთის ფასადზეა მოთავსებული და IX — X საუკუნეების მიჯნით თარიღდება, გვამცნობენ, რომ თავდაპირველად იგი წმ. ჯვრის სახელობისა ყოფილა<sup>27</sup>. ეს უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი მატარებელი იქნებოდა ყველა იმ მნიშვნელობისა, რასაც მოიცავდა ადრე შუა საუკუნეების აღმანისათვის ჯვრის ცნება. უფრო რთული ჩანს იმის დადგენა, თუ ვის უძღვნეს აღმშენებელთ მერვე, თხოთის მთაზე დადგმული ეკლესია (VII — VIII ს.)<sup>28</sup>. დღეს მას „ნინოწმინდას“ უწოდებენ, მაგრამ წყაროების მიხედვით იგი თითქოს წმ. გიორგის სახელზე ჩანს აშენებული. ეს ცნობები მოგვიანო, XII საუკუნის თხზულებებში, არსენ ბერისა და უცნობი მწერლის წმ. ნინოს მეტაფრასულ ცხორებაშია დაცული<sup>29</sup>. არსენ ბერი პირდაპირ იტყვის: „უბრძანა (მირიან მეფემ) აღშენებად ეკლესიისა მისასა ზედა თხოთისასა სახელსა ზედა დიდებულისა მოწამისა გიორგისა... და ერთი ჯუარი დასუენებად მას შინა“<sup>30</sup>. უფრო ბუნდოვანია ანონიმური ცხორების მითითება. აქ მოთხრობილია, რომ თხოთის მთაზე მომხდარი სასწაულის შემდეგ მირიან მეფემ უმაღლე „უბრძანა... რაათა მოიღონ ქვაჲ და კელითა თუსითა შექმნა ადგილსა მას, სადა-იგი აღიარა ნათელი ეგუტერი მცირე ჯუარისა სახედ. ხოლო სამხრეთით კერძო ადგილისა მის შენ არს ეკლესიაჲ სახელსა ზედა მთავარმოწამისა გიორგისა“ ცოტათი ქვემოთ: „და აღაშენა მეფემან... ეკლესიაჲ... თხოთს და დასუენენს... ერთი (ჯვართავანი) თხოთს“<sup>31</sup>. პირველ ნაწყვეტში ისე გამოდის, ვითომც თხოთის მთაზე ორი ნაგებობაა — ჯვრის სახის „ეგუტერი“ და წმ. გიორგის ეკლესია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო ძველი „ეგუტერს“ უნდა გავუივივოთ, მაგრამ მეორეგან მხოლოდ ერთი ეკლესია იხსენიება, რომელშიც წაასვენენ მცხეთიდან ჯვარი, ხოლო ეს უკანასკნელი ყველა წყაროს ჩვენებით სწორედ მირიან მეფის მოქცევის ადგილს აღმართეს და ტექსტიდან გაურკვეველია, თუ რომელ შენობას გულისხმობს აქ ავტორი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თავის თავად მეტად უცნაური იქნებოდა აქ, თხოთის მთაზე, ეკლესია, რომლის უმთავრესი რელიეფია ჯვარი იყო, წმ. გიორგის სახელზე ეკურთხებინათ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაკი ნამდვილად არსებობს მცხეთისა და უჯარმის ჯვრები, არ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ თხოთის მთაზე ჯვრის არსებობაში — სულ სხვა სა-

<sup>27</sup> Г. Н. Чубинашвили, Материалы к изучению Самцеврьского храма, Вопросы..., გვ. 134—136.

<sup>28</sup> ამ მრავალფეროვანი ძეგლის შესახებ იხ.: Р. О. Шмерлинг, Т. В. Барнавели, Церковь святой Нины в Тхоти, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შიშვე, თბ., 1963, № 6. მკვლევართ გარკვევს, რომ ეს დღესდღეობით უგუშვითო ნაგებობა თავდაპირველად „თავისუფალი ჯვრის“ ტიპისა ყოფილა.

<sup>29</sup> ა რ ს ე ნ ბ ე რ ი, ცხორება და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა და ღირსისა და დედისა-ჩუენისა ნინოასი; ანონიმი, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორის ნეტარისა ნინოასი; ორივე წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III (მეტაფრასული რედაქციები XI—XIII საუკ.), თბ., 1971; თარიღებისათვის იხ.: კ. კ ე ე ლ ი ძ ე, დასა. ნაშრომი, გვ. 525, 537.

<sup>30</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 40.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 67, 75.

კითხია, ვისეული იყო ეს ჯვრები და როდის გაჩნდნენ ისინი. ეს გვაფიქრებინებს, რომ თხოთის ეკლესიის სახელობა თავდაპირველად სხვა იყო, ხოლო დროთა განმავლობაში, საეპარქიო აღრეც, მას სახელი გამოუცვალეს. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ იგი წმ. ჯვრის ან სხვა რამ ჯვართან დაკავშირებული წარმოდგენის სახელობისა იყოს, ხოლო წმ. გიორგისად. რომელიმე გადაკეთების შემდეგ იქცა. ასეთი რამ ცნობილია კიდევ — ასე მაგ., წმ. გიორგის სახელზე აკურთხეს სამწევრისის ეკლესია, რომელიც ძველად ჯვრის სახელს ატარებდა; გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით ეს XVI ს-ში ტაძრის „მეორედ აღშენების“ შემდეგ მოხდა<sup>32</sup>.

ფაქტია, რომ თხოთის ეკლესია თვით მდებარეობის გამო გამარჯვების, ტრიუმფის იდეის გამომხატველი იყო. ქართული საისტორიო ტრადიციით სწორედ აქ იწამა ქრისტიანობა მირიან მეფემ და ამიტომ მოაქვს კიდევ აქ ჯვარი — ახლად მიღებული რელიგიის ტრიუმფის უკვდავსაყოფად. თხოთის ეკლესიის შემყურე შუა საუკუნეების ქართული უთუოდ ქართლში ქრისტიანობის შემომღები გაიხსენებდა და მათთან ერთად კი მის საქართველოს მიწაწყალზე დამკვიდრებას, წარმართობის დამხობასა და აღმოფხვრას<sup>33</sup>.

„თავისუფალი ჯვრის“ სახის ადრეფეოდალური ხანის დანარჩენი ორი ეკლესია — შიომღვიმის და იღლეთის (ორივე VI საუკუნის) — იოანე ნათლისმცემლის სახელზეა აგებული. შიომღვიმის ეკლესიის მშენებლობის ამბავს ჩვენ წმ. შიოს ცხოვრების ორი რედაქციით ვიცნობთ — ერთი X საუკ., მეორე კი, მეტაფრასული, XII საუკ.<sup>34</sup> ამათგან ეკლესიის სახელობას მხოლოდ უკანასკნელი გვატყობინებს: წმ. შიოს ირგვლივ შემოკრებილმა მეუღაბანოებმა თხოვეს თავის წინამძღვარს „უბრძანოს აღშენებდ წმიდა ეკლესიამ“. წმ. შიომ პოვა მღვიმე და ბრძანა, რათა „მას ზედა აღშენოს ეკლესიამ ნათლისმცემლისა“<sup>35</sup>. ამ შემთხვევაშიც ხელთ გვაქვს მოგვიანო წყაროს ცნობა. მაგრამ იგი სრულიად სარწმუნო ჩანს. ჯერ ერთი, საესებით ბუნებრივია, რომ მარტომყოფთა საეანეში აგებული ყოფილიყო იოანე ნათლისმცემლის „ყველა ასკეტისა და განდეგილის პატრონის“<sup>36</sup> სახელობის ეკლესია. შემდგომ, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შიომღვიმის მონასტერში მეტად სათუთად ეპყრობოდნენ მონასტრის წარსულის ნაშთებს. ამის საბუთს თუნდაც იგივე მეტაფრასული ცხორება წარმოადგენს, სადაც ცოტა ქვემოთ, ჩამოთვლილია მეფე ფარსმანის მიერ მონასტრისათვის შეწირული განძი, თანაც ისე გამოწვლილვით, რომ დამწერს აშკარად უნახავს ან თვით ეს ნივთები ან მათი ნუსხა<sup>37</sup>. საგულისხმოა აგრეთვე, რომ მონასტერში სიძველეთსაცავიც იყო, სადაც ინახებოდა სამონასტრო საბუთები<sup>38</sup>. ამიტომაც ძნელად დასაჯერებელია,

<sup>32</sup> Г. Н. Чубинашвили, Материалы к изучению Самцевриского храма, გვ. 138.

<sup>33</sup> თხოთის ჯვარი შესაძლებელია რეალური ნიშანიც ყოფილიყო წარმართობის დამხობისა. მის სახელოვეს წარმართული ბაგინის ნაშთი ჩანს. იხ. Р. О. Шмерлинг, Т. В. Барнавели, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

<sup>34</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 537; ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955.

<sup>35</sup> ცხორება და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა შიომღვიმის, ძველი ქართული... III, გვ. 138—140.

<sup>36</sup> Г. Н. Чубинашвили, Шиомгвимская лавра, Вопросы... გვ. 53.

<sup>37</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები... III, გვ. 143.

<sup>38</sup> ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 111, თბ., 1966, გვ. 1221.

რომ ასეთნაირად მოგვარებულ მონასტერში, რომელშიც ცხოვრება არ შეწყვეტილა, მიეწვევებინათ მისი დამაარსებლის მიერ აგებული ეკლესიის სახელობა.

რაც შეეხება იდღეთის ეკლესიას, ცნობები მისი თავდაპირველი პატრონის შესახებ მეტად მწირია. თუ არ ჩავთვლით მის აწინდელი მოსახლეობის მიერ სახელდებას, ერთადერთი, რაც შეიძლება მისი სახელწოდების სიძველის დასამტკიცებლად მოვიშველიოთ, არის XII საუკუნით დათარიღებული კედლის მხატვრობის ნაშთები. სხვათა შორის აქ მოიპოვება — სამხრეთის მკლავში — ფრაგმენტები სცენისა, რაც იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების ერთ ეპიზოდს უნდა ასახავდეს<sup>39</sup>. ეს იმის ნებას გვაძლევს, ვთქვათ. რომ XII საუკუნეში ეკლესია ნათლისმცემლის სახელს ატარებდა. სხვა პირდაპირი საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება, ხოლო არაპირდაპირთა შორის უმნიშვნელოვანესი სწორედ ნათლისღებისა (და ნათლისმცემლის) ჯვრის სიმბოლიკასთან მიმართებაა.

ზემოთ ითქვა, რომ რ. კრაუტჰაიმერმა საგანგებოდ წამოსწია წინ ნათლისღებისა და მაცხოვრის სიკვდილ-აღდგომას შორის კავშირი. ამასთან ერთად ის ხაზს უსვამს ქრისტეს საფლავისა და ემბაზის, ნათლისღებისა და საფლავად დადება-აღდგომის მისტიკურ გაიგივებას<sup>40</sup>. საგულისხმოა, რომ ადრექრისტიანულ ხანაში საკმაოდ მრავლად იყო ჯვრის მოყვანილობის სანათლავები;<sup>41</sup> ნათლისღება-ჯვარცმის შინაარსის სიახლოვის გამოძახილი შენარჩუნებულია, გარდა ამისა, რუსულ სიტყვა «крещение»-შიც, რაც არსებითად აიგივებს ამ ორ ქმედებას. ისევე როგორც ჯვარცმა და აღდგომა. ნათლისღებაც გამსჭვალულია ხსნისა და ტრიუმფის იდეით. ნათლისღება-აღდგომისა და ჯვარცმის შეკავშირებას ვხვდებით რავენას სან აპოლინარე ინ კლასეს ერთ სარკოფაგზედაც<sup>42</sup>, სადაც „სიციცხლის წყაროს“ ლარნაკიდან ამოწვილ ჯვარზე ზემოდან მტრედი — სულიწმიდა „გარდამოდის“.

თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ, რომ რ. კრაუტჰაიმერსვე მითითებით, იოანე ნათლისმცემელი წმ. საფლავის ტაძრის თანა-პატრონად ითვლებოდა იერუსალიმში, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ნათლისღებასთან გაუიგივებიათ<sup>43</sup>, სავსებით მისაღები ჩანს მოსაზრება, რომ შიომღვიმის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ისევეა დატვირთული ასოციაციებით ძღვევასა და გამარჯვებასთან, როგორც სამწევრისისა და თხოთის ტაძრები. მეტი რწმენა ჩნდება იმისაც, რომ იგივე შეკავშირება გეჭონდა თავიდანვე იდღეთის ეკლესიაშიც, რომელიც მიახლოებით თანადროულია შიომღვიმის ტაძრისა.

განსახილველ ძეგლთა ჯგუფი შემთხვევით როდია შემოფარგლული ადრეფეოდალური ხანით. VIII—IX საუკუნეთა ეკლესიების სახელობანი (ატენის მცირე ეკლესია, ჭავახეთის ახალქალაქის ეკლესია) ჩვენთვის უცნობია; X—XI საუკუნეებისა და XI ს-ის დამდეგს ვხვდებით წმ. გიორგის ეკლესიას (სარკეს ტაძრის პირველი ფენა); თითქოს ღმრთისმშობლის სახელობისაა

<sup>39</sup> თ. ვირსალაძე, იდღეთის ნათლისმცემლის ეკლესიის მხატვრობის ფრაგმენტები, ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950, გვ. 12.

<sup>40</sup> R. Krautheimer, Studies... გვ. 136.

<sup>41</sup> A. Khatchatrian, Les baptisterés paleochrétiennes, Paris, 1962, fig. 8, 63, 79, 80, 81, 121, 142, 164, 173, 196, 197, 203, 218, 242, 291, 359, 360, 113(IV—VI სს.).

<sup>42</sup> F. W. Deichmann, Ravenna. Die Hauptstadt des spätantiken Abendlandes, B. I, Wiesbaden, 1969, Abb. 175, გვ. 86.

<sup>43</sup> R. Krautheimer, Studies, 139.



კავთისხევის „ლაგრის“ ეკლესია და ექმის ეკლესიის მთავარი საკურთხეველი; XIII ს-ში გელათის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, XV — XVI საუკუნეთა მიჯნაზე ტყვირის მაცხოვრისა და XVI — XVII საუკუნეში სავანის გიორგისეულის ეკლესიები გვაქვს. რასაკვირველია, ეს წმინდანებიც, მეტადრე წმ. გიორგი, შეგვიძლია სავსებით საფუძვლიანად ჩავთვალოთ „ძლევის“ იდეის მატარებლად, მაგრამ უშუალო კავშირი საკუთრივ ჯვრის სიმბოლიკასთან, მათ უმეტეს შემთხვევაში ძალზე რთული ლოგიკური კომბინაციებით თუ მიეწერება, რაც არასასურველად გვეჩვენება. საგულისხმოა ამ მხრივ წყაროთა ჩვენებაც. წმ. ნინოს მეტაფრასული ცხორება და ნიკოლოზ გულაბერისძე, ჯვარს „პატიოსანსა“ და „დიდებულს“ უხმობენ<sup>44</sup>. ლეონტი მროველიც კი, როგორც ცნობილია, დიდად დავალებული შატბერდისეული ცხორებისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-საგან<sup>45</sup> მხოლოდ „პატიოსანსა“ და „ცხოველს“ ხმარობს ჯვრის ეპითეტებად<sup>46</sup>. ნათელია, რომ წარმოდგენამ ჯვრის ფუნქციაზე, როგორც ძლევის მომბანასა და ნიშზე, დაკარგა ძველებური სიცხოველ და სიმძაფრე. საგულისხმოა, რომ გ. ჩუბინაშვილი ჯვრის კულტის შესუსტება-გადაგვიარებას უკავშირებს სამწევრისის ეკლესიის სახელის გამოცვლას<sup>47</sup>.

ამრიგად, „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიათა გარჩევის შედეგად შემდეგი სურათი გვესახება: მარტივად მოხაზული ჯვრული ცენტრალურ-გუმბათიანი მოცულობა VI — VII საუკუნეებში მტკიცედაა შეკავშირებული ქრისტესა და ქრისტიანობის ძლევათა მოტივების იდეასთან, მის გამომხატველადაა მიჩნეული. ეს იდეა საქართველოში უფრო პირდაპირად ჩანს მოტიანი, ვიდრე, ვთქვათ, იმ ეკლესიაში, რომელსაც ამშვენებდა ამბროსი მედიოლანელის ზემომოყვანილი წარწერა და რომელიც თავად წმ. მოციქულთა სახელს ატარებდა. მაგრამ რალაც დროიდან, დაახლოებით X ს-დან, ჯვრის ტრიუმფალური არსი თანდათან იდევნება ქართველის აზროვნებიდან და ჯვრული ეკლესიაც აღარ არის მნახველისათვის ძლევის ხატება. ჩვენთვის საინტერესო ძეგლთა ჯგუფი, ამრიგად სავსებით უდგება „არქიტექტურის იკონოგრაფიის“ თვალსაზრისს. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოტიანი ქართული მასალა წინაღუდგა „იკონოგრაფიული“ მეთოდის კრიტიკოსთა მსჯელობას და, პირიქით, მის დამცველთა თვალსაზრისს განამტკიცებს?

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ უჯარმის ჯვარპატიოსნის ეკლესია, წმ. ნინოს ერთ-ერთი ჯვრის ადგილსამყოფელი. აწინდელი სახით ეს ეკლესია მრავალჯგონის აღდგენა-გადაკეთების ნაყოფია, ხოლო მისი უძველესი ბირთვი კი, ქვედა სართულის კაპელა, უგუმბათო ნაგებობაა და ადრეული პერიოდის ხუროთმოძღვრების ნიმუშთაგანი. ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად — ჯვრის სალოცავი, ჯვრის რელიქვიის მესაკუთრე, უჯარმის უძველესი ეკლესია უგუმბათოა<sup>48</sup>. ეს სხვადასხვა არაფერს უნდა ნიშნავდეს თუ არა იმას, რომ ზევით ნა-

<sup>44</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 75; საკითხავი სუშტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა, ტფ., 1908, გვ. 91, 95.

<sup>45</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ., 1959, გვ. 119, 121, 122.

<sup>47</sup> Г. Н. Чубинашвили, Материалы..., გვ. 138.

<sup>48</sup> საუბრალებობა ჭანჭანის ცნობა, რომელიც იხსენიებს წმ. რაქენის ეკლესიას უჯარმის რაბათში, მაგრამ არაფერს ამბობს ჯვრის უჯარმულ სალოცავზე (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 201). აქაც რელიგიური ტრადიციის ერთგვარ „გამოფიტვასთან“ უნდა გვექონდეს საქმე. აშკარაა, რომ ვად-



ჩვენები კავშირი თუმცა კი არსებობს, მაგრამ არც ისე არსებითი უნდა იყოს, როგორც შეიძლება მოგვეჩვენებოდა. შეიძლება მოგვიფიქროს, რომ უჯარმის კაპელა ადრეულია ზემოჩამოთვლილ ეკლესიებზე<sup>49</sup>. მაგრამ იგი ზეგანის წმ. მარინეს ეკლესიაზე (V საუკ. დაძვევი) ადრინდელი ვერ იქნება და ამიტომ ვერ ვიტყვი, ვითომც თავისთავად ჯერული ეკლესია მისი მშენებლობის უამს ქართველთათვის უცხო რამ ყოფილიყო.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქმე სწორედ უჯარმას ეხება, ვახტანგ გორგასლის რეზიდენციას. ძნელი დასაჯერებელია, რომ აქტიური საეკლესიო პოლიტიკის გამტარებელს, ქართული ეკლესიის რეფორმატორსა და მისი დამოუკიდებლობის ფუძისჩამყარელს თუ მისი გარშემო შემოკრებილ მოღვაწეთ არა სცოდნოდათ ქრისტიანულ მოძღვრებაში შემავალი ეგერივად გავრცელებული აზრები, ხოლო თუ აღნიშნული კავშირი აუცილებელი იქნებოდა, ისინი არ დაუშვებდნენ მის კარზე ისეთი ეკლესიის არსებობას, რომელიც მიღებულ საეკლესიო ნორმებს ვერ დააკმაყოფილებდა. ვფიქრობთ, აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ჯვრის კულტის — ვითარცა რწმენის გამარჯვების ნიშნისა — და ჯვარ-გუმბათიანი ნაგებობის კავშირი ადრეულ ხანაშიც მოკლებულია აუცილებლობის ხასიათს: ჯვრული ნაგებობა ხშირად გადმოგვეცემს ჯვრის, და ე. ი. ქრისტეს რწმენის ძლევა-მოსილების იდეას, მაგრამ ეს უკანასკნელი არ მოითხოვს უთუოდ ჯვარ-გუმბათიან ნაგებობას.

ასე რომ, არც ჩვენი ძეგლები გამოდგება მაინც და მაინც „იკონოგრაფიული მეთოდის“ დასაყრდენად. თუ კი დღეს, ალბათ, ნაკლებ საკამათოც კია ფუნქციურ სხვაობებთან ხუროთმოძღვრულ ფორმათა დამოკიდებულება, რაც ამ მეთოდს ექსპექტემ აყენებს, ჩვენმა შემთხვევამ დაგვანახა, რომ მისი ხელალებით უარყოფა გაუშარბლებელი იქნებოდა, მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ გარკვეულ, საკმარისად ვიწრო ფარგლებში თუა დასაშვებია. უჯარმის მაგალითი გვარწმუნებს რომ გავრცელებულსა და საყოველთაოს შორის არქიტექტურული მოცულობის ადრეშუასაუქუნეებრივ ინტერპრეტაციებში არცთუ მცირე სხვაობაა და ერთსა თუ რამდენსამე ძეგლზე დადასტურებული დაკავშირების სხვებზე გადატანა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

საგულისხმობა ისიც, რომ ჯვრის ორ უსახელგანთქმულეს სალოცავს კავკასიაში — მცხეთისა და მანგლისის წმ. ჯვრის ეკლესიებს არ აქვთ ჯვრისებუ-მოცემა უჯარმის ჯვრის შესახებ სწორედ ადრევეოდალურ ხანას უნდა უკავშირდებოდეს. წმ. ნინოს შატბერდულ-ქელიშურ ცხოვრებაში ჯვრის აღმართუ უჯარმაში ბოლო-ბოლბეს მაგიერად წმ. ნინოს ნათქვამით საბუთდება: „დაბა ბოდისი არა წინააღმდეგს ქალაქსა მეფეთასა...“ (ძველი ქართული..., 1, გვ. 150). საგულისხმობა, რომ ცხოვრების დამწერს არ ეგულებოდა რაიმე რელიგიური საბუთი ჯვრის უჯარმად წასაღებად და ცდილობს რა ახსნას ეს ვითარება — ეს მისი სურვილი კი კვლავ გვარწმუნებს უჯარმაში ჯვრის რელიგიის ძველთაგანვე არსებობაში — ის ჯერ ხომ წმ. ნინოს განზრახვას მიაწერს მას და თანაც პოლიტიკური ხასიათის არგუმენტს იმარჯვებს. ეს უკანასკნელი კი IX ს-ის ვითარებას კი არ უდგება, არამედ IV—V საუკუნისას (იხ.: დ. მ. თუ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა. ივერია-ალგანეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 110). ამიტომაც, ვფიქრობთ, ჯვრის რელიქვია აქ ვახტანგის მეფობის არაუგვიანეს უნდა გაჩენილიყო.

<sup>49</sup> ვახტანგ გორგასლის დროითა იგი დათარიღებული ნაშრომებში: გ. ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, ტფ., 1926, გვ. 80; ირ. ცი ც ი შ ვ ი ლ ი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 51. მოგვიანებით გ. ჩუბინაშვილმა გაკვრით გამოთქვა ვარაუდი (Архитектура Кахетии, გვ. 516, სქოლიო 1), რომ ეკლესია შეიძლება IV—V საუკუნის მიჯნისა იყოს.

რი ფორმა. მართალია, ორივე ტეტრაკონქია, ოთხაფსიდიანი მოხაზულობა კი წააგავს ჯვრისას; მართალია ისიც, რომ ჯვრის მოტივი მეტად ძლიერად ეღერს ჯვრის დიდ ტაძარში — გავიხსენოთ თუნდაც მისი კუთხის სადგომები, მაგრამ ეს ნაგებობანიც საკმარისი იქნებოდა იმის სათქმელად, რომ მკაცრად ერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებაზე ფორმასა და სიმბოლურ ასოციაციას შორის ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაგრამ დავეშვათ, რომ დასაბუთებულები კიდევ ჯვრული გეგმის მქონე ეკლესიის ტიპის მკაცრად დაკავშირება „ძლევის ჯვრის“, ქრისტეს დიდების თემასთან, რას მოგვეცემა ამის ცოდნა ხუროთმოძღვრების ისტორიის უკეთ გასაგებად? უმოთხრესი ეკლესიის კომპოზიციაში, სიმბოლური მნიშვნელობის ძირითადი მატარებელი, რასაკვირველია, არის გეგმაში გამოვლენილი მასათა ჯვარულობა. მაგრამ ჯვრული მოხაზულობის შენობა სულაც არაა აუცილებელი მაინცა და მაინც რაღაც ერთი სახისა იყოს. „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ვარაუდ, ჯვრული გეგმა შეიძლება გააჩნდეს ტრანსეპტთან კამაროვანსა ან სულაც ხოთ დახურულ ბაზილიკას ან ცალნავიან ნაგებობას. იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ ყველა ამ ეკლესიას მუდამ ერთი და იგივე მნიშვნელობა ახლავს, გაურკვეველი და გაუგებარი დარჩება ის, თუ რატომ ირჩევენ ერთნი ერთსა და სხვანი სხვა არქიტექტურულ ფორმას ამ მნიშვნელობის გამოსახატავად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უბასუხოდ დაგვრჩება სწორედ ის საკითხები, რაც ხუროთმოძღვრების ისტორიის კვლევის საგანს შეადგენს — ხუროთმოძღვრულ ფორმათა დროსა და სივრცეში შექმნა-გამოჩენისა. ვერც იმას ვიტყვი, რომ „იკონოგრაფიის“ შესწავლით მოპოვებული ცოდნა მოკლებული იყოს ყოველგვარ ღირებულებას. მაგრამ, ჩვენის რწმენით, არქიტექტურის ისტორიას, როგორც მეცნიერების დარგს, იგი მხოლოდ დამხმარე მასალად შეიძლება გამოადგეს. „იკონოგრაფია“ გვაგებინებს, თუ რად ესახებოდა გარკვეული ეპოქის ადამიანთ ხუროთმოძღვრება და უნდა ვიფიქროთ, რომ მათი წარმოდგენა სივრცით-მოკლებითი ფორმების აზრსა და მნიშვნელობაზე, მართლაც ხელს უწყობდა ზოგიერთი მათგანის დამკვიდრებასა და გავრცელებას. ოღონდაც მხოლოდ ეს ცოდნა ვერ მოგვეცემს ხუროთმოძღვრების განვითარების სურათს. ისიც ნათელია, რომ შეცდომა იქნებოდა ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ნაწარმოებებზე შეხედულებების ისტორიის და თავად ხელოვნებისა თუ მისი ერთ-ერთი დარგის ისტორიის აღრევა.

იმის ჩინებული მაგალითი, თუ რის მოტანა შეუძლია „იკონოგრაფიულ მეთოდს“, არის ზემოთ გადმოცემული რ. კრაუტჰაიმერისეული კონცეპცია „პირისა შუა საუკუნეების არქიტექტურაში“. იგი არა მარტო ხუროთმოძღვართა შემოქმედების გასაგებადა საგულისხმო, არამედ მეტად ძვირფასი უნდა იყოს ხელოვნების სხვა სახეობათათვისაც, კერძოდ, შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების შესასწავლად, სადაც აგრერიგად მწვავედ დგას „ნიმუშის“ და „პირის“ მიმართების პრობლემა. ამ ცნების შემოტანა-გაბნენით რ. კრაუტჰაიმერი დაგვანახებს შუა საუკუნეების ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი აზროვნების ერთ მხარეს, ჩაგვახედებს ხუროთმოძღვრის სახელოსნოში, ბოლოს დამკვეთ-მშენებლის ურთიერთობის სურათსაც გვიხატავს, მაგრამ, საკუთრივ ხუროთმოძღვრების ისტორიას არც ეს ცნება გვიხსნის. თვით მისი ბუნებიდან, შუა საუკუნეების შეგნებაში ასლის, ასე ვთქვათ, „ანტიასლობიდან“ გამომდინარეობს ის რომ ხუროთმოძღვრების მხრივ „დედანი“ „ასლს“ იმპულსსაც კი ვერ აძლევს.

ამგვარად, არქიტექტურის შინაარსის შესწავლა იმ აზრით, როგორც იგი „არქიტექტურის იკონოგრაფიაშია“ გაგებული, ნაკლებად არსებითია ხუროთმოძღვრების განვითარების ასახვად. იგი ვერ იქნება ისტორიის ვერც ერთ ეტაპზე მისი მამოძრავებელ-განპირობებელი. ამ მეთოდის საშუალებით მიღებული დასკვნები უფრო კულტურის ისტორიის სფეროს მიეკუთვნება, შუა საუკუნეების ადამიანთა მიერ ხუროთმოძღვრების გააზრება-შეფასებას გვაცნობს. უეჭველია, რომ ასეთი შედეგების მომტანი კვლევა არც უაზროა, არც უმნიშვნელო და, მართლაც, შეიძლება ხელშემწყობი გამოადგეს ამა თუ იმ ძეგლისა ან ძეგლთა ჯგუფთან დაკავშირებული რაღაც მომენტების ნათელსაყოფად.

Д. Г. ТУМАНИШВИЛИ

### ПО ПОВОДУ «ИКОНОГРАФИИ АРХИТЕКТУРЫ»

В научной литературе последних десятилетий высказывается предположение, что многообразие форм раннехристианской архитектуры вызвано различием связанных с ними символических ассоциаций или функций, что со своей стороны обусловлено символикой и назначением их античных прототипов (Р. Краутхаймер, А. Грабар, Ж. Ласюс и др.). В то же время другие ученые (Ф. В. Дайхман, Г. Н. Чубинашвили, С. Манго и т. д.) полагают, что ни позднеантичное, ни раннехристианское зодчество не знают «специализации» архитектурных типов, чем ставится под сомнение и их «иконографическая» интерпретация.

Рассмотрение письменных источников позволяет думать, что по крайней мере четыре из грузинских церквей т. н. типа «свободного креста» VI—VII вв. (церкви Иоанна Крестителя в Идлети и Шномгвие, св. Креста в Самцевриса, Ниноцминда на горе Тхоти) прямо связаны с общехристианской символикой креста как знака триумфа Христа и христианской религии. В более позднее время, с X в., подобная связь, в соответствии с концепцией «иконографии архитектуры», уже не наблюдается.

Однако среди памятников грузинского зодчества мы находим церкви во имя св. Креста, представляющие собой некупольные постройки (Джварлатиосани в Уджарма, V в.), или центрические постройки иного типа (тетракоихи Манглиси V в.) и Мцхетского Джвари (586—604 гг.). Таким образом, и в наших примерах нельзя говорить о необходимой связи символики с архитектурной формой.

Если учесть к тому же, что на основании крестового плана, несящего символическое содержание, могут быть воздвигнуты различные пространства, становится ясно, что «иконография архитектуры» не может разъяснить важнейшие вопросы истории архитектуры, хотя, знакомя нас с отдельными аспектами средневекового мышления, имеет безусловное значение для истории культуры.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  
ოთარ ჯაფარიძე

**დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში\***

როგორც ჩანს, რაჭა-ლეჩხუმის მხარეებთან ახლო იდგა ენგურ-ცხენისწყლის შუამდინარეთის მთიანი ნაწილი, სვანეთი. ეს მხარე ცხენისწყლის ხეობით ემიჯნებოდა ლეჩხუმს და კოლხური კულტურის ხანაში მის გავლენას განიცდიდა. სვანეთი ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებისათვის საკმაოდ კარგად დასახლებული ჩანს. მაგრამ მისი ინტენსიური ათვისება კოლხური კულტურის ხანაში ხდება. მართალია, ამ პერიოდის განძები და სხვა ხასიათის ძეგლები ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ შემთხვევითი მასალა ამ ხანისა კარგადაა წარმოდგენილი<sup>67</sup>. აქ გვხვდება კოლხური ტულის თითქმის ყველა ვარიანტი, გარდა წელში ორმხრივ მოხრილი ტიპისა. სვანეთშია ნაპოვნი რაჭა-ლეჩხუმისათვის დამახასიათებელი ერთი კოტებიანი ბრტყელი ცული. სადღეისოდ ჯერ კიდევ უცნობია აქ თოხი და სეგმენტისებრი იარაღი, თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთ მოგრძო, რომბისებრიპირიან თოხს, რომლის მსგავსი ცნობილია სამეგრელოდან (აღმოჩენილია სოფ. ჯვარში)<sup>68</sup>. სვანეთში ერთი ტიპის ყუნწიანი ორი ნამგალი აღმოჩნდა, ძლიერ მორკალური პირით<sup>69</sup>. ამ ტიპის ნამგალი კოლხურ კულტურაში და საერთოდ ამიერკავკასიაში ცნობილი არ არის<sup>70</sup>. სამაგიეროდ ყუნწიანი ნამგლებს მრავლად ვხვდებით ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ ადრეული პერიოდთან<sup>71</sup>. ჩანს, ეს იარაღი ჩრდილოეთიდან ვრცელდება. მიწათმოქმედება სვანეთში, მთის პირობებში, შედარებით შეზღუდულია. შესაძლოა, ნიადაგის თავისებური პირობების გამო თოხი აქ ერთგვარად განსხვავებულ ფორმას იღებს — მოგრძოსა და ვიწროს, რაც ეგებ მიწათმოქმედების გარკვეულ კულტურასთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ დღესაც მთიან ზოლში უპირატესად ვიწროპირიანი თოხია გავრცელებული<sup>72</sup>. სოფ. ნაკრასთან ზემო სვანეთში არქეოლოგიური გათხრების დროს კოლხურ ცულთან ერთად ნაპოვნი იყო ჭვავის, ქერის, რბილი ხორბლის და სხვა ნაშთები. ჩანს, ჭვავი ყველაზე გავრცელებული კულტურა ყოფილა სვანეთში და საერთოდ მთიან კოლხეთში<sup>73</sup>.

სვანეთში მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი უნდა ყოფილიყო, რადგან მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის აქ უთუოდ ყველა პირობა

\* გავრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 1. 1982, V

<sup>67</sup> Ш. Г. Чартолани, Сванети в эпоху бронзы, автореферат, Тб., 1974, 83-13.

<sup>68</sup> შ. ჩართლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976, გვ. 15

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> თ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, თბილისი, 1953, გვ. 205.

<sup>71</sup> А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГИИМК, вып. 120, М. —Л., 1935, გვ. 113.

<sup>72</sup> გ. ჯალაბაძე, მემინდერობა სვანეთში, თბილისი, 1970, გვ. 12.

<sup>73</sup> Ш. Г. Чартолани, Сванети в эпоху бронзы, გვ. 19.



არსებობდა: შესანიშნავი საძოვრები, სათიბები და სხვ., მაგრამ ამის ამსახველი მასალა ნაკლებადაა წარმოდგენილი. მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი, ჩანს, მსხვილფეხა საქონელს ეკავა ძვლოვანი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ აქ გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ყოფილა ძვალწვრილი ჯიში<sup>74</sup>. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე წვრილფეხა საქონელის მოშენებას, რაზეც აქ ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკებები მოწმობს. როგორც ჩანს, აქ მესაქონლეობას შერწყმული ხასიათი ჰქონდა. ზაფხულობით საქონელი შესანიშნავ საძოვრებზე მიჰყავდათ, ზამთრობით კი უპირატესად ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ. ჩანს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სვანეთში ერთმანეთს ავსებდა.

საბრძოლო იარაღი ამ პერიოდისა სვანეთიდან თითქმის ცნობილი არ არის. ნაპოვნია რამდენიმე შუბისპირი ერთი ე. წ. „მცირეაზიური ტიპის“ სატყერის პირი და ბრინჯაოს ლახტის თავები<sup>75</sup>. ეს უთუოდ გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ მიკვლეული და შესწავლილი არ არის სვანეთის ამ დროის ძეგლები. როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხეთის ამ მთიან ზოლში არსებობდა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ადგილობრივი კერა. აქ დამოწმებულია ძველ საბადოთა გამონამუშევრებისა და წარმოების ნაკვალევი. რა სიძლიერისა იყო ლითონის წარმოება აქ ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ შესაძლოა, რომ იგი სავსებით საკმარისი იყო საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. კოლხური კულტურა სვანეთში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ვრცელდება, ალბათ, უპირატესად ლეჩხუმის გზით, ცხენისწყლის ხეობით, მაგრამ აქ ერთგვარად თავისებურ სახეს იღებს და თითქოს უფრო იზოლირებულად ვითარდება სხვა გავლენის გარეშე. არ შეინიშნება სვანეთში რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთობა ცენტრალური კავკასიის კულტურასთან. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან კოლხური კულტურის გაფურჩქვნის ხანაში, იგი საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან და აქ გამოჩენას იწყებს გრაფიკული ორნამენტით შემკული ბრინჯაოს ნივთები.

კოლხეთის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, მისი ზღვისპირა ზოლი, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე კარგად ათვისებული ჩანს. ეს ერთ-ერთი იმ მხარეთაგანია იყო, სადაც კოლხური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. კარგადაა ცნობილი აქედან ამ კულტურის ადრეული განმედი და ფართოდაა გავრცელებული კოლხური ცულის პროტოტიპად მიჩნეული ცული. ვაგრასთან აღმოჩნდა განძი, რომელიც მხოლოდ ამ ტიპის ცულებისაგან შედგებოდა<sup>76</sup>. ლეჩქოფის განძში ამგვარი ცული ყუამილიან-ყუამდაქანებულ ცულთან ერთად იდო<sup>77</sup>. ზოგიერთ განძში ეს ცულები კოლხურ ცულებთან ერთად აღმოჩნდა (ლიხნის, ბიჭვინთის და სოხუმის მთის განძები). კოლხური ცულის პროტოტიპი ნაპოვნია აგრეთვე პილენკოვოში და ეშერში. კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ადრეული განმედი ძირითადად კოლხური ცულებისა და მათი პროტოტიპებისაგან შედგებოდა. მხოლოდ ორ განძში (ბიჭვინთისა და ლიხნის) აღნიშნული ცულების გარდა ნაპოვნი იყო ამ დროს

<sup>74</sup> Ш. Г. Чартолани, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 21.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>76</sup> А. А. Иессен, *Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века*, МНА, № 23, М.—Л., 1951.

<sup>77</sup> რ. რამიშვილი, *კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან*, ბათუმი, 1974, გვ. 49.

ყუბანისპირეთში გავრცელებული ცულები—შედარებით მოკლე და ფართო ტანით. როგორც ჩანს, კოლხური კულტურის ადრინდელ საფეხურზე, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში, ჯერ კიდევ გარკვეული ურთიერთობა იყო კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხარესთან. ნაპოვნია კოლხური ცულების ადრეული ვარიანტები ყუბანისპირეთშიც. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურის წარმოქმნის ხანაში შეინიშნება გარკვეული თავისებურება. აქ კოლხური ცულის პროტოტიპს სამხრეთით გავრცელებული ამ ტიპის ცულებისაგან განსხვავებით, ოვალურის ნაცვლად მრგვალი სატარე ზერელი აქვს. გარკვეული სხვაობა შეინიშნება თვით კოლხურ ცულშიც. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებული ადრეული ტიპი კოლხური ცულისა უფრო მასიურია და ტლანქი, ზოგჯერ ყუაკვერინანი; ამგვარი ცულები კოლხეთის სამხრეთ ნაწილში შედარებით იშვიათია. მათ რამდენადმე უხანლოვდება კოლხეთის შიდა მხარეებში (რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, იმერეთში და სხვ.) ნაპოვნი თითო-ოროლა ცული, მასიური, ორფერდა ყუთი. როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი გვიანბრინჯაოს ადრეულ ხანაში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ამ მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებაც (კავკასიონის კალთების საკმაოდ ახლო მდებარეობა ზღვისპირა ზოლთან) იყო და ისიც, რომ იგი ჯერ კიდევ ყუბანისპირეთის კულტურის გარკვეულ გავლენას განიცდიდა. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კოლხური კულტურის ჩამოყალიბების შემდეგ, საზოგადოების განვითარება სამხრეთ-დასავლეთ მხარესთან შედარებით უფრო ნელი ტემპით წარიმართა და მისი დაწინაურება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან და I ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან იწყება, კოლხური კულტურის ფართოდ განვითარება და აყვავების პერიოდში.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში სათანადოდ ფეხი ვერ მოიკიდა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელმა ზოგიერთმა სამეურნეო იარაღმა. აქ სადღესოდ შემთხვევით ნაპოვნი რამდენიმე თხზია ცნობილი<sup>78</sup>, ისიც უპირატესად ამ მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კოლხეთის ბარში. არ გვხვდება აქ წალდი, ნამგალი და ბრტყელი ცული. შედარებით უკეთაა წარმოდგენილი სეგმენტისებრი იარაღი. ერთი ამ ტიპის იარაღი ნაპოვნი იყო სოხუმის მთის განძში<sup>79</sup>. სოხუმში აღმოჩნდა სეგმენტისებრი იარაღისაგან შემდგარი განძი<sup>80</sup>. ეს იარაღი ამ მხარეში კოლხური კულტურის საკმაოდ გვიანდელ საფეხურამდე შემორჩა. რამდენიმე სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩნდა გვიანდელ განძში ჭუბურტსხინჯიდან. სოხუმში, გვაღისუს სამაროვნის მოგვიანო სამარხებში ნაპოვნი იყო ამ ტიპის იარაღი<sup>81</sup>. კოლხეთის ამ ნაწილში უპირატესად სეგმენტი-სებრი იარაღის მოზრდილი ცალები გვხვდება. სხვა ვარიანტები ამ იარაღისა აქ თითქმის ცნობილი არ არის. სეგმენტისებრი იარაღი უმთავრესად კოლხეთას დაბლობთან მოსაზღვრე მხარეში გვხვდება. შესაძლოა, სოფლის მეურნეობისათვის ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ერთგვარად განსხვავებული პირობები

<sup>78</sup> ა. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

<sup>79</sup> ა. კ ა ლ ა ნ დ ა შ ვ ე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953, გვ. 22

<sup>80</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

<sup>81</sup> М. М. Трапш, Памятники колхидской и скифской культур в селе Кула-хурхва Абхазской АССР, Сухуми, 1962, гл. 11.

არსებობდა და საახოე მიწათმოქმედება აქ სათანადოდ ვერ გავრცელდა. ამიტომაც, ეგებ, რომ კოლხურმა სამიწათმოქმედო იარაღმა ფეხი ვერ მოიკიდა. შესაძლოა, აქ მიწათმოქმედებასთან შედარებით მეურნეობაში უფრო მესაქონლეობა იყო წამოწეული. ესეც, ეგებ, ყუბანისპირეთის გავლენის შედეგი იყო, სადაც მაიაკოვის კულტურის დროიდან მესაქონლეობა საკმაოდ განვითარებული იყო. შესაძლოა, ეს იყო ძირითადი მიზეზი, რამაც რამდენადმე შეაფერხა აქ კოლხური კულტურის განვითარების ტემპები, სამხრეთთან შედარებით, სადაც მეურნეობა ამ ხანაში მიწათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული.

კოლხური კულტურის გავრცელების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მეტალურგიული წარმოების ადგილობრივი კერა უნდა არსებულყოფ. მდ. კოდორის ზემო წელზე სპილენძის საბადოების ძველი გამონამუშევრების ნაკვალევია მიკვლეულ<sup>82</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია, სოხუმის მთის მდამოებში მიკვლეული სპილენძის მადნის გამოსადნობი ლუმელის ნაშთი და ლითონის ჩამოსახმელი სახელოსნო, სადაც სპილენძის მიღებასთან ერთად ლითონის მზა პროდუქციაც მზადდებოდა<sup>83</sup>.

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, კარგადაა წარმოდგენილი კოლხური კულტურის ფართოდ განფენისა და მისი გაფურჩქნის დროინდელი მასალები, შემთხვევით აღმოჩენილი თუ გათხრების შედეგად მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ სწორედ აქაური მასალების საფუძველზე გახდა შესაძლებელი თავის დროზე გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის გამოყოფა, რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა მანამდე ცნობილ ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ყობანის კულტურასთან<sup>84</sup>. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან და I ათასწლეულის დამდეგიდან ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში საგრძნობლად იზრდება კულტურის საერთო დონე. ეს არის კოლხური კულტურის აყვავებისა და მისი ფართოდ გავრცელების ხანა. ჩანს, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი ამ პროცესში გარკვეულ მონაწილეობას იღებდა. ამ პერიოდში თითქმის აღარ გვხვდება ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები; აღმოჩენილია და შესწავლილი ამ დროის სამაროვნები — ქვემო ეშერში, ყულანურხვაში, სოხუმში და სხვ. კოლხური კულტურის აყვავების ხანაში აქ ძირითადად გავრცელებული იყო დაკრძალვის ორი წესი: მიცვალებულის დამარხვა მოზრდილ თიხის ჭურჭელში და ორმოსამარხებში. სადაც მიცვალებულები უპირატესად ზურგზე იწვნენ. თიხის ჭურჭელში დაკრძალვის წესი ამ დროს კოლხური კულტურის გავრცელების არც ერთ სხვა მხარეში არ გვხვდება და არც კავკასიის სხვა რომელსამე კულტურაშია ცნობილი.

კოლხური კულტურის აყვავების ხანაში, აქ ისევე, როგორც სხვა მხარეებში, ვრცელდება კოხტა და მსუბუქი კოლხური ცული, ხშირად შესანიშნავად შექმული გრაფიკული ორნამენტით. გუდაუთში ნაპოვნია ტანში ორგზის მოხრილი ერთი ცული. ბრინჯაოსტარიანი კოლხური ცული ცნობილია მხოლოდ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ერთი კოლხური ცული ბრინჯაოს ტარით ნაპოვნი იყო ეშერის ერთ-ერთ თიხის ურნაში<sup>85</sup>, მეორე ყულა-

<sup>82</sup> Ш. Г. Чартолани, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 16.

<sup>83</sup> ა. კალანდაძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 64.

<sup>84</sup> М. М. Иващенко, *Исследование арханчских памятников материальной культуры в Абхазии*, Тб., 1935, გვ. 51.

<sup>85</sup> Б. А. Куфтин, *Материалы к археологии Колхиды*, т. I, Тб., 1949, გვ. 155.

ნურხვას სამაროვნის ერთ სამარხში<sup>86</sup> და ერთიც შემთხვევით აღმოჩნდა გულდაუ-  
 თში, რომლის ყუაზე მოთავსებულია ცხენის სამი ქანდაკება<sup>87</sup>. ყულანურხვას  
 ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ კოლხურ ცულს ძაღლის სკულპტურული გამოსახუ-  
 ლება ამკობს. კოლხური ცულისთვის საერთოდ პლასტიკური სამკაული დამა-  
 ხასიათებელი არ არის. პერევის განძში ნაპოვნი ერთ-ერთი ცულის ყუაზე  
 ცხოველის მწოლარე ფიგურაა გამოხატული<sup>88</sup>. მსგავსი გამოსახულება ცულის  
 ყუაზე ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან. კოლხური ცული ხარის საკმაოდ რეა-  
 ლისტური ფიგურით ყუაზე აღმოჩნდა შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში, ოქო-  
 რას სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში<sup>89</sup>. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთ  
 კოლხეთში კოლხური ცული საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა და მათ ძვ. წ.  
 VIII—VII სს. რკინით მდიდარ კომპლექსებში ვხვდებით<sup>90</sup>. ||

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მის სხვა კუთხეებთან შედარებით  
 უკეთაა წარმოდგენილი ბრინჯაოს საომარი იარაღი, ალბათ, იმის გამო, რომ აქ  
 ამ პერიოდის სამარხები კარგადაა ცნობილი. აქაც უპირატესად შუბისა და სა-  
 ტყერის პირები გვხვდება. როგორც ჩანს, ამ იარაღებმაც აქ საკმაოდ დიდხანს  
 შემოინახეს თავი, თითქმის კოლხური კულტურის დასასრულამდე. შუბისპირე-  
 ბი ვრძელი გახსნილი მასრითაა, აღისებრი ან უფრო ფოთლისებრი პირით.  
 ამავე დროს აქ გვხვდება რამდენადმე თავისებური ფორმა ვიწრო, ვრძელი,  
 გახსნილი მასრით და შედარებით მოკლე სამკუთხა მოყვანილობის პირით. ასე-  
 თი ტიპის შუბისპირები კოლხეთში სხვაგან არ გვხვდება<sup>91</sup>. კარგადაა ცნობილი  
 აგრეთვე ბრინჯაოს სატყერისპირები, უპირატესად კოლხური კულტურისათვის  
 დამახასიათებელი ვრძელი, სწორი პირით, სქელი, ფართო ქედით და მაღალი  
 ვიწრო ყუნწით.

უფრო მეტ თავისებურებას იჩენს ამ მხარეში მოპოვებული ბრინჯაოს სამ-  
 კაული. აქ ზოგი ისეთი ფორმა გვხვდება, რომელიც სხვაგან უცნობია: არ გავრ-  
 ცელდა კოლხეთის სხვა კუთხეში და არც ჩრდილო-კავკასიაში ცილინდრული  
 მოყვანილობის სამაჭური, ოთხი მკვეთრი წიბურით, ნაპოვნი ემერისა და ყულა-  
 ნურხვას სამაროვნებზე<sup>92</sup>. თავისებურია აგრეთვე აქ გავრცელებული მოზრდილი  
 ბიკონუსური მძივები, რომლებსაც უკვე წინარე ხანაში ვხვდებით<sup>93</sup>. აქვე ნაპო-  
 ვნია ბრინჯაოს ფუტურო საწვივე რგოლები, რომლებიც სხვაგან კავკასიაში არ  
 გვხვდება<sup>94</sup>. ფართოდ ვრცელდება ამ მხარეში ბრინჯაოს ვიწრო სარტყლები  
 ბალთით, რომელსაც შუაზე ცხოველის თავის გამოსახულება აქვს, მაღალი  
 კისრით. მსგავსი ბალთიანი სარტყლები სხვაგან ვერაფრით უცნობია. აქვე  
 გავრცელებულ კონუსისებრ სამკაულს, ზოგჯერ ასეთივე ცხოველის გამოსახუ-

<sup>86</sup> М. М. Трапш, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 29.

<sup>87</sup> А. Л. Лукин, *Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Труды отдела истории первобытной культуры Гос. Эрмитажа*. т. I. Л., 1941 გვ. 49.

<sup>88</sup> დ. ქორიძე, *მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რ-ნი)*, თბი-  
 ლისი, 1961, გვ. 38.

<sup>89</sup> ო. ჯაფარიძე, *არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოქორაში, ოსუ შრომები*, ტ. 65, თბი-  
 ლისი, 1957, გვ. 196.

<sup>90</sup> М. М. Трапш, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 37.

<sup>91</sup> Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 140.

<sup>92</sup> М. М. Трапш, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 62.

<sup>93</sup> Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 151.

<sup>94</sup> იქვე, 151.



ლება ამკობს<sup>95</sup>. ასეთ სამკაულს ზოგჯერ ცხვრის, ძაღლის, ხარის ან ფრინველის გამოსახულება აზის<sup>96</sup>. ზოგიერთ მთავანს კონუსის თავი ორკაპა აქვს, ცხოველის გამოსახულებით. მსგავსი სამკაული ცხოველის გამოსახულებით სხვაგან ცნობილი არ არის. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებული იყო სამკაულის ისეთი ტიპები, რომლებიც დამახასიათებელი იყო საერთოდ კოლხური კულტურისათვის — ბოლოებდახვეული მისიური გრივნები, სპირალურბოლოებიანი ბრტყელი სამაჯურები, მოზრდილი კავეები, ფიბულები და სხვ. ჯერჯერობით გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება კერამიკის თავისებურების შესახებ, ვინაიდან თიხის ჭურჭელი ამ მხარიდან საერთოდ ნაკლებადაა ცნობილი და არც სამარხებშია მაინცდამაინც წარმოდგენილი. ყულანურხვას სამაროვანზე თიხის ჭურჭლის ფრანგმენტებია ნაპოვნი<sup>97</sup>. სოხუმის მთის სამარხებში რამდენიმე ჭურჭელი აღმოჩნდა<sup>98</sup>, ეშერის ურნებში კი კერამიკა საერთოდ არ გვხვდება<sup>99</sup>.

ამრიგად, როგორც ჩანს, კოლხური კულტურის გავრცელების უკიდურეს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, კოლხური კულტურის აყვავების ხანაში, მისი გარკვეულად ლოკალური ვარიანტი ჩამოყალიბდა, თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, რომელიც კარგად შეინიშნება ბრინჯაოს საჭურველ-იარაღზე, განსაკუთრებით კი სამკაულში. აქ გვხვდება ისეთი სახის ბრინჯაოს სამკაული, რომელიც მხოლოდ ამ მხარისთვისაა დამახასიათებელი. ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია, თუ რამ განაპირობა კოლხეთის ამ მხარეში მკვეთრად ჩამოყალიბებული ლოკალური ვარიანტის წარმოქმნა. ამის მიზეზი შესაძლოა, ერთი მხრივ, ბუნებრივი გარემოც იყო, რომელმაც განსაზღვრა აქ მოსახლე ტომების მეურნეობის ხასიათი, რომელიც უფრო მესაქონლეობაზე იყო დაფუძნებული. ამის ანარეკლი უნდა იყოს თითქოს ის, რომ აქ შედარებით უფრო ხშირად გვხვდება ცხოველის ქანდაკებები და ხშირად ცხოველების გამოსახულებებით შემკულია სწორედ ის ნივთები, რომლებიც ამ ლოკალური ვარიანტისათვისაა დამახასიათებელი. ბუნებრივმა პირობებმა, მეურნეობის ხასიათმა გარკვეული გავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის ტანსაცმლის ელემენტებზე და გარეგნულ მორთულობაზე, რამაც განსაზღვრა აქაური სამკაულის თავისებურება. შესაძლოა, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში სპეციფიური, ლოკალური ხასიათის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ეს მხარე შედარებით დაშორებული იყო კოლხური კულტურის ძირითად ცენტრს და სამხრეთთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების რაღაც შემაფერხებელი გარემოება არსებობდა. კულტურის თავისებურებაზე, ალბათ, გარკვეულ გავლენას ახდენდა, აგრეთვე, კონტაქტი მეზობელ მხარეებთან. ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კოლხური კულტურისა გადიოდა სოჭსა და ბზიფს შორის, სადაც იგი ესაზღვრებოდა ყუბანისპირეთის კულტურას. ამ დროისათვის, ყუბანისპირეთის კულტურა შედარებით სუსტი იყო, და გარკვეულ ზეგავლენას განიცდიდა ყუბანის კულტურისა. აქედან ყუბანის კულტურას ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში უნდა შემოედღწია, სადაც კარგად შეინიშნება ამ კულტურის გავლენა.

<sup>95</sup> ო. ჯაფარიძე, დოღმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 77, თბილისი, 1953, გვ. 86.

<sup>96</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

<sup>97</sup> М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

<sup>98</sup> ა. კალანდიაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

<sup>99</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

კოლხური კულტურის გავრცელება მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი არ შემოიფარგლება. ამ კულტურის სფეროში შემოდიოდა მესხეთის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა სამხრეთ კოლხეთის ერთ-ერთ წამყვან ცენტრს ჭოროხის აუზს და მის საკმაოდ ძლიერ გავლენას განიცდიდა. მესხეთის ტერიტორიაზე კარგადაა ცნობილი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ხასიათის ნივთები — ცული, თოხი და სეგმენტისებრი იარაღი. კოლხური ცულებიდან აქ თითქმის ყველა ვარიანტი გვხვდება, გარდა წელში ორმხრივ მოხრილი ტიპისა. აღსანიშნავია სოფ. თელოვანში აღმოჩენილი კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ლითონის ყალიბი, რომელიც კარგად ერგება სოფ. შიტარბჭში ნაპოვნ ცულს<sup>100</sup>. ამ ყალიბს უშუალოდ ცულის ჩამოსასხმელად იყენებდნენ თუ უფრო ცულის მოდელის დასამზადებლად<sup>101</sup>, ამის გარკვევით თქმა ძნელია, მაგრამ იმას კი მოწმობს, რომ ადგილობრივ ხდებოდა კოლხური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნივთის, ცულის დამზადება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ადიგენის რაიონში სოფ. უდესთან ნაპოვნი დიდი განძი შემდგარი საბრძოლო იარაღებისა და სამკაულებისაგან, რომელშიც თითქმის კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები ჭარბობს<sup>102</sup>. აქ ოთხი კოლხური ცული აღმოჩნდა — ორი მახვილი ყუთით, ორიც ყუთაკვერიანი დამახასიათებელი ჭოროხის საწარმოო ცენტრისათვის. შუბისპირები კოლხურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ტიპისაა, გრძელი, გახსნილი მასრით, ზოგჯერ გრავირებული ორნამენტით შემკული. სამკაულიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ფართო სარტყლები და მოზრდილი სწორკუთხა ბალთები, ზოგჯერ რკინით ან პასტით ინკრუსტირებული. მსგავსი ბალთები კარგადაა ცნობილი ცენტრალური კავკასიის ორსავე მხარეს თლისა და ბრილის სამაროვნებზე და ყობანის კულტურაში. კოლხეთში ინკრუსტირებული სწორკუთხა, მოზრდილი ბალთა ვანშია აღმოჩენილი. დიდი ზომის ბრინჯაოს ჩქიფები გრავირებული ორნამენტით შემკული კარგადაა ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში და ცენტრალური კავკასიის კულტურაში. აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელ ნივთთაგან შეიძლება აღვნიშნოთ გრძელყუნწიანი ისრისპირები, გრძელი საკინძები და სხვ. უდეს განძში რამდენიმე რკინის ნივთი აღმოჩნდა — მასრაგახსნილი შუბისპირი, ფოთლისებრი სატევრისპირი და ლახტისთავი. რკინის ნივთები აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ბრინჯაოს ნივთების მინაბაძია.

გვიანბრინჯაოს ხანაში კვლავ აღსდგა თრიალეთური კულტურის დროს შეწყვეტილი ურთიერთობა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის და ჩანს, რომ ამაში განსაკუთრებული როლი კოლხურ კულტურას უნდა მიეწეროს. შიდა ქართლი, განსაკუთრებით მისი ჩრდილო ზოლი კოლხური კულტურის დიდი გავლენის ქვეშაა. თრიალეთის კულტურის დაცემის შემდეგ შიდა ქართლში, რომლის გავრცელების სფეროში იგი შედიოდა, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან თავისებური კულტურა ვრცელდება, რომე-

<sup>100</sup> ვ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII—B, თბილისი, 1944, გვ. 194.

<sup>101</sup> Б. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII—B, თბილისი, 1944, გვ. 337.

<sup>102</sup> ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, უდეს განძი, საქმთოა ხელოვნება, № 4, თბილისი, 1959, გვ. 60.

ლიც კოლხური კულტურის გარკვეულ ზეგავლენას განიცდის. ურთიერთობა მათ შორის ამ ხანაში, ჩანს, საკმაოდ მჭიდრო იყო და კოლხეთშიც შიდა ქართლური ელემენტი ვრცელდება, განსაკუთრებით საბრძოლო იარაღი — შუბისა და სატევრისპირები. მაგრამ, კოლხურია გავლენა მაინც უფრო ჩანს და თითქმის მთელ შიდა ქართლს მოიცავდა. აქ კარგადაა ცნობილი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღი — ოთხი და სეგმენტისებრი იარაღი, კოლხური ცულის თითქმის ყველა ვარიანტი. უფრო ღრმად აღმოსავლეთ საქართველოში კოლხური კულტურის ელემენტი ნაკლებად აღწევს — ახეთში და ქვემო ქართლის ბარში. თრიალეთში, კოლხეთისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნივთია აღმოჩენილი, რომლებიც აქ, ჩანს, შიდა ქართლიდან ვრცელდებოდა<sup>103</sup>. კოლხური კულტურის ნაკვალევი ამიერკავკასიაში საკმაოდ შორს ჩანს. კოლხური ცული, რკინის ინკრუსტირებულ ბალთასთან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიურ ცულთან და შუბისპირთან ერთად აღმოჩნდა სოფ. ვართაშენში, ნუხის მხარეში<sup>104</sup>. კოლხური ელემენტი ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ სომხეთში<sup>105</sup>.

შიდა ქართლში, მის ცენტრალურ ნაწილში, კარგადაა წარმოდგენილი კოლხური ცულები. მათ ვხვდებით სასირეთისა და ახალქალაქის განძებში, სოფ. აბანოსთან და ხევში (გორის რ-ნი), სოფ. გოსტიბეში და ცხირეთში (კასპის რ-ნი) და სხვ. კოლხური ცულები აღმოჩნდა ქსნისა და არაგვის ხეობაში სოფ. საძიურში, ფასანაურში და ჩაბარუხის განძში და სხვ. ცნობილია აგრეთვე კოლხური სასოფლო-სამეურნეო იარაღი. თოხები, ნაპოვნია სოფ. მოხისში და ხანდაკში (კასპის რ-ნი), კოდის წყაროში და შუახევის განძში (დუშეთის რ-ნი)<sup>106</sup> და სხვ. აღსანიშნავია ურბნისის სამაროვნის საკმაოდ მდიდარი სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელში ნაპოვნი, შუბისპირის ნატეხებთან და ზოდთან ერთად, ოთხი სეგმენტისებრი იარაღი<sup>107</sup>. ერთი პატარა სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩნდა ხოვლე-გორის ადრინდელ ფენაში<sup>108</sup>. დასავლურ-ქართული კულტურის გავლენა კერამიკაშიც შეინიშნება. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ხოვლე-გორის ადრინდელი ფენის თიხის ჭურჭელში, სადაც ტიპიური შიდაქართლური კერამიკის გვერდით კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა<sup>109</sup>.

მაგრამ, კოლხური კულტურის განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იგრძნობა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთს, ზემო იმერეთს და რაჭას. როგორც ჩანს, კონტაქტი ძირითადად აქედან ხორციელდებოდა და ამიტომაცაა, რომ შიდა ქართლის ამ ზოლში ისეთი ნივთები გვხვდება უპირატესად, რომლებიც კოლხეთის ამ მხარისთვისაა დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ მხოლოდ ცხინვალის განძშია ნაპოვნი კომბინირებული იარაღი ცულ-ნამგალა, მსგავსი ოყურების განძის ამგვარივე იარაღისა<sup>110</sup>. წოისის განძში ისეთივე ფაზით, მასიური

<sup>103</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 68.

<sup>104</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

<sup>105</sup> А. А. М а р т и р о с я н, О древнем поселении около Ленинакана, Изв. АН Арм. ССР, № 10, Ереван, 1952, გვ. 92.

<sup>106</sup> ო. ჭაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, გვ. 193.

<sup>107</sup> დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 104.

<sup>108</sup> დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978, გვ. 15

<sup>109</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>110</sup> ო. ჭაფარიძე, ცხინვალის განძი, საქ. სახ. მეზ. მოამბე, ტ. XVI—B, თბ., 1950, გვ. 102.



ბრტყელი, თავგახსნილი რგოლებია ნაპოვნი, როგორც ოყურეშის და პერევის განძებში. სოფ. ხეწედან ცნობილია ისეთივე გრივნა, როგორც ოყურეშის განძშია. თლის სამაროვანზე აღმოჩნდა კოლხური ტიპის კოტებიანი ბრტყელი ცული.

შიდა ქართლის ამ კუთხეში კარგადაა წარმოდგენილი კოლხური ცულის ყველა ვარიანტი. კოლხური ცულები აღმოჩნდა ცხინვალისა და წოისის განძებში, სოფ. ნულში და სხვ. თლის სამარხებში მრავლადაა ამ ტიპის ცულების, კოხტა, მსუბუქი ცალები, რომელთა უმრავლესობა შესანიშნავადაა ორნამენტირებული<sup>111</sup>. შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში ცნობილია კოლხური სამეურნეო იარაღი—თოხი, სეგმენტისებური იარაღი და ნამგალი. თლის სამაროვნის სამარხებში<sup>112</sup> აღმოჩნდა თოხი და სეგმენტისებრი იარაღი. მსგავსება ჩანს, აგრეთვე, საბრძოლო იარაღშიც. აქაც გავრცელებული იყო გრძელი, მასრავახსნილი შუბისპირები და ყუნწიანი სატევრისპირები, მკვეთრი შესქელებული შუაქედით, ფოთლისებრი მოყვანილობის<sup>113</sup>. გარკვეული სიახლოვე შეინიშნება აგრეთვე კერამიკაშიც. ცხინვალის ნაცარგორაზე, ზედა ხეწეში და სხვ. აღმოჩნდა ისეთი თხის ჭურჭელი, რომელიც მსგავსებას პოულობს კოლხურ კერამიკასთან<sup>114</sup>. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კუთხე კოლხური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის, იგი მაინც უფრო შიდა ქართლში ამ დროს გავრცელებული კულტურის სფეროში შედის<sup>115</sup> და გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან იგი ამ ორი კულტურის შეხვედრის არეა, რის შედეგადაც შიდა ქართლში კოლხური კულტურის ელემენტები ვრცელდება, კოლხეთში კი შიდა ქართლის გარკვეული ზეგავლენა შეინიშნება.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან შიდა ქართლში მომძლავრებას იწყებს აღმოსავლურ-ქართული კულტურა. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღ-საჭურველი — ამიერკავკასიური ცული, მახვილი, სატევრის პირი, მასრაშეკრული შუბისპირი და სხვ. ამ პერიოდში თანდათანობით სუსტდება კოლხური კულტურის გავლენა; აქ ჩნდება შერეული ხასიათის კომპლექსები, ორივე კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები, იგრძნობა აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძლიერი გავლენა. ახალქალაქის განძში 14 ამიერკავკასიურ ცულთან ერთად, სამი კოლხური ცულია<sup>116</sup>. ცხინვალის განძში ხუთი კოლხური ცული აღმოჩნდა (მისი ყველა ვარიანტი), ერთი ცულნამგალა, მაგრამ უფრო მეტად აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები ჭარბობს<sup>117</sup>. სასირეთის განძში ერთი კოლხური ცულია, სხვა ნივთები კი აღმოსავლურ-ქართული კულტურისაა და სხვ.<sup>118</sup> შერეული ხასიათის კომპლექსები ამ დროის კოლხური კულტურის

<sup>111</sup> Б. В. Т е х о в, Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э., М., 1977, გვ. 81.

<sup>112</sup> იქვე, გვ. 32, 113.

<sup>113</sup> თ. ჭ ა ლ ა რ ი ძ ე, მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 15.

<sup>114</sup> Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 62.

<sup>115</sup> თ. ჭ ა ლ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

<sup>116</sup> А. А. И е с с е н, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

<sup>117</sup> თ. ჭ ა ლ ა რ ი ძ ე, ცხინვალის განძი, გვ. 99.

<sup>118</sup> G. N i o r a d z e, Der Verwahrung von Kwemo-Sasirethi, ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 97.

4. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1982, № 2





გავლენის ქვეშ მოქცეულ სხვა მხარეებშიც გვხვდება. ყარსის მხარეში მეხჩის ციხესთან ნაპოვნი განძი აღმოსავლურ-ქართული და კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან შედგებოდა<sup>119</sup>.

შიდა ქართლიდან, მის ჩრდილო ზოლიდან ვრცელდება ამ ხანაში აღმოსავლურ-ქართული ელემენტი კოლხურ კულტურაში, მაგრამ მისი გავლენა აქ მაინცდამაინც ძლიერი არ იყო. კოლხურ კულტურაში უფრო ხშირად ამიერკავკასიური ცული გვხვდება. სხვა იარაღები — მახვილი, მასრაშეკრული შუბისპირი, სატევრისპირები, ისრისპირები და სხვ. კოლხურ კულტურაში თითქმის არ გავრცელებულა. აღმოსავლური ელემენტი კოლხურ კულტურაში უპირატესად მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში გვხვდება — რაჭა-ლეჩხუმში და ზემო იმერეთში, შიდა ქართლთან მომიჯნავე ოლქებში. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ შერეული კომპლექსებიდან ჩანს, რომ კოლხური ელემენტი აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში უფრო აქტიურია. მხოლოდ ერთი განძია ნაპოვნი ხარაგოულთან სოფ. ბეჟათუბანში, რომელიც ხუთი აღმოსავლურ-ქართული ცულისა და სამი ზოდისაგან შედგებოდა<sup>120</sup>. იმერეთში ერთი აღმოსავლურ-ქართული ცული აღმოჩნდა პერევის განძში, შიდა ქართლის საზღვართან<sup>121</sup>. აღსანიშნავია რიონის დინების შუა წელზე, სოფ. ზემო სიმონეთში ნაპოვნი განძი, სადაც თოხებთან და სეგმენტისებრ იარაღებთან ერთად იყო ერთი ამიერკავკასიური ცული და ორი ქედაბეკური ტიპის მახვილი<sup>122</sup>. ეს ტიპი მახვილისა კარგადაა ცნობილი აზერბაიჯანში განჯაყარაბადულ კულტურაში. ამ ტიპის მახვილი აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში თითქმის არ გვხვდება. აქ ამ დროს გავრცელებული იყო სრულიად განსხვავებული ტიპის ბრინჯაოს მახვილი, რომელიც კოლხური კულტურისათვის ჭერჭერობით სრულიად უცხოა და შიდა ქართლში მათი გავრცელების უკიდურესი საზღვარი ახალქალაქთან (კასპის რ-ნი) გადის<sup>123</sup>. როგორც ჩანს, კოლხურ კულტურას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ამიერკავკასიის სხვა კულტურებთან, სადაც მისი ელემენტები გვხვდება და კოლხური კულტურის გავლენა შედარებით უფრო ძლიერი იყო. უფრო ღრმად კოლხეთის ბარში აღმოსავლურ-ქართული კულტურის ელემენტი თითქმის არ შეინიშნება. მისი გავლენა სადღეისოდ ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმში ჩანს. ერთი ამიერკავკასიური ტიპის ცული შემთხვევით აღმოჩნდა რაჭაში. ღარის კოლექციაში ნაპოვნი ცული შესაძლოა კოლხური და ამიერკავკასიური ცულების შერწყმის შედეგად მიღებული ჰიბრიდული ფორმა იყოს. ამიერკავკასიური ტიპის ცული აღმოჩნდა ცაგერის განძში. აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი ბრტყელი ცული იყო ლაიქლამის განძში. აქვე ნაპოვნი იყო აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში კარგად ცნობილი ღარიანი სატეხი. ამგვარი სატეხი სვანეთშიც აღმოჩნდა, სადაც ამიერკავკასიური ცულიცაა ცნობილი.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან კოლხური კულტურა ძლიერად იკიდებს ფეხს ცენტრალური კავკასიის სამხრეთის კალთის ზონაში. მდ. ლიანვის აუზის შუა და ზემო წელის რაიონი ძ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში საკმაოდ

<sup>119</sup> А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 139.

<sup>120</sup> ო. ჯაფარიძე, *ბეჟათუბნის განძი*, საქ. სახ. მუს. მოამბე, ტ. XVI—B, თბ., 1950, გვ. 217.

<sup>121</sup> დ. ქორიძე, *მატრიალური კულტურის უძველესი ძეგლები (სახეგრის რ-ნი, თბილისი*, 1961, გვ. 37.

<sup>122</sup> ო. ჯაფარიძე, *მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში*, გვ. 182.

<sup>123</sup> Б. А. Кувшин, *К вопросу о древнейших корнях...* გვ. 330.

მკიდროდ დასახლებული ჩანს და შიდა ქართლში გავრცელებული კულტურის არეალში შედიოდა<sup>124</sup>. სტირფარსის კრომლხეების და თლის სამაროვნის ადრეული სამარხების მოპოვებული მასალები ბევრ საერთოს პოულობენ ამ დროის ბარში და მთისწინეთში გავრცელებულ ძეგლებთან, თუმცა უკვე გარკვეული თავისებურებებიც შეინიშნება მეურნეობის ხასიათთან დაკავშირებით. ამ ხანაში უკვე ჩანს გარკვეული კავშირი ქედს იქითა მხარეებთან<sup>125</sup>.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს ცენტრალური კავკასიის ჩრდილო მხარეში წინაურდება ყობანური კულტურა, რომელიც თანდათანობით კავკასიონის სამხრეთის კალთებზე იწყებს გავრცელებას და აქ იგი კოლხურ კულტურას ხვდება. ლიხავ-როინის აუხის ზემო წელი ამ დროს ამ ორი კულტურის შეხვედრის ძირითად არედ იქცა. ყობანური კულტურა აქ საკმაოდ ძლიერად იკიდებს ფეხს, რასაც ალბათ, მეურნეობის ხასიათიც უწყობდა ხელს. ყობანის კულტურა უპირატესად მესაქონლე ტომებს ეკუთვნოდათ, რომლებიც თანდათანობით კავკასიონის სამხრეთ კალთაზე გადმოვიდნენ. ეს ის ხანაა, როდესაც კოლხური კულტურა აყვავებას განიცდის და ფართოდ ვრცელდება ცენტრალური კავკასიის სამხრეთი კალთის მთის ზოლში. აქ ყობანის კულტურა კოლხური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის და მისი ელემენტები ფართოდ იკიდებენ ფეხს ყობანის კულტურაში. კოლხური ცული ამ კულტურის ერთ-ერთი წამყვანი იარაღი ხდება. ყობანის კულტურაში ვრცელდება აგრეთვე კოლხურ კულტურაში წარმოქმნილი გრაფიკული ორნამენტი. ვერ დამკვიდრდა ყობანში კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღი, მესაქონლეობის უპირატესი როლის გამო. ვერც ხით ხუროთბაძასთან დაკავშირებულმა იარაღმა მოიკიდა აქ ფეხი და არც საბრძოლო იარაღი-შუბისპირი გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ ეს იარაღი ამ დროს არც თლისა და ბრილის, სამაროვნებზე შეინიშნება მაინცდამაინც, მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ხანაში იგი ერთ-ერთი წამყვანი იარაღი იყო<sup>126</sup>. ყობანის კულტურაში სულ რამდენიმე შუბისპირი აღმოჩნდა, რომლებიც ამიერკავკასიაში გავრცელებულ ამგვარსავე იარაღს უხასოვდებოდნენ<sup>127</sup>. სამაგიეროდ, კარგადაა წარმოდგენილი სატეგრისპირები და მათი ადგილობრივ ჩამოყალიბებული ტიპების გვერდით გვხვდება ისეთი იარაღიც, რომელიც კოლხურ კულტურასთან პოულობს ბევრ საერთოს.

განსაკუთრებით ფართოდ ყობანის კულტურაში კოლხური ცული გავრცელდა და აქ მისი ყველა ძირითადი ტიპი გვხვდება. აქ უპირატესად კოხტა, მსუბუქი ცულებია წარმოდგენილი და უფრო ტლანქი და უხეში ცალები თითქმის არ შეინიშნება. ადრეულ სამარხებში გვხვდება ტანში ორადმოხრილი ვარიანტი კოლხური ცულისა, რომელსაც ყობანის კულტურისათვის დამახასიათებელ ტიპად თვლიან<sup>128</sup>. იგი, როგორც აღინიშნა, კოლხეთში შედარებით იშვიათია და ისიც უპირატესად რაჭა-ლეჩხუმში აღმოჩნდა. ამ ვარიანტის კოლხური ცულები დიდი რაოდენობით გვხვდება თლისა და ბრილის სამაროვნებზე. იშვიათ გამონაკლისის გარდა ეს ცულები მდიდრულადაა ორნამენტირებული. კარგადაა ცნობილი ყობანის კულტურაში კოლხური ცულები დაწახნაგებულნი

<sup>124</sup> Б. В. Техов, Стирфазский кромлех, Цхинвали, 1974, გვ. 47.

<sup>125</sup> იქვე.

<sup>126</sup> Б. В. Техов, Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э., გვ. 80.

<sup>127</sup> Е. И. Крупнов, Древнейшая история Северного Кавказа, М., 1960, გვ. 100.

<sup>128</sup> იქვე, გვ. 26.

ყუთ, რომლებიც ხშირად შესანიშნავადაა შემკული. შედარებით იშვიათად გვხვდება ყობანში კოლხეთში ყველაზე გავრცელებული ტიპი მახვილყუიანი კოლხური ცულია. როგორც ჩანს, კოლხური ცული ყობანის კულტურაში სამხრეთიდან შედის და ძირითადად მკვიდრდება დაწახნაგებულყუიანი ცული. შემდეგში ეს ცული დაედო, ალბათ, საფუძვლად ტანმრუდ ვარიანტს. შესაძლოა, რომ მოხრილტანიანი ცული კოლხურ-ყობანური კულტურების შეხვედრების არეალში ჩამოყალიბდა, კავკასიონის სამხრეთის ფერდზე და შემდეგ უფრო ფართოდ გავრცელდა ყობანში. თლის სამაროვნისათვის, რომელიც ამ ორი კულტურის შეხვედრის ერთ-ერთ ძირითად არეში მდებარეობდა, ორმხრივ ტანში მოხრილი ცული, ყუადაწახნაგებულ კოლხურ ცულთან ერთად, ყველაზე გავრცელებული ტიპია. აღსანიშნავია, რომ აქ აღმოჩენილი ორმოცდაათი ცულიდან, მხოლოდ ოთხია მახვილყუიანი<sup>125</sup>.

კოლხურმა კულტურამ შედარებით სუსტი გავლენა განიცადა ყობანისა: ყველაზე მეტად ეს გამოიხატა საქაულეებსა და ტანსაცმელთან დაკავშირებულ სხვა ნივთებზე. კოლხური კულტურის გავრცელების მთიან ზოლში იკიდებს ფეხს ძირითადად ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის ნაწარმი, უპირატესად ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: ქინძისთაყები, ბალთები, სპირალურბოლოიანი სამაჭურები, სხვადასხვა საკიდი (განსაკუთრებით ცხოველთა გამოსახულებით) და სხვ.

როგორც ჩანს, კოლხურ კულტურასთან ურთიერთობის შედეგად შემოდის ამ დროს ყობანში რკინა. აღრეყობანურ კომპლექსებში ჯერ კიდევ რკინა იშვიათად გვხვდება, უპირატესად წარმოდგენილია რკინით ინკრუსტირებული ბრინჯაოს ნივთები<sup>130</sup>. რკინითაა შემკული ყობანში ნაპოვნი ტანში მოხრილი ცულები და სწორკუთხა ბალთები<sup>131</sup>. ძვ. წ. I k-I. ათასწლეულების მიჯნა ყობანის კულტურის აყვავების დასაწყისია. ბრინჯაოს მეტალურგია აქ განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს, რაც ერთგვარად აფერხებდა ამ დროს აქ რკინის გავრცელებას და მას უპირატესად ბრინჯაოს ნივთების შესამკობად იყენებდნენ<sup>132</sup>. მთიან კოლხეთში რკინა შედარებით გვიან ვრცელდება. თლის სამაროვნის მაგალითიდან ჩანს, რომ რკინა აქ პირველად ძვ. წ. XI—X სს. სამარხებში გვხვდება.

საკმაოდ აღრე ეცნობიან რკინას კოლხური კულტურის მატარებელი ტომები. აღრეულ განძებში ვხვდებით რკინის პირველ იარაღებს, რომლებსაც უკვე საკმაოდ დასრულებული ფორმა აქვთ. ზენათის განძში ბრინჯაოს ნივთებთან ერთად, რამდენიმე რკინის იარაღი აღმოჩნდა<sup>133</sup>. უდეს განძში ხუთი რკინის იარაღი იღო — შუბისა და სატევრის პირები, საკინძი და ლახტისთავი. ბრინჯაოს ინდუსტრიის მაღალმა დონემ კოლხეთში, შესაძლოა, რამდენადმე დააყვანა რკინის ფართო ათვისება, მაგრამ შემდგომში რკინა აქ საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს. რკინის პირველი ნივთები, მართალია, ბრინჯაოს იარაღის ცნობილ ფორმებს იმეორებდნენ, მაგრამ ისინი უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული სახისაა. ლითონის დამუშავებაში არსებულმა დიდმა ტრადიციულმა ცოდნამ გააადვილა, ალბათ, რკინის წარმოების ათვისება. კოლხეთისათვის არ არის დამახასიათებ-

<sup>129</sup> Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>130</sup> Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

<sup>131</sup> იქვე, გვ. 323.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>133</sup> ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

ლი რკინის სამკაული და არც რკინით ინკრუსტირებული ნივთები<sup>134</sup>. თითო-ორთა რკინით ინკრუსტირებული ბალთა აქ ყოზანის კულტურასთან ურთიერთობის შედეგად უნდა გავრცელებულიყო, სადაც, პირიქით, რკინა პირველად ბრინჯაოს ნივთების შესამკობად გამოიყენებოდა. კოლხეთში იმთავითვე რკინის უკვე საკმაოდ დასრულებული ფორმის იარაღი ვრცელდება. კავკასიის მთიანეთში, ჩანს, რკინა საერთოდ რამდენადმე გვიან შედის<sup>135</sup>.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან კოლხეთის ბარსა და მთისწინეთში რკინის წარმოება განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. ამ პერიოდის კარგადაა ცნობილი რკინის სადნობი სახელოსნოები და რკინის წარმოების ერთ-ერთი წამყვანი კერა სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უნდა არსებობდა<sup>136</sup>. რკინის ნედლეულის ძირითადი ბაზა აქ, ჩანს, შავიზღვისპირეთის მაგნეტიტური სიღებით მდიდარი საბადოები უნდა ყოფილიყო<sup>137</sup> და შესაძლოა, რომ აქ ისახება პირველად რკინის წარმოება ძველ კოლხეთში, ეგებ, სამხრეთის ქვეყნებთან ურთიერთობის შედეგად. რკინის წარმოება ვრცელდება უფრო ჩრდილოეთითაც, კოლხეთის შიდა მხარეებში. აქ გამოვლენილია რკინის გადასამუშავებელი სახელოსნოს ნაშთები ძვ. წ. X—IX სს., რომლებიც, ჩანს, მანდნულით უპირატესად მთის ზონიდან მარაგდებოდნენ<sup>138</sup>.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყის ხანებში კოლხური კულტურა თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას აღწევს. სწორედ ამ დროიდან ბრინჯაოს მეტალურგიის მხარდამხარ თანდათანობით ფეხს იკიდებს რკინის ინდუსტრია. ბრინჯაოს აქ ჯერ კიდევ მოწინავე მდგომარეობა უკავია, მაგრამ რკინის შემოსვლამ კოლხური კულტურის აყვავებაზე იქონია გარკვეული გავლენა. ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია აქ კიდევ კარგახანს თანაარსებობენ. რკინა კოლხეთში პირველად საომარი იარაღის დასამზადებლად გამოიყენეს — სატევრებისა და შუბისპირებისათვის. მაგრამ მათ ჯერ კიდევ იშვიათად ვხვდებით ამ დროის განძებსა და სამარხებში. ეშვრის ერთ-ერთ სამარხში ბრინჯაოს ცულსა, შუბსა და სატევრისპირთან ერთად, ერთი მოგრძო რკინის შუბისპირი აღმოჩნდა. უღეს განძში ასამდე ბრინჯაოს ნივთთან რკინის სულ ხუთი იარაღი იდო. ამ პერიოდში სამეურნეო იარაღი კოლხეთში ისევ ბრინჯაოსია. კოლხეთის ზოგიერთ შიდა ოლქებში — რიონ-ყვირილის, ცხენისწყლის ხეობებში და სხვ. ამ ხანაში ბრინჯაოს ინდუსტრია უმაღლეს საფეხურს აღწევს, რკინის ნაკვალევი კი ჯერ კიდევ თითქმის არ შეინიშნება და აქ აღმოჩენილი განძები ბრინჯაოს ბრწყინვალე ნივთებისაგან შედგება — (ოყურეშის, სურამუშის, ქვიშარის, სინათლის, პერევეისა და სხვ).

ძვ. წ. VIII საუკუნეში კოლხეთში რკინის ფართო ათვისების ხანა დგება. ამ დროიდან ჩნდება რკინის პირველი სამეურნეო იარაღები — ცული, თოხი

<sup>134</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისთვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სახ. მუხ. მოამბე, ტ. XXII—B, თბ., 1961, გვ. 351.

<sup>135</sup> Б. А. Куфтин, Археологические Раскопки в Триалети, გვ. 72.

<sup>136</sup> И. А. Гзелишвили, Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964, გვ. 52.

<sup>137</sup> დ. ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების ძველი კოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები ჩოლოქი-ოჩხამურის ხეობაში 1970 წ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველები, V, თბ., 1975, გვ. 83.

<sup>138</sup> დ. ხახუტაიშვილი, მასალები, რკინის წარმოების ადრეული საფეხურის ისტორიისათვის ჩრდილო კოლხეთში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველები, IX, თბ., 1980, გვ. 37.



და სეგმენტისებრი იარაღი. თითქმის მთლიანად ქრება კოლხური ცულის მოზრდილი, შედარებით უხეში ცალები, რომელთაც უფრო სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ და მათ ადგილს, ჩანს, უკვე რკინის ცული იკავებს. ახლა ძირითადად გვხვდება კოლხური ცულის ყველა ვარიანტის კოხტა, მსუბუქი ტიპები, ხშირად შესანიშნავად ორნამენტირებული. მათ უპირატესად საბრძოლო იარაღის დანიშნულება უნდა ჰქონოდა და ეგებ, საკულტო-სარიტუალო ფუნქციასაც ასრულებდნენ<sup>139</sup>. კოლხური კულტურის აყვავების ხანაში ყალიბდება თავისებური სტილი გრაფიკული დეკორისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გეომეტრიული და ცხოველური ორნამენტი. ცხოველური სტილი ხასიათდება გამოსახულების გადმოცემის სქემატური მანერით და ძლიერი სტილიზაციით. უპირატესად გვხვდება სტილიზებული გამოსახულება — ძაღლის, ცხენის, გველის, თევზისა და სხვ<sup>140</sup>. გეომეტრიულ ორნამენტში ჭარბობს — ხვია, რომბი, ჯვარი, სვასტიკა და სხვ.

კოლხური გრაფიკული დეკორი ფართოდ ვრცელდება ყობანის კულტურაში და მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანი ხდება. ეს არის კოლხური კულტურის გაფორმების ხანა, როდესაც ამ ორი კულტურის დაახლოება მიმდინარეობს. აქ, როგორც ჩანს, მარტო კულტურულ ურთიერთობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ იდეოლოგიურ სიახლოვესთან, საერთო წარმოდგენებთან. კოლხურ და ყობანურ კულტურებში არსებული მეურნეობრივი ხასიათის სხვაობის მიუხედავად, მათ შორის ახლო ურთიერთობა მყარდება, საერთო ინტერესებით. ყობანის კულტურასთან კავშირს უპირატესად კოლხეთის მთის მხარეები ახორციელებდნენ. ამიტომ, შესაძლოა, რომ კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი გრაფიკული ორნამენტის სტილის ჩამოყალიბება უპირატესად აქ მიმდინარეობდა, ამ კულტურის ურთიერთობის შედეგად. შესაძლოა ცხოველური მოტივი ჩაისახა იქ, სადაც მეურნეობაში მესაქონლეობის ხვედრითი წონა საკმაოდ მაღალი იყო, ძაღლის გამოსახულება ყველაზე გავრცელებული მოტივი იყო და სტილიზაციაც ყველაზე მეტად მან განიცადა<sup>141</sup>. ძალი მწყემსის მუდმივი თანამგზავრია. ამ ხანაში ფართოდ ვრცელდება აგრეთვე სხვადასხვა ცხოველის ბრინჯაოს ქანდაკებები და საკიდები. გვხვდება როგორც შინაური და გარეული ცხოველების, ისე ფრინველების გამოსახულებები. შესაძლოა ეს იმის მაჩვენებელი იყოს, რომ კოლხეთში ერთგვარად აიწია მესაქონლეობის როლმა მეურნეობაში. ეს ის დროა, როდესაც კოლხეთის მთისა და ბარის დაახლოების პროცესი მიმდინარეობს, რამაც თავისი ასახვა კულტურებშიც პოვა. ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან თანდათანობით ირღვევა ზღვარი ლოკალურ თავისებურებათა შორის და ერთგვაროვანი კულტურა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება.

კოლხური კულტურის ერთიანი ხასიათი განსაკუთრებით კარგად ჩანს დაკრძალვის წესში. ძვ. წ. VIII—VII სს. თითქმის მთელ კოლხეთში ვრცელდება კოლექტიური დაკრძალვის წესი; „დასაკრძალავ მოედნებზე“ მიცვალებულის მეორად დასაფლავებას ვხვდებით, სრული ან ნაწილობრივი კრემაციით, ზოგ-

<sup>139</sup> Л. Н. Панцхава, К истории художественного ремесла колхидской и кобанской культур, автореферат, Тб., 1975, зб. 4.

<sup>140</sup> ლ. ჯანცაია, კოლხური ცული ირმის გამოსახულებით, საქ. სახ. მუხ. მოამბე, XXI-X—B, თბ., 1972, გვ. 55.

<sup>141</sup> Л. Н. Панцхава, К истории художественного ремесла... зб. 10.

ჯერ ინვენტართან ერთად, დასაფლავების მსგავსი რიტუალი დასტურდება კოლხეთის უფრო ჩრდილოეთ ნაწილში. წალენჯიხის რაიონში, სოფ. პალურში გამოვლენილია „დასაკრძალავი მოედანი“<sup>142</sup>. ასეთივე „დასაკრძალავი მოედანი აღმოჩნდა ნოსირთან, სოფ. მუხურაში“<sup>143</sup>. ვხვდებით მათ აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთშიც. ლანჩხუთთან სოფ. ნიგვზიანში ნაპოვნი იყო სამაროვანი, შემდგარი კოლექტიური სამარხებისაგან, სადაც შიცვალებულის დაწვა და მეორადი დასაფლავების წესი იყო გავრცელებული<sup>144</sup>. მსგავსი კოლექტიური სამარხები აღმოჩნდა აგრეთვე ურეკის სამაროვანზე<sup>145</sup>. როგორც ჩანს, ამ ხანაში დაკრძალვის ეს წესი მითან კოლხეთშიც გავრცელდა. ამგვარსავე „დასაკრძალავ მოედნებს“ წარმოადგენენ, ალბათ, ბრილის სამაროვანზე გამოვლენილი კოლექტიური სამარხები, სადაც მიცვალებულთან ერთად წვავდნენ აგრეთვე ჩატანებულ ინვენტარსაც ბრილში გავრცელებული იყო აგრეთვე ორმოსამარხების და ქვაყუთებში დასაფლავება<sup>146</sup>.

კოლხეთში ამ დროს დაკრძალვის სხვა რიტუალიც ვხვდებით. კოლექტიური სამარხების გვერდით არის აგრეთვე ინდივიდუალური საფლავებიც. ურეკის სამაროვანზე ინდივიდუალურ სამარხებშიც კრემაციის წესია გავრცელებული და ინვენტარის შემადგენლობაშიც არ არის დიდი სხვაობა<sup>147</sup>. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში სოხუმთან, გუადიხუს სამაროვანზე გავრცელებული იყო ორმოსამარხები მთლიანი ან ნაწილობრივი კრემაციით. აქვე „კრასნი მაიაკის სამაროვანზე მიცვალებულს ასაფლავებდნენ ორმოში მოხრილად ან გულზე მწოლარეს. ორმოსამარხი ამ პერიოდში აქ ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო. ყულანურხვას სამაროვანზე რამდენიმე ასეთი სამარხი გაითხარა“<sup>148</sup>. ამ პერიოდში მხოლოდ კოლხეთის ამ მხარეშია დამოწმებული მიცვალებულის მოზრდილ თიხის ჭურჭელში დაკრძალვა.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის შუახანებიდან მეურნეობაში შემოდის რკინის იარაღი. იგი თითქმის სრულიად არ იცვლის ფორმას და ბრინჯაოს იარაღის წაბამეთაა ნაკეთები. ვრცელდება თოხნი და სეგმენტისებრი იარაღი, თუმცა ამ ტიპის ბრინჯაოს იარაღი ჯერ ისევ ფართოდაა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის სამარხებში, თითქმის მთელ კოლხეთში ხშირად ვხვდებით რკინის სამეურნეო იარაღი. საჩხერესთან, ქორეთის ყორღანში აღმოჩნდა ერთი ჩაშვებული სამარხი, რომელშიც რკინის ფართობრიანი თოხნი იღო<sup>149</sup>. რკინის ფართობრიანი თოხები ნაპოვნი იყო ლეჩხუმში სოფ.

<sup>142</sup> ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, პალურის საქალე, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბილისი, 1974, გვ. 109.

<sup>143</sup> Э. М. Гогадзе, Л. Н. Паничхавა, М. В. Дариспанашвили, И. Д. Копридзе. Результаты работ Носиро-Мухурчской экспедиции за 1976—77 гг. საქ. სახ. მუზ. არქ. ექსპედიციები, VI, თბილისი, 1978, გვ. 54.

<sup>144</sup> Т. К. Микаладзе, М. В. Барамидзе, О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зонах новостроек, Арх. исследования на новостройках Груз. ССР, Тб. 1976, გვ. 109.

<sup>145</sup> თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, სველ არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1977 წ., თბ., 1980, გვ. 36.

<sup>146</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 268.

<sup>147</sup> თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

<sup>148</sup> М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

<sup>149</sup> ო. ჯაფარიძე, მდ. ყვირილის ზემო წელზე 1955 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თსუ შრომები, ტ. 87, თბ., 1960, გვ. 344.

ორბელში<sup>150</sup>. ანალოგიური თოხები აღმოჩნდა პალურის, მეხურჩის, ნიგვზინის, ურეკის კოლექტიურ სამარხებში. გვხვდება რკინის სამკალი და სასწრავე იარაღი<sup>151</sup>. კარგადაა წარმოდგენილი ამ სამაროვნებზე რკინის საომარი იარაღი.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში მნიშვნელოვნად წინაურდება სოფლის მეურნეობა; რკინის იარაღის ფართოდ გამოყენება მიწის დასამუშავებლად უთუოდ საგრძნობ პროგრესს გამოიწვევდა. რკინის თოხი ჩვეულებრივ უფრო მოზრდილია და სამუშაო პირიც უფრო ფართო აქვს. ამ პერიოდიდან იწყება რკინის სახნისის გამოყენება. ნიგვზინის სამარხში ნაპოვნი იყო რკინის სახნისი<sup>152</sup>. მსგავსი იარაღი აღმოჩნდა ორბელში რკინის თოხთან ერთად<sup>153</sup>. კოლხური კულტურის აყვავების ხანაში, როგორც ჩანს, მთელი კოლხეთი, მისი ბარი და მთა საკმაოდ მჭიდროდა დასახლებული. მისი ფართო ათვისების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა განვითარებული მიწათმოქმედება იყო. როგორც იყო ამ დროს კოლხეთში დასახლების ტიპი, მასალის ცალმხრივი ხასიათის გამო, რომელიც ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობს, გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება — როგორც იყო სოფელი, არსებობდა თუ არა უფრო მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლება. შესაძლოა, რომ ბარში ისევ ხუტორული ტიპის დასახლებაა. მთის წინა ზოლში, რომელიც კოლხეთის ყველაზე დაწინაურებული ნაწილი ჩანს, ეგებ, უკვე უფრო მსხვილი დასახლება ჩნდება. მიწათმოქმედების განვითარებისათვის ბარში, და განსაკუთრებით მთისწინეთის ზოლში, კარგი პირობები იყო, რაც ალბათ საგრძნობ სტიმულს იძლეოდა და გაუმჯობესებული იარაღის ფართოდ გამოყენებაც უთუოდ ეფექტური იქნებოდა. ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და სიმდიდრის დაგროვებას შეუწყობდა ხელს. ამიტომაცაა, რომ ამ ხანის სამარხები, რაც არ უნდა დაბალი ფენის წარმომადგენელს ეკუთვნოდეს იგი, გამოირჩევიან იარაღსაქურავის და სამკაულის სიმდიდრით. ყულანურხვას ერთ-ერთ სამარხში ხუთი მარტო კოლხური ცული იღო. მდიდრული იყო აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ნაპოვნი სხვა სამარხებიც — ადგისტის სამარხი, მუგუტირხვასთან, ეშერას ქვევრსამარხები და სხვ. თითქმის ყველა სამარხში აქ ერთი დანიშნულების რამდენიმე იარაღი იღო — ცულები, შუბისპირები, სატევრისპირები და სხვ. გარდა ამისა მდიდრადაა წარმოდგენილი სამკაული. ინვენტარის სიუხვით გამოირჩევა კოლხეთში გავრცელებული კოლექტიური სამარხები, რომლებიც ჩანს, რიგით წვერთა საფლავები იყო. მათში დიდი რაოდენობითაა ჩატანებული ბრინჯაოს და რკინის საომარი იარაღი, შრომის იარაღი, რაც, ჩვეულებრივ იშვიათია სამარხებში სამკაულის და სხვ. ნივთების სიმდიდრით ხასიათდება აგრეთვე მთიან ზოლში შესწავლილი სამარხები. ბრილის სამაროვანზე გათხრილია ამ დროის მდიდარი სამარხები. სადაც მრავლადაა წარმოდგენილი რკინის და ბრინჯაოს იარაღები და სამკაული. მდიდარია ინვენტარით აგრეთვე თლის სამარხებიც.

როგორც ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთი ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერია. კარგად ორგანიზებული სოფლის მეურნეობა ქვეყ-

<sup>150</sup> რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 367.

<sup>151</sup> ნ. ო ქ რ ა პ ი რ ი ძ ე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

<sup>152</sup> თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

<sup>153</sup> რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 367.



ნის კეთილდღეობის ძირითადი წყარო იყო. ამ პერიოდში, ჩანს, იწყება რკინის სახნისის გამოყენება და ამას თოხის კულტურასთან ერთად მწწათმოქმედებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მოეხდინა და საგრძნობლად გაეზარდა შრომის ნაყოფიერება. ჩანს, ამ ხანებში კოლხეთის ბარში და მთაში იზრდება მესაქონლეობის როლიც. მსხვილფეხა საქონელი ახლა ფართოდ გამოიყენება მიწათმოქმედებაში, როგორც გამწევი ძალა. მთაში ნეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობაა, მაგრამ ახლა მთა და ბარი უფრო მეტად უკავშირდება ერთიმეორეს. მათ დაახლოებას უთუოდ ხელი შეუწყო მეცხენეობის განვითარებამ. ამ პერიოდში კოლხურ კულტურაში ფართოდ გამოჩნდა ცხენის აჯახმულობასთან დაკავშირებული ნივთები — ლაგმები, სხვადასხვა ბალთა, სანებური და სხვ.

კოლხეთის ეკონომიკურ სიძლიერეს აპირებდა მეტალურგიის მაღალი დონე. ბრინჯაოს დამუშავების გვერდით ამ ხანებში ფართოდ ვრცელდება რკინის წარმოებაც. კოლხეთის მეტალურგიის ამ ორი დარგის კარგად შერწყმულმა წარმოებამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოების განვითარებას. საზოგადოების მნიშვნელოვან ფენას ამ პერიოდში ოსტატი ხელოსანი შეადგენდა, განსაკუთრებით მეღიფთონე. ბრინჯაოს დამუშავების ოსტატს ემატება რკინის წარმოების დაუფლებული ხელოსანი და მათ შორის, ჩანს, საკმაოდ ძლიერი კონკურენცია იწყება. შესაძლოა, რომ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ ხანებში ბრინჯაოს ნივთების დამზადების ტექნიკა გასაოცარ სიმაღლეს აღწევს. ოსტატი სულ უფრო და უფრო ხვეწს ფორმას, მაღალ გემოვნებას აქოსვს და შედეგად შესანიშნავ ნაწარმს იღებს. მარტო კოლხური ცული საკმარისია ამის საილუსტრაციოდ. მისი ყველა ტიპი გამოირჩევა სილამაზით, დახვეწილი ფორმით, სიმსუბუქით და სხვ. მაგრამ ოსტატი მარტო ნივთის ფორმით არ კმაყოფილდება და გარეგნულ შემკობასაც დიდ ყურადღებას აქცევს. ამ ხანაში ჩამოყალიბდა თავისებური სტილი გრაფიკული დეკორისა. მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს ნივთის შემკობა საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო, ოსტატი დროს არ იშურებს და გასაოცარ ფანტაზიას იჩენს დეკორის შემუშავებისას. რა თქმა უნდა, ნივთის ფორმა და მისი დეკორი იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებას პასუხობდა და უთუოდ დიდ გემოვნებაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის ბარისა და მთის მოსახლეობა ერთნაირად ეტანება ლამაზ ნივთს და ორივეგან ძირითადად ერთი ტიპის ნაწარმი ვრცელდება, ორნამენტის ხასიათიც ერთნაირია. ესეც, ეგებ, იმის მაჩვენებელია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთის მთელი მოსახლეობა ერთიანია და მათ ერთი ინტერესები ამოძრავებთ.

ამ პერიოდში კოლხეთის მთისა და ბარის დაახლოების პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, რამაც თავისი ასახვა კულტურაშიც პოვა. მართალია, რკინის ფართო ათვისების პერიოდში, ძვ. წ. VIII—VII სს. კულტურის (ხასიათი მინცდამაინც ცვლილებას არ განიცდის, მაგრამ ახლა თანდათანობით ირღვევა ზღვარი ლოკალურ თავისებურებათა შორის; იგი უფრო ერთგვაროვანი ხდება და ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში დასავლურ-ქართულ ტომთა მსხვილი გაერთიანება ქრსებობდა. მთისა და ბარის ახლო კავშირმა ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით უფრო მყარი და ძლიერი ეკონომიკური ბაზის შექმნას. კოლხური კულტურის მატარებელი ტომების დაწინაურების შედეგად საზოგადოების გარკვეული გარდაქმნები უნდა მოჰყოლოდა. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, უფრო ადრე, ვიდრე სხვა მხარე-



ში შეიქმნა პირობები პირველყოფილი თემური წყობილების საბოლოო რღვევისა. აქ, ისევე როგორც ბრინჯაოს ინდუსტრიის ხანაში, რკინის მეტალურგიის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო, რასაც რკინის ფართო ათვისების პერიოდში საზოგადოების დაწინაურებისათვის დიდად უნდა შეეწყო ხელი. კოლხეთის სამხრეთ ნაწილში საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეული იქმნება, რომელიც უკვე ადრეკლასობრივად სახელმწიფოს გარკვეული ნიშნებით ხასიათდება და აქ შექმნილი ვითარება აისახა კიდევ წერილობით წყაროებში<sup>154</sup>. ძვ. წ. VII ს. დასასრულისათვის სრულდება კოლხური კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მის საფუძველზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში ჩამოყალიბდა კოლხეთის სამეფო<sup>155</sup>.

О. М. ДЖАПАРИДЗЕ

## ЗАПАДНО-ГРУЗИНСКАЯ КУЛЬТУРА ЭПОХИ ПОЗДНЕЙ БРОНЗЫ

Резюме

Со второй половины II тысячелетия до н. э. в Грузии и вообще на Кавказе наступает новая ступень развития общества — поздний бронзовый век. В это время почти полностью прерывается связь с традициями предшествующей эпохи, заметно изменяется характер хозяйства и условия жизни в целом. Густо заселяется весь Кавказ — как горные и предгорные части, так и низменные равнины. В отдельных регионах складываются довольно крупные культурные области, объединяющие несколько родственных культур. В центральном и западном Кавказе она охватывает три распространенные здесь культуры — западногрузинскую или колхидскую, кобанскую и прикубанскую.

В колхидской культуре выделяется две ступени развития — эпоха поздней бронзы, охватывающая почти всю вторую половину II тыс. до н. э. и период раннего железа, закат которого приходится на конец VII в. до н. э. Эта культура возникла на основе предшествующей культуры, где хорошо прослеживаются прототипы целого ряда ведущих орудий колхидской культуры. По-видимому, основным ареалом становления колхидской культуры являлась Причерноморская полоса Колхиды, главным образом, юго-западная ее часть. Возникновению и дальнейшему развитию этой культуры, вероятно, способствовало наличие в этой области, в частности, в бассейне р. Чорохи, богатых месторождений меди. Подъему культуры содействовали связи с переднеазиатским миром.

В юго-западном Кавказе возникли, очевидно, почти все ведущие хозяйственные орудия — топор, мотыга, сегментовидное орудие, пал-

<sup>154</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 218.

<sup>155</sup> იქვე, ს. 236.

დი, серп и т. д. Широкое применение металлических сельскохозяйственных орудий способствовало более интенсивному освоению Колхиды, и у местного общества создавалась довольно твердая экономическая база. Наиболее интенсивного развития достигает, видимо, земледелие. В Юго-Западной части Колхиды обнаружено множество кладов, состоявших, главным образом, из сельскохозяйственных орудий. В Южной Колхиде сложилась именно та форма хозяйства, которая наиболее соответствовала природной обстановке. Интенсивное сельское хозяйство содействовало развитию общества. К этому времени в юго-западной части Колхиды, вероятно, формируется довольно мощное объединение племен, которое распространяет свое влияние на всю Колхиду. В этот период колхидская культура охватывает всю Западную Грузию и прилегающие к ней области.

Широкое использование металлических орудий способствовало более интенсивному освоению Колхидской низменности. Здесь возникают поселки хуторского типа и сельское хозяйство достигает довольно высокого уровня. Планомерное использование всех возможностей колхидской низменности во многом содействовало экономическому росту общества Южной Колхиды. Постепенно осваиваются и материковые части Колхиды, где широко распространяются ведущие хозяйственные орудия. К концу II тыс. до н. э. наблюдается перемещение населения во внутренние области Колхиды. Интенсивно заселяются как горные, так и низменные ее зоны. В этом процессе, видимо, ведущую роль играли южноколхидские племена, которые к этому времени достигают уже довольно высокого прогресса, постепенно создаются условия для распада первобытно-общинного строя. Во внутренних районах Колхиды, в ее горной полосе социально-экономическое отношение общества к этому времени все еще оставалось на более низком уровне развития. В разных регионах Колхиды в культуре наблюдается постепенное сложение локальных явлений.

В материковых областях Колхиды, по сравнению с приморскими районами, были несколько иные условия для жизни. С конца II тыс. до н. э. и особенно с наступлением I тыс. до н. э. широко осваиваются бассейны рр. Риони, Цхенисцхали, Квирилы в центральной части Колхиды. Особо следует отметить Рача-Лечхумский центр колхидской культуры. Здесь хорошо известны клады бронзовых изделий, случайные находки ведущих типов предметов колхидской культуры. Из памятников, первым делом, следует отметить брильский могильник у с. Геби в верховьях р. Риони. Видимо, эта часть Колхиды была близко связана как с южными, так и с северными районами Центрального Кавказа. Материалы из брильского могильника имеют много общего с инвентарем из тлийского могильника в Шида Картли, а также с кобанской культурой. В эпоху колхидской культуры в Рача-Лечхуми существовал довольно мощный металлургический очаг.

Северо-западная часть Колхиды, по всей вероятности, была одной из тех областей, где на ранней стадии позднебронзовой эпохи должна



была сложиться колхидская культура. Однако в дальнейшем развитие общества здесь шло в несколько более замедленном темпе по сравнению с юго-западными районами Колхиды. Подъем этого края Колхиды вновь наступает с рубежа II—I тыс. до н. э., в период начала расцвета колхидской культуры. В северо-западной Колхиде некоторые типы хозяйственных орудий не нашли широкого распространения. С начала I тыс. до н. э. в этой части Колхиды складывается локальный вариант колхидской культуры. Возможно, этому содействовал характер хозяйства, которое было основано, главным образом, на скотоводстве, а также и близкие контакты с более северными областями.

Шида Картли находился под сильным воздействием колхидской культуры. Следы этой культуры наблюдаются в Армении и в Азербайджане. Наиболее сильному влиянию подверглась северо-западная часть Шида Картли, которая в эту эпоху становится основным районом, где соприкасались западногрузинская и восточногрузинская культуры. В это время усиливается в Колхиде влияние восточногрузинской культуры, преимущественно в ее северо-восточной части — Рача-Лечхуми и Земо Имерети.

С конца II тыс. до н. э. в Центральном Кавказе наблюдается значительный подъем кобанской культуры, которая постепенно проникает на южные склоны Кавказа, где она близко соприкасается с колхидской культурой. В верховьях бассейна р. Лиахвы и Риони был основной район контактов этих двух культур. Кобанская культура, которая, по-видимому, принадлежала, преимущественно, скотоводческим племенам, постепенно занимает южные склоны Кавказа. В это же время колхидская культура широко распространяется в горной зоне южных склонов Центрального Кавказа. По-видимому, кобанская культура подверглась сильному воздействию колхидской культуры. Колхидский топор становится одним из основных орудий этой культуры. Не проникли в кобанскую культуру земледельческие орудия, вероятно, ввиду ведущей роли скотоводства в хозяйстве. Со своей стороны, колхидская культура испытывала определенное влияние кобанской культуры. В горной зоне распространения колхидской культуры хорошо известны характерные для кобанской культуры металлические изделия, преимущественно предметы, связанные с костюмом — булавки, бляхи, украшения, браслеты и т. д.

Вероятно из Колхиды в кобанскую культуру проникает железо, которое первоначально здесь применялось для украшения бронзовых предметов. Начало I тыс. до н. э. являлось временем подлинного расцвета кобанской культуры, и бронзовая металлургия здесь достигает высокого подъема; видимо, поэтому здесь несколько задержался процесс перехода к железу.

Колхидские племена знакомятся с железом, вероятно, довольно рано, но высокий уровень бронзовой металлургии здесь также, видимо, препятствует широкому освоению железа. С первых веков I тыс. до н. э. постепенно начинается массовое применение железа.

Для Колхиды не характерны инкрустированные железом предметы. В горные области Кавказа железо проникает несколько позже. К середине первой половины I тыс до н. э. в низменных и предгорных районах Колхиды производство железа постепенно достигает довольно высокого уровня развития. В настоящее время хорошо известны остатки железоплавильных мастерских. Один из ведущих очагов производства железа, видимо, существовал в юго-западной Колхиде.

В начале I тысячелетия до н. э. колхидская культура достигает наивысшего расцвета. С этого времени, наряду с бронзовой металлургией постепенно развивается и железная индустрия. Бронзовая и железная металлургия сосуществовали здесь в течение долгого времени; железо, главным образом, применялось для изготовления боевого оружия, а в хозяйстве преимущественно употреблялись бронзовые орудия.

В VIII в. до н. э. в Колхиде наступает пора широкого освоения железа. Начинают появляться первые железные хозяйственные орудия. В это время широко распространяются бронзовые изделия, легкие типы почти всех вариантов колхидского топора, часто украшенные графическим орнаментом. Этот графический декор, видимо, сложился в горных областях Колхиды, где наиболее тесно соприкасались колхидская и кобанская культуры. Возможно, характерный для колхидо-кобанской культур звериный стиль возник там, где скотоводство в хозяйстве играло значительную роль.

Возможно, в эпоху расцвета колхидской культуры в хозяйстве роль скотоводства несколько возросла. В это время происходит процесс сближения горных и низменных областей Колхиды. С начала I тысяч. до н. э. постепенно стираются грани между локальными особенностями и по все й Колхиде распространяется приблизительно однородная культура. Единый характер колхидской культуры хорошо прослеживается в погребальном обряде.

С середины первой половины I тысяч. до н. э. в Колхиде широкое распространение наряду с бронзовыми получают и железные хозяйственные орудия. Применение железных орудий в земледелии не могло не дать ощутимого эффекта, что способствовало улучшению жизненных условий общества. Погребения этого времени отличаются богатством инвентаря. Видимо, экономическое состояние общества было довольно прочное. Хорошо организованное сельское хозяйство было основой благосостояния страны. Этому способствовал также, видимо, и высокий уровень металлургии, бронзы и железа. В первой половине I тысяч. до н. э. тесная связь и начавшиеся конкуренции между этими двумя отраслями металлургии Колхиды содействовали новейшему подъему техники обработки бронзы. Мастер создает великолепные предметы из бронзы. Однако он не ограничивается лишь формой изделия и особое внимание уделяет также внешнему украшению предмета. Складывается своеобразный стиль графического декора.



В первой половине I тысяч. до н. э. в Колхиде возникло экономически довольно мощное общество. Идет процесс сближения низменных и горных областей. В VIII—VII вв. до н. э. в период широкого освоения железа характер культуры не претерпел особых изменений, однако постепенно стирается грань между локальными особенностями. Колхидская культура становится однородной и охватывает довольно большую территорию. В этот период, очевидно, уже существовало крупное объединение западногрузинских племен. В юго-западной части Колхиды, видимо, раньше, чем в других областях, сложились условия для окончательного разложения первобытно-общинного строя. С конца VIII в. и начала VII в. до н. э. наступает период постепенного заката многовековой истории колхидской культуры, на основании которой к середине I тысяч. до н. э. сложилось Колхидское царство.

ო ლ ა მ ა ნ ჯ ა ზ ა ლ ა შ ი

ს ა პ ა რ თ ვ ე ლ ო ს   ს ს რ   ღ ა ხ მ ა რ ა ბ ა   ბ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა ბ უ ლ ი   რ ა ი ო ნ ე ბ ი ს ა დ მ ი  
მ რ ა ე ვ ე ლ ო ბ ი ს   ა ღ ღ ე ბ ი ს   ს ა მ ე მ უ ი   ღ ი ღ ი   ს ა მ ა მ უ ლ ო   ო მ ი ს   წ ლ ე ბ უ ი

ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე მოულოდნელი თავდასხმისა და მისი ჯარის დროებითი უპირატესობის შედეგად ომის დაწყებით პერიოდში მტერმა შეძლო საგრძნობი წარმატებების მიღწევა. 1942 წლის დასასრული-სათვის გერმანელი ოკუპანტების ხელში მთლიანად ან ნაწილობრივ აღმოჩნდა ფსკოვის, ლენინგრადის, ნოვგოროდის, სმოლენსკის, მოსკოვის, ტულის, კალუგის, სტალინგრადის, ყირიმის და სხვა რაიონები. კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეები, ყაბარდოსა და ჩრდ. ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკები. ამ ტერიტორიების დაპყრობისთანავე გერმანელებმა ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი. ამ გზით მათ სურდათ გაეძლიერებინათ გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი, ისევე, როგორც გააკეთეს ეს ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში. გერმანელებს ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ორგანიზებული გაძარცვის წინასწარ შემუშავებული პროგრამა. ჰიტლერის მთავრობის საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით „დირექტივები ახლად ოკუპირებული აღმოსავლეთის რაიონების ეკონომიკის სახელმძღვანელოდ“ ანუ („მწვანე ყდა“). ამ მძარცველური გეგმის განსახორციელებლად ფაშისტური არმიის ეკონომიკურ განყოფილებაში შეიქმნა სპეციალური აპარატი.<sup>1</sup>

ოკუპირებულ ტერიტორიებზე თარეშობდნენ გერმანელი მონაპოლისტები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფირმა „კრუბი“, რომელმაც მიიტაცა მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის რიგი ქარხნები უკრაინაში, კონცერნი „გერმან გერინგი“, რომელმაც მიიტაცა კრივოი როვის, ნიკოპოლის საბადოების მეტალურგიული ქარხნები, „ფოშის“ შტალვერკერბაუნშვეიგის, „იუნკერსის“ ფირმები თარეშობდნენ ზაპოროჟიეში და სხვ. გერმანელი ოკუპანტები ცდილობდნენ საბჭოთა ფაბრიკებში და ქარხნებში აეწყოთ წარმოება და გამოეყენებინათ საბჭოთა ხალხის კუთვნილი სიმდიდრე თავისი ქარხნებისათვის და რკინიგზის ტრანსპორტისათვის. მაგრამ, მათ ვერ მოღრეკეს საბჭოთა ხალხი და ვერ აიძულეს ისინი მათთვის ემუშავათ. ვერ მიაღწიეს რა თავის საწაღელს ფაშისტებმა უკან დახვევისას გადაწყვიტეს დაენგრიათ და გადაეწვათ ოკუპირებული ტერიტორიები.

1942 წლის 2 სექტემბერს, როდესაც წითელი არმია იბრძოდა დონბასისათვის ფაშისტურმა ხელმძღვანელობამ გამოსცა საიდუმლო ინსტრუქცია. მასში ნათქვამი იყო, რომ „ყველაფერი, რაც არის დონბასში და რისი ევაკუირებაც შეუძლებელია, უნდა დაინგრეს. განსაკუთრებით წყალსადენები, ელექტროსადგურები, შახტები, საქარხნო დანადგარები, ყველა სახის წარმოების

<sup>1</sup> Г. Морехина, Рабочий класс—фронту, М., стр. 345.

საშუალებანი. მოსავალი განდგურდეს თუ მისი გატანა შეუძლებელია, სოფლები და სახლები გადაიწვას. დანგრევა და გადაწვა უნდა წარმოებდეს დროულად და არა ჯარის უკან დახვევის ბოლო წუთებში<sup>2</sup>.

მართლაც, ნგრევის მასშტაბები არნახული იყო, საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე 1926 ათასი კვ. კმ-ის ფართობზე, სადაც ცხოვრობდა ომამდე 88 მილიონი ადამიანი მტერმა დატოვა ფერფლისა და ნანგრევების კვალი. გერმანელებმა დაანგრეს და გადაწვეს 1710 ქალაქი და დაბა, 70 ათასზე მეტი რაიონი და სოფელი, 6 მილიონი შენობა, 31 850 სამრეწველო საწარმო, 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 მეურნეობა, 65 ათასი კმ. სიგრძის რკინიგზა და სხვ.<sup>3</sup>

გამარჯვებულ რუსული არქიტექტურის უძველესი ძეგლი — ნოვგოროდის წმ. სოფიოს ტაძარი, შეურაცხვევს და წაბილწეს რუსეთის გამოჩენილი ადამიანების ა.ს. პუშკინის, ლ. ნ. ტოლსტოის, პ.ი. ჩაიკოვსკის, ი. ს. ტურგენევის და სხვ. სახლ-მუზეუმები<sup>4</sup>.

გერმანელთა მხეცობის გამოწვევ მიზეზებს კარგად განმარტავს ი. ბ. სტალინი: „გერმანელი ბოროტმოქმედნი შუა საუკუნეთა ბარბაროსებისა და ატილას ურდოების მსგავსად სთელავენ მინდვრებს, სწვავენ სოფლებსა და ქალაქებს, ანგრევენ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს. გერმანელთა ბოროტმოქმედებანი ფაშისტ დამპყრობთა სისუსტეს მოწმობენ, ვინაიდან ასე იქცევიან მხოლოდ მედროენი, რომელთაც თვითონ არა სწამთ თავიანთი გამარჯვება და რაც უფრო უიმედო ხდება ჰიტლერელთა მდგომარეობა მით უფრო მეტი მძინეარებით ეწევიან ისინი მხეცობასა და ძარცვას“<sup>5</sup>.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფაშისტი მხეცების მიერ მიყენებული ზარალი უზარმაზარ თანხას აღწევდა. ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით თუ ვინისკლებით რაფსრ-ს ზარალი აღწევდა — 255 მილიარდ მანეთს, უკრაინის — 285 მილიარდ მანეთს, ბელორუსიის — 74 მილიარდ მანეთს, ბალტიისპირეთის — 53 მილიარდ მანეთს, მოლდავეთის — 11 მილიარდ მანეთს და სხვ<sup>6</sup>.

სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ხალხმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო. ომმა 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჩვენი ქვეყნის საერთო მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 2 ტრილიონ 569 მილიარდი მანეთი 1941 წლის ფასებით. გარდა ამისა, ომმა აურაცხელი არაპირდაპირი ზარალი მიაყენა ჩვენს საწმობლოს, მნიშვნელოვნად შეანეღა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ტემპი. ომმა დაახლოებით 10 წლით შეაფერხა სსრკ მრეწველობის განვითარება<sup>7</sup>.

ესოდენ დიდი ზარალი რომ განეცადა, ყოველი თუნდაც ყველაზე მაღალგანვითარებული ბურჟუაზიული სახელმწიფოც კი ძლიერ ჩამორჩებოდა და გარდღელად მოექცეოდა სხვა სახელმწიფოთა კაბალაში. იმპერიალისტებიც ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ასეთი გაპარტახების შემდეგ კარგა ხა-

<sup>2</sup> Г. Морехина, журн. «Вопросы истории», М., 1961, № 8, გვ. 41.

<sup>3</sup> А. В. Митрофанова, Рабочий класс СССР в годы Великой Отечественной войны (1941—1945 гг.), М., 1971, გვ. 382.

<sup>4</sup> Л. Володарский, Советский народ восстанавливает хозяйство освобожденных районов, М., 1945, გვ. 6.

<sup>5</sup> ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 114.

<sup>6</sup> Страна Советов за 50 лет, Сборник статистических материалов, М., 1967, გვ. 32—33

<sup>7</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1971, გვ. 794.

ნი ვერ გამართებოდა წელში და გადაიქცეოდა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ, მათ ძლიერ სურდათ გამართლებულყო ფაშისტი გენერლის შტიულუნაგელის პროგნოზი, რომელიც ჰიტლერისადმი მოხსენებაში ამბობდა: „განსხვავება 25 წელი — აი, რადრო დასჭირდება რუსეთს რათა აღადგინოს დანგრეული“<sup>8</sup>. მაგრამ ისინი მოტყუებდნენ, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობებმა, მშრომელთა გმირულმა ღონისძიებებმა იხსნეს ჩვენი ქვეყანა მეორეხარისხოვანი, დამოუკიდებელი ქვეყნის ხედრისაგან. საბჭოთა კავშირმა გმირულად გაუძლო ამ მიმე გამოცდას, მან იპოვა თავის თავში საკმარისი ძალა, რათა ჯერ კიდევ ომის მსვლელობის დროს დაეწყო მტრის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა.

განთავისუფლებულ და ფრონტისპირა ტერიტორიებზე წარმოებული აღდგენითი სამუშაოები სამაჟლო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და გმირობის უბადლო მაგალითია. აღდგენით სამუშაოებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფრონტის საჭიროების უზრუნველსაყოფად და თვით განთავისუფლებული რაიონების პოლიტიკური და მატერიალური ყოფის ასამაღლებლად.

1943 წლის თებერვალში ირკუტსკის ოლქის მშრომელთა ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში გაიშალა მძლავრი სახალხო მოძრაობა, რათა სსრ მთავრობასთან შექმნილიყო ფაშისტური ოკუპაციისაგან დაზარალებული რაიონებისადმი ქმური დახმარების სპეციალური ფონდი<sup>9</sup>.

იმავე, 1943 წელს კუბინიშევის ოლქის მშრომელები გამოვიდნენ განთავისუფლებული რაიონებისადმი შეფობის ინიციატორებად<sup>10</sup>.

1943 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კბ (ბ)ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“<sup>11</sup>.

ეს იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მან გააერთიანა და დარაზმა მშრომელთა ფართო მასები ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის განსამტკიცებლად.

ი. ბ. სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას განთავისუფლებულ რაიონებში.

„ იმ რაიონებში, სადაც დროებით ბატონობდნენ ფაშისტი დამრბენი ჩვენ მოგვიხდება დანგრეული ქალაქებისა და სოფლების მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურული დაწესებულებების აღდგენა, ფაშისტური მონობისაგან დახსნილი ადამიანებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. ახლავ, მთელი ენერგიით არის გაშლილი მუშაობა მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობისა და კულტურის აღსადგენად. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ მთლიანად უნდა მოვახდინოთ გერმანელთა ბატონობის შედეგების ლიკვიდაცია იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა ოკუპირებისაგან. ეს დიდი, საყოველთაო

<sup>8</sup> Л. И. Брежнев, Возрождение, 1980, зб. 7.

<sup>9</sup> Газ. „Правда“, 1943 г. 20 февраля.

<sup>10</sup> იქვე, 23 ავგუს ა.

<sup>11</sup> Н. Вознесенский, Военная экономика СССР в период Великой Отечественной войны, 1947, зб. 63.

5. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1982, № 2



ამოცანა. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გადავწყვიტოთ ეს დიდი და ძნელი ამოცანა მოკლე ვადაში<sup>12</sup>.

ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხებმა თავისი გმირული, შემოქმედებითი შრომით დაძლიეს მათ წინაშე დასმული ესოდენ რთული ამოცანა, რითაც, ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ლენინური მეგობრობის ურყევი ძალა.

საქართველოს მშრომელებმა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ერთგულება ხალხთა ლენინური მეგობრობისადმი და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამარჯვებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ომის პერიოდში საქართველო განიცდიდა დიდ ეკონომიკურ და მატერიალურ სიძნელებს, იგი დიდ დახმარებას უწევდა ფრონტს და მტრისაგან დაზარალებულ რაიონებს. საქართველოს სსრ ფრონტს მისცა ათასობით საბრძოლო თვითმფრინავი, სასროლი და საარტილერიო იარაღი, საბრძოლო მასალა, გარდა ამისა, საქართველოს მრეწველობამ მოძმე რესპუბლიკების სამხედრო ქარხნებს მისცა დიდძალი დეტალები სხვადასხვა საბრძოლო იარაღებისა და საბრძოლო მასალების დასამზადებლად.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში შეაკეთეს ბევრი საბრძოლო გემი, ტანკი, მანქანა და სხვ. საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ ფრონტს მისცა დიდძალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ხოლო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ 115 მილიონ ფუტზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტი<sup>13</sup>.

აგრეთვე, საქართველოს მრეწველობა შეუფერხებლად ამარაგებდა შავი ზღვის ფლოტს, ამიერკავკასიის რკინიგზას ქვანახშირით და სსრკ მეტალურგიულ და სამხედრო მრეწველობას მანგანუმით, ფეროშენადნობების და სხვ. სტრატეგიული მასალით. საქართველოს მშრომელებმა თავიანთი დანაზოგებიდან საბჭოთა სახელმწიფოს მისცეს 3,3 მილიარდ მანეთზე მეტი ფრონტის საქირებისათვის.

საქართველოს მშრომელები ადრე ჩაებნენ დაზარალებული რაიონებისადმი დახმარების კეთილშობილურ საქმეში. ჯერ კიდევ 1942 წლის 22 აპრილს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებანი გერმანელი ოკუპანტებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად. აქ მიღებულ იქნა საქართველოს სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება, რომელიც პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს, აფხაზეთის, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს ავალებდა მოსახლეობაში ფართო პროპაგანდისტული-საავიტაციო მუშაობის გაშლას გერმანელთა ოკუპაციიდან განთავისუფლებული რაიონებისათვის დახმარების ხელის გასაწვდენად. 1943 წლის თებერვალში კი შეიქმნა განთავისუფლებული რაიონების დახმარების ორგანიზაციის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომისიები, რომელთა განკარგულებაში გამოყოფილი იქნა სათავისი ნაგებობები ნივთებისა და პროდუქტების მისაღებად. კომისიებმა ნაყოფიერად იმუშა-

<sup>12</sup> ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 114.

<sup>13</sup> ვახ. „კომუნისტი“ 1946 წ. 25 თებერვალი.

ვეს სამშენებლო და სამრეწველო მასალების, სხვადასხვა მოწყობილობების გამოსავლენად და საშეფო რაიონებში გასაგზავნად. დახმარება მიმდინარეობდა როგორც ცენტრალიზებულად — მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, ასევე დეცენტრალიზებულად — ცალკეული საწარმოების და კოლექტივების მიერ და ატარებდა მრავალმხრივ ხასიათს. იგი ხორციელდებოდა ტექნიკის, პროდუქტების, ნედლეულის გაგზავნით, საქართველოს მუშათა კლასის მონაწილეობით სტალინგრადის, ნოეოროსიისკის აღდგენაში, დონბასის ქვანახშირის შახტების, მძიმე მრეწველობის მრავალი საწარმოს მწყობარში ჩაყენებაში<sup>14</sup>.

ასეთი დახმარება დიდი ტვირთი იყო საქართველოსათვის, იგი თვითონ განიცდიდა კადრების, მუშახელის, მასალების ნაკლებობას, მაგრამ საქართველოს მშრომელებმა გამოიჩინეს დიდი სოლიდარობა და ეხმარებოდნენ მტრისაგან კიდევ უფრო მეტად დაზარალებულ მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს. ისინი გრძნობდნენ, რომ მათ დახმარებას არა მარტო ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ იგი განამტკიცებდა საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალურ მეგობრობას.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში საქართველო ძირითადად დახმარებას უწევდა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს, სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებს, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, ყაბარდობალყარეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს, როსტოვის ოლქს, სტალინგრადს და ლენინგრადს<sup>15</sup>.

როგორც ვიცით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსაკუთრებით დაზიანდა მძიმე მრეწველობა, ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე პირველ რიგში მძიმე მრეწველობის სწრაფი აღდგენის საკითხი დადგა. საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მუშათა კლასიც აქტიურად ჩაება ოკუპირებული ქვეყნის მრეწველობის აღდგენით სამუშაოებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დონბასის აღდგენას. პარტიას ახსოვდა ვ. ი. ლენინის სიტყვები დონბასის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ: „რუსეთში სოციალიზმის მშენებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება მძიმე მრეწველობის აღორძინების გარეშე. მძიმე მრეწველობის აღდგენა შეუძლებელია თუ დონბასის საკითხს სათანადო სიმაღლეზე არ დავაყენებთ“<sup>16</sup>. დონეცკის აუზის აღდგენა მართლაც, რომ სახალხო საქმედ იქცა, აღდგენითი სამუშაოების ტემპი 7—8-ჯერ აღემატებოდა დონბასის აღორძინების ტემპებს სამოქალაქო ომის შემდეგ.

დონბასში საქართველოდან გაიგზავნა საშახტო მოწყობილობები, ტრანსპორტიორები, საყელავი მანქანები, სათადარიგო ნაწილები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ელექტრო დანადგარები, ვაგონები, ვენტლატორები, მეშახტის ტანსაცმელი და ხელსაწყოები, მატარებლების და ვაგონების ელექტროძრავების სათადარიგო ნაწილები, კავშირგაბმულობის აპარატურა და მოწყობილობა. მარტო 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისის კიროვის სახ. ჩარხსამშენებლო ქარხანამ დონბასის მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა 22 სხვადასხვა ჩარხი<sup>17</sup>.

<sup>14</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1944 წ. 13, 15 თებერვალი.

<sup>15</sup> И. П. Бабалашвили, Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны (1941—1945 гг.) 1977, გვ. 269.

<sup>16</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 267.

<sup>17</sup> Коммунистическая партия — организатор освобождения Советской Украины от фашистских захватчиков, Киев, 1975, გვ. 292.

დონბასის მრეწველობის აღსადგენად, კერძოდ, ქალაქ ენაქიევოში დიღხანს მუშაობდა თბილისელ ახალგაზრდათა რაზმი მაღალკვალიფიციური ინჟინრებისა და ტექნიკოსების ხელმძღვანელობით. ეს რაზმი 54 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის შემადგენლობით, რომელთაგან თოთხმეტს მიენიჭა ფრონტული ბრიგადის წოდება სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებდა საწარმოო გეგმებს<sup>18</sup>.

ამ რაზმმა მაღალხარისხოვნად და ვადამდე აღადგინა საგლინავი დგანი, აგრეთვე სხვადასხვა სამრეწველო ობიექტები, მან არაერთხელ გაიმარჯვა დონბასის ახალგაზრდული ბრიგადების სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა<sup>19</sup>.

ქართველი მშრომელებისადმი მაღლიერების გრძნობით არის გამსჭვალული უკრაინის კვ (ბ) დონეცკის საოლქო კომიტეტის წერილი საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი: „წლების მანძილზე მტკიცდებოდა უკრაინისა და მზიური საქართველოს მშრომელთა განუყრელი ძმური მეგობრობა. ეს მეგობრობა კიდევ უფრო გამოიწრთო და განმტკიცდა დიდი სამამულო ომის ცეცხლში. დონბასის მშრომელებმა განსაკუთრებით ღრმად იგრძნეს ეს მეგობრობა და დააფასეს ქართველი ხალხის მიერ გაწეული ძმური დახმარება გერმანელ დამპყრობთაგან დონბასის განთავისუფლების პირველ დღეებში.

ქართველი ხალხი, ისევე, როგორც მთელი ჩვენი მძლავრი საბჭოთა მხარის ყველა ხალხი, ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს დონბასის ინდუსტრიის განვითარებაში<sup>20</sup>.

ოკუპაციისაგან დაზარალებული ტერიტორიის სდა მისი სახალხომეურნეობის აღდგენის ფონდში რესპუბლიკის მშრომელებს შექმნდათ არასამუშაო დროსა და გამოსასვლელ დღეებში გამოიშუშავებული მნიშვნელოვანი ფულადი თანხები. მაგალითად, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მიერ 1943 წლის 19 და 26 სექტემბერს გამოსასვლელ დღეებში გამოიშუშავებული პროდუქცია გაგზავნილი იყო ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად. კერძოდ, საფეიქრო ფაბრიკების მიერ ამ დღეებში გამოშუშავებული პროდუქცია და საქართველოს შახტებში ამოღებული ქვანახშირი დონბასში გაიგზავნა.

აჭარის კომკავშირელები აქტიურად გამოეხმარნენ მოწოდებას „დაეხმაროთ მტრისაგან დაზარალებულ რაიონებს“. მათ შეაგროვეს და გაგზავნეს დონბასელი მეშახტეებისათვის სხვადასხვა მექანიკური მოწყობილობა, 28 პნევმატური ჩაქუჩი, სათადარიგო ნაწილები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ თავიანთი კოლეგების, დონბასელი მეშახტეების გასაჭირს ტყიბულელი და ტყვარჩელელი მეშახტეები. მათ გაუგზავნეს დონბასელებს ელექტროძრავები, ელექტრობურღები, ელექ-

<sup>18</sup> ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, სოციალისტური შეჯიბრების ისტორია საქართველოს მრეწველობაში, 1977, გვ. 151.

<sup>19</sup> გაზ. «Заря Востока», 1944 г. 1 января.

<sup>20</sup> ი. პ. ბ ა ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, Вклад Грузии в общее дело победы над фашизмом (1941—1945 гг.), 1975, გვ. 230.

<sup>21</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, გვ. 225.

<sup>22</sup> გაზ. «Заря Востока», 1944 г. 13 февраля,

ტროტრანსფორმატორები, ვენტილატორები და სხვადასხვა საშახტო მოწყობილობა<sup>23</sup>.

უკრაინელ და ქართველ კოოპერატორებს შორის განახლდა ომის დროს შეწყვეტილი სოციალისტური შეკიბრება. საქართველოს კოოპერაციის სარეწაო კავშირმა უკრაინის სსრ დონეცის ოლქის სარეწაო კოოპერაციას გაუგზავნა ათობით დაზგა, მრგვალი ხერხები, ელექტრომოტორები, საკერავი მანქანები, ბევრი სამრეწველო ნედლეული, სურსათი და სხვადასხვა საჩუქარი<sup>24</sup>.

ქართველ მშრომელებს დიდი წვლილი მიუძღვით ქალაქ სტალინგრადის აღდგენის ჭეშმარიტად სახალხო საქმეში. ისინი აგროვებდნენ ფულს, აზგავნიდნენ გამოსასვლელ დღეებში მოპოვებულ პროდუქციას. სტალინგრადის აღდგენისათვის გადაირიცხა დაახლოებით 3,3 მილიონი მანეთი<sup>25</sup>.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აღსადგენად ორ თვეს მუშაობდა თბილისის კიროვის სახ. ჩარხსაშენებელი ქარხნის კვალიფიციურ მუშათა ბრიგადა ინჟინერ მდივანის ხელმძღვანელობით. მან გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავლება და გეგმის ზევით 12 ლითონსაჭრელი ჩარხი შეაქეთა. თბილისის კიროვის სახ. ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშები აგრეთვე დაემარნენ სტალინგრადელებს ფრუნჯეს სახ. ქარხნის აღდგენის საქმეში. ისინი უგზავნიდნენ თავიანთ მეგობრებს სხვადასხვა მოწყობილობებს, ინსტრუმენტებს, ელექტროძრავებს<sup>26</sup>.

ქართველმა მშრომელებმა შესაძლებლობის ფარგლებში თავდაუზოგავი დახმარება გაუწიეს ქ. სტავროპოლის მშრომელებს. 1943 წლის აპრილში და მისისში სტავროპოლის მხარეში საქართველოდან გაიგზავნა 2 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი და საკვები პროდუქტი<sup>27</sup>.

„სტავროპოლშენის“ აღდგენისათვის საქართველოდან გაიგზავნა სადღურგლო, საჭრელი ინსტრუმენტები, ელექტროძრავები და სხვადასხვა ელექტრომოწყობილობა, რაც მოხმარდა დანგრეული მექანიკური, ენერგეტიკული მეურნეობების აგრეთვე საშენებლო მექანიზმების მწყობარში ჩაყენებას<sup>28</sup>. გარდა ამისა, ქართველებმა სტავროპოლელებს გაუგზავნეს 3,5 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი, რისთვისაც ამ ქალაქის მშრომელთა მადლობა დამისახურეს<sup>29</sup>.

საქართველოს „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტის კოლექტივი დიდ მონაწილეობას იღებდა ნიკოპოლის მანგანუმის საბადოების აღდგენაში. 1944 წლის აპრილში „ჭიათურმარგანტრესტის“ კოლექტივმა გაგზავნა ნიკოპოლში 2 შტაუხის ტიპის მანქანა, 2 ფერარის ტიპის მასაზრდოებელი, 2 ბაღე, გარდა ამისა 5 სარანდავი და საჩარხო დაზგა, ნახევარი ტონა ლურსმანი, 100 კგ. ქალაღლი, საბავშვო საწოლი ბავშვებისათვის, 3 შესაღლებელი ელექტრომოწყობილობა და სხვ.<sup>30</sup>

<sup>23</sup> К. В. Цкитишвили, Закавказье в годы Великой Отечественной войны 1941—1945 гг. 1969, гл. 369.

<sup>24</sup> газ. «Заря Востока», 1944 г. 23 февраля.

<sup>25</sup> газ. «Заря Востока», 1943 г. 10 сентября.

<sup>26</sup> газ. «Заря Востока», 1943 г. 18 сентября.

<sup>27</sup> ორსმცსა, ფ. 600, ან. 1, საქმე 60808, ფ. 111.

<sup>28</sup> ორსმცსა, ფ. 600, ან. 1, საქმე 6809, ფ. 148.

<sup>29</sup> И. П. Бабалашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

<sup>30</sup> газ. «Заря Востока», 1944, г. 15 апреля.



1944 წლის 1 მაისისათვის კი „ჭიათურმარგანეის“ ტრესტის მშრომლები წერდნენ თავის ნიკოპოლელ კოლეგებს: „საპირველმაისო დღესასწაულისათვის ჩვენ მოვამზადეთ და უახლოეს დღეებში გამოვიგზავნით 4 სახარატო ჩარხს, 1 სარანდავ დაზვას, 1 სამკედლო ვენტილატორს ძრავით, მარკშიდერის ინსტრუმენტების 7 კომპლექტს, 2500 ცალ სხვადასხვა მოწყობილობას, 200 კგ. სატელეფონო კაბელს. 100 ცალ სხვადასხვა ბურღს, 500 კგ. ლურსმანს, 399 ცალ საღურგლო და სამონტაჟო ინსტრუმენტებს და სხვადასხვა მასალას<sup>31</sup>.

ჭიათურიდან აგრეთვე გაიგზავნა ორი რთული მანქანა მარგანეის დამამზადებელი ფაბრიკისათვის<sup>32</sup>. 1944 და 1945 წლებში კიდევ უფრო იზრდებოდა ჭიათურელთა დახმარება ნიკოპოლელებისადმი, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანების გაგზავნით<sup>33</sup>.

ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის აღდგენაში მონაწილეობდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშრომლები. ისინი უგზავნიდნენ თავიანთ კოლეგებს საღურგლო, საჭრელ და სარანდავ მოწყობილობებს. ელექტრობურღებს და სხვადასხვა სამრეწველო საქონელს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ხრამქსმშენის“ კოლექტივის წვლილი განთავისუფლებული რაიონების აღდგენით სამუშაოებში. ამ კოლექტივმა დიდი მონაწილეობა მიიღო კავკასიის ყველაზე უმსხვილესი ბაქსანის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენით სამუშაოებში. აღდგენით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ცისკარელი, რომელიც მიაგლინეს ბაქსანის ჰიდროელექტროსადგურის აღსადგენად საქართველოს რესპუბლიკური საშენობილო ინჟინერ-ტექნიკური საზოგადოებიდან. შას ექვემდებარებოდნენ ბაქსანის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენაზე მივლენილი „ხრამქსმშენის“ მშენებელთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ჰიდროშენებლები ე. რუხაძე, ა. განგია, პ. მესხივილი, ა. მიქაბერიძე, ე. რუხაძე, მ. ებრაღიძე და სხვ. მათ თავიანთი დაუღალავი შრომით დიდი წვლილი შეიტანეს ბაქსანის ელექტროსადგურის მწყობრში ჩაყენებაში<sup>34</sup>.

1943 წლის 25 დეკემბერს ბაქსანის ჰიდროელექტროსადგური უკვე ჩაღმა მწყობრში და ენერჯია მისცა ნალჩიკის მრეწველობასა და მინერალური წყლების კურორტებს<sup>35</sup>.

აგარის შაქრის ქარხნის მუშებმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს უკრაინის და ყუბანის შაქრის ქარხნის მუშებს აღდგენით სამუშაოებში. უგზავნიდნენ სხვადასხვა სამრეწველო საქონელს და კვების პროდუქტებს<sup>36</sup>.

საქართველოდან როსტოვის მხარის მშრომლებს, პირძოდ, როსტოვის ფეხსაცმლის ფაბრიკას გაეგზავნა 20 ელექტროძრავა, სხვადასხვა ელექტრომოწყობილობა და სამრეწველო საქონელი. გარდა ამისა 1943 წლის აპრილის და მაისის თვეებში მათ გაეგზავნათ თითქმის 2 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი და არასამუშაო და გამოსასვლელ დღეებში გამოუმუშავებული ფული.

<sup>31</sup> К. В. Цкитишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 369.

<sup>32</sup> Л. Володарский, Советский народ восстанавливает хозяйство освобожденных районов, М., 1945, გვ. 37.

<sup>33</sup> История Грузии, т. III, Тб., 1968, გვ. 209.

<sup>34</sup> газ. «Заря Востока», 1944 г. 27 января.

<sup>35</sup> М. В. Натмеладзе, Н. И. Стурua, Из истории рабочего класса Грузии, Тб., გვ. 143.

<sup>36</sup> ა. იოსელიანი, საქართველოს სსრ დიდ სამამულო ომში, გვ. 437.

როსტოვის ოლქის მშრომელებმა 1943 წლის მეორე ნახევარში საქართველოდან მიიღეს რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულების მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი. მარტო 1943 წლის მეოთხე კვარტალში გაიგზავნა 300 ათასი მანეთის ტანსაცმელი, 500 ათასი მანეთის სამკერვალო საქონელი, 720 ათასი მანეთის წინდები, 710 მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი და ა. შ.

საქართველოს მშრომელებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკას მტრისაგან დაზარალებული მეურნეობის აღდგენაში. მტერმა დაანგრია ქ. გროზნოს ნავთობგადამამუშავებელი მოწყობილობები და სხვ.<sup>38</sup> 1943 წლის დასასრულისათვის თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში გარემონტებული იყო ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის 59 ავტომანქანა, გარდა ამისა გაიგზავნათ სხვადასხვა მასალა და მოწყობილობა<sup>39</sup>.

ჩრდ. ოსეთის კვ (ბ) საოლქო კომიტეტის წერილში საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი ხაზგასმით აღნიშნულია საქართველოს წვლილი ჩრდ. ოსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენაში. „ჩრდ. ოსეთის კვ (ბ) საოლქო კომიტეტის სახელით და ქ. ორჯონიკიძის თავდაცვის კონტეტის სახელით დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ბოლშევიკებს მათი ძმური ყურადღებისა და დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს ჩრდ. ოსეთს მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველაზე მძიმე დღეებში“<sup>40</sup>.

განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად საქართველო აგზავნიდა სპეციალისტებს და დიდი რაოდენობით საშენ მასალას. 1944 წლის მხოლოდ მაის-ივნისში უკრაინისა და ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა რაიონში გაიგზავნა კასპის ცემენტის ქარხნიდან ცემენტით დატვირთული 114 ვაგონი<sup>41</sup>.

ქ. ნოვოროსისკის აღსადგენად ფოთიდან, ბათუმიდან და სოხუმიდან გაიგზავნა სპეციალური სამშენებლო ბრიგადები, რომლებიც ალტურვილი იყვნენ დიდალი საშენი მასალით. მაგ. ფოთელებმა ნოვოროსისკელებს საჩუქრად შეუქეთეს საბურღო და სახარატო ჩარხები, ორი ელექტრომოტორი, დაამზადეს 200 ნიჩაბი, აგრეთვე გაუგზავნეს 500 კუბ. მეტრი შეშა<sup>42</sup>.

კრასნოდარის მშრომელების დასახმარებლად საქართველოს მშრომელები აგროვებდნენ ფულად სახსრებს. მუშაობდნენ გამოსასვლელ და არასანუშაო დღეებში 1943 წლის მეორე ნახევარში კრასნოდარის მხარეში გაიგზავნა 2 მილიონამდე ღირებულების სხვადასხვა სამრეწველო და ფართო მოხმარების საქონელი<sup>43</sup>.

საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ მშენებელთა საზოგადოებასთან ორგანიზებულ იქნა კურსები საზოგადოებრივ საწყისებზე ეს საზოგადოება სისტემატურ დახმარებას უწევდა ჩრდ. კავკასიის ქალაქების დონის-როსტოვის, პოლტავის და სხვ. სამშენებლო ორგანიზაციები აღდგენითი სამუშაოე-

<sup>37</sup> ორსმცსა, ფ. 600, ან. 1, 6721, ფ. 20.

<sup>38</sup> Филькин, Чечено-Ингушская АССР в годы Великой Отечественной войны Советского Союза, გვ. 105.

<sup>39</sup> И. П. Бабалашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 278.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 278.

<sup>41</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1943 წ. 21 ნოემბერი.

<sup>42</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1943 წ. 28 ნოემბერი.

<sup>43</sup> ორსმცსა, ფ. 600, ან. 1 ს. 6721, ფ. 20.

ბის წარმოებაში. განთავისუფლებული რაიონების აღსადგენად სულ მიავირნეს 3000 კაცი<sup>44</sup>:

საქართველოს სსრ მოძმე რესპუბლიკების მხარდამხარ ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა დახმარებოდა და თავისი წვლილი შეეტანა განთავისუფლებული ტერიტორიების სახალხო მეურნეობის აღდგენის გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში. „აქ ერთხელ კიდევ იჩინა თავი ხალხთა ლენინურმა მეგობრობამ — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის ურყევმა საფუძველმა“ — ამბობდა თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი<sup>45</sup>.

საბჭოთა ხალხის გიგანტური შრომის შემდეგ ომის დამთავრებამდე აღდგენილი საწარმოები იძლეოდნენ პროდუქციას და მას ახმარებდნენ ფრონტის საჭიროებას. 1944 წლის 23 აგვისტოს გაზეთ „პრავდის“ ფერცლებზე ვკითხულობთ: „მსოფლიოს ისტორიაში არ ყოფილა სახელმწიფო, რომელიც მტრის მიმდინარეობას შეუფარდებდა გრანდიოზული მშენებლობის გეგმებს, მტრის მიერ გაპარტახებული რაიონების აღდგენას უმოკლეს ვადაში. მხოლოდ ძლიერმა საბჭოთა სახელმწიფომ შეძლო ომის შედეგების ლიკვიდაცია ომის მიმდინარეობის პერიოდში<sup>46</sup>. უკვე 1944 წლისთვის განთავისუფლებული რაიონების აღდგენილი მრეწველობა იძლეოდა 8,3 მილიარდ მანეთის პროდუქციას (1941 წლის ფასების მიხედვით)<sup>47</sup>. აღდგენითი სამუშაოების ასეთი სწრაფი ტემპი მართლაც რომ საკვირველი იყო იმ ქვეყნისათვის, რომელმაც საშინელი გაპარტახება განიცადა მტრის ძლიერი შემოსევის შედეგად.

ეს არნახული გამარჯვება იყო შედეგი საბჭოთა ხალხის მეგობრობის, სოლიდარობის, ინტერნაციონალიზმის. ეს ლენინური პოლიტიკის აშკარა ტრიუმფი იყო.

ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს ომი რომ აუტეხეს, გერმანელ ფაშისტებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა ხალხების მეგობრობა მტკიცე არ იქნებოდა. ომმა ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა — სოციალისტური სახელმწიფოს ერთგული საფუძველი მტკიცე და ურღვევია. ამ მეგობრობის განმტკიცებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმაც, რომელიც ერთგულად ასრულებს ხალხთა მეგობრობის დიადი მშენებლის ვ. ი. ლენინის ანდერძს.

О. А. МАНДЖГАЛАЗЕ

## УЧАСТИЕ ГРУЗИИ В ДЕЛЕ ВОССТАНОВЛЕНИЯ ПРОМЫШЛЕННОСТИ В ОСВОБОЖДЕННЫХ ОТ ФАШИСТСКОЙ ОКУПАЦИИ РАЙОНАХ

Резюме

Великая Отечественная война еще раз доказала нерушимость дружбы народов Советского Союза. Подтверждением этой дружбы

<sup>44</sup> ორსმცა, ფ. 2514, ს. 966, ფ. 2.

<sup>45</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წელი, თბ., 1971, გვ. 15.

<sup>46</sup> გაზ. «Правда», 1944 გ. 23 ავგუსტა.

<sup>47</sup> Н. Вознесенский, Военная экономика СССР в период Великой Отечественной войны, 1947, გვ. 61.

служит братская помощь всех республик в деле восстановления разрушенного немецкими оккупантами народного хозяйства на оккупированных территориях страны.

Восстановление заводов, фабрик, жилых домов, предприятий, школ, вузов и др. являлось наиважнейшей задачей того времени и самым героическим является то, что процесс восстановления был начат в тяжелые дни войны.

Трудящиеся Грузии проявили большую солидарность и интернационализм, несмотря на то, что в период войны сама республика переживала большие трудности. Грузинский народ, не раздумывая, протянул руку помощи пострадавшим от немецких извергов районам страны. В статье на основании фактического материала показана та братская помощь, какую оказали трудящиеся Грузии в восстановлении промышленности на оккупированной территории страны.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი სამამულო ომის ის-  
ტორიის განყოფილებამ



С. З. ЛАКОБА

## РЕВОЛЮЦИОННЫЕ ВЫСТУПЛЕНИЯ ВОИНСКИХ ЧАСТЕЙ В АБХАЗИИ В 1905 ГОДУ И ВЛИЯНИЕ НА НИХ БРОНЕНОСЦА «ПОТЕМКИНА»

Первая русская революция сыграла выдающуюся роль в грядущих судьбах страны. Наиважнейшим завоеванием 1905 года является, пожалуй, переход частей армии и флота — оплота самодержавия — на сторону восставшего народа.

В известной своей статье «Революционная армия и революционное правительство» В. И. Ленин писал: «Начались настоящие уличные сражения народа с войском, битвы на баррикадах Кавказ, Лодзь, Одесса, Либава показали нам в самое последнее время образцы, пролетарского героизма и народного энтузиазма. Борьба переросла в восстание... Армия стала колебаться. Сначала отдельные случаи неповиновения, вспышки запасных, протесты офицеров, агитация среди солдат, отказ отдельных рот или полков стрелять в своих братьев — рабочих. Затем — переход части армии на сторону восстания.

Громадное значение последних одесских событий состоит именно в том, что здесь впервые крупная часть военной силы царизма — целый броненосец — перешла открыто на сторону революции.<sup>1</sup>

Первым свои орудия на имперского орла направил эскадренный броненосец Черноморского флота «Князь Потемкин-Таврический», восставший в Тендровском заливе 14 июня. К нему присоединился миноносец № 267. В тот же день они пришли в Одессу, но не воспользовались всеобщей забастовкой рабочих для захвата города, допустив грубую тактическую ошибку. Правительство пыталось сохранить в тайне это чрезвычайное происшествие и оперативно погасить восстание. С этой целью оно направило весь черноморский флот на поиски броненосца. 17-го июня они встретились и неожиданно для командования весь флот приветствовал «Потемкина», а броненосец «Георгий Победоносец» перешел в стан революции (правда, всего на один день). Запасы угля и продовольствия иссякали, необходимо было пополнить их. С этой целью «Потемкин» 18 июня пришел в румынский порт Констанцу, но ему было отказано в пополнении запасов, после чего он направился в Феодосию. В конце концов экипаж «Потемкина» (свыше 700 человек) без угля, воды и продовольствия вынужден был снова вернуться в Констанцу и 25 июня сдался румынским властям.

<sup>1</sup> В. И. Ленин, ПСС, т. 10, с. 336.

Напуганное царское правительство неоднократно обращалось «К Румынии и Турции с просьбой о полицейской помощи против восставших матросов. Вот когда оказалось, что «турки внутренние» страшнее для русского народа, чем всякие «турки внешние».<sup>2</sup>

Воспользовавшись чрезвычайно шатким положением самодержавия в России, Турция старалась из сложившейся ситуации извлечь для себя внешнеполитические выгоды. 26 июня русский морской агент в Константинополе телеграфировал начальнику штаба Черноморского флота: «Турция, пользуясь случаем с эскадронным броненосцем «Князь Потемкин-Таврический», приступает к усилению Босфорских укреплений...»<sup>3</sup> Восстание на русском военном корабле произвело «сильное впечатление на султана», у которого несколько раз собирался совет. На совете было решено установить на верхнем Босфоре тяжелые орудия и 5 линий минных заграждений. Работы эти продолжались и 28 июня 1905 г., «несмотря на получение сведений о сдаче броненосца».<sup>4</sup> Более того, сразу после получения известия о разоружении революционного экипажа молчавшая до тех пор о броненосце турецкая пресса, несомненно, с ведома правительства 26 июня вдруг сообщила (газета «Икдам») не только о восстании на «Потемкине», но и «вообще о беспорядках в России»<sup>5</sup>

Специальную докладную морскому министру по поводу минирования и укрепления турками Босфора представил контр-адмирал А. Вирениус<sup>6</sup>. 2-го сентября русский посол предъявил султану устный протест в связи с усилением Босфорских укреплений<sup>7</sup>. Таким образом события на Черном море, «блуждание» по его портам восставшего «Потемкина» резко обострили отношения между Турцией и Россией.

Конечно же, оснований для серьезного беспокойства у султана было больше чем достаточно. Турецкое правительство зорко следило за каждым сообщением в прессе с упоминанием броненосца. Султана не могло не обеспокоить, например, такое сообщение Российского телеграфного агентства: «Сухум, 24-го июня. По случаю появления броненосца «Князь Потемкин» власти имеют распоряжение не допускать сообщения последнего с городом»<sup>8</sup>.

В этой связи необходимо обратить пристальное внимание на следующий факт. Известно, что «Потемкин» запаса провиантом в

<sup>2</sup> В. И. Ленин, ПСС, т. 10, с. 345.

<sup>3</sup> ЦГАВМФ (Ленинград), ф. 418, оп. I, д. 4178, л. 84 и об.; ЦГА Абх. АССР, ф. 1047 (А. О. Тулумджян), д. 97.

<sup>4</sup> ЦГАВМФ, ф. 418, оп. I, д. 4178, л. 86 и об.; ЦГА Абх. АССР, ф. 1046 (А. О. Тулумджян), д. 97.

<sup>5</sup> ЦГАВМФ, ф. 418, оп. I, д. 4178, л. 89 и об.

<sup>6</sup> Там же, л. 124, и об.

<sup>7</sup> Там же, л. 129.

<sup>8</sup> «Кавказ», 28 июня 1905, № 159.

Феодосии и 23 июня «отплыл по неизвестному назначению», задавшись «целью поднять восстание во всех прибрежных городах».<sup>9</sup>

Ожидали броненосец с 23 по 25-ое июня не только в Сухуме, но и в Гаграх. Позже в одной из корреспонденций рассказывалось:

«Когда в Гаграх получено было известие, что броненосец «Князь Потемкин-Таврический» из Феодосии двинулся на юг, а затем телеграммы уведомили, что он прошел мимо Новороссийска на юг, то в Гаграх, естественно, возникла опасность, чтоб он не появился в их бухте. На такого рода опасения наводили три обстоятельства: во-первых, часть морской команды в Гаграх состоит из матросов этого броненосца, а во-вторых, климатической станцией которой было получено 19.000 пудов каменного угля и, в-третьих, — несмотря на присутствие роты солдат, взвода казаков, морской команды и пограничной стражи и 6 пушек — двух горных и 4 старых «времен очаковских покоренья Крыма»... — в сущности Гагры были совершенно беззащитны перед броненосцем, который, пользуясь приглубинностью берега, мог подойти на вполне близкое расстояние и расстрелять Гагры даже из самой мелкой артиллерии. Понятно, какой переполох поднялся в маленьком поселении, когда телеграф из Сочи известил ночью, что броненосец прошел на юг... Среди жителей поднялась паника... Тревожная ночь прошла, и броненосца не оказалось, — все облегченно вздохнули...»<sup>10</sup>

В эти последние июньские дни броненосец видели в 2 часа ночи у Адлера, но он проследовал мимо, в сторону Гагр и Сухума с потухшими огнями<sup>11</sup>. Несомненно, что «Потемкин» находился в одну из последних своих ночей в территориальных водах Абхазии, но не заходя в Гагры и Сухум, где-то между этими пунктами, развернулся и взял курс на Констанцу...

Администрация Сухумского округа, обыватели города, и так напуганные размахом революционного движения в Абхазии, пришли в крайнее замешательство от последних событий на Черном море. Так, «в ночь на 25-ое число... весь Сухумский полк в боевом порядке выступил для встречи броненосца «Князь Потемкин», но тревога оказалась ложной и, дойдя до маяка, полк благополучно возвратился в казармы».

В городе началась паника, по просьбе населения было созвано частное совещание думы, на котором гласные постановили: просить Кавказского наместника отменить распоряжение «о недопущении высадки матросов в Сухуме». Городской голова направил графу И. И. Воронцову-Дашкову в Тифлис телеграмму следующего содержания:

<sup>9</sup> В. И. Ленин, ПСС, т. 10, с. 351.

<sup>10</sup> «Кавказ», 22 июля 1905, № 183; А. Н. Мелихов, Абхазия в годы первой русской революции. См. сб.: «Из истории революционных событий в Абхазии в 1905—1907 гг.», Сухуми, 1955, с. 22.

<sup>11</sup> «Черноморский вестник», 7 июля 1905, № 91.



«В виду возможности появления в Сухуме за провиантом броненосца «Потемкина» в городе паника, ибо военные власти распорядились на этот случай не допускать сообщения «Потемкина» с берегом, что может вызвать разгром города броненосцем. По просьбе встревоженных горожан и согласно постановления частного совещания гласных думы, почтительнейше прошу Ваше Снятельство отменить названное распоряжение начальника гарнизона и тем спасти город от разорения»<sup>12</sup>.

Подобные сообщения в определенной степени объясняют то, почему известный революционер М. И. Васильев-Южин летом 1905 года оказался в Сухуме и жил в имени Вороновых — цебельдинской «Ясочке»<sup>13</sup>. Посланный В. И. Лениным из Женева для связи с «Потемкиным», он с опозданием прибыл в Одессу. Броненосец ушел, а Васильев-Южин всю вторую половину июня продолжал разыскивать его в Новороссийске, в Сухуме, в Батуме...

Восстание революционно настроенных матросов «Потемкина» оказало свое воздействие на Сухумский 258-ой пехотный резервный полк, команда которого по ложной тревоге выходила встречать броненосец. 13 июля 1905 г. помощник начальника Кутаисского губернского жандармского управления в Сухумском округе ротмистр Ушинский доносил в особый отдел Департамента полиции:

«По полученным мною негласным путем сведениям... 10 июля нижние чины расквартированного в г. Сухуме 258-го пехотного резервного Сухумского полка стали выражать неудовольствие на выдаваемый им казенный хлеб, находя его плохо изготовленным и испеченным»... На следующий день «почти весь полк не вышел на ужин»<sup>14</sup>.

Тогда же «8-ая рота этого полка будучи недовольна своим ротным командиром капитаном Якубовским... не допустила арестовать одного нижнего чина этой роты...» Полицией было установлено, что «за последнее время участилось подбрасывание в расположение полка различных революционных воззваний к солдатам (местных, батумских, Центрального Комитета, на русском и грузинском языках)»... По словам ротмистра революционная пропагандистская литература проникала в полк через посредство солдат — «и, имея прецедентом случай с броненосцем «Князь Потемкин-Таврический» рассчитана на подобный же успех. В данном случае весьма возможно предположить, что неудовлетворительная выпечка в полку хлеба производится умышленно, под влиянием пропаганды, с целью вызвать у массы нижних

<sup>12</sup> «Черноморский вестник». 3 июля 1905, № 88.

<sup>13</sup> В. П. Пачулиа. По древней, но вечно молодой Абхазии, Сухуми, 1969, с. 63—64; И. П. Лейберов. Цебельдинская находка, М., 1976, с. 189—190; Г. А. Дзидзария. В. И. Ленин и Абхазия, Сухуми, 1977, с. 36.

<sup>14</sup> А. Н. Мелихов, Абхазия в годы..., с. 21—22; «Очерки истории Абхазской АССР», ч. I, Сухуми, 1960, с. 245. Б. Е. Сагария, Большевики Абхазии в годы первой русской революции, Сухуми, 1977, с. 27—28.



чанов неудовольствие, которое, при известной подготовленности этой массы той же пропагандой, легко может перейти в открытый ропот и мятеж»<sup>15</sup>.

Слустья несколько дней после этого происшествия, 13 июля 1905 года, рано утром, прапорщик Коппе застал в спальном помещении хлебосков 258-го Сухумского полка рядовых Ефима Мовенко, Франца Бурыку и Ефима Полякова «за чтением преступного воззвания Российской социал-демократической рабочей партии под заглавием «Солдатская памятка» женеvского издания, отпечатанного типографским способом». Солдаты показали, что «воззвание ими было найдено под обеденным столом в столовой учебной команды...»<sup>16</sup>

Июньское восстание матросов на военном корабле Черноморского флота оказало большое воздействие на солдат Сухумского гарнизона. Летом 1905 г. всю империю охватила цепная реакция подобных выступлений, грозящих полным крахом реакционному самодержавному строю. Сбывались на практике предвидения В. И. Ленина, его слова о том, что «броненосец «Потемкин» остался непобежденной территорией революции и, какова бы ни была его судьба, перед нами налицо несомненный и знаменательнейший факт: попытка образования ядра революционной армии»<sup>17</sup>:

Конечно же, огромное влияние на солдат Сухумского полка оказали события, связанные с «Потемкинским», но необходимо отметить, что помимо этого фактора, важную роль сыграла и революционная пропаганда, которая велась здесь среди солдат и офицеров задолго до событий на Черном море. Еще в 1903 году к дознанию был привлечен подполковник 258-го Сухумского полка Авель Шадинов, дерзко порицавший деятельность правительства среди солдат, оскорбляя при этом Николая II<sup>18</sup>. А всего за несколько месяцев до восстания «Потемкина» революционно настроенный рядовой того же полка Иоаким Модебазе выстрелом из винтовки убил городского<sup>19</sup>.

Как известно, события революции в течение всего 1905 года, вплоть до декабрьского вооруженного восстания в Москве, развивались по восходящей линии. Особенно активизировалось всенародное движение после Манифеста 17 октября. Наиболее отчетливый, яркий характер в Абхазии оно приняло в городе Сухуме, Самурзаканском (Гальском) и Гудаутском участках, в последнем из которых видную роль играл Серго Орджоникидзе. Здесь действовали народный суд, народная милиция, разоружались стражники и чины полиции, бой-

<sup>15</sup> ЦГАОР, ф. 102 (ДП), 1905, оп. 00, д. 1877, ч. 34, лл. II и об.—12 и об.

<sup>16</sup> А. Н. Мелихов. Абхазия в годы..., с. 21—22; ЦГАОР, ф. 102 (ДП), 1905, 7 д-во, д. 4061, лл. 3—5.

<sup>17</sup> В. И. Ленин. ПСС, т. 10, с. 336—337.

<sup>18</sup> ЦГАОР, ф. 124 (Мин. Юст.), 1903, оп 12, д. 1837, лл. 3—4.

<sup>19</sup> ЦГВИА, ф. 1308, оп. I, д. 14650, лл. 1—7 и об.

котировались правительственные учреждения<sup>20</sup>. Местечко Гагры («Гагринская климатическая станция» принца А. П. Ольденбургского), хотя и было накануне революции (13 января 1902) административно выделено из Сухумского округа и присоединено к Черноморской губернии, продолжало оставаться тесно связанным с Абхазией<sup>21</sup>. В Гаграх была сильная социал-демократическая организация фракции большевиков, руководившая здесь революционным движением (приняли участие в Сочинском вооруженном восстании<sup>22</sup>). Кропотливую агитационную работу гагрские революционеры вели среди солдат и матросов местного гарнизона. Как уже говорилось выше, матросы эти были списаны с броненосца «Потемкин» на берег незадолго до восстания<sup>23</sup>. С каждым днем команду легендарного броненосца в связи с ростом революционного движения становилось все опаснее держать в Гаграх. В связи с этим в ноябре 1905 г. начальник Климатической станции капитан Кропачев принял решение о высылке матросов в Севастополь. Но матросы обратились за помощью к большевикам<sup>24</sup>. 28 ноября революционеры представили заведущему полицейской частью в Гаграх Аматауни и начальнику станции «требование об отмене сделанного военным начальством распоряжения о высылке из местного гарнизона в Севастополь восьми неблагонадежных в политическом отношении матросов», причем, чтобы заставить военное начальство исполнить это требование, ими была объявлена общая забастовка с закрытием водопровода. Революционеры овладели пекарней, из которой выдавали хлеб только причастным к народному движению и трудящимся. Выступая на митинге, один из ораторов высказался: «Матросы за нас и мы должны быть за матросов». Он старался «внушить нижним чинам, чтобы они не боялись начальства и в случае какого-либо зыскания... приходили сказать об этом им». Революционеры «старались свратить казаков, нижних чинов пограничной стражи, стражников и вообще всех воинских нижних чинов на сторону революционной партии»<sup>25</sup>.

Гагрская организация РСДРП отвоевала на сторону революции всю команду матросов. Командир местного отряда Черноморской береговой пограничной стражи ротмистр Крживоблоцкий в феврале 1906 года показывал: «Торжество революционеров был полное. После этого гарнизон Гагр не только был ослаблен на 24 человека, но и

<sup>20</sup> «Очерки истории Абхазской АССР», ч. I, с. 249—253; Г. А. Дзидзария. Наш Серго, Сухуми, 1976, с. 12—13; С. З. Лакоба, Сухумский народный суд в 1905 году. См.: «Труды Абхазского государственного музея, Вып. V», Сухуми, 1980, с. 32—37.

<sup>21</sup> «Очерки истории...» ч. I, с. 237.

<sup>22</sup> А. О. Тулумджян, Декабрьское вооруженное восстание 1905 года в Сочинском округе. См. сб.: «Из истории революционных событий в Абхазии в 1905—1907 гг.», с. 120—121, 125—126, 147.

<sup>23</sup> А. Н. Мелихов, Абхазия в годы..., с. 22.

<sup>24</sup> ЦГИА Груз. ССР, ф. 113, оп. 2, д. 216<sup>4</sup>, л. 58об.

<sup>25</sup> Там же, лл. 25об. — 27 и об.

получил 24 хорошо вооруженных противника, что при остальном гарнизоне (рота, казаки и пограничная стража) в 65 человек имело существенное значение. Между матросами и революционерами началось сближение. Матросы поняли, что революционеры составляют силу, перед которой пасует администрация..., и потому являются их надежным защитниками, и чтобы сблизиться с ними, стали ходить на митинги... В свою очередь революционеры стали по ночам являться к матросам в казарму...» Таким образом «вся власть постепенно и очень мирно» переходила здесь «к революционерам, их комитет действовал»<sup>26</sup>.

Тогда же, в ноябре, неожиданно для властей вышли из повиновения солдаты и казаки Сухумского гарнизона. В это время в городе происходили крупные события подлинно революционного характера. 16 ноября состоялись выборы в Комиссию народного суда, председателем которой стал Б. Н. Захаров, а на следующий день была сформирована народная милиция, которую возглавил 22-летний большевик Леван Готошия (личный телохранитель Бориса Захарова)<sup>27</sup>. Одновременно с этими мероприятиями революционеров 17 ноября собрался «солдатско-казачий митинг во дворе сухумских казарм для обсуждения своих нужд. Выступали ораторами сами солдаты и казаки». Они призывали «распространить на солдат права, признанные манифестом 17 октября». Среди ораторов выделялся один нижний чин, указывавший своим «товарищам-солдатам на общие причины, порождающие как бесправное положение солдат, так и всего русского народа, на то, что солдаты до сих пор сами служили оплотом темным силам самодержавия, державшим в черном теле бесправия и невежества весь трудящийся народ, что настало время солдатам понять, кто их враг и кто друг, соединиться в борьбе... со всем восставшим трудовым народом и дружным напором разрушить ненавистное царство насильников и палачей»<sup>28</sup>.

На митинг явились депутаты от казачьей сотни Лабинского полка, присоединившиеся ко всем требованиям солдат. «Появление казаков, — говорится в статье «Митинги в сухумском гарнизоне», — было встречено солдатами восторженно. Долго раздавалось могучее ура. Наконец, один из нижних чинов обратился к солдатам и, указывая на казаков, сказал: «Товарищи! Вы видите перед собой тех самых казаков, на которых с ужасом смотрит весь русский народ, тех самых казаков, которые избивали нагайками рабочих и интеллигенцию, которые расстреливали своих братьев крестьян... Это те же казаки, которые были оплотом самодержавия, сделавшего их такими, держа их во тьме и невежестве, постоянно вбивая им в головы о «зловредности» внутренних врагов... и вот вы видите их перед собой,

<sup>26</sup> ЦГИА Груз. СССР, ф. 113, оп. 2, д. 216<sup>4</sup>, л. 59 и об.

<sup>27</sup> С. З. Лакоба, Сухумский народный суд..., с. 33—34.

<sup>28</sup> «Возрождение», 4 декабря 1905, № 40.



они поняли, наконец, кто их сделал такими, они поняли, что они те же крестьяне, те же рабочие, они поняли, что они должны быть с народом и за народ. И вот, товарищи, они к нам пришли, чтобы заключить союз с нами и народом»<sup>29</sup>.

Затем митинг единогласно поддержал требования багумского гарнизона. 18 ноября солдатско-казачий митинг продолжился. С 12 часов дня народ стекался к казармам 258-го Сухумского полка. В этот день были зачитаны 32 пункта «Требований солдат и казаков сухумского гарнизона,» в которых наряду с экономическими были выдвинуты и положения политического характера. Приведем наиболее интересные из этих пунктов:

«...12. Не посылать солдат и казаков исполнять оскорбительные для них полицейские обязанности.

13. Во время забастовок не посылать солдат на место бастующих.

...16. Никто не должен быть арестован за политические убеждения, а тем паче за защиту солдатских и казачьих интересов.

17. Всякий арест и предложение наказания на нижнего чина должны быть произведены только после обсуждения и решения всех его товарищей по роте.

18. Отменить всякое шпионство и опеку над солдатами.

19. Со всеми нижними чинами начальству обращаться вежливо на «вы» и руками отнюдь не прикасаться.

...24. Распространить на войско действие манифеста, объявляющего свободу слова, собраний, амнистий и др. необходимых облегчений.

25. Все солдатские выборные неприкосновенны и могут смеяться только солдатами.

...32. Никто из предъявивших вышеупомянутые требования не должен быть ни наказан, ни выслан; за каждого пострадавшего казака встанет на защиту сухумский полк, а за каждого солдата казачья сотня»<sup>30</sup>.

После читки требований на многотысячном митинге выступили с речью оратор социал-демократ, «который приветствовал казаков и солдат от имени пролетариата, указан на то, что пролетариат добился свободы только тогда, когда соединился в грозную армию и когда понял, что в единении сила и призывал также объединиться и слиться с пролетариатом. Слова оратора были покрыты аплодисментами и криками «ура». Затем один из нижних чинов прочел перед собравшимися о кронштадтских событиях и «предложил выразить свою солидарность с матросами».

Митинг завершился «Марсельезой» и шествием солдат, казаков и революционеров по улицам города<sup>31</sup>.

<sup>29</sup> «Черноморский вестник», 29 ноября 1905, № 183.

<sup>30</sup> «Возрождение», 4 декабря 1905, № 40.

<sup>31</sup> «Черноморский вестник», 29 ноября 1905, № 183.



В декабре революционные события в Абхазии, как и во всей Российской империи, стремительно развивались, приближаясь к своему апогею. В корреспонденции «Письмо из Сухума» от 8 декабря 1905 г. сообщалось, например, что в Сухумском округе «администрации фактически уже почти не существует», что она «существует лишь номинально», благодаря мощному натиску солдат, казаков и революционного народа, скрепивших свой союз на митинге 17—18 ноября. «Единственная опора ее (администрации — С. Л.) казаки, — писала газета, — отказались ее поддерживать»<sup>32</sup>.

В результате в столице округа Сухуме «от старого режима не осталось и следов»... Под давлением общественного мнения городская дума вышла в отставку, суд перешел в руки народа, распространив свою власть даже на чинов полиции; сама «полиция совершенно утратила всякое значение и заменена добровольною милицией». Исходя из существующего положения дел, был сделан даже такой вывод: «Пока Сухум является маленьким оазисом среди безбрежной пустыни Русской земли, но верится, что недалеко то время, когда не только в Сухуме, но и всюду будет проведена коренная реформа всего общественного строя и когда во главе всякого дела станут люди, выбранные народом...»<sup>33</sup>

Таким образом, местная администрация, лишившись на время ноября-декабря верной опоры — солдат и казаков Сухумского гарнизона, перешедших на сторону революции, не могла противопоставить ничего серьезного открытой деятельности революционных партий, установивших практически народную власть в городе мирным путем, которая просуществовала до 21 декабря 1905 года.

Представлена Абхазским институтом языка, литературы  
и истории им. Д. И. Гулиа АН ГССР

<sup>32</sup> «Возрождение», 8 декабря 1905, № 42.

<sup>33</sup> «Черноморский вестник», 13 декабря 1905, № 185.

მარინა ჩხარტიშვილი

წყაროების მითითების წესი ლეონტი მროველის  
თხზულებაში

ლეონტი მროველისეულ „ნინოს ცხოვრებაში“ ყურადღებას იპყრობს შემდეგი ადგილი: „და იხილა რა (თრდატმა — მ. ჩ.) რიფსიმე, აღივსო გულის-თქმითა და განიხარა სიხარულითა დიდითა, და განიზრახა ცოლად მოყვანება მისი. ხოლო არა ერჩდა წმიდა რიფსიმე. მაშინ იწამა იგი, დედამძღუძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა წერილ არს წამება მათი და სასწაული მოქცევასა შინა სომეხთასა“<sup>1</sup> (ხაზი ჩვენია — მ. ჩ.). მროველისეული „ნინოს ცხოვრების“ ძირითადი მიზანია „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა და დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ ისტორიის აღწერა. აქ კი, როგორც ვხედავთ, ლეონტის წყარო ნაწარმოების მთავარი იდეისათვის შედარებით მეორეხარისხოვანი ფაქტის მოხსენიებისას დაუსახელებია, მაშინ როცა „მოქცევისეული“ „ნინოს ცხოვრება“, რომლისაგან როგორც წყაროსაგან დიდად იყო დავალებული, არსად აღუნიშნავს. ეს უკანასკნელი მოვლენა გაკვირვებას როდი იწვევს: კარგადაა ცნობილი, რომ მიუღწეა საუკუნეების მწერლობაში წყაროების მითითება საერთოდ იშვიათია. პირიქით, საძიებელია ის, თუ რატომ მიიჩნია აღნიშნულ შემთხვევაში ისტორიკოსმა წყაროს დასახელება აუცილებლად. ლეონტი მროველის მიერ წყაროების მითითების პრინციპი რომ გავარკვეოთ, საჭიროა თვალი გავადევნოთ წყაროთა აღნიშვნის წესს მის დანარჩენ თხზულებებშიც, კერძოდ, „მეფეთა ცხოვრებასა“ და „არჩილის წამებაში“. ამ უკანასკნელში წყაროს დასახელების არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა, პირველში კი აღინუსხა რამდენიმე. აი, ისინიც: ა) „და წარვიდეს აქათ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. და მუნ დახუდეს ჭუარცუმასა უფლისასა და მათ მოიღეს მუნით კუართი უფლისა, ელიოზ მცხეთელმან და ლონგინოზ კარსნელმან, ვითარცა წერილ არს ეს ე ს განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა“<sup>2</sup>; ბ) შემდგომად ამისა მცირედთა წელთა კულად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძისწული მისი, ძე შიომ ბენდიერისა, რომელი მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა<sup>3</sup>; გ) „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქვან მაკედონი, ძე ნიკტანებისი, მეგუპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“<sup>4</sup>; დ) „და ამის ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან სასანიანი,

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ. უხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 84.  
<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 36.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 14.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 17.

რომელმან მოსრნა მეფენი აჟღაღანიანი, რომელი იცნობების არდაბირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა<sup>5</sup> ე) „ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალ-ედვის წინააღდგომად, და გაამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და მოვლის თრდატ ქუეყანა მისი. და ოდეს განძლიერდის მირიან სპარსეთით, მაშინ ვერ წინააღუდგის თრდატ, და მოვლის მირიან სომხითი. და ესრეთ დაუცხრომელად იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა, და არავინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ-მბრძოლი თრდატისი და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქუეყანასა, და სძლო ყოლადვე მბრძოლთა მისთა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი ცხოვრებასა სომეხთასა<sup>6</sup>; ე) „ხოლო კოსტანტინე მეფემან ირწმუნა მათი, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ბერძენთასა<sup>7</sup>. ზ) „მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა ბარამ ჩუბინი, ესე ეწყო თურქთა, სპარსეთს შემოსრულთა, ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა, მოკლასაბა, თურქთა მეფე და აოტა ბანაკი მათი“<sup>8</sup> (ხაზი ყველგან ჩვენია — მ. ჩ.).

ყველა ამ მაგალითს, თავდაპირველად მოტანილთან მითითების ფორმის — „ვითარცა“ + „წერილ არს“ + წყაროს დასახელება — გარდა, საერთო აქვს ის, რომ მათი შინაარსი „მეფეთა ცხოვრების“ ძირითადი იდეისათვის — „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“-ს ამბების მოთხრობა — მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა. შიომ შედნიერის ძის სიკვდილის, ალექსანდრე მაკედონელის „გამოჩენის“, კონსტანტინე კეისრის მოქცევის, სპარსეთ-თურქეთის ომის შესახებ ცნობები არაარსებითია ისეთი ნაწარმოებისთვის, რომლის მიზანი „ქართულთა ნათესავის“ ცხოვრების გადმოცემაა. ასე რომ, ლეონტი მროველის მიერ წყაროს მითითებას აქვს გარკვეული პრინციპი, კერძოდ, ისტორიკოსი მათ ასახელებს ნაწარმოების დედაარსის გახსნისათვის შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდებთან. ლეონტისთან წყაროს აღნიშვნა რომ ამა თუ იმ ეპიზოდის მეორეხარისხოვნებას კანონზომიერად უკავშირდება, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს „ა“ მაგალითით: კვართის შესახებ თხრობას მროველის „ნინოს ცხოვრებაში“ ცენტრალური ადგილი უკავია. აქ წყაროს არ უთითებს ავტორი. „მეფეთა ცხოვრებაში“ კი ეს ეპიზოდი შედარებით მეორე პლანზეა. როგორც ითქვა, წყარო აქ მითითებულია. როგორ იხსენება ეს, ერთი შეხედვით პარადოქსული, მოვლენა?

დაძებნილ მასალაში რამდენჯერმე შეგვხვდა სიტყვა „განცხადებულად“. ლეონტის წინადადებებში ლოგიკური მახვილი ამ სიტყვაზე მოდის, რითაც ისტორიკოსი აშკარად იმას უსვამს ხაზს, რომ მის მიერ მითითებულ წყაროებში თხრობა ამა თუ იმ საკითხის შესახებ უფრო „განცხადებულად“, ე. ი. უფრო ნათლად, თვალსაჩინოდ, გასაგებად არის წარმოდგენილი, ვიდრე მასთან. თუ „მეფეთა ცხოვრებაში“ კვართის ამბის გადმოცემას დოკუმენტებით (იხ. მაგალითი „ა“), დავრწმუნდებით რომ მას, მართლაც, აკლია „განცხადებულობა“, რისი მიზეზიც არის შემოკლება. მოვლენის გადმოცემის მაგიერ

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 59.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 220.

ლეონტის ფაქტის აღნიშვნა აქვს მხოლოდ მოცემული. სხვათაშორის, ეს თავის დროზე შეუნიშნავს ვახტანგის კომისიას და ნაკლის გამოსწორებას ცდილა. ამაზე დამაჯერებლად მეტყველებს ვრცელი ჩანართი „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც კვართის ისტორიის ვრცლად გადმოცემას წარმოადგენს<sup>9</sup>. ძნელი არაა ასევე შევამჩნიოთ, რომ შიომ ბედნიერის ძის სიკვდილის, ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობის დასაწყისის („გამოჩენის“), კონსტანტინე კეისრის მოქცევის, რიფსიმეანთა მარტვილობის და სხვ. შესახებ მროველს არსებითად არაფერი აქვს ნათქვამი. ისტორიკოსს აქ ყველგან მოვლენების გადმოცემა ფაქტების უბრალო ფიქსაციით შეუტყლია. ასე რომ აშკარაა, როცა ლეონტი „განცხადებულობს“. შესახებ აღნიშნავს, მიგვანიშნებს იმაზე, რომ დასახელებულ თხზულებებში მასალა ვრცლად, სრულად არის წარმოდგენილი, მასთან კი შემოკლებულია. სწორედ ამით უნდა აიხსნას წყაროს დასახელების ფაქტიც: ისტორიკოსს სურს მკითხველმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს, რისთვისაც უთითებს კიდევც შესაბამის ნაწარმოებს (აქ თვალსაჩინო ხდება, რომ ლეონტისთან წყაროს აღნიშვნა ამ უკანასკნელზე მითითებას ნიშნავს და არა მის დამოწმებას) / მაგრამ რად მოიქცა მროველი ამგვარად, რატომ თქვა ცოტა, როცა იცოდა მეტი მკითხველისათვისაც საჭიროდ მიაჩნდა ამის ცოდნა? როგორც ნაჩვენები იყო, დასახელებული ფაქტები ლეონტი მროველის თხზულებებისათვის მეორეხარისხოვანია. ძველ ქართულ მწერლობაში კი სათქმელისაგან გადახვევა მიზანშეწონილად არ ითვლებოდა: „გეგმით, თხრობის წეს-რიგით იღებოდა ის „საზღვარი სიტყუსა“ და „სიტყვათა სარბიელი“, რომელიც საისტორიო ნაშრომს გარკვეულ შინაარსს აძლევდა და მონათხრობადის ასპარეზს შემოფარგლავდა ხოლმე. თხრობის წესი ამასთანავე საისტორიო თხზულების შინაარსის თვით მიმდინარეობასაც არკვევდა. ამ წესით იყო განსაზღვრული „გზა სიტყუსა“, რომლისაგან გადახვევა, „წიადსვლა“ და „მცირედ გადაბიჯება“ კი მხოლოდ ვანსაკუთრებულ, საპატო მიზეზის გამო შეიძლებოდა. კარგსა და დახელოვნებულ ისტორიკოსს განზრახული გეგმისაებრ უნდა განეხორციელებინა დაწყებული საქმე, უნდა ყოფილიყო „უმარჯულო და უმარცხულო მავალი გზებისა“ იმიტომ, რომ ხშირი და უმიზეზო, „გზისა გარდაქეულობა“ ისტორიკოსისათვის საუფოდ ითვლებოდა: მას მტკიცედ უნდა „ეპყრა წესი თხრობისა“, მაინცდამაინც ბასილ ზარზმელის სიტყვები „ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა“-ო მუდამ უნდა ხსომებოდა“ — შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი<sup>10</sup>. აღნიშნულის გავალისწინებით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება თუ რატომაა ლეონტი მროველის შრომებში წყაროები სწორედ უმნიშვნელო ეპიზოდებთან დასახელებული: მეორეხარისხოვნების გამო ისინი შემოკლებულია, რადგან „გზა სიტყუსა“ უნდა იქნას დაცული; სისრულით საკითხის გაცნობისათვის კი მითითებულია შესაბამისი თხზულება.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიისა და ჰაგიოგრაფიიდან სხვა მასალის გათვალისწინებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მწერლობაში წყაროების

<sup>9</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 27.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 33.



დასახელების უმეტესი წილი სწორედ შემოკლებულ, არასრულად მოტანილ ეპიზოდებზე მოდის. შემოკლება კი როგორც წესი, ეპიზოდების მეორეხარისხოვნებითაა გამოწვეული. ძალიან ხშირად წყაროს დასახელება კონკრეტულად ლეონტისთან დადასტურებული ფორმითაა — „ვითარ(ცა)“ + „წერილ არს“ + წყაროს დასახელება — განხორციელებული. ასეთ შემთხვევაში კი ყოველთვის მასალის შემოკლებასთან გვაქვს საქმე<sup>11</sup>. ამერიგად, ცხადი ხდება რომ ლეონტის ნაშრომებში წყაროების მითითების ჩვენ მიერ შემჩნეული პრინციპი საერთო კანონზომიერებას უკავშირდება, რაც აღნიშნულ დაკვირვებას მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს.

როგორც ითქვა, მროველი წყაროებს აღნიშნავს გარკვეული ფორმულით. მხოლოდ ერთგან „მეფეთა ცხოვრებაში“ ვხვდებით მითითებას განსხვავებული ფორმით: „ესე-ვით-არს“ + „წერილ არს“ + წყაროს დასახელება. „ხოლო მიერთგან გაძლიერდეს სპარსნი მიერ მზისა აღმოსავლითგან, ნათესავნი ნებროთისნი. და გამოჩნდა ნათესავი შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, „რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი გუელთა უფალი, და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“. ესე ვით არს წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“<sup>12</sup>. ამ ფორმულის შინაარსი ნათელია: ეს როგორც არის, გვეუბნება ისტორიკოსი მოტანილი ციტატის შესახებ, „სპარსთა ცხოვრებაში“ წერიაო. ამრიგად, აქ იგი წყაროს ასახელებს არა მაშინ, როცა მასალას ამოკლებს, არამედ მაშინ, როცა ახდენს ციტირებას წყაროდან. ლეონტიმ აღნიშნული ადგილი არ გაითავისა (ამაზე მეტყველებს სხვათა სიტყვის „ო“ -ც „შეუვალი“-ს რომ ერთვის), ალბათ იმიტომ რომ საექვეოდ მოეჩვენა იგი ეს ეჭვი, ჩანს, მკითხველისთვისაც სურდა გაეზიარებინა, რასაც აღწევს კიდევ იმით, რომ სრული ინდეფერენტობით აცხადებს: ეს როგორც არის, „სპარსთა ცხოვრებაში“ წერიაო. ასე, რომ წყაროს მითითების ადრე განხილულისაგან განსხვავებული ეს შემთხვევა უკავშირდება ციტირებას წყაროდან, რაც გამოწვეულია იმით, რომ ლეონტი არ ითავისებს მასალას მისი საექვობის გამო.

ამრიგად, ლეონტი მროველი წყაროებს ასახელებს ორ შემთხვევაში: 1. როცა მასალას ამოკლებს; 2. როცა ახდენს ციტირებას წყაროდან. გამოირიცხვის მეთოდით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წყაროს არ უთითებს მაშინ, როცა მის მონაცემებს რედაქციულად ცვლის. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია რომ „ნინოს ცხოვრების“ მროველისეული ვარიანტი „მოქცევისეული“ ვარიანტის თავისებური გადამუშავებაა<sup>13</sup>. ირკვევა, რომ, მართ-

<sup>11</sup> საკუთარი დაკვირვების გარდა, ამ შემთხვევაში ვეყრდნობით „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ძირითადი ფონდის, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი სიმფონის (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში. შემდგენელი თ. ხაჭოშია), ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის სიმფონის (ამზადებს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი მ. შანიძისა და ზ. სარჯელაძის ხელმძღვანელობით) მასალებს. ამ უკანასკნელით სარგებლობის საშუალება მოგვცა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა მ. კვაჭაძემ.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 13.

<sup>13</sup> კ. კვაჭაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ორ ტომად, ტ. I, თბ., 1980, გვ. 239.

ლაც, სახეზეა მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებანი. ასე მაგალითად, „მოქცევისეულ“ „ნინოს ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „შემდგომად მისა მოგვ მთავარი სპარსი ხუარა სნულ იყო, სულითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, სიკუდიდ მიწვენულ იყო. და იყო მთავარი იგი დე დის ძმამ ნანაძისი, (ხაზი ჩვენია — მ. ჩ.) დედოფლისაჲ“<sup>14</sup>. პროველს ეს წინადადება ასე შეუცვლია: „შემდგომად ამისა მოგვ იგი მთავარი სპარსი, სახელით ხუარა, სნულ იყო, სულითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, და სიკუდილსა შიახლებულ იყო, და იყო მთავარი იყო ნათესავისაგან მირიან მეფისა“<sup>15</sup> (ხაზი ჩვენია. — მ. ჩ.). კორექტივის მიზეზი ისაა, რომ ლეონტი ცდილობს „ნინოს ცხოვრების“ ეს ადგილი შეუთანხმოს „მეფეთა ცხოვრების“ ცნობას, რომლის მიხედვით ნანა იყო „საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლილოტოსისი“<sup>16</sup>. ხოლო მირიანი ქასრე არდაშირ სასანიანის, სპარსთა მეფის შთამომავალი იყო<sup>16</sup>. ასე რომ ლოგიკურად სპარსელი ნათესავის ყოლა მას უფრო შეჭვეროდა. ჩვენი კვლევის მიზანს არ შეადგენს იმის ძიება, თუ რატომ მიიჩნია ლეონტიმ მირიანი სპარსელ უფლისწულად. მთავარი ისაა, რომ „მოქცევაჲ-სგან განსხვავებული ამ ცნობის „მეფეთა ცხოვრებაში“, შეტანის შესაბამისად არ ავიწყდება შეცვალოს „ნინოს ცხოვრების“ „მოქცევისეული“ ვარიანტის მონაცემებიც, და ასე გადამუშავებული სახით შეიტანოს თავის ვარიანტში.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: „მოქცევისეულ“ „ნინოს ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე გამოელაპარაკა ნინო მწყემსებს, რომლებიც მას მცხეთისაკენ მიმავალს შეეყარნენ: „დილასა ადრე მოვედ და ვაკითხე ერთსა მათგანსა, თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქვენ“<sup>17</sup>. პროველისეულში კი ვკითხულობთ: „ხოლო წმინდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა, რამეთუ პირველ ესწავლა ნიფორისგან, და პოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი და ჰკითხა მას, ვითარმედ: „რომლისა სოფლისანი ხართ“<sup>18</sup>. როგორ იხსნება აღნიშნული კორექტივი? „მოქცევაჲ“-ს დავკვირებულნი მკითხველი შეამჩნევს, რომ უცხო ქვეყანაში ნინო გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა ენობრივ ბარიერთან დაკავშირებით: „და მოვედ ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაელებრისა“<sup>19</sup>. ან კიდევ: „მამინ მოვიდა დაჲ ესე ჩემი შროშანა, სეფექალი, მიხილა და მოიყვანა ბერძლმეტყუელი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზად ჩემი“<sup>20</sup>. ადგილობრივი ენის უცოდინარობა თავიდანვე აწუხებდა ნინოს: „უფალო, დედაკაცი ვარ უცხოჲ და უმეცარი, ვითარ მოვიდე მე, არცა ენად ვიცი, თუ რად ვთქუა უცხოთა ნათესავთა თანა“<sup>21</sup>. ამასთან სრულიად ბუნებრივია ქართლის მეზობელი ქვეყნის ხალხის ენის მცოდნე აღმოჩენილიყო მწყემსებს შორის. მათი საქმიანობის ხასიათი ხომ ასეთი კონტაქტების საშუალებას გულისხმობდა კიდევ. ამიერ-

<sup>14</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 131.

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 106.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 64, 66.

<sup>17</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 116.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 85.

<sup>19</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 117.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 116.

კავკასიის ხალხების ერთადერთი ენა, თუ გავითვალისწინებთ „ნინოს ცხოვრების“ მონაცემებს, რომელიც შეიძლება სცოდნოდა ნინოს აქ მოსვლამდე, იყო სომხური. ნინო სომეხ ქალთან „მსახურებდა“ ყმაწვილობაში. სწორედ ამ ლოგიკით იქნა ტექსტში შეტანილი აღნიშნული დამატებითი ცნობა. ეს მაგალითიც დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მროველისეული „ნინოს ცხოვრება“ ის აღარაა, რაც „მოქცევისეული“. ამასთან არც ერთი ცვლილება შემთხვევით ხასიათს არ ატარებს, თითოეული გააზრებული რედაქტორული მუშაობის ნაყოფია.

„მოქცევამ ქართლისაჲ“-ს ის ადგილიც, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის ენება, როგორც ვ. დონდუა და ლ. ჯანაშია გვიჩვენებენ, მექანიკურად კი არ აულია ლეონტის, არამედ სერიოზული გადამუშავების შემდეგ<sup>22</sup>. ამრიგად, ჩვენი ვარაუდი მართლდება: მროველი წყაროს არ უთითებს მასალის რედაქტირების შემთხვევაში. ზემოთ შეეცადეთ აგვეხსნა რატომ ასახელებდა ლეონტი წყაროებს შემოკლების და ციტირების დროს: პირველ შემთხვევაში მკითხველს აცნობებდა, თუ სად უნდა მიეღო ვრცლად ინფორმაცია საინტერესო საკითხის შესახებ, მეორე შემთხვევაში კი არ ითავისებდა ცნობას მისი საეჭვობის გამო და ამით თავის ეჭვს უზიარებდა მკითხველს. ბოლო დაკვირვების სისწორეც რომ ვამტკიცოთ, უნდა შევძლოთ მისი ლოგიკურობის ჩვენება.

✓ რატომ არ უთითებს მროველი წყაროებს, „საავტორო უფლებებს“ არ უწევს ანგარიშს? პირველ ორ შემთხვევაში წყაროს დასახელებიდან, აშკარაა, რომ მან მკითხველთა ინტერესები გაითვალისწინა. მაგრამ ჩვენთვის უცნობი რჩება, თუ როგორია ამ ისტორიკოსის დამოკიდებულება „ლიტერატურული საკუთრებისადმი“. „საავტორო უფლებების“ ლეონტისეული გაგება გამოსჭვივის ის ანდერძ-მინაწერიდან, რომელიც ახლავს მის თხზულებებს: „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა. წავნი ესე წამებისა მისისა იბოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აჟამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, მმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან...“<sup>23</sup>. „ნინოს ცხოვრება“ რომ მროველამდე შეიქმნა, ეს, რა თქმა უნდა, უცნობი არ იქნებოდა ლეონტის მკითხველისათვის. „არჩილის წამების“ და „მეფეთა ცხოვრების“ ადრინდელი ვარიანტების არსებობის შესახებ კი თვით ამ ანდერძ-მინაწერიდან ვგებულობთ. მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, ისტორიკოსმა შესაძლებლად ჩათვალა ეთქვა, რომ „არჩილის წამება“, „მეფეთა ცხოვრება“ და „ნინოს ცხოვრება“ მან აღწერა. აშკარაა, რომ ავტორობის ფსიქოლოგია აქ დღევანდელისგან განსხვავებულია. კერძოდ, ლეონტის აზრით, „საავტორო უფლებას“ ნაწარმოების რედაქციულ

<sup>22</sup> იხ. ვ. დონდუა, ლეონტი მროველისმიერი პროისტორიის ზოგი ამოსაკითხავი, საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 13—31; ლ. ჯანაშია, „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა-ს“ წყაროებისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 131—143.

<sup>23</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 244, 248. როგორც ცნობილია, ეს ანდერძ-მინაწერი ორად გაყოფილი გვხვდება ტექსტში. აღნიშნული მინაწერების ერთად წაკითხვის და ვახტანგის დასაბუთება მოცემული აქვს ა. ბოგვერაძეს. იხ. მისი „ქართლის ცხოვრების“ პირველი შემატანე და მისი ავტორი, ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 8—44.

დამუშავებზე გაწეული შრომა იძლევა. ავტორობასა და რედაქტორობას შორის ტოლობის ნიშნის დასმა ანალოგიას სხვაგანაც პოულობს. ვ. ვინოგრადოვის დაკვირვებით, ძველ რუსულ ლიტერატურაში „ავტორობის“ ცნება ბუნდოვანია და საზღვარი შემოქმედ-შემქმნელს, კომპილატორ-შემდგენელს, რედაქტორსა და ზოგჯერ გადამწერს შორისაც ხშირად არამყარია<sup>24</sup>.

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, რომ ავტორობა თავდაპირველად ნაერთოდ გაუცნობიერებელი იყო, ხოლო შემდგომ ვრცელდებოდა მხოლოდ ფორმალურად, რაც ფაქტობრივად ნიშნავს არასრულყოფილ ავტორობას, რადგან ნაწარმოების შინაარსს ჯერ კიდევ არ მოიცავს<sup>25</sup>. ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრების“, „წინის ცხოვრების“, „არჩილის წამების“ რედაქტორი, გამფორმებელი იყო და ამიტომაც მიჩნდა თავი მათ ავტორად: „შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ფორმის ავტორობა შესაძლებელი იყო.

აღნიშნული მოვლენის მიზეზი საისტორიო წყაროსა და ისტორიული ფაქტის თავისებური კონცეფცია უნდა იყოს. ისტორიული ცოდნის განვითარების ყოველ ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია მეცნიერების საერთო დონის და, კერძოდ, ფილოსოფიის განვითარებასთან, ამ ცნებების სხვადასხვაგვარი გაგება შეესაბამება. მაგალითად, ასახვის ლენინური თეორიის თანახმად, ისტორიული წყარო ეს ობიექტური რეალობის სუბიექტური სახეებით წარმოდგენილი სურათია. ამის შესაბამისად ისტორიული ფაქტი, სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი, იგივე არაა, რაც თვით ისტორიული მოვლენა, რადგან იგი ისტორიკოსის განმარტებული მუშაობის ნაყოფია, უკვე თვით არის თავისებური თეორია. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაკლებ ობიექტურია, ვიდრე რეალური მოვლენა. ამგვარად, მარქსისტულ-ლენინური თეორიით ისტორიული ფაქტის ცნების სტრუქტურაში ობიექტურის გვერდით ფიგურირებს სუბიექტურიც. ამ ობიექტური და სუბიექტური დიალექტიკურ კავშირშია. საისტორიო წყაროში წარმოდგენილი სინამდვილის სურათი შექმნილია შემეცნების ობიექტის და სუბიექტის შესაყარზე. რა თქმა უნდა, არსებობს საისტორიო წყაროსა და ისტორიული ფაქტის სხვაგვარი, არამარქსისტული ინტერპრეტაციებიც. ნეოკანტიანურ მეთოდოლოგიაში ხდება სუბიექტური ნაწილის აბსოლუტიზაცია, წყაროც და ფაქტიც მთლიანად ისტორიკოსის ცნობიერების შემოქმედების ნაყოფადაა წარმოდგენილი, ისტორიული ფაქტები ცნობიერების ფაქტებია და არა სინამდვილის<sup>26</sup>.

<sup>24</sup> В. В. Виноградов, Проблема авторства и теория стилей, М., 1961, გვ. 43; შუა საუკუნეებში „საავტორო უფლებების“ თავისებური გაგების შესახებ იხ. აგრეთვე Д. С. Лихачев, Текстология. на материале русской литературы X—XVII вв., М.—Л., 1962, გვ. 248; Ю. И. Масапов, В мире псевдонимов, анонимов, и литературных подделок, М., 1963, გვ. 41.

<sup>25</sup> М. И. Стеблин-Каменский, Историческая поэтика, Л., 1978, გვ. 90, 93, 95, 96, 97.

<sup>26</sup> ისტორიული ფაქტისა და საისტორიო წყაროს ინტერპრეტაციების შესახებ. იხ. С. О. Шмидт, Современные проблемы источниковедения. — В кн.: Источниковедение. Теоретические и методические проблемы, М., 1969, გვ. 37, 38; А. Я. Гуревич, Что такое исторический факт, იქვე, გვ. 59—89; В. С. Библер, Исторический факт как фрагмент действительности, იქვე, გვ. 89—101; Л. В. Черепнин, К. Маркс и Ф. Энгельс и некоторые проблемы исторического источниковедения, იქვე, გვ. 195—227; Л. Н. Пушкирев, Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975, გვ. 5—86; მისივე, Понятие исторического источника в



საისტორიო წყაროს და ისტორიული ფაქტის აღნიშნული კონცეფციებით გაგებისას რედაქტორობისა და ავტორობის აღრევისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან იგულისხმება, რომ მათ შემუშავებაში სუბიექტის წვლილიც ურევია. მაგრამ ეს ცნებები, როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორიის გათვალისწინება ვეჩივენებს, ყოველთვის ასე როდი გაიგებოდა. ე. წ. კლასიკურ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში, რომლის ძირითადი პრინციპები შემუშავებული იქნა XIX ს-ის I ნახევარში, საკითხი საისტორიო წყაროსა და ისტორიული ფაქტის ბუნების შესახებ განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენდა და მარტივად წყდებოდა. შემეცნების სუბიექტის და ობიექტის შეფარდების მეტაფიზიკურ გაგებას, რომელიც ამ სკოლის მიმდევრებს ახასიათებდათ, საბოლოოდ მიეყვართ ისტორიკოსის შემოქმედებითი როლის შეუფასებლობამდე. შემდგომში აღნიშნული ცნებების ამგვარი გულუბრყვილო რეალისტური, არაფილოსოფიური გაგება ფაქტობრივად გაიზიარეს პოზიტივისტებმა, რომლებიც ფილოსოფიას შეგნებულად უგულვებელყოფდნენ. ამ დროს ისტორიული ფაქტის და რეალური მოვლენის იგივეობა აბსოლუტიზირებულია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისტორიკოსი ისტორიულ ფაქტებს იღებს სინამდვილიდან, როგორც მოვლენებს. საფიქრებელია, რომ ესაა საისტორიო წყაროსა და ისტორიული ფაქტის ინტერპრეტაციის არა მარტო ყველაზე ადრინდელი, არამედ თავდაპირველი ვარიანტიც. მაგალითად, ძველი ბერძნები საისტორიო წყაროდ თანამედროვეთა მონათხრობს მიიჩნევდნენ მხოლოდ<sup>27</sup>. ეს იმიტომ რომ, წყარო, მათი შეხედულებით, ფაქტის უბრალო რეგისტრაციაა, სადაც რეგისტრატორი (სუბიექტი) მოვლენის ადეკვატურ ფიქსაციას იძლევა. შუა საუკუნეებშიც რომ ეს შეხედულება დიდად არ შეცვლილა, ამას გვიჩვენებს აღწერილი ამბების თანამედროვეთა დამოწმება, რაც მტკიცებას უმჭველობის გარანტია იყო. ამაზევე მეტყველებს ფსევდო-ეპიგრაფიკული თხზულებების დიდი გავრცელებაც. ასეთ შემთხვევაში ავტორობისა და რედაქტორობის აღრევა დიხაც შესაძლოა, რადგან წყაროებში წარმოდგენილი ისტორიული ფაქტები წყაროს ავტორის კი არა, ისტორიის კუთვნილებად განიხილება. ფაქტი „გულგრილი“ და სავსებით უცხო ისტორიკოსისათვის, მასში ამ უკანასკნელის სუბიექტური არაფერია. ამის გამო ისტორიული ნაწარმოებებიდან ფაქტის დასესხება სულაც არ იქცეოდა იმის საბაბად, რომ თავი ვალდებულად ეგრძნო ამა თუ იმ მწერალს სხვა მწერლის წინაშე. ლეონტი მროველი არ თვლიდა, რომ მირიანის მოქცევის, ნინოს გარდაცვალების და სხვ. ფაქტები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ანონიმი შემთხვევლის საკუთრება იყო. (ამის პრეტენზია ალბათ არც ამ უკანასკნელს ჰქონდა და მისი ანონიმობაც შესაძლოა ამითვე იხსნება). როცა ცნობები ერთმანეთთან გარკვეული წესით დააკავშირა, ლეონტი მროველმა ბუნებრივია მიიჩნია, რომ თხრობის ავტორი უკვე თვითონ იყო (ფაქტები ისტორიას ეკუთვნოდა, რედაქციული დამუშავება კი მას). ზემოთ ნათქვამი გასაგებს ხდის, თუ რატომ არ უთითებს მროველი უმეტეს შემთხვევაში წყაროებს: იგი გადამუშავებული ეპიზოდების

некоторых работ советских философов. — В кн.: Источниковедение отечественной истории, М., 1976, гл. 75—86; Г. М. Иванов, К вопросу о понятии «факт» в исторической науке, «Вопросы истории», 1969, № 2, гл. 73—87; მისივე, Основные принципы марксистско-ленинской теории исторического источника. — В кн.: Источниковедение отечественной истории, М., 1979, гл. 5—22.

<sup>27</sup> Р. Дж. Коллингвуд, Идея истории. Автобиография, М., 1980, гл. 26.

ავტორად მიიჩნევს საკუთარ თავს. ასე რომ ამ ისტორიკოსის მიერ წყაროს დაუსახელებლობა „საავტორო უფლების“ „ლიტერატურული საკუთრების“ უგულებელყოფას როდი ნიშნავს. როცა რედაქტირების შედეგად ვათავისებულ მასალასთან ლეონტი წყაროს არ აღნიშნავს, იგი დიხაზც იცავს „საავტორო უფლებას“, კერძოდ საკუთარს.

მიღებული შედეგების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს წარმოდგენა შევიქმნათ ლეონტისდროინდელი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების შესახებ, რადგან ისტორიული ცოდნის დონე ამა თუ იმ ეტაპზე თვალსაჩინოდ აისახება სწორედ წყაროთა მითითების წესში; მეორეც, დაგვეხმარება მროველის თხზულებათა წყაროთმცოდნეობითი კრიტიკისას, რაც ქართველოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა.

М. С. ЧХАРТИШВИЛИ

## ПРИЕМЫ ССЫЛКИ НА ИСТОЧНИКИ В СОЧИНЕНИЯХ ЛЕОНТИЯ МРОВЕЛИ

Резюме

При сокращении или цитировании используемого материала древневековый грузинский историк Леонтий Мровели называет свои источники. В случае сокращения материала указание на источник объясняется желанием историка дать возможность читателю самому восполнить информацию за счет названных сочинений. А ссылкой при цитировании из источника, Леонтий показывает читателям свои сомнения в правдоподобности сказанного. При редакционном изменении повествования Леонтий обычно не называет использованные источники. Но это отнюдь не означает, что ему чуждо представление о «литературной собственности». Дело в том, что в средние века несколько своеобразно осмысливали некоторые исторические понятия («исторический факт», «исторический источник»), из-за чего заимствование материала не считалось плагиатом. Поэтому и Леонтий Мровели имел иное, чем современные исследователи, представление об «авторских правах». В частности, автором текстов отредактированных источников, включенных в свое сочинение, он уже считал самого себя. Логичность отсутствия ссылок на источники в таком случае совершенно очевидна.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

**სტრაბონის „გეოგრაფიის“ ტექსტის ერთი ადგილის გაგებისათვის**

ძველი ბერძენი ავტორის, სტრაბონის, თხზულებაში — „გეოგრაფია“ (XI, 3, 1—6) — დაცულ ცნობაზე, რომელიც იბერიის (ქართლის) სოცი-ალურ აღწერას შეიცავს, საქართველოს ისტორიის მრავალ მკვლევარს გამო-უთქვამს აზრი. პირველად ეს წყარო მ. ბროსემ გამოიყენა, მაგრამ არ უცდია მისი ახსნა! შემდეგში ამ ცნობას ბევრი მეცნიერი შეეხო (დ. ბაქრაძე, ალ. ჯყონია, ს. გორგაძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვი-ლი, გ. მელიქიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, პ. ინგოროყვა, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიშჩენკო, ვ. ლატიშევი, ი. მანანდიანი, ა. ბოლტუნოვა და სხვ<sup>2</sup>).

ზემოჩამოთვლილი მეცნიერები „გეოგრაფიის“ ტექსტს იცნობდნენ სა-ყოველთაოდ აღიარებული გ. კრაპერის კ. მიულერ-ფ. დიუბნერის, ა. მაინეკეს და პ. ჯონზის სტრაბონის „გეოგრაფიის“ გამოცემებით, ან მათზე დაფუძნე-ბული თარგმანების მეოხებით.

დასახელებულ გამოცემებში თხზულების ერთ ადგილი ასე იკითხება: „*ἐν μὲν καὶ πρῶτον. ἐξ οὗ τοῦ βᾶσιλέως καὶ ἑσθᾶς καὶ ἀρχῆς τε αὐτοῦ τε καὶ ἑλευθέρου*“

ამ წინადადების მრავალი თარგმანი არსებობს. მოგვაქვს რამდენიმე:

ა. ივ. ჯავახიშვილი, როგორც თვითონ აღნიშნავდა, იყენებდა ვ. ლატი-შევის თარგმანს, ოღონდ ზოგიერთი შესწორებით:

«Один и первый из них, из которого ставят царей, по близости возрасту самого старшего (после умершего царя)»<sup>3</sup>.

ბ. ს. ჯანაშია ასე თარგმნიდა ამ ადგილს:

„პირველია მათ შორის ის, რომლიდანაც სვამენ (ტახტზე) მეფეს, ახლობელ ნათესაობისა და ასაკის უხუცესობის მიხედვით“<sup>4</sup>

გ. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი ასეთია:

„ერთი (გვარი) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სვამენ მახლობლო-ბისა და ასაკის მიხედვით უხუცესს“<sup>5</sup>.

დ. თ. მიშჩენკოსეული თარგმანია:

«первый тот, из которого они выбирают царей по ближайшему род-ству и самого старшего по возрасту».<sup>6</sup>

<sup>1</sup> M. Brosset, Histoire de la Géorgie, t. I, SP6., 1958.

<sup>2</sup> დაწერილებით ლიტერატურის შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილის წიგნში „საქართველოს ის-ტორიის ძველი ბერძენული წყაროები“, თბ., 1976, გვ. 135—158.

<sup>3</sup> И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, I, СПб., 1905, გვ. 8.

(სინაქსელებში ვ. ლატიშევის კრებულში შესული ეს თარგმანი ეკუთვნის პ. ი. პროზოროვს— ვ. ვ.).

<sup>4</sup> ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრო-მები, II, თბ., 1952, გვ. 137.

<sup>5</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 129—130.

<sup>6</sup> География Страбона в семнадцати книгах, перевод Ф. Г. Мищенко, М., 1879, გვ. 511.

ე. უახლესი თარგმანი „გეოგრაფიისა“ ეკუთვნის გ. სტრატანოვსკის აღნიშნული წინადადების თარგმანია:

«Один разряд самый главный — из него они выбирают царей старших по родству и возрасту»<sup>7</sup>.

როგორც ვხედავთ, ყველა თარგმანი ერთმანეთს წააგავს, რაც იმის შედეგია, რომ X—XIV სს-ის ნუსხებზე დამყარებულ კრამერის, მიულერ-დიუბნერის, მინიეკსა და ჯონზის გამოცემებში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ყველგან ერთნაირია და მკვლევრებსაც, ბუნებრივია, ერთი და იგივე ბერძნული ტექსტი ჰქონდათ ხელთ.

სტრაბონის „გეოგრაფიის“ დღემდე ცნობილ ნუსხათა შორის უძველესია (დაახლ. V—VI სს.) ე. წ. პალიმფსესტი, რომელშიც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ტექსტის ნაწყვეტი სხვაგვარად იკითხება. გამოცემებში ეს უძველესი ხელნაწერი გამოყენებული ჯერ არსად არის.

1875 წელს, რომის მახლობლად, გროტაფერატის სააბატოში კოცია-ლუცამ აღმოაჩინა „გეოგრაფიის“ შემცველი პალიმფსესტი, სადაც ტექსტი დაფარულია რელიგიური ხასიათის თხზულებით და 1975—1895 წწ გამოსცა „გეოგრაფიის“ ფრაგმენტები.

1956 წელს ვ. ალიმ, რომელსაც განზრახული ჰქონდა სტრაბონის „გეოგრაფიის“ ყოველმხრივი შესწავლა (რაც მან ბოლომდე ვერ მიიყვანა. მაგრამ ბევრის გაკეთება ამ მიმართულებით მაინც მოასწრო) კვლავ გამოსცა პალიმფსესტი თავისი ტრანსკრიფციით<sup>8</sup>.

პალიმფსესტი ამჟამად დაცულია პარიზში. იგი დაწერილია სამ სვეტად, სიტყვები გამოყოფილი არაა, სპირიტუსები და ელფსერობტუმი არ იხმარება, სამაგიეროდ იხმარება ელფსერობტუმი. ხშირია ე და ე-ის მონაცვლეობა (ე. წ. იტაციზმი).

პალიმფსესტში დაცული „გეოგრაფის“ ტექსტი დასაწყისში ფრაგმენტულია და ძალზე დაზიანებული. მას მოჰყვება თითქმის მთლიანი ტექსტი VIII—XVII წიგნებისა. XI წიგნის დასაწყისში საუბარია ევროპისა და ლიბიის საზღვარზე (XI, 1, 4-ის ბოლო), ხოლო ჩვენთვის საინტერესო წინადადება ასე იკითხება:

„... ENME  
KAIPWTONEEON  
TVCBACIAEACKAOI  
C. ACIKATA.API  
PANTEKAI ELIKI  
ANTONPRECBVTA  
TON“<sup>9</sup>

როგორც ზემოთ ვთქვით, „გეოგრაფიის“ სხვა ხელნაწერებზე დაფუძნებულ გამოცემებში იკითხებოდა „ἐχρησάζειν“, პალიმფსესტში კი მის ადგილას გვაქვს „ἐδ. ἀραρυ“. აშკარაა, რომ არც ასობის გრაფიკული მოხაზულობით და არც მათი რაოდენობით ეს სიტყვები ერთმანეთს არ წააგავს. შედეგადვე „ἐδ, ἀραρυ“-ის გამოცნობას, მისი შინაარსის გახსნას.

<sup>7</sup> Г. Стратановский, Страбон, География, М., 1964, გვ. 475.

<sup>8</sup> De Strabonis codice rescripto, Studi e testi 188, 1956.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 59, Г. 11, 443, 17—444, 3.



წინადადებაზე დაკვირვებით ჩანს, რომ ამ დაწერილობის სიტყვა უნდა იყოს „*ἡλιαία*“-ს ტოლფასი. ე. ი. ეს არის არსებითი სახელი. *α*-ზე დასრულებული, ხოლო *ν* მხ. რიცხვას Acc-ის ნიშანი. თუ ვალის წაკითხვას დავეყრდნობით (და ეს კანონზომიერიცაა, რადგან იგი უშუალოდ და ობიექტურად სწავლობდა პალიმფსესტს), მაშინ „*αδ. απραγ*“-ში წინა *α* „*κατ*“-ს უნდა ეკუთვნოდეს და გვექნება „*κατὰ δ. απραγ*“. დავგვრჩა „*δ. απραγ*“, მაგრამ ასეთი-სიტყვა ძველ ბერძნულ ენაში საერთოდ არ მოიპოვება. შეჟღედქით პალიმფსესტის შედარებას სხვა გამოცემათა ტექსტებთან იმის დასადგენად, ხომ არ არის მოტანილი სიტყვა შემოკლებული ან დაჭარაგმებული.

შედარებამ ცხადყო, რომ პალიმფსესტის ავტორი წერისას ხშირად მიმართავს სიტყვების შემოკლებას და ამ დროს იცავს გარკვეულ კანონზომიერებას.

პალიმფსესტი:

- |                 |               |       |                                 |
|-----------------|---------------|-------|---------------------------------|
| 1. ΚΙΜΜΕΡΙΚΟ—   | გვ. 53 (33)   | უღრის | <i>κίμμεριχόν</i> —(XI, 2, 5)   |
| 2. ὈΠΑΝΙ —      | გვ. 54 (25)   | „     | <i>ὄπανιν</i> —(XI, 2, 10)      |
| 3. ΚΑΤΑΤΕ —     | გვ. 54 (1)    | „     | <i>κατὰ τῆν</i> —(XI, 2, 10)    |
| 4. ΣΚΗΠΤΟΥΧΩ—   | გვ. 56(2)     | „     | <i>Σκηπτούχων</i> —(XI, 2, 13)  |
| 5. ΣΤΑΔ/ΟVC —   | გვ. 59(1—2)   | „     | <i>σταδίσους</i> —(XI, 3, 5)    |
| 6. ΕΠΙΜΕΛΟ/ΤΑΙ— | გვ. 59(24—25) | „     | <i>ἐπιμελίσεται</i> —(XI, 3, 6) |

სხვა გამოცემები:

პირველ ოთხ შემთხვევაში სიტყვა შემოკლებულია ბოლოკიდური *ν*-ის ხარჯზე, მეხუთეში სიტყვას შუაში აკლია *ι*, რომელიც სიტყვის კიდეზე მოდიოდა, ხოლო ბოლო შემთხვევაში შუაში სიტყვას *σν* აკლია (ასევე სვეტის კიდეში).

ამგვარად, სვეტის ბოლოს ჩვეულებრივი მოვლენაა ასოს ან ასოების დაკლება. ჩვენთვის საინტერესო „*δ. απραγ*“ სვეტში ასოთა განლაგების მიხედვით ასეთია:

„*δ. απ  
ραπ*“

ე. ი. მოსალოდნელი ყოფილა, რომ *δ. απ*-ის რაღაც კიდევ აკლდეს. ლექსიკონებში დაქმბნეთ დელტაზე დაწეხული ყველა სიტყვა, რომელიც *ρα*-ზე ბოლოვდება, და ძიებამ გვიჩვენა, რომ ეს სიტყვაა — „*ἡ δῆπειρα*“, რაც ნიშნავს „გამოცდილებას“.

საბოლოოდ ჩვენმა წინადადებამ ეს სახე მიიღო:

„*ἔν μὲν καὶ πρῶτον, ἔξ ὧν τὸν βιασιέξ καμίστασι κατὰ δῆπειραν τε καὶ ἡλιαίαν τὸν πρεσβύτατον*“

ანუ „ერთი და უპირველესია, რომლისაგანაც მეფეებს აყენებენ გამოცდილების და ასაკის მიხედვით უხუცესს“.

როგორც ვხედავთ, სტრაბონის „გეოგრაფიის“ დღესდღეობით ცნობილი უძველესი ხელნაწერის მიხედვით ტექსტში გვაქვს „*δῆπειρα*“ (გამოცდილება) და არა „*ἀγχεσιεία*“ (მახლობლობა, ახლობელი ნათესაობა), რაც უქვეყნად გასათვალისწინებელია „გეოგრაფიის“ ამ ადგილის გავებისას.

სხვა საკითხია, თუ მათ შორის რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ყველა ხელნაწერის უშუალო შემოწმებით, შესაძლოა, დადგენილიყო, საიდან ან როდის გაჩნდა ტექსტში „*ἀγχεσιεία*“, „*δῆπειρα*“-ს ნაცვლად ან პირიქით, მაგრამ ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არსებობს.

ღვიჭრობთ, მაინც შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოტანა პალიმფსეს-

ტის ტექსტში დაცული“ „*διὰ πειρα*“-ს სასარგებლოდ. ჯერ ერთი, პალიმფესტი „გეოგრაფიის“ უძველესი ხელნაწერია და მას უნდა მიეცეს უპირატესობა გვიანდელ ხელნახებთან შედარებით და მეორეც, ვ. ალი, სტრაბონის თხზულებათა ავტორიტეტული მკვლევარი აცხადებს: პალიმფესტიდან ჩანს, რომ ტექსტი ჯერ კიდევ V ს-ში კარგ მდგომარეობაში იყო და შენარჩუნებული ჰქონდა ავგუსტუსის დროინდელი ორთოგრაფიის თავისებურებანი. არქიტაბს (დაახლ. I-II სს), დაწერილს მინუსკულთი (ხუსხური—ვ. ვ.), ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი: გამოტოვებული ადგილები, ლაქები, ჩაზხეული გვარდები<sup>10</sup>. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მოტანილ წინადადებას პალიმფესტის ტექსტის მიმართ გამოთქმული ნაკლი არ ეხება, რადგან იგი შუა სვეტში მდებარეობს და დაუზიანებელია. გარდა ამისა, თ. ყაუხჩიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა სტრაბონის ტერმინოლოგია, აღნიშნავს: „ამ ტერმინის (*ἀρχαίαια*) შესასწავლად ვადავთავლიერე მთელი ტექსტი და, სამწუხაროდ (თუკი არ გამომჩა), ასეთი ფორმა მეტი ვერ ვნახე“<sup>11</sup>.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ და დავუშვებთ, რომ პალიმფესტის ტექსტში დაცული „*διὰ πειρα*“ უძველესია და სტრაბონის „გეოგრაფიის“ დედნისეული, მაშინ საქართველოს ძველი ისტორიისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე ცნობის ტრადიციულმა ინტერპრეტაციამ იბერიის პირველი „*Ἰβησία*“-ის შესახებ, შესაძლოა სხვა სახე მიიღოს. ვფიქრობთ, შემდგომი კვლევა მართებული დასკვნის გაკეთების საფუძველს მოგვცემს.

V. V. ВАШАКИДЗЕ

## К ПОНЯТИЮ ОДНОГО МЕСТА В ТЕКСТЕ «ГЕОГРАФИИ» СТРАБОНА

Многие историки изучали данные «Географии» Страбона о социальной структуре Иберии. Они пользовались известными изданиями «Географии» (Крамера, Мюллера-Дюбнера, Майнеке, Джонза), основанными на рукописях X—XIV вв.

В них XI, 3, 6 текста читается так:

„*ἔν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ ὧν τοὺς βασιλεῖς καθίστασι κατ' ἀρχαίαια τε καὶ Ἰβησίαν τὸν πρῶτον*“

В указанных изданиях не учитывается вариант, сохранившийся в палимпсесте V—VI вв., содержащем текст «Географии» Страбона, в котором вместо слова «*ἀρχαίαια*» (близкое родство), читается «*διὰ πειρα*» (სტბ).<sup>12</sup>

Интерпретируя указанные сведения Страбона, должны быть учтены и данные палимпсеста.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სხ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

<sup>10</sup> W. Al y, Strabon von Amareia, Untersuchungen über Text, Aufbau u. Quellen d. Geographica, Bonn, 1957, გვ. 396.

<sup>11</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“, გვ. 60.

**ხორბლის ლემსნიკასთან დაკავშირებით, VI**  
**(„დიკა“. ეთნოგრაფიული მასალების მხედვით)\***

საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურის ისტორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გარკვევაში გვეხმარება ხორბლის ადგილობრივ სახელოდებათა შესწავლა<sup>1</sup>. ამჯერად კვლევის ობიექტია საქართველოს ხორბლეულის ერთ-ერთი საინტერესო სახეობის სახელოდება — დიკა. დახუტებამდე. თუ როგორაა ეს სახელი გააზრებული წერილობით წყაროებსა და ყოფაში, მისი მნიშვნელობის გარკვევამდე საჭიროა ხორბლის შესატყვის სახეობასთან დაკავშირებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, არქეოლოგიური, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით გავიხსენოთ რა ადგილი ეთმობოდა მას საქართველოს მემინდვრეობაში. რას წარმოადგენს იგი ბოტანიკურად, როგორია მისი გავრცელების არეები, ბიოლოგიური თუ სამეურნეო თვისებები.

დიკას, რბილი ხორბლის შემდეგ, მეორე ადგილი ეთმობოდა საქართველოს მემინდვრეობაში<sup>2</sup>. ამ სახეობასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი. რომ მისი თავდაპირველი ლათინური სახელოდება «*Tr. persicum*» მოგვიანებით სასესებით მართებულად იქნა შეცვლილი სახელოდებით «*Tr. ibericum*»<sup>3</sup>, რაც თავის მხრივ, ხორბლის ამ სახეობის

\* ამ სერიიდან გამოქვეყნებულია: ნ. ბრეგაძე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, I („წმინდა“), მსე, XVIII, 1975, მისივე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, II, („დალი პური“), „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1976; მისივე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, III („ოვქლი“, „პური“), მსე, XX, 1979; მისივე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, IV, („ყანა“), „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1981; მისივე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, V („დოლის პური“), მსე, XXI, 1981.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, თბ., 1956, გვ. 89—96; მისივე, საქართველოს ეთნოლოგიური ისტორია, I, ტფ. 1933, გვ. 407—409; ო. კახიძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1949; ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრომები; მისივე, სიტყვის — „ყანა“ — ერთი მნიშვნელობის შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 67, № 1, 1972, გვ. 249—251; მისივე, ხორბლის ძველქართული ჯიშები ფერეიდანში, „ძეგლის მეგობარი“, № 34, 1974; Н. А. Брегадзе, К вопросу о локализации ареала первичных очагов земледелия в Грузии, «Советская Этнография № 4, 1975.

<sup>2</sup> მ. სიხარულიძე, საქართველოს დიკის პოპულაციის აგრობოტანიკური შემადგენლობა, საქ. სსრ შრომები, ტ. 25, 1946, გვ. 73.

<sup>3</sup> В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тб., 1948, გვ. 47—49.  
სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ხორბლის ამ სახეობის სხვა, კვლავ ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული, ლათინური სახელოდებანიც — *Tr. carthlicum* (В. Л. Менабде, დასახ. ნაშრომები, გვ. 47; М. А. Арошидзе, К вопросу происхождения *Tr. carthlicum* Nevski, «Труды по прикладной ботанике, генетике и селекции» (ТПБГС), т. XVIII, 1956, და სხვ.) და *Tr. dika* (მ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომები, გვ. 72) მაგრამ

გეოგრაფიისა და ისტორიის საქართველოს ტერიტორიის უკავშირებს<sup>4</sup>, ტერიტორიის რომლის მოსახლეობის სამიწათმოქმედო ყოფაში (და არსად სხვაგან) მომხდარა ხორბლის ამ სახეობის ყოველმხრივი (გეოგრაფიული, აგროტექნიკური და ტერმინოლოგიური) დიფერენციაცია<sup>5</sup>.

სპეციალისტების მიერ საქართველოს ენდემალ მიჩნეული<sup>6</sup> დიკა მთის ზონის ხორბალია. ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დიკა დამოწმებულია დაღესტნისა და ჩრდ. ოსეთის შუა მთის, ხოლო სომხეთში<sup>7</sup>, ნახიჭევანში მაღალმთიან ზოლში; აზერბაიჯანსა და თურქეთში (საქართველოს მოსაზღვრე ზოგიერთ რაიონში) იგი ხორბლის ნათესებში მინარევის სახითაა მიკვლეული<sup>8</sup>.

რამდენადაც დიკა მთის ზონის და ამდენად საგაზაფხულო კულტურაა, მისი გავრცელების ამპლიტუდა მერყეობს მთის შუა და მაღალი ზონების (ძირითადად, ზღვის დონიდან 1000—1800 მ) ფარგლებში. შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც გვხვდება იგი 700 მ—დანაც, რომლის ქვევით აღარ მოკავთ. დიკის გავრცელების გეოგრაფიული სიმაღლის ქვედა ზღვარი თანხვედრითაა ჩვენში მავარი ხორბლის — თავთუხის გავრცელების ზედა ზღვისა. ამასთან, დიკის გავრცელების ორი ზონიდან ქვედა ანუ შუამთისა, სამშომოდგომო მარცვლეულის, უპირატესად, რბილი ხორბლის ბატონობის არეალია (სადაც მხოლოდ ზემო ნაწილში უკავია დიკას სამშომოდგომო ნათესის თანაბარი ფართობი), ზედა — მაღალმთისა კი უკვე საგაზაფხულო კულტურების სრული ბატონობის ზონაა. აქ საპატიო ადგილი ეთმობა დიკის ნათესებს<sup>9</sup>.

დიკის წმინდა თუ სხვა სახეობებთან მინარევი ნათესები სპეციალისტების მიერ დამოწმებულია საქართველოს სამიწათმოქმედო რაიონების შესატყვის ზონებში. იგი ითესებოდა გორის, დუშეთის, დმანისის, მანგლისის, წალკა—თრიალეთის, ბორჯომ-ბაკურიანის რაიონებში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, სამხრ. ოსეთში, კავკასიონის ქედის საქართველოს ზონაში, ზენო რაქსასა და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, იმერეთში სურამის ქედის მიმდებარე და ზოგ

6. ვეილოვის მიერ შერქმეული სახელწოდება — *Tr. persicum*, რატომღაც ინარჩუნებს თავს, ავტორთა უმეტესობა კვლავ მას ხმარობს, ამიტომაც როგ შემთხვევაში ქვემოთ ჩემთანაც ამ სახელით იქნება დიკა ნახსენები.

<sup>4</sup> В. Л. Менабде, დასახ. ნაშრომი, გვ. 48; მ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

<sup>5</sup> В. Л. Менабде, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

<sup>6</sup> Л. Л. Декапрелевич, Роль Грузии в происхождении пшеницы, П., «Сообщения АН ГССР», т. 3, № 2, 1942, გვ. 157; П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, М.—Л., 1971 გვ. 108.

<sup>7</sup> სომხეთში გავრცელებული დიკის შესწავლის შედეგად გამოითქვა მოსაზრება, რომ დიკა არა მხოლოდ საქართველოსი, როგორც ეს სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ენდემია და მის სხვადასხვა ვარიაციითაა სამშობლოა აღმ. საქართველო, დაღესტანი, და სომხეთის მთიანეთი (П. А. Гандилян, Колосовые культуры и их дикорастущие сородичи Армянской ССР, автореферат докторской диссертации, Ереван, 1973, გვ. 29).

<sup>8</sup> В. Л. Менабде, დასახ. ნაშრომი, გვ. 49; М. А. Арошидзе, დასახ. ნაშრომი გვ., 236; მ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73; П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

<sup>9</sup> В. Л. Менабде, Материалы по изучению географии хлебных злаков Восточной Грузии в связи с их зональностью, Тб., 1928, გვ. 180; ი. ლ ო მ ო უ რ ი, მარცვლეული კულტურები, I, თბ., 1946, გვ. 235.

7. „მ ა ე ნ ე“, ისტორიის სერია, 1982, № 2



სხვა რაიონში<sup>10</sup>. ამავე დროს, თუმცა დიკა უცნობია 650 მ-ზე დაბლა საქართველოს ბარის მიწათმოქმედებაში, მაინც დადასტურებულია შემთხვევებით, როცა სამეცნიერო ლიტერატურისა თუ საველე-ეთნოგრაფიული მასალის მონაცემებით იგი იხსენიება მისთვის სრულიად შეუფერებელ ზოლში — დაბლობში. რაც მეტად არაბუნებრივია და რასაც მასალის სათანადო ანალიზის შედეგად გარკვეული ახსნაც მოეძებნება. შესატყვისი განმარტება ამ საკითხის ირგვლივ მოტანილი იქნება ქვემოთ სახელწოდების — დიკა — განხილვისას.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებიდან ცნობილია, რომ მორფოლოგიური ნიშნებით რბილ ხორბალთან დიდი მსგავსების გამო დიკა თავდაპირველად რბილი ხორბლის ჯგუფის წარმომადგენლად იყო მიჩნეული. მოგვიანოდ, მისი ციტოლოგიური შესწავლის შემდეგ, ქრომოსომა რიცხვის განსაზღვრის შედეგად (2n=28) ნათელი გახდა, რომ იგი ტეტრაპლოიდური სახობაა და გენეტურად მაგარი ხორბლის ჯგუფს განეკუთვნება<sup>11</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაცილებით ადრე, გასულსავე საუკუნეში, როცა დიკა სპეციალისტებისათვის არც კი იყო ცნობილი, რ. ერისთავის ლექსიკონში იგი მაგარ ხორბლად იყო განმარტებული<sup>12</sup>. ნ. ვავილოვი დიკას თვლიდა რბილი და მაგარი ხორბლებულის ჯგუფებს შორის შემაკავშირებელ რგოლად<sup>13</sup>.

საქართველოში დამოწმებულია ხორბლის — დიკა — 11 სახესხვაობა და 6 ფორმა<sup>14</sup>. ამათგან უმთავრესია სამი, რომლებსაც ხალხშიც შესატყვისი ადგალობრივი სახელწოდებებით იხსენიებენ: თეთრი დიკა ანუ უბრალოდ, დიკა, შავი ან შავფხა და წითელი დიკა. მაგალითად, „მამა-პაპიდანვე მუდამ თესდნენ დიკას. სამწიროა: დიკა წმინდა თეთრფხიანი, თეთრჩუჩიანი, დიკა შავფხიანი და შავჩუჩიანი. ამათ ძველიდანვე სთესდნენ. შემდეგ მესამე ჯურა — წითელი დიკის თესვა შემოიღეს...“<sup>15</sup> ბასილი დიდის თხზულების გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანშიც ნახსენებია „დიკა მწითური“ და „თეთრი დიკა“<sup>16</sup>.

<sup>10</sup> В. Л. Менабде, Материалы по изучению..., გვ. 170—172, 180; В. Ф. Дорофеев, Пшеницы Закавказья, ТПБГС, т. 47, в. I, Л., 1972, გვ. 56; ნ. კ ე ც ხ ვ ე ლ ი, მასალები კულტურულ მცენარეთა ზონების შესასწავლად კავკასიონზე, ტფ., 1928; ი. გ ი ვ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ. თ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიკაქტოლოგია, I, თბ., 1961; ბ. ბ რ ე ვ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 31—34; ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 54—59; ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971, 33—34; გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდერეთა იმერეთში, „იმერეთი“, თბ., 1978, გვ. 16; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასთან დაკავშირებული საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების საარქივო მასალა; ბ. ბ რ ე ვ ა ძ ე, საველე-ეთნოგრაფიული დღიურები (ხელნაწ.), 1956—1959 და 1964—1977 წწ. და სხვ.

<sup>11</sup> В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, გვ. 49; В. Ф. Дорофеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 57 და სხვ.

<sup>12</sup> რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ., 1889; В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, გვ. 49.

<sup>13</sup> Н. И. Вавилов, О. В. Якушкина, К филогенезу пшениц, «ТПБГС, т. 15, вып. I, 1925, გვ. 101.

<sup>14</sup> მ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

<sup>15</sup> „შინამრეველობის მასალები“, მიწათმოქმედება, I, ფშავი (საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი).

<sup>16</sup> ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1946, II ნაკვ. (25), თბ., 1947, გვ. 55.

ზემონახსენებ სახესხვაობათაგან შედარებით ნაკლებმოსავლიანი თეთრი დიკა მეტწილად მინარევის სახით მოწმდება წითელი და შავი დიკის ყანებში<sup>17</sup>. წითელი დიკა სამხრეთ რაიონების ნათესებში ქმნის ფონს. შავი დიკის გაერთელების არე ძირითადად ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთებში, ანუ ჩვენი ტერიტორიის ჩრდილო ნაწილა<sup>18</sup>.

საქართველოს მარცვლეულ კულტურათა დარაიონების მასალებში სპეცი-ალისტების მიერ ჯავახეთის დიკად წოდებული ნათესები წარმოდგენილია დიკის (*Tr. ibericum*) და რბილი ხორბლის (*Tr. vulgare Vill.*) ცენოზით. ამავე მასალებში ადგილობრივი დიკის სახელით მოხსენიებული და სუფთა დიკად მიჩნეული სახესხვაობაც, ისევე როგორც საერთოდ დიკის თითქმის ყველა ნათესი (მისი მნიშვნელოვანი უმრავლესობა მაინც) არ მოწმდება სუფთა სახით (ე. ი. *Tr. ibericum*) და მასში, როგორც წესი, ოღონდ მეტ-ნაკლები თანაფარდობით, შერეულია რბილი საგაზაფხულო ხორბალი იფქლი — *Tr. vulgare Vill.*<sup>19</sup>. (მაშინ, როცა იფქლის სუფთა, დიკაშუღრეველი ნათესები ცნობილია ზევსურეთსა, ლეჩხუმსა და ქვ. სვანეთში). ისე რომ, ფაქტობრივად, დიკის ნათესები წარმოადგენს *Tr. ibericum*-ისა და *Tr. vulgare Vill.*-ის პოპულაციას. ამ პოპულაციაში იშვიათი მინარევის სახით, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა სახეობანიც<sup>20</sup>. ყოველივე ზემოთქმული კი, ალბათ. სხვა ფაქტორებთან ერთად აპირობებს იმას, რომ სამეცნიერო ლიტერატურისა და სავაჭ-ოთხოვრადიულ მონაცემებში დიკის ფქვილისა და მისი ნაწარმისადმი განსხვავებულ შეფასებასთან გვაქვს ხოლმე საქმე (ამაზე ქვემოთ).

დიკა, როგორც სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებით, ისე ეთნობოტანიკური მასალის მიხედვით, ტიპური, თანაც მხოლოდ და მხოლოდ საგაზაფხულო ხორბალია<sup>21</sup>.

თითქმის ყველა წერილობით წყაროსა თუ სალექსიკონო განმარტებაში ხაზგასმულია, რომ დიკა საგაზაფხულოა. თუმც ამ განმარტებათა უმეტესობაში ძნელი ამოსაკითხია, გარკვევით არა ჩანს დეფინიციებიდან სიტყვა დიკა ნიშნავს საგაზაფხულო ხორბალს საერთოდ, თუ თვით ხორბალი დიკა ანუ სახეობა — *Tr. ibericum*-ია საგაზაფხულო ფორმა (ამაზე — ქვემოთ). ზემონახსენებ განმარტებებში ზოგი აიტორი (გოულდენშტედტი, ა. მაუაშვილი, სტ. მენთეშაშვილი) დიკას საზღვრავს, როგორც რბილ ხორბალს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა (დიკის, როგორც საგაზაფხულო ხორბლის შესახებ), პ. ჟუკოვსკი და ა. ათაბეკოვა გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ დიკა სამემოდგომოც უნდა ყოფილიყო, ოღონდ ვითარცა ნაკლებ პროდუქტულმა და ადგილობრივ სამემოდგომო კულტურებთან შედარებით არა-რენტაბელურმა, იმათ გვერდით ვერ იბოვინა<sup>22</sup>. ა. ათაბეკოვას აზრით, დიკის

<sup>17</sup> მ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82—83.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> А. М. Атабекова, Материалы к морфологическому изучению нового вида культурной пшеницы *Tr. persicum* Vav., «ТПБГС», т. 15, № 1, გვ. 165; П. М. Жуковский, Персидская пшеница в Закавказье, «ТПБГС», т. 13, № 1, 1921, გვ. 49; В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, გვ. 51; М. А. Арошидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 236 და სხვ.

სამემოდგომობაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა ყოფაში დამოწმებული ფაქტი მისი შემოდგომით დათვისისა<sup>23</sup>. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ გარემოებას, ისევე როგორც ზემონახსენები ავტორების მიერ დიკის რბილ ხორბლად განსაზღვრას, სულ სხვა ახსნა მოეძებნება.

დიკა დიდ სამეურნეო ინტერესს იმსახურებს დადებით თვისებათა გამო. იგი შეგუებულია მთის მკაცრ პირობებთან, კმაყოფილება სავეგეტაციო პერიოდში ტემპერატურის მცირე ჯამით და მწიფდება დაბალ ტემპერატურაზე. უძლებს ჰარბ სინოტივესა და ხანგრძლივი წვიმების დროსაც არ ღვივდება ყანასა თუ ძნეში მისი მარცვალი<sup>24</sup>. იგი შიშველმარცვალიან ხორბლეულს შორის ყველაზე საადრეო, სწრაფშემომსვლელია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა წითელი დიკა (მასთან შედარებით შავი სავეიანო)<sup>25</sup>. ახასიათებს ჟანგასა, სოკოვან, ინფექციურ დაავადებათა და მავნე მწერთა მიმართ იმუნიტეტი<sup>26</sup>. ყოველზე აღნიშნული, ისევე როგორც მისი მავარა კონსისტენცია<sup>27</sup>, განსაკუთრებით ფასოვანს ხდის დიკას ვითარცა სასელექციო მასალა<sup>28</sup>.

დიკა ფხიანი ხორბალია. მის ამ მორფოლოგიურ ნიშანს პირველად ხაზი გაუსვა გიულდენშტედტმა<sup>29</sup>. ასევე ეს სახეობა ცნობილი სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ასევე ახასიათებს მას საველე-ეთნოგრაფიული მასალა შტორტის გამოკლებით, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით დიკა ემსგავსება რბილ ხორბალს, ოღონდ შედარებით გრძელფხიანია. დათავთუნებაში იგი ასლსაც გავს<sup>30</sup>.

მოსავლიანობით წითელი დიკა აჭარბებს როგორც საკუთრივ დიკის სახესხვაობებს, ისე პოპულაციაში შემავალ რბილ ხორბალსაც<sup>31</sup>.

სპეციალისტთა მიერ დიკის ბიო-მორფოლოგიური დახასიათების გაცნობისას თვალში გვხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები<sup>32</sup>, რაც ხშირად საველე-ეთნოგრაფიულ მასალაშიც იჩენს თავს.

ეთნობოტანიკურ მასალაში ერთსა და იმავე საკითხზე მოხრობელთა განსხვავებული მონაცემების ახსნა, ალბათ, უნდა ეძიოთ ზემოაღნიშნულ ფაქტში, რომ დიკის წათესები არაერთგვაროვანია და მათში სხვადასხვა თანაფარდობითაა წარმოდგენილი ხორბლის განსხვავებული სახეობანი. ამდენად, ჩანს,

<sup>22</sup> А. М. Атабекова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165; П. М. Жуковский, *Персидская пшеница в Закавказье*, გვ. 53.

<sup>23</sup> А. М. Атабекова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165.

<sup>24</sup> ლ. დეკაბრეღეიჩი, *შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა*, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1937, გვ. 27.

<sup>25</sup> მ. სიხარულიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 82, 83.

<sup>26</sup> В. Л. Менабде, *Пшеницы Грузии*, გვ. 51; Его же, *Материалы по изучению...*, გვ. 188; П. М. Жуковский, *Культурные растения...*, გვ. 108; Его же, *Персидская пшеница в Закавказье*, გვ. 46.

<sup>27</sup> К. М. Чинго-Чингас, *Персидская пшеница в мукомольно-хлебопечном отношении*, «ТПБГС», т. 15, № 1, 1925, გვ. 205.

<sup>28</sup> П. М. Жуковский, *Мировой генофонд растений для селекции*, Л., 1970, გვ. 42.

<sup>29</sup> ივ. ჯავახიშვილი, *საქართველოს ეკონომიური ისტორია*, I, გვ. 328,

<sup>30</sup> მ. სიხარულიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 72, 74.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 73, 76 და სხვ.

მთხრობელთა აღწერილობანი (ისიც უკვე მომავლად-მიიწიყებული კულტურისა) ეხება ურთიერთისაგან განსხვავებულ ნათესებს, რიგ შემთხვევაში ისტოსაც, სადაც დიკა (*Tr. ibericum*) სულაც არ მონაწილეობს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ სახელწოდების — დიკა — განხილვისას). რაც შეეხება სპეციალისტთა მიერ დიკის ურთიერთგანსხვავებულ აღწერას, ეს გარემოება, მიუხედავად დიკის გარაციათა შორის არსებული განსხვავებებისა, მაინც ბუნებრივად არ გამოიყურება და იგი რამდენადმე აუხსნელ-გამოუცნობი რჩება. იქმნება ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემების რაღაცნაირად შეჯერებისა და დაზუსტების, უკეთ, მათ შორის მართებულის დადგენის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში, იქნებ, ზოგჯერ ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით მივაქვლით სწორ სურათს.

მაგალითად, რუკოვსკის და ათაბეკოვას მოსაზრების საწინააღმდეგოდ, თითქოს დიკის ზოგი სახესხვაობა ცვენადია, სიხარულიძის აზრით, დიკის არც ერთ ვარიაციას არ ახასიათებს ცვენადობა. პირიქით, დიკის მარცვლი ყველაზე ძნელგამოსალეწია ჩვენში გავრცელებული შიშველმარცვლიანი ხორბლის ფორმებიდან<sup>33</sup>. ამ შემთხვევაში, თუ მოვიშვლივთ შესატყვის ეთნოგრაფიულ მასალას, დავინახავთ, რომ ერთი მხრივ, დიკის ადვილცვენადობაზე სველე მასალაში დამოწმებული ცნობები ეხება თურმე არა თვით სახეობას — *Tr. ibericum*-ს, არამედ დიკისავე სახელით მოხსენიებულ სხვა კულტურას (ჩახს. რბილ, უფხო ხორბალს. ამის შესახებაც იხ. ქვემოთ სახელწოდების — დიკა — განხილვასთან დაკავშირებული მსჯელობა). მეორე მხრივ, ჩვენი დიკა არც თუ ისე ძვილად სალეწი კულტურა უნდა იყოს. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამოწმებულია, რომ ჩვენში ყველაზე ძნელი სალეწია შიშველმარცვლიანი ხორბლთაგან დოლის პური, რომლის აუცილებელი თანხლები სამეტრნო იზრადია კვერი<sup>34</sup>. დიკა კი თუმცა ქერთან შედარებით ძნელად და უფრო ნელა, მაგრამ მაინც როგორც ცნობილია, უკვეროდ, საქონლის ფეხით ილეწება. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არაა ადვილცვენადი და თუ მისი ამ თვისების (ადვილცვენადობის) შესახებ მონაცემები ეთნოგრაფიულ მასალაშიც დასტურდება, ამასაც სხვა განმარტება მოეძებნება, რაზეც აქვს ქვემოთ იქნება საუბარი.

ასევე განსხვავებულია დიკის ნაწარმის შეფასებაც. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებით სხვა ხორბალთან შეფერველი, სუფთა დიკის ფქვილის ცნობისუნარიანობა დაბალია. ზოგი თვისებით — პურის ქერქის მოყავისფრო ფერით და სირბილით, დაფქვის ხარისხით დიკა უახლოვდება მაგარ ხორბალს<sup>35</sup>. მეორე მხრივ, საუკეთესოდაა შეფასებული წითელი დიკის მეტად ძარღვიანი, გამწევი ცომი და მისი პურის გემო<sup>36</sup>.

ხალხური დახასიათებით, რიგ შემთხვევაში დიკა თუმცა დოლის პურთან შედარებით ნაკლებ მოსავლიანია, დაბალი იზრდება, წერილთავთა და წვირლმარცვლაა, ნაკლებძარღვიანია, არა აქვს მაწიერობა, იგი მაინც გემრიელი, ტკბილი პურია („სიტკბოთი დიკა ჯობდა, გამწეობით — დოლი“.

<sup>33</sup> მ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, 74.

<sup>34</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული თორნე, „იმომხილველი“, II, 1951, გვ. 380.

<sup>35</sup> К. М. Чинго-Чингас, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

<sup>36</sup> Л. Л. Декапрелевич, К выявлению возделывания района «персидской» пшеницы, «ТПБС», т. 15, № 2, 1925, გვ. 201.



დმანისის რ-ნი). განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევენ დიკას ქვემო ქართლის იმ რაიონებში, სადაც იგი ჭავახეთიდან შემოქონდათ, რაც ბუნებრივი ჩანს. რადგან ამ არეალში გავრცელებული ანუ ჭავახური დიკა წითელია, ე. ი. შედარებით უფრო ძარღვიანია, თანაც როგორც ზემოთაც აღინიშნა, მასში დიდი რაოდენობითაა შერეული რბილი ხორბალი.

დიკას ხმარობდნენ ხინკლისათვის. მისი ცომი წყალში მაგრდება და არ იშლება. რაც შეეხება საღმრთოს — შესაწირ პურს, რეგიონებში, სადაც დოლის პური მოჰყავთ, მთხრობელთა თქმით, დიკა „ნაწილში არ არის, მიცვალებულს არ მისდის“ (დმანისის რ.). ხოლო მისი გავრცელების ძირითად ზონაში „ბევრად“, „ნათაობად“, „ჯორით:ვად“, „სასუფთაოდ“. (ზედაშედ) ხატში მისატანი შესაწირი ნამცხვრებისათვის, ქადისათვის, ხმადისათვის, სასტუმროდ, კორკოტისათვის სწორედ დიკას ხმარობდნენ. ჩანს, აქაც დიკის ნათესავში მინარევის სახით არსებული იფქლი მატებს ფქვილს სარბილესა და წებოვნებას, აღმჯობესებს მის ხარისხს. რაც შეეხება ფშავში გავრცელებული დიკის სუფთა ნათესებს, აქ, უმაჯობესად შავი ვარაიციია და მას, როგორც მთხრობლები ახსიათებენ. „ძაფი“ მეტი აქვს თეთრ დიკასთან შედარებით (ფშავი, სოფ. გომეწარი).

დიკას „ჯანდაგ“ ნიადაგებში თესდნენ. იგი ეგუება ღარიბ, ქვლორიან საყინურებს. დიკის ნათესებში ერევა მათობელა ღვარძლი. ამიტომ იქ, სადაც ღვარძლი ქარბობს ნათესში, დიკის შეფასებაც შედარებით ნაკლებია. დიკის თესვის ვადებია თებერვლიდან შუა მაისამდე (რეგიონების მიხედვით). ოღონდ აშკარაა ადრე დათესილის უპირატესობა. ხალხური დახასიათებით: „თებერვლის დიკას წისკვილის ყელი ცნობსაო“.

ხორბალ დიკის ირგვლივ ზემომოტანილი მასალის განხილვის შემდეგ დგება საკითხი თვით სახელწოდების არსის გარკვევისა.

უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში ნახსენები სახელწოდება დიკა. აკად, ივ. ჭავახიშვილის ზუსტი მითითებით, პურელის გარკვეული (იფქლისაგან განსხვავებული) სახეობის გამომხატველია<sup>37</sup>. სახელდობრ, იგი შეესატყვისება სისტემატიკოსთა მიერ *Tr. persicum*-ად წოდებულ ხორბალს, რომელიც მაგარი ხორბლის ჯგუფის წარმომადგენლადაა მიჩნეული, რაზეც მითითება (როგორც ზემოთაც აღინიშნა) უკვე რ. ერისთავის ლექსიკონში გვხვდება. სტ. მენთეშაშვილის ქიზიყურ ლექსიკონში თუმც ნათქვამია, რომ დიკა *Tr. persicum*-ია, მაგრამ იქვე მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო და საკმაოდ ბუნდოვანი განმარტებანი<sup>38</sup>, საიდანაც გაურკვეველია თუ რომელ ხორბალს შეესატყვისება სახელწოდება დიკა. ა. მაყაშვილის ლექსიკონში დიკა განსაზღვრულია როგორც *пшеница персидская*, *Tr. persicum* Vav. ამავე დროს, რბილი ფხიანი ხორბლის განმარტებისას იმავე ლექსიკონში ნათქვამია: „(სავაზ.) *пшеница мягкая остистая*, *Tr. vulgare* Vill. var. *div.* კხ. დიკა, თშ. იფქლი. ხეს. დიკა-იფქლი სენ. ლგფხა კულ“ და შემდეგ, სქოლიოში: „ხალხში დიკას უწოდებენ *Tr. persicum*-ისა და *Tr. vulgare*-ს ფხიანი სავაზაფხულო ფორმების პოპულაციას“<sup>39</sup>. რბილ ხორბლადაა განმარტებული დიკა ა. ღლონტის ლექსიკონში<sup>40</sup>.

<sup>37</sup> ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 388.

<sup>38</sup> სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი.

<sup>39</sup> ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1949.

<sup>40</sup> ა. ღლონტი, ქართულ თქმთა სიტყვის კონა, I, თბ., 1974.

ზემოთვე იყო აღნიშნული, რომ დიკა საგაზაფხულო ხორბალია და რომ მასთან დაკავშირებულ სალექსიკონო თუ მთხრობელთა ვანმარტებებიდან რიგ შემთხვევაში (მაგალითად, ს.-ს. ორბელიანისა და ნ. ჩუბინიშვილის ლექსიკონების მიხედვით) ძნელი გასარკვევია სიტყვა დიკა ნიშნავს *Tr. ibericum*-ს ანუ ხორბლის გარკვეულ სახეობას, რომელიც გაზაფხულზე სათესია, თუ საერთოდ საგაზაფხულო ხორბალს, ანუ „დიკა“ ხორბლის საგაზაფხულოობის ზოგადი აღმნიშვნელი ტერმინისა მსგავსად სახელწოდებისა - ახალთესლი<sup>41</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო ჩანს ლ. დეკაპრელევიჩის მიერ დამოწმებული ფაქტი, რომ დიკა უმეტესად გულისხმობს არა მარტო *Tr. persicum*-ს, არამედ ხშირად საერთოდ საგაზაფხულო ხორბალს (თუმც ამას უნდა ხსნიდეს იმით, რომ საგაზაფხულო ხორბალში ხშირად შერეული ყოფილა *Tr. persicum*)<sup>42</sup> მ. სიხარულაძემაც გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ საქართველოს მოსახლეობა დიკას განმარტავს როგორც საგაზაფხულო ხორბალს, მიუხედავად იმისა არის იგი საკუთრივ დიკა (*Tr. persicum*), რბილი ხორბალი (*Tr. vulgare*), თუ მათი ნარევი. ჩვენს რაიონებში დიკის სახელწოდებით ხშირად გვხვდება საგაზაფხულო ხორბლის ნათესები, სადაც დიკა (*Tr. persicum*) სრულად არაა აღნიშნული, რაც თავის დროზე შენიშნეს სხვა მკვლევრებმაც (ლომოური, აბესაძე, მენაბდე, ბარულინი)<sup>43</sup>. გ. სიხარულიძე აღნიშნავს აგრეთვე, რომ საქართველოს ზოგ რაიონში ხშირად დიკის ნაცვლად ხმარობენ სიტყვას — ახალთესლი, რაც ნიშნავს საგაზაფხულო მარცვალს<sup>44</sup>. და მართლაც, მთელ რიგ წერილობით წყაროებში დატული თუ საველე-ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინება-ანალიზი საშუალებას იძლევა დავადგინოთ შემდეგი: დიკა, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს *Tr. persicum*-ის ქართულ, ოდითგანვე ცნობილ სახელწოდებას, იგი იმავდროულად ქვეყლა ზოგადად საგაზაფხულო ხორბლის (სამეომოდგომოს საპირისპიროდ) გამომხატველ ტერმინად.

აღნიშნულის დასტურისა საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს დამოწმებული შემდეგი ფაქტი: ხშირია შემთხვევა, როცა მთხრობელი ბარის მემინდვრობაში სათეს კულტურებში დიკასაც ასახელებს. მაგალითად, დიკა დამოწმდა კახეთში მისთვის შეუფერებელ სათეს ზონაში<sup>45</sup>. მაგრამ ამ ნათესის ეთნო-

<sup>41</sup> მოვიტან დიკასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ვანმარტებას: „დიკა — გაზაფხულ ნათესი ზეარბალი“ (ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949); კლაპროტის ცნობით, დიკა ხეხვა და მთიულეთში საგაზაფხულო ხორბლის სახელი ყოფილა (ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, გვ 388); „დიკა—ახალთესლი, გაზაფხულის ნათესი ზეარბალი, *пшеница, рожь*“ (ნ. ჩუბინიშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 19); „დიკა—ნ. ხორბალი“. „ხორბალი — ...დიკა (დიკაფქლი), წითელი დიკა...“ (ა. ნეიშანის, ქართული სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951); „დიკა — (*Tr. carthicum*) პურელის სახეობა. საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი.. თავუთუნებისა და ყვავილების კილები მუდამ ფხიანი აქვს...“ (ქველ., ტ. III, თბ., 1953); „დიკა — საგაზაფხულო ფხიანი ხორბალი; გაზაფხულზე თესვენ და ზაფხულში მკიან“ (ქართული დილექტოლოგია, I, თიანურის ლექსიკონი) „დიკა — ხორბალის საუკეთესო ჯიშია, ფხიანი, მოსავალი კარგი იცის, ითესება გაზაფხულზე“ (ქართული დილექტოლოგია, I, ქართულური ლექსიკონი); დიკა — ამ სიტყვასაც ხმარობენ, თოიან მას ხეხსურულად იფქვი პქვი“ (ქართული დილექტოლოგია I, იერისპირელი — თიანური ხეხსურული, გვ. 698) და სხვ.

<sup>42</sup> ლ. დეკაპრელევიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8—9.

<sup>43</sup> მ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გ. 71.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> გ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ი. ქყონია, სოფელი აკურა, თბ., 1964, გვ. 82—83; ნ. ბრეგაძე, 1976—1977 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციების დღიურები. (ხელნაწ.).

ბოტანიკური დახასიათების ვაცნობის შემდეგ<sup>46</sup> აშკარა გახდა, რომ საქმე გვაქვს არა სახელდობრ *Tr. ibericum*-თან, არამედ რბილ უფხო ხორბალთან, რომელიც ამ შემთხვევაში გაზაფხულზე დათესვის გამო დიკად იწოდება. ზუსტად ასევე, ზოგ შემთხვევაში გაზაფხულზე დათესილი თავთუხიც და ნებისმიერი სხვა (არა *Tr. ibericum*) ხორბალიც დიკად იწოდება მხოლოდ იმის გამო, რომ იგი გაზაფხულზე დათესეს. ზოგჯერ ამავი ნიშნით მთაშიც, სადაც რბილი ხორბლის საგაზაფხულო ნათესობია. ამ უკანასკნელებსაც (მიუხედავად იმისა, არის თუ არა შიგ მინარევის სახით *Tr. ibericum*, ე. ი. რბილი ხორბლის სუფთა ნათესებაც კი) დიკად იხსენიებენ. მაშასადამე, ყველა ამ შემთხვევაში სიტყვა დიკა იხმარება არა *Tr. ibericum*-ის ნათესის, არამედ ზოგადად ყველა სახეობისა თუ ჯიშ-ვარი-აციის, ოღონდ გაზაფხულზე დათესილი, ხორბლის შესატყვისად. აღნიშნულის საილუტრაციოდ გამოდგება სავილე-ეთნოგრაფიული დღიურების მონაცემები. მაგალითად: „დიკათ (ე. ი. გაზაფხულზე—ნ. ბ.) ვთესავდით ხოლმე გომბორს (ხორბლის ჯიშია) გაზაფხულზე“ (მარნეულის რ.). „თუ დიკა არა ჰქონდათ დავუესამდით ხელუნვოს (რბილი ხორბლის უფხო ვარიაცია. — ნ. ბ.) გაზაფხულზე, თებერვალში და გახდებოდა დიკათ“ (თელავის რ.). „ხულუნგო რომ გაზაფხულზე დათესოთ, დიკა იქნება, მა რა იქნება?“ (თელავის რ.). „ეს შავფხა-დიკა თავთუხია (ე. ი. საგაზაფხულო თავთუხია—ნ. ბ.)“ (თელავის რ.) და სხვ.

აღნიშნულს თუ დავუმატებთ ცნობას იმის შესახებ, რომ მესხეთში ყველა საგაზაფხულო პურეულს დიკა ეწოდება<sup>47</sup>, ნათელი გახდება თუ რას ნიშნავს მესხეთში დამოწმებული მასალა: „მანია დიკა პურია, ოღონდ ჩვეულებრივი დიკისაგან განსხვავდება. როგორც დოლის პური, ისეთი იყო... დიკა-სავით მოდიოდა... მანია დოლის პურს გავს და საგაზაფხულო პური იყო“<sup>48</sup>. ე. ი., მანია პურის ისეთი ჯიშია, რომელიც რბილი ხორბლის ჯგუფისაა ან მისი მგავსია, თანაც დიკისაგან განსხვავებულია, ოღონდ, მიუხედავად ამისა, მთხრობელი მას მაინც დიკა პურს უწოდებს. ეს კი იმის გამოა, რომ მანია გაზაფხულზე ითესება და ამდენად საგაზაფხულო ანუ დიკა პურია.

ზემოთაღნიშნულის საფუძველზე ნათელი ეფინება კომპოზიტების — დიკა-ქერი, დიკა-ასლი, დიკა-იფქლი — მნიშვნელობებს. შეიძლება გვეფიქრა, რომ დიკა-ქერი, მსგავსად სახელწოდებისა — ქერდიკა — ქერისა და ხორბალ დიკის შერეული ნათესის შესატყვისია, დიკა-იფქლი და დიკა-ასლი კი — პოპულაციებისა, რომლებიც შესატყვისად დიკისა და იფქლის ან დიკისა და ასლის ნარევითაა წარმოდგენილი. მაგრამ მთელ რიგ მონაცემთა საფუძველზე ცხადი ხდება, რომ თუ კომპოზიტი ქერდიკა ნიშნავს ქერისა და დიკის შერეულ ნათესს, სახელწოდებაში — დიკა-ქერი (ისევე როგორც გამოთქმებში — დიკა-ასლი, დიკა-იფქლი ან დიკა-თავთუხი) დიკა უკვე საგაზაფხულოების მსაზღვრელ-მანიშნებელია. მაგალითად: „დიკა-ქერი უფრო კარგი გამოდის, ვიდრე შემოდგომისა“ („შინამრეწველობის მასალა“<sup>49</sup>. შიგნი კახეთი); „შემოდგომაზე დიკა ქერი იყო... დიკა-ქერი იყო ის, გაზაფხულის ქერი“. მოტანილ მაგალითებში დიკა-ქერი საშემოდგომო ქერთან შეპირისპირებაში მოცემული, რაც უფრო ნათლად ავლენს დიკის, ვითარცა საგაზაფხულოს

<sup>46</sup> ბ. ბ რ ე ვ ა ძ ე, 1976—1977 წწ ეთნოგრ. ექსპედიციების დღიურები.

<sup>47</sup> ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

<sup>48</sup> გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდერობა მესხეთ-ჯავახეთში, „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1972, გვ. 15.

მნიშვნელობას. მეორე მაგალითში უფრო გამოკვეთილად ჩანს ეს გარემოება. აქ ხომ დოლი-ქერი ანუ საშემოდგომო ქერია ნახსენები<sup>49</sup>.

რაც შეეხება დიკა-იფქლს, თუ გავიხსენებთ, რომ იფქლი ანუ რბილი ხორბალი საშემოდგომო ვარიაციებითაა, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი (უფრო ზუსტად, თავდაპირველად კულტურაში მისი საშემოდგომო ფორმები იყო და სიტყვა იფქლი საშემოდგომობის სინონიმადაც იხმარებოდა გარკვეულ დრომდე, ვიდრე მას ამავე მნიშვნელობით არ ჩაენაცვლა სახელწოდება — დოლის პური<sup>50</sup>), მაშინ ნათელი გახდება, რომ იფქლის საშემოდგომო ფორმებისაგან განსასხვავებლად მის გაზაფხულის ნათესებს მსაზღვრელად უნდა დართეთა საგაზაფხულოობის აღმნიშვნელი ტერმინი — დიკა. ამდენად, მივიღეთ სახელწოდება დიკა-იფქლი ანუ საგაზაფხულო იფქლი. ზუსტად ასევე სახელწოდება დიკა-ასლი ანუ საგაზაფხულო ასლი უპირისპირდება ასლის საშემოდგომო ნათესებს და თუმცა ჩვენთვის ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ასლები ამჟამად უპირატესად საგაზაფხულო ფორმებია, ჩანს მისთვის მსაზღვრელად დიკის დართვა მანიშნებელია იმისა, რომ ეს სახელი მას უნდა დარქმეოდა საშემოდგომო ასლისაგან განსასხვავებლად<sup>51</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ნათელი ხდება თუ რატომია, რომ დიკის ნათესები ზოგჯერ იხსენიება მისთვის შეუფერებელ გეოგრაფიულ არეალში, რომ ხშირ შემთხვევაში დიკის აღწერა-დახასიათებისას ურთიერთისაგან განსხვავებულ მონაცემებთან გვაქვს საქმე. ხალხურ მასალაში ზოგჯერ უფხო დიკაც იხსენიება და, საერთოდ, დიკის ხარისხიც შესატყვისად არაა შეფასებული — მას მიეწერება არა მისთვის, არამედ ამ სახელით მოხსენიებული, გაზაფხულზე დათესილი ხორბლის სხვა ჯიშების თვისებები. თუმცა აქვე, ხალხურ განსხვავებულ შეფასებათა შეჯერებისას გასათვალისწინებელია თვით დიკის ცალკეულ სახესხვაობათა თუ ფორმათა თვისებებს შორის განსხვავებანაც, აგრეთვე ის ლოკალური გეო-ეკოლოგიური პირობები, მიკროკლიმატი, ნიადაგების რაგვარობა და ა. შ. ადგილებისა, სადაც დიკა ითესებოდა.

რაც შეეხება ზოგი ავტორის მიერ დიკის განსაზღვრას რბილ ხორბლად, ამის მიზეზი ზოგ შემთხვევაში ზემოაღნიშნულივე გარემოებაა, რომ დიკა საერთოდ ყველა საგაზაფხულო, მათ შორის ხშირ შემთხვევაში, რბილი ხორბლის ნათესსაც ეწოდება და, მეორე მხრივ, (და ეს, ალბათ, მთავარია), ის ფაქტი, რომ დიკის პოპულაციაში უმეტესად აუცილებელი მინარევის სახითაა რბილი ხორბალი. ამდენად, არაა გამორიცხებული, რომ დიკის ნათესიდან აღებული ნიმუშის განსაზღვრისას შეხვედროდათ სწორედ რბილი ხორბალი, განსაკუთრებით იმ ყანებიდან. სადაც ეს უკანასკნელი დომინირებს.

მაშასადამე, ნათელია, რომ სიტყვა დიკა ზოგადად საგაზაფხულოობის აღმნიშვნელი ტერმინია. რაც თავის დროზე შენიშნა ივ. ჯავახიშვილმა<sup>52</sup>. ოღონდ იგი წერდა: „იფქლი, როგორც უკვე განმარტებული ვეჭონდა, შემოდგომის

<sup>49</sup> სიტყვის — დოლი — ვითარცა საშემოდგომობის გამოხატულის შესახებ. იხ. ნ. ბრეგაძე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, V.

<sup>50</sup> იქვე; მისივე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, III.

<sup>51</sup> ჩანს, ასლამაჟ ვერ გაუწია კონკურენცია აღმოსავლეთ საქართველოს მემინდერობის პირობებში მთავარ საშემოდგომო კულტურას — რბილ ხორბალს, მთის პირობებში კი შემოინახა თავი და ერთ-ერთ ხელსაყრელ საგაზაფხულო ფორმად ჩამოყალიბდა.

<sup>52</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 328.



სათესლე ჯიშს წარმოადგენდა, დიკა კიდევ გაზაფხულისას. ამგვარად ქართულს შემოდგომისა და გაზაფხულის ხორბლეულისათვის ცალცალკე სახელები ჰქონდა იმდენად, რამდენადაც თვით სათესლეც განსხვავებულ ჯიშებს წარმოადგენდა<sup>53</sup>. ზემომოტანილი მასალებიდან კი უნდა ჩანდეს, რომ სიტყვა დიკა საგაზაფხულოობის მნიშვნელობით იხმარება არა მარტო *Tr. ibericum*-ის, (რომელიც მართლაც საგაზაფხულოა) აქ-სანიშნავად, არამედ ყველა შესაძლებელი საგაზაფხულო მარცვლეულის (ხორბლის ყველა სახეობისა თუ ჯიშის, აგრეთვე ქერის) ნათესის შესატავისადაც. ხოლო ფაქტი, რომ დიკა ქვეულა საგაზაფხულოობის აღმნიშვნელადაც თავისებური მოწმობაა იმისა, რომ დიკა მხოლოდ და მხოლოდ საგაზაფხულო კულტურაა (ისევე, როგორც დოლის პური მხოლოდ საშემოდგომოა)<sup>54</sup>.

სახელწოდებასთან — დიკა — დაკავშირებით საველე-ენთოგრაფიული მასალიდან ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი ფაქტი: მთიულეთსა და ფშავეში იგი ზოგადად ხორბლის აღმნიშვნელ სიტყვად ქვეულა. მაგალითად, „ასლი — მარცვალი იყო დიკისა (ე. ი. ასლს ხორბლის მარცვალი ჰქონდა)“ (მთიულეთი, სოფ. ამირნი): „ასლდიკა. ისიც ჩუნჩოში ზის წმინდა მარცვალი... რავე, ასლდიკას ეძახიან, ასლია და დიკაო (ე. ი. ხორბალია)“ (მთიულეთი, სოფ. უკანძხარი); „სუყველას დიკას ვეძახით საერთოდ. რასა თესავო და — დიკასაო. მანატკასა და შავფხას კი არ ჩამოუთვლიდა. ე. ი. ან ასლი უნდა მეთქვა, ან ქერი, ან დიკა. როგორც ფშავე საერთო სახელია, ისეა დიკა და როგორც აფშო, კაწალხევეია, ისეა მანატკა, შავფხა, უფხო. საერთოდ, წმინდა სულ ყველას (ხორბლის ყველა ჯიშს) ქვიან<sup>55</sup>. დიკაც ასევე. დიკა ნიშნავს წმინდას, ხორბალს საერთოდ. ისე როგორც ბაიაშვილია (ისეა დიკა) და შერვა სვიმონი, ალექსი და სხვ. ესენია: უფხო, მანატკა, შავფხა“ (ფშავე, სოფ. ჩარგალი). მთხრობლის ამ განმარტებიდან საკმარისად ნათლად ჩანს სიტყვის — დიკა — ზოგადად ხორბლის გვარის სახელწოდების მნიშვნელობით გააზრება. ამის მიზეზი კი უნდა იყოს ის გარემოება, რომ დასახელებულ რეგიონებში. თითქმის ბოლო დრომდე, შიშველმარცვლიან ხორბლეულთაგან (რომელსაც ზემომოტანილ ამონაწერებში მთხრობელი აშკარად უპირისპირებს კილიან ასლსა და ქერს) ადგილობრივი მოსახლეობა იცნობდა მხოლოდ დიკის ნათესებს. ამდენად, ოდითგანვე გავრცელებული შიშველმარცვლიანი მთავარი კულტურის სახელწოდება ბუნებრივად გადაიტკეოდა ზოგადად ხორბლის გამოხატველ რერმინად.

ყოფაში დამოწმებულია შემთხვევებიც, როცა დიკა იხმარება მარცვლის (ისევე როგორც სიტყვა — ხორბალი) მნიშვნელობითაც.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემდგენაირად შეჯამდეს: 1. საქართველოს ენდემური ხორბალი დიკა, რომლის წარმოშობას საქართველოსავე ტერიტორიის უკავშირებენ, განსაკუთრებული სახეობაა ტრიტიკუმების გვარისა. იგი, თუმცა გენეტიკური ნიშნების მიხედვით კი განეკუთვნება მავარი ხორბლის ჯგუფს, თავისი თვისებების გამო წინიც განცალკევებულად დგას ხორბლეულის სისტემატიკურ რიგში.

<sup>53</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეთნომიური ისტორია, I, გვ. 328.

<sup>54</sup> ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, V.

<sup>55</sup> ზოგადად ხორბლის მნიშვნელობით სიტყვის — წმინდა — ხმარების შესახებ იხ. ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, I.

2. საქართველოში დამოწმებულია დიკის რამდენიმე სახესხვაობა და ფორმა, გამომუშავებული ცალკეულ მიკრორაიონთათვისაც კი.

დიკა მთის ზონის ტიპური ხორბალია. ამდენად, იგი საგაზაფხულოა. მისი გავრცელების ძირითადი არეალია შუა მთისა და შალალი მთის ზონები. პირველში იგი თანაარსებობს საშემოდგომო ხორბლის გვერდით. მეორე კი მისი ბატონობის არეა.

საკუთესო თვასებები (ადრე შემომსვლელი, არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან შემგუებლობა, მთელ რიგ დაავადებათა მიმართ იმუნიტეტი და სხვ.) დიკას შეუტყველეს ხდის მთის ზონის მეურნეობისათვის (მას საქართველოში გავრცელებისა და სამეურნეო მნიშვნელობის თვალთახედვით ხორბლულს შორის მეორე ადგილი ეთმობოდა), აგრეთვე განსაკუთრებულ ფასს სძენს, ვითარცა სასელექციო მასალას;

3. ქართული სახელი — დიკა — შეესატყვისება ხორბლის გარკვეულ, სხვათაგან განსხვავებულ სახეობას, რომელსაც სისტემატიკოსთაგან მიკუთვნებული აქვს ლათინური სახელწოდებანი — *Tr. persicum*, *Tr. ibericum* და *Tr. carthlicum*. ამასთან, დამოწმებულია, რომ იშვიათია სუფთა დიკის ნათესები და მის პოპულაციაში სხვადასხვა თანაფარდობით თითქმის ყოველთვისაა შერეული რბილი ხორბლის (ზოგჯერ სხვა ხორბლისაც) ნათესები. ამდენად, სახელწოდება დიკა უფრო ხშირად შეესატყვისება პოპულაციას — *Tr. persicum* და *Tr. vulgare* Vill.

გარდა ამისა, სახელწოდება დიკა ქვეულა ზოგადად საგაზაფხულოობის აღმნიშვნელ ტერმინად. ამ სახელით იხსენიებენ ნებისმიერი სახეობისა თუ ჯიშის მარცვლულს. ამ ფაქტს, თავის მხრივ, საფუძვლად უნდა დაედებოდა თვით ხორბლის — *Tr. persicum* — ბიოლოგიური თვისება, საგაზაფხულოობა. ამისავე გამო დიკას ზოგჯერ პირდაპირ ახალთესლსაც (ანუ საგაზაფხულოს) უწოდებენ.

მთიულეთსა და ფშავეში დამოწმებულია სიტყვის — დიკა — ზოგადად ხორბლისა და ხორბლის მარცვლის მნიშვნელობით ხმარებაც. აღნიშნულს საფუძვლად უნდა ედოს ის ფაქტი, რომ დასახელებული რაიონებისათვის დიკა ოდითგანვე ძირითადი, თითქმის ერთადერთი გავრცელებული შიშველ-მარცვლიანი ხორბლის ნათესი იყო, რის გამოც ამ მხარეთათვის მთავარი კულტურის სახელი ზოგადად ხორბლის გვარის გამომხატველადაც უნდა ქცეულიყო;

4. ყოველივე ზემოთქმული (დიკის პოპულაციაში რბილი ხორბლისა და ზოგჯერ სხვა სახეობებისაც არსებობის ფაქტი, მეორე მხრივ, სახელწოდების — დიკა — ხმარება ზოგადად მარცვლულის სხვადასხვა სახეობათა და ჯიშთა საგაზაფხულო ნათესის მნიშვნელობით, აგრეთვე თვით *Tr. persicum*-ის სახეობათა და ფორმათა მრავალგვარობა თუ მისი გავრცელების განსხვავებული რეგიონები) უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ამ მეტად საინტერესო ხორბლის ბიოლოგიური თუ სამეურნეო თვისებების დახასიათებისა და შეფასებისას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ძველ თუ ახალ წერილობით წყაროებსა და ეთნობოტანიკურ მასალაში ხშირად საკმაოდ განსხვავებულ მონაცემებთან გვაქვს საქმე (რასაც, ალბათ, კიდევ მეტი დაფიქრებულ-დაკვირვებული ანალიზი და შეკრება სჭირდება).

Н. А. БРЕГАДЗЕ

## О СВЯЗАННОЙ С ПШЕНИЦЕЙ ЛЕКСИКЕ. VI

(«дика» по этнографическим материалам)

## Резюме

В статье в результате анализа данных ботаники, истории, этнографии и лингвистики дается изучение одной из древнейших, эндемичных для Грузии видов пшеницы — «дика» (*Tg. persicum* или же *Tg. ibericum*). Показаны место и значение этой культуры в земледелии Грузии. С учетом ее агробиологических особенностей и на основе сравнительного изучения данных письменных источников, специальной научной литературы и полевого этнографического материала выявлено:

1. Грузинское название «дика» означает остистую яровую пшеницу горной зоны — *Tg. ibericum*. Хотя специалисты дику относят к группе твердых пшениц, но она все же стоит обособленно в системе рода тритикум. Ее чистые посевы встречаются редко: она в основном представлена в популяции с мягкой пшеницей — *Tg. vulgare* Vill. (Обычно соотношение этих видов в популяциях колеблется). Таким образом, название дика чаще всего соответствует популяции *Tg. ibericum* и *Tg. vulgare*. Это обстоятельство частично (вместе с фактом, что в Грузии зафиксировано множество подвидов и форм *Tg. ibericum*) является причиной того, что в научной литературе и этноботаническом материале встречаются порою противоположные друг другу данные (био-морфологическое описание, агро-биологическая характеристика оценка свойств, и качеств самой пшеницы и ее продуктов) об этой культуре.

2. Термин «дика» означает также вообще яровые посевы хлебов. Поэтому посеянные весной сорта и мягкой безостой и твердой пшениц и т. д. тоже называют «дика» (а композиты: «дикаипкли», «дткатавтухи», «дикакери» и т. д. соответственно означают посеянную весной мягкую пшеницу — *Tg. vulgare*, твердую пшеницу — *Tg. durum*, ячмень).

3. В горных районах Восточной Грузии (Мтиулет, Пшави) термин «дика» фиксируется и в значении вообще рода тритикум (т. е. пшеницы), а также пшеничного зерна. Это объясняется тем, что в указанных районах «дика» — известная издревле, главная голозерная пшеница. Поэтому ее название, естественно, превратилось в нарицательное имя для всего рода этого растения.

Р. Х. ГАГЛОЕВ

## КИНЖАЛ С ЗООМОРФНЫМ НАВЕРШИЕМ ИЗ МОНАСТЕРИ

В 1975 году отдельный отряд Юго-Осетинской археологической экспедиции проводил раскопки вблизи с. Монастери Цхивальского района Южной Осетии. В одном из погребений (погребение № 2) вместе с другими предметами погребального инвентаря был найден железный кинжал с сильно изогнутым однолезвийным клинком и овальным валутообразным навершием в виде пары противостоящих друг другу грифонных головок с загнутыми вниз соприкасающимися клювами<sup>1</sup>.

Погребение № 2 было обнаружено в могильной яме овальной формы, длиной 1,80 м, шириной 1,40 м, глубиной 0,70 м<sup>2</sup>.

На дне могильной ямы в скорченном положении, на левом боку лежал костяк мужчины, ориентированный на север. Помимо железного кинжала в погребении найдены: глиняный кувшинчик темного обжига с венчиком формы «трилистника», глиняный кувшинчик с ручкой на тулове, 3 глиняные миски с поддоном (одна светло-розового, две темного обжига), 4 бронзовые круглопроволочные кольцеобразные серьги, 9 серебряных монет, связанные с именами парфянских царей Синатрука, Митридата III, Орода I и Готарза, бронзовая римская фибула типа «AVCISSA» (без надписи), 3 бронзовых браслета (один из них с «узлом Герекла»), 3 бронзовые трубчатокольцевые пронизи, умбоовидная бляшка, 4 бронзовых перстня с плоскими щитками, 48 бус из стекла (в основном) и египетского фаянса. Здесь же были обнаружены бронзовая височная привеска в полтора оборота, прямоугольный предмет из бронзы с отверстием в верхней утонченной части, копоушка из трубчатой кости птицы и бронзовый слиточек.

Целью настоящей публикации является ввод в научный оборот железного кинжала с навершием в виде ушастого грифона.

Кинжал, о котором идет речь, был найден в области костей таза (перпендикулярно корпусу костяка). Он имеет сильно изогнутый однолезвийный клинок с заостренным концом и овальное валутообразное навершие зооморфного типа в виде соприкасающихся голов грифончиков с рельефно выделенными ушами. На одной стороне лезвия, ближе к утолщенной спинке, уместся желобок, который начинается у рукоятки и кончается у места загиба лезвия. Кинжал имеет едва прослеживаемое перекрестье прямого типа.

<sup>1</sup> Р. Х. Гаглоев. Исследование позднесантичных могильников в Юго-Осетии, Археологические открытия, 1975, М., 1976, с. 484—486, рис. 1, 3.

<sup>2</sup> Глубина дается от современной дневной поверхности.



Общая длина — 38 см, длина лезвия (до его заостренного конца) — 22 см, наибольший диаметр навершия — 6,5 см, ширина рукоятки — 2,5 см, длина рукоятки — 13,5 см, наибольшая ширина лезвия — 3,2 см, длина желобка на лезвии — 13 см, толщина спинки лезвия  $\pm 0,7$  см.

На рукоятке кинжала сохранились остатки деревянных накладок, которые прикреплялись к железному стержню посредством двух железных же гвоздиков (один в верхней, другой в нижней части рукоятки).

Вместе с кинжалом был найден и железный ножик с горбатой спинкой, который лежал на самом кинжале (вдоль лезвия), немного ниже рукоятки. Длина ножика — 13,5 см, наибольшая ширина лезвия — 1,8 см. В области рукоятки сохранились 2 железных гвоздика, скреплявшие, вероятно, деревянные части рукоятки. Интерес к описываемому кинжалу вызывается не только формой навершия, чуждой вообще для культур Закавказья, но и сильной изогнутостью лезвия.

Затрагивая вопрос происхождения оружия, в данном случае — экземпляров с кольцевым зооморфным навершием, нельзя не принимать во внимание мнение отдельных исследователей о том, что они являются одной из форм скифского акинака<sup>3</sup> с навершием в виде когтей или же головок хищной птицы<sup>4</sup>.

Некоторые исследователи появление однолезвийных мечей и кинжалов с кольцевым навершием во второй половине I тыс. до н. э. объясняют воздействием греческих однолезвийных мечей типа «махайрос»<sup>5</sup>. В это же время однолезвийные кинжалы появляются в памятниках эпохи бронзы Кавказа, в частности, такие кинжалы известны из Тлийского могильника<sup>6</sup>, хотя появление такого типа оружия на Кавказе можно связать не с греческим влиянием, а больше с переднеазиатским. Заслуживает внимания мнение о том, что исходную форму для генезиса мечей с кольцевым навершием могли дать мечи с антенным и производным от него зооморфным навершием<sup>7</sup>, которые во второй половине VI—V вв. до н. э. широко распространяются в Поволжье, Приуралье, Украине, Крыму, доходят до Центральной Европы и Сибири<sup>8</sup>.

Кроме этого, кинжалы с навершием в виде ушастого грифона известны и в Казахстане, причем интересно, что они все железные<sup>9</sup>. Су-

<sup>3</sup> Ginters W. Das Lehmert der Scythen und Garmaten in Sudrussi and, Berlin 1928, с. 56. Смирнов К. Ф. Вопросы изучения сарматских племен и их культуры в советской археологии. Вопросы скифо-сарматской археологии, 1954, с. 202; его же, Курганы у. с. Иловатка и Полтитодельское Сталинградской области.—материалы и исследования по археологии СССР, № 60, 1959, с. 320.

<sup>4</sup> Исмагилов Р. Б. Приуральские акинаки с навершием в виде ушастого грифона и хищного животного. — Советская археология, 1980, № 1, с. 225.

<sup>5</sup> Абрамова М. П. Мечи и кинжалы центральных районов Северного Кавказа в сарматское время. — МИА, № 169, 1969, с. 10; Мелюкова А. И. Вооружение скифов. — Свод археологических источников, вып. Д1—4, М., 1964, с. 59.

<sup>6</sup> Техов Б. В. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тб., 1971, с. 212.

<sup>7</sup> Хазанов А. М. Очерки военного дела сарматов, М., 1971, с. 7.

<sup>8</sup> Смирнов К. Ф. Вооружение сарматов. — МИА, 1961, № 101, с. 54; Мелюкова А. И. Вооружение скифов, с. 17.

<sup>9</sup> Акишев К. А. Саки Семиречья (по материалам Илийской экспедиции 1954, 1957 гг.) — Труды Ин-та истории, археологии и этнографии АН Каз. ССР, т. 7, Алма-Ата, 1959, с. 204.

дя по географии распространения мечей исходных типов, а также переходных форм, процесс развития мечей и кинжалов с кольцевым навершием протекал в степной и лесостепной полосе Восточной Европы, как на территории скифской<sup>10</sup>, так и савроматской<sup>11</sup> культур, откуда единичные экземпляры могли проникнуть в разные культурные регионы, в том числе и на территорию Закавказья.

Сарматы являлись распространителями мечей и кинжалов с кольцевым навершием по всей степной полосе Восточной Европы, на Северном Кавказе, где они бытуют в I в. до н. э. — I в. н. э., хотя отдельные экземпляры из грунтовых могильников доходят даже до II в. н. э.<sup>12</sup> Навершия кинжалов в виде изображения голов животных впервые появляются еще в бронзе Луристана<sup>13</sup>, а уже в раннескифское время получают широкое распространение от Южной Сибири<sup>14</sup> до Испании<sup>15</sup>, хотя рукоятки с навершиями в виде грифонов (как на Монастырском экземпляре) или орлиных голов не были характерны как для наверший скифских мечей, так и для савроматского оружия<sup>16</sup>. Между тем, эти мотивы занимали господствующее место на навершиях бронзовых кинжалов из Сибири, особенно на мечах ананьинской культуры в Волго-Камье и Приуралье — в эпоху железа. Бытование однолезвийных кинжалов в более раннее время, в южных районах Волго-Камья, может говорить о их появлении и в скифо-сарматском мире, тем более, что в лесной полосе Восточной Европы происходило слияние культурных традиций степных кочевников и лесных охотников и земледельцев<sup>17</sup>. Савроматы в последних веках до н. э. выработали свои собственные формы оружия, в том числе и экземпляры без металлического перекрестья, причем ряд из них отличается по деталям оформления рукоятки и изогнутости лезвия от скифских, но сближается с сибирскими<sup>18</sup>, для которых характерно изображение орлиных голов. Однако, несмотря на значительные параллели с южносибирскими кинжалами, на савроматской территории развитие форм этого вида оружия шло своим путем, хотя взаимное воздействие и имело место<sup>19</sup>.

Это хорошо прослеживается и на монастырском кинжале единственного экземпляре такого вида оружия не только на территории Южной Осетии, но и всего Закавказья.

Говоря о зооморфном навершии монастырского кинжала, надо отметить, что именно оно относит кинжал к предметам вооружения скифо-савромато-сарматского круга. Савроматский звериный стиль позволяет считать савроматскую территорию, которая простиралась между племенами Северного Кавказа и Скифии, с одной стороны, и племе-

<sup>10</sup> Хазанов А. М. Очерки военного дела сарматов, с. 8.

<sup>11</sup> Исмагилов Р. Б. Приуральские акшаки..., с. 222.

<sup>12</sup> Хазанов А. М. Очерки..., с. 10.

<sup>13</sup> Herzfeld E. Iran the Ancient East. London, 1941, с. 163.

<sup>14</sup> Членова И. Л. Происхождение и ранняя история племен тагарской культуры. М., 1967, с. 14.

<sup>15</sup> Gschule W. Probleme der Eisenzeit auf der Iberischen Halbinsel.— Jahrbuch der Romischen—Germanischen zentralmuseums Mainz, 1960, № 7.

<sup>16</sup> Мелюкова А. И. Вооружение скифов, с. 55.

<sup>17</sup> Халиков А. X. Волго-Камье в начале эпохи раннего железа VIII—VI вв. до н. э. М., 1977, с. 173.

<sup>18</sup> Смирнов К. Ф. Вооружение савроматов. М., 1961, с. 29—31.

<sup>19</sup> Там же, с. 30.

нами Сибири и Средней Азии, — с другой, одной из провинций зооморфного стиля Евразии. Находясь в тесных культурных взаимоотношениях с этими племенами, савроматы, естественно, включили в свое искусство элементы звериного стиля запада и востока<sup>20</sup>. У воинственных скотоводов — савроматов зооморфизм, дополненный мотивами домашних животных, уже заключался не в почитании зверя-тотема, а в использовании его определенной магической силы, особенно в военном деле, усиливающей боевые качества оружия. У савроматов мотивы хищников были связаны с местной фауной — с волком и медведем, орлом или степной хищной птицей<sup>21</sup>. Именно поэтому можно думать, что, помимо прочих культов, у савроматов существовал и культ хищной птицы, причем образ орла или орлиноголового грифона, имеющего сокрально-магическое значение, как и на монастырском экземпляре, часто соединялся с древними космогоническими представлениями, особенно с культом солнца<sup>22</sup>.

Учитывая, что погребение, где найден монастырский кинжал, датируется не позднее I в. н. э., мы предполагаем, что этот кинжал мог попасть на территорию Южной Осетии не ранее II—I вв. до н. э., когда сарматские племена расселяются далеко за пределы своей первоначальной территории, и вместе с ними оружие (мечи и кинжалы) с кольцевым и зооморфным навершием широко распространяется по всей степной полосе Восточной Европы, на Северном Кавказе и в Боспорском царстве, а отдельные экземпляры проникают далеко на север и в Закавказье<sup>23</sup>. Мечи с навершием в виде повернутых друг к другу головок ушастых грифонов представлены в культурах раннего железного века Южной Сибири, Алтая и Казахстана<sup>24</sup>, причем именно зооморфные навершия указывают на их восточное происхождение, тем более, что прием изображения животных с соприкасающимися или вообще слившимися в одну голову встречается на востоке<sup>25</sup>.

Включение различных зооморфных мотивов в оформление навершия, перекрестий и рукояток кинжалов и ножей было особо характерно и для сибирского оружия<sup>26</sup>.

Монастырский кинжал, несомненно, мог попасть на территорию Южной Осетии от савроматов или сарматов, которые могли произвести его от форм скифских однолезвийных мечей IV—III вв. до н. э., но вместе с тем использовали и местные стоки (желобок, идущий от района перекрестья к изгибу лезвия). Описываемый кинжал, вероятнее всего, уже будучи на территории Южной Осетии передавался из поколения в поколение, т. е. был наследственным.

<sup>20</sup> Смирнов К. Ф. Савроматы. М., 1964, с. 242.

<sup>21</sup> Там же, с. 244.

<sup>22</sup> Чурсин Г. Ф. Амулеты и талисманы кавказских народов. Махачкала, 1929, с. 13; Штернберг Л. Я. Первобытная религия в свете этнографии. Л., 1936, л. 112—126; Погребова Н. Н. Грифон в искусстве Северного Причерноморья в эпоху архаики. — Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Ин-та истории материальной культуры, XXII, М.—Л., 1948, с. 62.

<sup>23</sup> Хазанов А. М. Очерки военного дела..., с. 10.

<sup>24</sup> Акишев К. А. Ук. соч., с. 204; его же. Саки азиатские и скифы европейские (общее и особенное в культуре). — В сб.: Археологические исследования в Казахстане. Алма-Ата, 1973, с. 47; Смирнов К. Ф. Савроматы, с. 220.

<sup>25</sup> Членова Н. Л. Происхождение и ранняя история племен тагарской культуры. М., 1967, табл. 3.23—26.29; 4, 11, 12; 11,9—12; 22, 1, 28.

<sup>26</sup> Исмагилов Р. Б. Приуральские акинаки..., с. 225.

Желобки, идущие от района перекрестья к центру лезвия, сопоставляются рядом ученых с традицией, ведущей свое происхождение от желобчатых бронзовых клинков кобанской культуры и бронзовых мечей Центрального Кавказа<sup>27</sup>.

Определенный интерес вызывают изображения ушей на головках грифончиков, составляющих верхнюю часть навершия рукоятки монастырского кинжала. Дело в том, что такие ушастые грифоны известны в зверином стиле Предкавказья, причем из всех бытующих здесь грифонных мотивов этот является самым поздним. Здесь же имеются и археологические комплексы V—IV вв. до н. э., где встречены изображения грифонских голов с ушами, как у хищников<sup>28</sup>.

Мечи с зооморфными навершиями в виде изображения наземных хищников, не характерны для оружия восточноевропейского круга, но у скифов и сарматов были известны акинаки с навершием в виде когтей или головок хищной птицы.

Таким образом, подводя итог вышесказанному, отметим, что монастырский кинжал, не имеющий пока точных аналогий, несомненно, принадлежит сарматской культуре, о чем говорит обобщение его элементов, а также и то, что культурные связи населения южных склонов Центрального Кавказа с населением Северного Кавказа, которые развивались с древнейших времен с II—I вв. до н. э. — I в. н. э., становятся более тесными и многосторонними.

Не исключено, что в дальнейшем новые материалы раскопок позволят решить вопрос о том, как попали кинжалы этого типа на территорию Южной Осетии.

<sup>27</sup> Виноградов В. Б. Центральный и северо-восточный Кавказ в скифское время. Грозный, 1972, с. 119.

<sup>28</sup> Виноградов В. Б. Ук. соч., с. 147.

Представил Юго-Осетинский научно-исследовательский институт АН ГССР



ზაზა სნირბლაძე

ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი ბერთუხანის  
ტაძრის მოხატულთაგანი\*

ძველი და ახალი აღთქმის არაკანონიკურ წიგნთა ქართული ვერსიების საკმაოდ გრძელ ნუსხაში წმ. მარიამის ცხოვრების ამსახველ თხზულებებს საეკლესიო ადგილი უჭირავს<sup>1</sup>. ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი აპოკრიფული ნაწარმოებები ქართული მწერლობის ადრეულ ეტაპზევე ითარგმნა. იქიდან მოკიდებული, საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე XIX ს-ის მიწურულამდე, მათი სხვადასხვა ვარიანტისა და რედაქციის შემცველი მრავალი ხელნაწერი გვხვდება<sup>2</sup>.

არაკანონიკური ლიტერატურის ამ ნაწილის მიმართ ძველი ქართული მწერლობის, ქართული ეკლესიის ცხოველ ინტერესს<sup>3</sup>. მხოლოდ აღნიშნული ფაქტიროდი მოწმობს — აპოკრიფულ თხზულებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ფართო ასახვა შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში სწორედ ანა-იოვაკიმეს და მათი პირმშოს — მარიამის ცხოვრებასთან დაკავშირებულმა სიუჟეტებმა პოვა — ისინი ცალკეული სცენების ან თელი ციკლების სახით გვხვდება კედლის მხატვრობაში (ატენის სიონი—XI ს.<sup>4</sup>, ყანჩაეთი —XII ს-ის ბოლოს<sup>5</sup>; ყინციისი — XIII ს-ის დასაწყისი<sup>6</sup>; ბეთანია — XIII ს-ის დასაწყისი; ბერთუხანი — 1212—1213 წწ.; ტიმოთესუხანი — 1205—1220 წწ.<sup>7</sup>; ახტალა —

\* გაგრძელება იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1982, № 4.

<sup>1</sup> ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი აპოკრიფებს ჩამოთვლის კ. კეკელიძე. იხ. მისი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, გვ. 441—443; აღნიშნულ თხზულებათა უძველესი ვერსიების დიდი ნაწილი ამჟამად გამოცემულია. იხ.: Иосиф Ариматинский, Сказание о пострении первой церкви в городе Лидде, Грузинский текст по рукописям X—XI веков (с двумя палеографическими таблицами) исследовал и перевел Н. Марр, «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. II, СПб., 1900; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ., 1946, გვ. 13—16; M. Van Esbrock, Apocryphes géorgiennes de la dormition, Analecta Bollandiana, tome 91, 1973, გვ. 55—75; მისივე, «Généalogie de la Vierge» en géorgien, იქვე, გვ. 347—355; მისივე, L'assomption de la Vierge dans un Transitus pseudobasilien, Analecta Bollandiana, tome 92, 1974, გვ. 125—163; ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ფრაგმენტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977, გვ. 7—35.

<sup>2</sup> ამ ხელნაწერთა დიდი ნაწილი გვიან ხანას —XVII—XIX საუკუნეებს განეკუთვნება.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ „ეს დარგი მწერლობისა ქართველებს თეორიულად, მეცნიერულადაც კი აინტერესბდათ“ (იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 431).

<sup>4</sup> Ш. Я. Амранашвили, История грузинской монументальной живописи, том I, Тб., 1957, გვ. 83—89, ტაბ. 62—71; Т. Б. Вирсаладзе, Некоторые вопросы общей композиции росписи Атенского Сиона, კრებულში: «Средневековое искусство, Русь, Грузия», М., 1978, გვ. 89—91, სქემა გვ. 86-ზე.

<sup>5</sup> Е. Привалова, Роспись Тимотесубани, Исследование по истории грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1980, გვ. 206.

<sup>6</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 272.

<sup>7</sup> Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, გვ. 51—54, 206—208. სურ. 6, 14.

XIII ს.8; ქობაირის მონასტრის ეკვდერი — XIII ს-ის შესამე მეოთხედი<sup>9</sup>; მღვიმევი — XIII ს-ის დასასრული<sup>10</sup>; საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძარი— 1285—1308 წწ.<sup>11</sup>; ზარზმა—XIV ს.<sup>12</sup>; წალენჯიხა—1384—1396 წწ.<sup>13</sup>; გელათი— 1577 წ.<sup>14</sup> და სხვ.), საფასადო სკულპტურასა (ჯოისუბანი—X სს.<sup>15</sup>) და კანკელის რელიეფებში (საფარის მონასტრის მიძინების ტაძარი XI ს-ის პირველი მეოთხედი<sup>16</sup>), ოქრომქანდაკებლობაში (ზარზმის<sup>17</sup>; XI ს-ის დასაწყისის და აწყურის<sup>18</sup> XVI ს-ის ქედური ხატები), ხატთწერაში (უბისის ხატი —XIV ს<sup>19</sup>), მინანქარში (კორცხელის ხატი — XIII ს-ის დასაწყისი<sup>20</sup>), მინიატურაში (A-648—XI ს-ის დასაწყისი<sup>21</sup>; H-2805—XIII ს.<sup>22</sup>; A-30, A-31, A-32—1681 წ.<sup>23</sup>; H-1452 — 1674 წ.<sup>24</sup>; H-1755—1674 წ.<sup>25</sup>; H-98—1681 წ.<sup>26</sup>; A-1556—1826 წ.<sup>27</sup> და მრავალი სხვ.).

<sup>8</sup> შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომის, გვ. 261—262.

<sup>9</sup> И. Р. Драмбян, Фрески Кобайра, Ер., 1979, გვ. 10—17; ზ. სხირტლაძე, XIII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისთვის (ქობაირის სამონასტრო კომპლექსის ეკვდერის მოხატულობა), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1981, გვ. 31—33.

<sup>10</sup> Ш. Я. Амиранашвили, Некоторые замечания о происхождении художественно-живописных приемов письма фресок Нередицы, Мაცე, ისტორიის სერია, № 4, 1980, გვ. 125.

<sup>11</sup> გ. ხუციშვილი, საფარის მონასტრის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობა (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1972, გვ. 58—59, ტაბ. II-ა, ფოტო 12.

<sup>12</sup> Е. С. Такашвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I., Тифл., 1905, გვ. 55—57.

<sup>13</sup> Ш. Я. Амиранашвили, Византийская монументальная живопись эпохи палеологов и «национальные школы» (Кир Мануил Евгеник), VII всесоюзная конференция византистов в Тбилиси, тезисы докладов, Тб., 1965, გვ. 57; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 339; И. Лордкипანიдзе, Стенная роспись в Цаленджиха, Художник Кир Мануил Евгеник, „ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი“, თბ., 1977, გვ. 4.

<sup>14</sup> N. et M. Thierry, Notes sur un court voyage en Géorgie soviétique, Bédif Kartlisa, vol. XV—XVI, Paris, 1963, გვ. 41.

<sup>15</sup> ბ. ალადაშვილი, ჯოისუბნის რელიეფები, „საბჭოთა ხელოვნება“, № 7, 1978, გვ. 68—76, ფოტო 76-ე გვ-ზე.

<sup>16</sup> Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 123—135, ტაბ. 3.

<sup>17</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 194—212, სურ. 293.

<sup>18</sup> Н. П. Кондаков, Дм. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1890, გვ. 26, ტაბ. 11.

<sup>19</sup> თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ქედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980, ტაბ. 42—48.

<sup>20</sup> Sh. Amiranashvili, Medieval Georgian enamels of Russia, New York, 1965, გვ. 67—68, ფოტო გვ. 69-ზე; Л. Хускивадзе, Грузинские эмали, Тб., 1981, გვ. 237—254.

<sup>21</sup> Г. В. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI—нач. XIII вв., Тб., 1973, გვ. 31, ტაბ. 5—А.

<sup>22</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. VI, თბ., 1953, გვ. 194—195.

<sup>23</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. I—I, თბ., 1974, გვ. 97—104.

<sup>24</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. III, თბ., 1948, გვ. 381—391.

<sup>25</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. IV, თბ., 1950, გვ. 185—186.

<sup>26</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, თბ., 1946, გვ. 72—73.

<sup>27</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. V, თბ., 1955, გვ. 74—75.

ადვილი შესამჩნევია, რომ ძველი ქართული მწერლობის მსგავსად, საქართველოში ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი სახვით ხელოვნებაშიც საუკუნეთა მანძილზე რჩება ძალზე პოპულარულ თემად, ამასთან, მის საფუძველზე შექმნილი სიუჟეტები შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის, სკულპტურის, ლითონზე პლასტიკის, მინანქრის უმნიშვნელოვანეს ნაგებობებში გვხვდება. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ძველთა უმეტესობაში მარიამის ცხოვრების სცენებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი ნაწილი ძალზე საყურადღებო იკონოგრაფიულ-სტილისტური ნიშნებით ხასიათდება. ამიტომ არაკანონიკურ წიგნთა აღნიშნული ნაწილის ძველი ქართული რედაქციების და ამის საფუძველზე შექმნილი ვრცელი ციკლების ან ერთეული კომპოზიციების კვლევა აღნიშნული აპოკრიფული თემის ინტერპრეტაციის აღმოსავლურ-ქრისტიანულ და საკუთრივ ბიზანტიურ ტრადიციებთან ნიმართებაში საინტერესო მასალას იძლევა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში სწორედ არაკანონიკური თემებისადმი მიდგომის, მათი გადაზრების სპეციფიკის ნათელსაყოფად<sup>28</sup>. ეს, თავის მხრივ, ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონის ისტორიისა და კულტურის (რელიგიის, მწერლობის, ხელოვნების) ისტორიის საერთო სურათის მნიშვნელოვანი მხარეა.

**ბერთუნის ტაძრის მოხატულობა** — გ. ჩუბინაშვილის მართებული თქმით: „გარეჯის ფერწერული სკოლის კლმინაციური მიღწევა“<sup>29</sup>, თამარის ეპოქის ქართული მონუმენტური ფერწერის ეს ბრწყინვალე ნიმუში და აღმოსავლურ-ქრისტიანული კედლის მხატვრობის ფრიად თავისთავადი, საგულისხმო ძეგლი ღმრთისმშობლის ცხოვრების ამსახველი აპოკრიფული თხზულების შუასაუკუნეების ქართულ ხელოვნებაში არსებულ ილუსტრაციათა შორის ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ და საყურადღებო იკონოგრაფიულ-სტილისტური ნიშნების მქონე ციკლს შეიცავს.

ბერთუნის მონასტრის ისტორიასთან, ხუროთმოძღვრებასა და კედლის მხატვრობასთან დაკავშირებული საკითხები საკმაო ხანია რაც მკვლევართა ყურადღებას იქცევს. ამის გამოა, რომ ძეგლი, განსაკუთრებით კი მონასტრის მთავარი ტაძრისა და სატრაპეზოს მოხატულობები, ხშირად განიხილება ქართული და საზოგადოდ აღმოსავლურ-ქრისტიანული ფერწერის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილებში, მონოგრაფიულ გამოკვლევებში<sup>30</sup>;

<sup>28</sup> ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელოვნებაში ღმრთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების ილუსტრაციებს ეხება ე. ლაფონტენ-დოზონის ნაშრომი (იხ. J. Lafontaine-Dosogne, *Iconographie de l'Enfance de la Vierge dans l'Empire Byzantine et en Occident*, tome 1—2, Bruxelles, 1964—1965). მაგრამ აღნიშნულ გამოკვლევაში ქართულ ძეგლებს ძალზე მცირე ადგილი ეთმობა — ისინი ძირითადად ყოველგვარი ანალიზის გარეშე, მაგალითის სახითაა მოხმობილი, მათი ნაწილი კი აქ საერთოდ დასახელებული არაა.

<sup>29</sup> Г. Н. Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, Тб., 1948, გვ. 61.

<sup>30</sup> Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—83; შ. ამირანაშვილი, ბერთუნის სატრაპეზოს კედლის მხატვრობა, „ილიონი“, № 2, ტფ., 1922, გვ. 24—28; მისივე, დავით-გარეჯის უდაბნოს ფრესკები, „ძეგლის მეგობარი“, № 1, 1964, გვ. 11—13; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 336—337; მისივე, Некоторые замечания о происхождении художественно-живописных приемов письма фресок Передницы, გვ. 123—125; კ. მელითაური, ბერთუნის მონასტრის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული ორგანიზაცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 1, 1960, გვ. 115—120; В. Н. Лазарев, *История византийской живописи*, т. I, М., 1947,




ყმაგვრამ თუკი ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოს ფრესკები სპეციალური კვლევის საგანი გახდა<sup>31</sup>, მთავარი ტაძრის მოხატულობის შესახებ ერთიანი მონოგრაფიული გამოკვლევა დღეისათვის არ არსებობს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ძველის მრავალ საუკუნეაღდგომ მხარე ჯერაც არაა საკმარისად გამოქვეყნებული, მათ შორის ყველაზე ნაკლებად — ანას და იოვანიმეს ისტორიის, მარიამის ყრმობის ამსახველი აქ შესრულებული ციკლი (ე. ლაფონტენ-დოზონის ზემოთდასახელებულ გამოკვლევაში შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში ღმრთისმშობლის ცხოვრების თემის ილუსტრირების შესახებ ჩვენი მოხატულობა და იქ არსებული სცენები მხოლოდ რამდენჯერმე არის მოხმობილი პარალელის სახით); იგი ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული კომპონენტია და ამდენად, მის კვლევას შეუძლია ბევრ საგულისხმო საკითხს მოჰფინოს ნათელი.

დარბაზული ტიპის (11,7×6,7 მ.) კლდეში ნაკვეთი ეკლესია ბერთუბანში ძლიერ დაზიანებულია — ამ საუკუნის ოციანი წლების მიწურულს მისი სამხრეთ ნახევარი ჩამოიქცა. დაიღუპა ფრესკული შემეკულობის ნაწილიც, კერძოდ სამხრეთ და დასავლეთ კედლების მხატვრობა თითქმის მთლიანად. ფრაგმენტია შემორჩენილი კამარის ფერწერული დეკორიდანაც (სურ. 1).

გვ. 185; Т. Б. Вирсаладзе. Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, „ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი“, თბ., 1977, გვ. 18; А. И. Вольская, Сцены богородичного цикла в грузинской средневековой монументальной живописи XIII века (роспись храма в Бертубани), „Культура и искусство Византии“, краткие тезисы докладов научной конференции, Л., 1975, გვ. 9—10; მისივე, Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974, გვ. 98—151; მისივე, Живописные школы средневековой Грузии, „ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი“, თბ., 1977, გვ. 1—9; მისივე, Гарежийская живописная школа. Росписи Бертубани, კრებულში: „Средневековое искусство, Русь. Грузия“, М., 1978, გვ. 92—105; ა. ვოლსკაია, გ. ალიბეგაშვილი, დავით-გარეჯის მოხატულობა, „ძველის მეგობარი“, № 3, 1964, გვ. 47—51; Г. В. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI—нач. XIII, вв; მისივე, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1980; გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972, გვ. 115—121; Е. Л. Привалова, О грузинской монументальной живописи рубежа XII—XIII веков, „ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი“, თბ., 1977, გვ. 12—15; მისივე, Роспись Тимотеусбани, გვ. 136—139; J. Lafontaine-Dosogne, Iconographie de l'Enfance de la Vierge dans l'Empire Byzantin et en Occident, I; Bruxelles, 1964; მისივე, Iconography of the Cycle of the Life of the Virgin, «The Kariye Djami», vol. IV, Studies in the Art of the Kariye Djami and Its Intellectual Background, Princeton University Press, New Jersey, 1975, გვ. 165, 169 და ა. შ.; მისივე, Исследование по декоративным программам средневековых церквей Грузии в связи с византийской монументальной живописью, „ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი“, თბ., 1977, გვ. 16—18; V. J. Djuric, La peinture murale Byzantines XII<sup>e</sup> et XIII<sup>e</sup> siècles, XV<sup>e</sup> Congrès International d'Études Byzantines, rapports et co-rapports, III, Art et Archéologie, Athènes, 1976, გვ. 80—81; T. Veľmans, La peinture murale Byzantine à la fin du moyen age, tome I, Paris, 1977, გვ. 159—160; Art and Architecture in Medieval Georgia, Milan-Louvain-le-neuve-Tbilisi, 1980, გვ. 97—98.

<sup>31</sup> შ. ამირანაშვილი, ბერთუბნის სატრაპეზოს კედლის მხატვრობა; А. И. Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии.





ნახ. 1. ბერთუნის მთავარი ეკლესია. ხელი საკურთხეველიდან. რეკონსტრუქცია: 1 — ჭვრის ამაღლების კომპოზიცია; 2 — დიდი ზომის ორნამენტული მოტივი; 3 — თამარ მეფისა და ლაშავიორის პორტრეტები; 4 — ღმრთისმშობელი ყრბით, ე. წ. «*Vevea Elpis*» («*Βεβια Ελπις*»); 5 — წმ. ნინოს გამოსახულება; 6 — წმ. მამათა ჭვუფი; 7 — წმ. დედათა ჭვუფი; 8 — წმ. მხედრები — გიორგი, თევდორე, დემეტრე; 9 — წმინდანის სამი ნახევარფიგურა; 10 — „ძღვნის უარყოფა“; 11 — „მწუხარედ მიმავალი იოვაკიმე და ანა“; 12 — „იოვაკიმეს ხარება“; 13 — „ანას ხარება“; 14 — „ანას და იოვაკიმეს შეხვედრა“; 15 — „ღმრთისმშობლის შობა“; 16 — „ვანბანვა“; 17 — „დაწინდება“; 18 — „ტაძრად მიყვანება“; 19 — „ღმრთისმშობლის ხარება“; 20 — „ქრისტეს შობა“; 21 — დასავლეთ სათავის „ვანკითხვის დღის“ კომპოზიცია.

ამის მიუხედავად, ჩვენს ხელთ არსებული მასალა (ძველი ფოტოები) გადარჩენილ ფრამენტულ მოხატულობასთან ერთად საშუალებას იძლევა აღდგეს ტაძრის ფერწერული შემკულობის სრული სახე, რაც, თავის მხრივ, შესაძლოს ხდის მსჯელობას მოხატულობის საერთო კომპოზიციური აღნაგობის, იკონოგრაფიული მომენტების, სტილის და სხვა საკითხთა შესახებ (ნახ. 1).

**ტაძარი ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი.** საკურთხეველის კონქში აქ შესრულებულია თეთრ საყდარზე მკდომი ღმრთისმშობლის ფიგურა ყრბითურთ და მის ორსავე მხარეს წარმოდგენილი ლაბარუმიანი მთავარანგელოზებითურთ. ქვედა რევისტრში გამოსახულია „მსხვერპლის თაყვანისცემის“ სიმბოლური ხასიათის სიუჟეტი — თეთრით, ცისფრით და მოოქროსფერო ყვითლით მოსილი ეკლესიის მამების სამ-სამი ფიგურისგან შემდგარი ორი ჭვუფი აქ წმინდა ტრაპეზისკენაა მიმართული. აღნიშნულ კომპოზიციას ასრულებს მღვდელმთავართა რიგის ბოლოს, ორსავე მხარეს გამოსახულ დიაკვანთა ფრონტალური ფიგურები.

დარბაზის კაპარა „ჭვრის ამაღლების“ უზარმაზარ კომპოზიციას ჰქონდა დათმობილი. მის ქვემოთ, დარბაზის სამივე — ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებზე ფრიზად მოცემული იყო ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სცენები.

სამხრეთ და დასავლეთ კედლის ქვედა რევისტრი წმინდანებისა და წმ. მეომრების გამოსახულებებს ეკავა (ამ უკანასკნელთა — წმ. გიორგის, თევდორეს და დემეტრეს ფიგურები სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთში იყო

შესრულებული), ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში კი წარმოდგენილი იყო თამარ მეფისა და მისი ძის — ლაშა-გიორგის პორტრეტები.

დარბაზის ძირითადი სივრცეებიდან გამოყოფილ, თუმცა მასთან ფართო გასასვლელით დაკავშირებულ დასავლეთის ასევე კლდეში ნაკვეთ დაბალ სათავესში წარმოდგენილი იყო „განკითხვის დღის“ კომპოზიცია. იგი ამჟამად ძალზე დაზიანებულია.

ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფულ ციკლს ბერთუბნის ეკლესიის ფერწერული დეკორის ამგვარ სისტემაში ძირითადი ადგილი უჭირავს — იგი აქ მთელს ზედა რეგისტრს იკავებს. კამარაზე და ნაწილობრივ კედლებზე შესრულებული სცენები უწყვეტ ფრიზად შემოუყვება დარბაზის ინტერიერს და ძალზე ნათლად იკითხება.

ციკლი ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში იწყება, ვასდევს მას, გადადის დასავლეთ, შემდეგ სამხრეთ კედლებზე და მთავრდება სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში. სცენები დაახლოებით ხუთი სმ-ის სიგანის მოწითალო-ყავისფერი ზოლებითაა მოჩარჩოებული<sup>32</sup>.

აპოკრიფული თხრობა იწყება „ძღვნის უარყოფით“. მას მოსდევს სიუჟეტები: „ანა და იოვაკიმე მწუხარედ მიმავლნი“, „იოვაკიმეს ხარება“, „ანას ხარება“; შემდეგ სცენათა რიგი დასავლეთ, ნახევარწრიული მოხაზულობის ტიმპანზე გადადის. აქ სიმეტრიულად განლაგებულია სამი კომპოზიცია: „ანას და იოვაკიმეს შეხვედრა“, „ღმრთისმშობლის შობა“ და „განბანვა“. სამხრეთ კედელზე სცენები ამგვარად იყო განაწილებული: „დაწინდება“, „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება“, „ხარება“, „ქრისტეს შობა“.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლის კომპოზიციები სწორკუთხა, ხშირად კვადრატთან მიხაზოებული მოხაზულობისაა. დასავლეთის ტიმპანზე სცენების ზედა კონტურები ნახევარწრიულ ფორმას იღებს, ამათგან ორი გვერდითი სიუჟეტი — „ანას და იოვაკიმეს შეხვედრა“ და „მარიამის განბანვა“ სამკუთხა კადრს წარმოადგენს.

დარბაზის ინტერიერს შემოყოლებული ეს ფერწერული ციკლი, რომელიც „ხარების“ და „შობის“ კომპოზიციებთან ერთად ანას და იოვაკიმეს ისტორიისა და მარიამის ყრმობის ამსახველ თერთმეტ სცენას აერთიანებს, ტაძრის მოხატულობის სისტემაში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტია; ფერწერის სამხრეთ ნაწილის დაღუპვამდე შესრულებული ფოტოს, აგრეთვე ტაძრის გეგმის ანაზომის<sup>33</sup> მიხედვით ირკვევა, რომ კარის ღიობი კლდეში ნაკვეთი ამ ეკლესიის სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში იყო გაჭრილი. ამდენად, ტაძრად მოსულის მზერას, შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში არსებული ტრადიციის თანახმად<sup>34</sup>, უპირველესად კარის პირისპირ, ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში შესრულებული სამეფო პორტრეტი მიიპყრობდა, შემდგომ — საკურთხევლის კონქში შესრულებული საყდარზე მჯდომი ღმრთისმშობლის მონუმენტური ფიგურა და კამარის უზარმაზარი, შთამბეჭდავი კომპოზიცია — ჭვრის ამაღლება სამი ანგელოზის მიერ.

<sup>32</sup> სცენების შემოსაზღვრავი ვერტიკალური და ზედა პორიზონტალური ხაზები მუქი ყავისფერია, რომელზეც ზემოთან თეთრი ფერის ძლიერ თხელი, გამჭვირვალე ფენაა გადასმული. ქვედა პორიზონტალური ზოლი შესრულებულია მოწითალო-ყავისფერით.

<sup>33</sup> Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტბ. 102.

<sup>34</sup> Г. В. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, გვ. 30 და შმდ.



Երկ. 2.

დავთ), არამედ „ქრისტეს შობით“. ამით თხრობა არ წყდება — იგი ახალ, უფრო ვრცელ თემაში გადაიზრდება, საკურთხევლის კონქში გამოსახული ღმრთისმშობლისა და ყრმის ფიგურები („ქრისტეს შობის“ ხილვის შემდეგ ხომ მზერა კვლავ აქ ინაცვლებს) სულ სხვა ელერადობას იძენს, ხოლო მასთან ერთად თვით ციკლიც და მოხატულობის მთელი სისტემაც ახალი შინაარსით მდიდრდება.

ქრისტიანული აღმოსავლეთის და კერძოდ — შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის ძეგლებში წმ. მარიამის ცხოვრების ამსახველი ცალკეული სიუჟეტების, სცენათა გზუფის ან ამ თემაზე შექმნილი ვრცელი ციკლების განთავსების რამდენიმე პრინციპი შეინიშნება:

ხშირ შემთხვევაში ტაძრის ფერწერულ დეკორში ჩართულია ღმრთისმშობლის ცხოვრებასთან დაკავშირებული ორი უმთავრესი სიუჟეტი — „მარიამის შობა“ და „მარიამის ტაძრად მიყვანება“ (ალარაფერს ვაშობი „ხარებასა“ და „მიძინებაზე“, რომლებიც, ჩვეულებრივ, ათორმეტ დღესასწაულთა ციკლის განუყოფელი ნაწილია). ხატმებრძოლობის შემდგომი ეპოქიდან მოკიდებული, მსგავსი მაგალითი მრავლად იპოვება. ამგვარადაა სარიკა ქილისეს (XI ს-ის შუახანები), პეჩის პატრიარქატის წმ. დემეტრეს ტაძრის (1317—1324 წწ.), მისტრას წმ. სოფიოს (XIV ს-ის შუახანები) და წმ. თევდორეს (დაახლ. 1400 წ.), ველუჩას ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის (XIV—XV სს. მიჯნა) და არაერთ სხვა მოხატულობაში. შესაძლოა ამთავან მხოლოდ ერთ-ერთი სცენაც კი იყო წარმოდგენილი (ღმრთისმშობლის კაპელა გაორენში — IX-X სს., ოპრიდის წმ. სოფიო — XI ს-ის შუახანები, XI საუკუნისვე მოხატულობები ორთა ყოის წმ. ბარბაღეს ეკლესიაში, ჩანკლი ქილისეში, ნერგზი — 1164 წ., ევანგელისტრია იერაკეში — XII ს. წმ. იოანე ღმრთისმეტყველის მონასტრის ღმრთისმშობლის სახელობის კაპელა კუნძულ პატმოსზე — 1210-1220 წწ., არილი — 1297-1299 წწ., ბოიანა — XIV ს-ის შუახანები, სხვაც მრავალი); მსგავსი შემთხვევა ქართულ კედლის მხატვრობაშიცაა დადასტურებული: ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის სამხრეთ მკლავში ორივე შემთხვევა აღნიშნული სიუჟეტია წარმოდგენილი, კისორეთში — მხოლოდ „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება“<sup>37</sup>.

ქართული მონუმენტური ფერწერის ორ ძეგლში — ახტალის და ტიმოთესუბნის მოხატულობებში ღმრთისმშობლის ცხოვრების არც თუ ვრცელი, სულ რამდენიმე (პირველ ძეგლში ხუთი, ხოლო მეორეში—შვიდი) სცენისაგან შემდგარი ციკლია შესრულებული. ამ შემთხვევაში მათ ჩრდილოეთ მკლავის ზედა ნაწილი, კერძოდ მისი კამარა და ჩრდილოეთ კედლის ტიშპანი ეთმობა<sup>38</sup> (ანალოგიური განლაგება აქვს ღმრთისმშობლის ყრმობის სიუჟეტებს პელენდრის მოხატულობაში<sup>39</sup>, თუმცე აქ სცენათა რაოდენობა ბევრად დიდია).

<sup>36</sup> ე. ლაფონტენ-დოზონის ნაშრომში მოცემულია ქრისტიანული აღმოსავლეთის და დასავლეთის სახეითი ხელოვნების ძეგლებში წმ. მარიამის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სიუჟეტთა თუმცე არასრული, მაგრამ სკეზოდ ვრცელი ნუსხა (J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 60; ტ. II, გვ. 22—26; ქვემოთ ჩამოთვლილი ძეგლები ამ ნუსხის მიხედვითაა მითითებული).

<sup>37</sup> ეს ორი სცენა ძალზე ხშირადაა ჩართული მოგვიანოდ (XVI—XVIII სს.) ქართულ ხელნაწერთა მინიატურებში.

<sup>38</sup> ტიმოთესუბანში კამარაზე შესრულებული ორი სცენა ამჟამად დაღუპულია. ე. პრივალოვას მართებული მითითებით ეს კომპოზიციები „ძღვნის უარყოფა“ და „ტაძრად მიყვანება“ უნდა ყოფილიყო. E. JI. Привалова, Роспись Тимотеубани, გვ. 206.

<sup>39</sup> J. Lafontaine-Dosogne, Iconographie de l'Enfance de la Vierge, I, გვ. 203—204.



მხატვრობაში ღმრთისმშობლის ცხოვრების ვრცელი, ნარატიული ხასიათის ციკლის არსებობისას მისი განთავსების მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი არ არსებობს (ცხადია, უპირველესად ეს ნაგებობის ტიპით და ზომებითაა განპირობებული, მასთან ერთად კი — რომელიმე რეგიონისთვის, მაგ., სერბული, რუსული, კონსტანტინეპოლური ფერწერის ძეგლთა ჯგუფისთვის ნიშანდობლივი ტრადიციებითაც). ადენის (XI ს-ის დასასრული), მონრეალის (XII ს-ის მეორე ნახევარი), და კაპრიე ჯამეს (1314-1320 წწ.) მოზაიკურ დეკორში, გრადაჩის (XIII ს-ის დასასრული), ვაგანეშის (1355 წ.), თესლონიკეს წმ. მოციქულთა ეკლესიის (XIV ს-ის მეორე მეოთხედი), კალენიჩის (1407-1413 წწ.), აგრეთვე არაერთ სხვა მონატულობაში მარიამის ცხოვრების სცენებს ნართექსში ვხედავთ (ქართულ ძეგლებში მსგავსი მაგალითი არ გვხვდება), ხოლო არკაიის (1189 წ.), ნერედოიას (1197-1199 წწ.), ძველი ლაღოგის (1167 წ.) სტაბრო ნავორიჩინოს (1317-1319 წწ.), დეჩანის (1350-1355 წწ.); მატეიჩის (XIV ს-ის 50-იანი წლები) ეკლესიათა ფერწერული შემკულობის სისტემაში — სამკვეთლოში. აღნიშნულს გარდა დამოწმებულია ამავე თემის გამოსახვის ფაქტი ტაძრის ჩრდილოეთ ან სამხრეთ მკლავში (ხილანდარი ათონზე — XIV ს-ის დასაწყისი, პეჩის ღმრთისმშობლის საბ. ეკლესია — 1324-1337 წწ., კარანის „ბელა ცრკვა“ — 1335 წ., ქართულ ძეგლთაგან — ატენი, ზარზმა, წალენჯიხა), საღიაკენეში (კიევის წმ. სოფიოს ტაძარი — 1050-1060 წწ., ოღალარ ჯამე კონსტანტინეპოლში — XII ს.), პატრონიკეში, გვერდითა მინაშენში, აგრეთვე ტაძრის ინტერიერის სხვა მონაკვეთებში. საყურადღებოა, რომ სცენები ამ ციკლიდან მოგვიანოდ ეკლესიის ფასადზეც კი სრულდება (თერაპონტეს მონასტერი — XVI ს-ის დასაწყისი).

მოხმობილი ნიმუშები ბერტუზნის ტაძრის მონატულობასთან კავშირში უპირველესად იმ მხრივია საკულისხმო, რომ ერთ ფრიად მნიშვნელოვან კანონზომიერებაზე მიუთითებს, კერძოდ — ღმრთისმშობლის ცხოვრების ამსახველი სცენები ქრისტიანული აღმოსავლეთის კედლის მხატვრობაში არსებითად საკულტო ნაგებობის ყოველ ნაწილში შეიძლება იყოს განთავსებული, საკურთხევლის კონქის და გუმბათის გარდა. არც თუ იშვიათად — იმ შემთხვევაში, როდესაც ტაძარი ანა-იოვაკიმეს ან ღმრთისმშობლის (ღმრთისმშობლის შობის, ზარების, მიძინების) სახელობისაა — აღნიშნულ ციკლს მონატულობაში პრივილეგირებული ადგილიც კი უჭირავს<sup>40</sup>, მაგრამ იგი თითქმის არასდროს არაა დამოუკიდებელი, მით უმეტეს კი ერთადერთი თემა ტაძრის ფერწერული შემკულობის სისტემაში. მას იშვიათ გამონაკლისთა გარდა ათორმეტი დღესასწაულის სიუჟეტებთან ერთად გამოსახვენ და ამიტომ ძირითადად დამხმარე თემის<sup>41</sup>, ქრისტეს ცხოვრების წინაისტორიის ფუნქცია აკისრია.

ბერტუზნის მონატულობა სწორედ ერთი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, სადაც მხოლოდ ანა-იოვაკიმეს, აგრეთვე მარიამის ყრმობის ისტორიის სცენებია წარმოდგენილი. ბერტუზნის გარდა ასეთივე კლდეში ნაკვეთი მცირე ეკლესიის IX-X საუკუნეებით დათარიღებული მონატულობა კიხილ ჩუკურში

<sup>40</sup> J. Lafontaine-Dosogne, *Iconographie de l'Enfance de la Vierge*, I, 33-203.

<sup>41</sup> ღმრთისმშობლის ცხოვრების ციკლს დამხმარეს უწოდებს ო. დემუსი (O. Demus, *Byzantin Mosaic Decoration*, London, 1948, 33. 26).

(Kizil Çukur)<sup>42</sup> და მირაბელოს ღმრთისმშობლის ეკლესიის — „კერას“ (კუნძ. კრეტა, XIV ს.) ფრესკული დეკორი<sup>43</sup>, ამასთან, თუკი ორ უკანასკნელ ძეგლში აღნიშნული მოვლენა უთუოდ ეკლესიის მცირე ზომით უნდა იყოს გამოწვეული, ბერთუბნის ტაძარში იგი სცენათა წინასწარ მკაცრად გამიზნული შერჩევის შედეგია — გარეჯელმა მხატვარმა ფერწერული დეკორის საერთო იდეური პროგრამის გათვალისწინებით არა მხოლოდ ქრისტოლოგიური სცენების დიდ უმრავლესობაზე თქვა ვანხრახ უარი, არამედ თავად მარიაშის ცხოვრების სიუჟეტებიც განსაზღვრული წაშლის მიხედვით შეარჩია.

ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის საგანგებო ადგილი ტაძრის მოხატულობის საერთო სისტემაში რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. ცნობილია, რომ ამგვარი მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, წმინდანის ცხოვრების შემცველი ყველა ძეგლისთვისაა დამახასიათებელი<sup>44</sup>; თუმც, ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ ეს პირობა როდია განმსაზღვრელი. ბერთუბანში — თამარის მეფობის წლებში შექმნილ მონუმენტური ფერწერის ამ ძეგლში ღმრთისმშობლის, წმ. ნინოს — საქართველოს განმანათლებლისა<sup>45</sup> და ქვეყნის მმართველი მეფე-ქალის სახეთა თანაარსებობა (რითაც აშკარად წილხედომილობის მემკვიდრეობითობაა ხაზგასმული) — უშუალოდ უნდა ასახავდეს ქრისტიანულ აღმოსავლეთში და კერძოდ საქართველოში<sup>46</sup> იმ პერიოდისათვის წმ. მარიაშის კულტისადმი ინტერესის გაძლიერების პროცესს<sup>47</sup>.

<sup>42</sup> N. et M. Thierry, Iconographie Inédite en Cappadoce. Le Cycle de la Conception et de l'Enfance de la Vierge a Kizil-Tchoukour, Akten des XI Internationalen Byzantinisten Kongresses, München, 1960, გვ. 620—623, ტაბ. LXXXII—LXXXVI.

<sup>43</sup> M. XAZHAKHIS, *Toiolografie; sihu khritu, Kheruxa Khrosia*, VI. (1952), გვ. 80.

<sup>44</sup> E. Л. Привалова, Павинси, Тб., 1977, გვ. 69.

<sup>45</sup> საეკლესიო, რომ ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში ქართველთა განმანათლებელი დასავლეთ ეკლესიის ცენტრში, „ღმრთისმშობლის შობის“ კომპოზიციის ქვემოთ, ე. ი. საკურთხევის კონქში გამოსახული წმ. მარიაშის ფიგურის პირისპირაა შესრულებული. ამ ორ სახეს შორის გარკვეული სიმბოლური კავშირი აქ უდავოა. ამრიგად, წმ. ნინოს გამოსახულება მხატვრობის ძირითადი თეოლოგიურ-აზრობრივი დერძის მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინება.

<sup>46</sup> დავით-გარეჯის ფერწერული სკოლის ძეგლებში წმ. მარიაშის გამოსახულებებს უკვე მისი ფორმირების ეტაპზე ვხვდებით (საბერეების გამოქვაბული მონასტრის VI ეკლესიის კარიბჭის საკურთხევის ფრესკული შემკულობა — IX ს., აგრეთვე VIII ეკლესიის სამხრეთი გამოქვაბულითი მცირე სამლოცველოს მოხატულობა — X ს.; A. Volskaya, *Peintures murales du monastère rupestre de Sabréébi dans l'ermitage de David Gareji*, იბეჭდება ქართული ხელოვნებაში მიმდინარე III საერთაშორისო სიმპოზიუმის აქტებში, ქ. ბარი; საყურადღებოა, რომ საბერეების VIII ეკლესიასთან არსებული კაპელის ფრესკაზე გამოსახული ღმრთისმშობელი ელექსას (*ქლემთა*) ტიპის დღესათვის ცნობილი უადრესი ნიმუშია ქართულ სახეთ ხელოვნებაში). იქიდან მოკიდებული, იგი ამ ძალზე თვითმყოფადი მხატვრული ცენტრისათვის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თემად იქცევა, ამასთან შეინიშნება მისი პოპულარობის თანდათანობით ზრდაც; თუკი ფერწერული სკოლის ისტორიის პირველ ხანებში წმ. მარიაშის გამოსახულებას შედარებით მოკრძალებული ადგილი ეთმობა, შემდგომ მას უკვე მონასტრის მთავარი ეკლესიის საკურთხევის კონქში ვხვდებით (უღანოს მონასტრის მთავარი ეკლესიის მხატვრობა — 983 წ.; გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—89), ხოლო სამონასტრო ფერწერული სკოლის უმნიშვნელოვანეს ძეგლში — ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში აღნიშნული ტენდენცია თავის მაქსიმალურ გამოხატულებას პოვებს.

<sup>47</sup> XII—XIII სს. ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში ზემოთდასახელებული ტენდენციის მკაფიო ნიმუში XII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწის, თამარის თანამედროვის, კათალიკოს ნიკოლოზ გულაბერძის თხზულება — „საეთხავი სუეტის ცხოვლისაა კუართისა საუფლოასა და კათოლიკე ეკლესიას“ (დამოცემულია ვ. კარბელაშვილის რედაქციით, ტფილისი,



ტაძრის ფერწერული დეკორის საერთო სისტემის დახასიათების, მასში აპოკრიფული ციკლის ადგილის შესახებ მსჯელობის შემდეგ განვიხილოთ თავად კომპოზიციები.

„ძღვნის უარყოფა“ ბერთუბნის ტაძრის მონახტულობაში აღმოსავლურ-ქრისტიანული სახვითი ხელოვნების ძეგლთა მსგავსად ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის საწყისი სცენაა (სურ. 2): საფეხურებზე აღმართული საკურთხევლის უკან, ცისფერი საღვინების ქვეშ მდგარ მღვდელთმოდღვარს იოვაკიმე ძღვნით წარუდგება — მას თეთრი მოსასხამით დაფარულ ხელებში კრავი უჭირავს და ტაძრად მიჰყავს. იოვაკიმეს უკან თეთრი სტოლათი და მოწითალო -ყავისფერი მაფორიონით მოსილი ანაა, წარდგომის ნიშნად შემართული ხელებით. მღვდელთმოდღვარი გაწვდილი მარჯვენით ეგებება მეუღლეებს; მას ტრადიციული, მარგალიტებით მოოჭვილი მოწითალო მოსასხამი და მცირე ზომის თავსაბურავი მოსავს. ტაძრად მიმავალი იოვაკიმე და ანა ორი მაღალი, კოშკისებრი, მოყავისფრო-მიწისფერი ტონით შესრულებული ნაგებობის ფონზეა გამოსახული. სცენის ზედა ნაწილში შავი საღებავით შესრულებული მსხველი ასომთავრული წარწერა განმარტავს სიუჟეტს (ნახ. 2):

სქსუსსკი  
 ყჩს:საშჩაჩა

ნახ. 2.

სქსუსსს : ძიჩა  
 ყჩს : სჩაშჩაჩა

ზაქარაას ძღუენისა არშე(ი)-  
 რვ(ა)ა

ბერთუბნის ტაძრის ფერწერულ დეკორში შემავალი ამ სცენის იკონოგრაფიულ თავისებურებათა ნათელსაყოფად ბევრს თავად პირველწყაროს — იაკობის პირველსახარების ტექსტი იძლევა:

„და მოახლოებულ იყო დღე იგი უფლისაა დიდი, და შესწირიდეს ძენი ისრაელისანი შესაწირავსა მათსა. და აღუდგა წინაშე პირსა მათსა რუბენ და პრქუა იოვაკიმს: „არა ჯერ-არს შენდა პირველად შეწირვად შესაწირავისა შენისა, რამეთუ მკვდრი არა აღმიდგინებდეს ისრაელმთა შორის“ (I, 2).

მოტანილი ადგილის და თვით კომპოზიციის შეჭერება მრავალმხრივია სა-

1908), რომელშიც სწორედ ღმრთისმშობლის წილხელმძლი ქვეყნის ქალისმიერ მოქცევის ფაქტზეა გამახვილებული ყურადღება და ეს თემა ავტორის საკმაოდ ვრცელ ნაწარმოებში სავანეზოდა ხაზგასმული (ვ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 318—321); ამ საკითხთან დაკავშირებით უდაოდ საუბრისხმოა დემეტრე მეფის მოღვაწეობაც, ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი მისი იამბიკოები (ვ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., I, გვ. 314—317). უდავოდ აღნიშნული ტენდენციით უნდა აიხსნას ისიც, რომ უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის მეორე ფენის მონახტულობაში (XIII ს.) წმ. ნინოს ცხოვრების ვრცელი ციკლი იქნა შესრულებული.

ინტერესო: საქმე ისაა, რომ ბერთუბნის ეს სცენა აღმოსავლურ-ქრისტიანულ კედლის მხატვრობაში ცნობილი ამავე სიუჟეტების დიდი უმრავლესობის მსგავსად — აღნიშნული კომპოზიცია კი მრავალგზის გვხვდება ვრცელ ციკლებში<sup>48</sup> — არ წარმოადგენს პირველსახარების დეტალურ, თანმიმდევრულ ილუსტრაციას, კერძოდ: ა. მოტიანილ ნაწყვეტში მითითებულა არამხოლოდ იოვაკიმეს, არამედ ისრაელის ძეთა ძღვნისშეწირვაზე (მათ სხვადასხვა პერიოდის და განსხვავებული რეგიონის ძეგლებში — სან-მარკოს კიბორჩხის კოლონაზე<sup>49</sup> (VI ს.), იაკობის ქადაგებებში<sup>50</sup> (XII ს.), მისტრას პერიპლეგტოსში<sup>51</sup> (XIV ს.), ხოლო ქართულ ძეგლთაგან ატენის სიონის მოხატულობაში ვხვდებით), ჩვენს კომპოზიციაში კი მხოლოდ მარიამის მშობლები წარუდგებიან მღვდელთმოდვარს; ბ. იაკობის პირველსახარების მიხედვით, სხვა ებრაელებთან ერთად, ძღვენი ტაძრად მხოლოდ იოვაკიმეს მიაქვს, მაგრამ ბერთუბნის სცენაში ანასაც ვხვდებით<sup>52</sup>; გ. ლიტერატურული პირველწყაროდან ვგებულობთ, რომ მღვდელთმთავარმა გადაჭრით უარყო შესაწირავი, აქ კი იგი, როგორც აღინიშნა, მიგებების ნიშნად გაწვდილი ხელით გამოისახება (ყ. ლაფონტენ-დოსოგნის მართებული მითითებით, ეს დეტალი ადრეული ხანის იმ მრავალფიგურიანი კომპოზიციებიდან შეიმორჩა, სადაც ტაძრად მიმავალ იუდეველთა მთელი ჯგუფი იყო წარმოდგენილი და შესაბამისად მღვდელთმთავრის ქესტი მათკენ იყო მიმართული<sup>53</sup>).

ზემოთმითითებული იკონოგრაფიული შეუსაბამობები ხატმებრძოლობის შემდგომი ეპოქიდან მოკიდებული კედლის მხატვრობის ძეგლებში ძალზე ხშიორია, უფრო მეტიც — ტრადიციული; ნათელია, რომ ისინი „ძღვნის უარყოფის“ ადრეული ხანისათვის ნიშანდობლივი ნარატიული ხასიათის სიუჟეტის თანდათანობითი დახვეწის შედეგია. მაგრამ ბერთუბნის სცენაში ამათ გარდა არის ერთი უჩვეულო მომენტიც: განმარტებით წარწერაში აქ მითითებულია ზ ა ქ ა რ ი ა ს მ ი რ ძ ღ ვ ნ ის უ ა რ ყ ო ფ ა ზ ე, იაკობის პირველსახარებაში კი მღვდელთმოდვარად რუბენა არის დასახელებული. ტაძრის მსახურის სახელობის ამგვარი

<sup>48</sup> სცენის იკონოგრაფიის შესახებ იხ.: J. Lafontaine-Dosogne. *Iconographie de l'Enfance de la Vierge*, I, გვ. 61—81.

<sup>49</sup> J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, ტაბ. I<sub>3</sub>.

<sup>50</sup> H. Bordier, *Description des peintures et autres ornements contenus dans les manuscrits de la Bibliothèque Nationale*, Paris, 1883, გვ. 152.

<sup>51</sup> G. Millet, *Monuments Byzantins de Mistra, Matériaux pour l'étude de l'architecture et de la peinture en Grèce aux XIV<sup>e</sup> et XV<sup>e</sup> siècle*, Paris, 1910, ტაბ. 125<sub>1</sub>. (ფოტოზე სცენის მხოლოდ ნაწილია მოცემული).

<sup>52</sup> ამ მოვლენას ყ. ლაფონტენ-დოსოგნი „ტაძრად მიყვანების“ სცენის გავლენით ხსნის და იქვე მითითებს: «C'est sans doute pour renforcer la signification de la scène». (J. Lafontaine-Dosogne, *Iconographie de l'Enfance de la Vierge*, I, გვ. 64).

ამავე იკონოგრაფიულ თავისებურებას ვხედავთ შ. ამირანაშვილიც ატენის სიონის მოხატულობაში მსგავსი სიუჟეტის შესახებ მსჯელობისას. მკვლევრის აზრით, ცნობილ ბერძნულ და ლათინურ ტექსტებთან სხვაობა იმდენად ტრადიციულია შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისათვის, რომ აუცილებელსა ხდის სხვა წერილობითი წყაროს ძიებას. (Ш. Я. Амиранашвили, *История грузинской монументальной живописи*, გვ. 83). შ. ამირანაშვილის ეს მოსაზრება „ძღვნის უარყოფაში“ მითითებული თავისებურების არსებობასთან დაკავშირებით ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს: ჯერ ერთი — ბერძნული და ლათინური რედაქციების მსგავსად ტაძრად ძღვნის მიტანისას ანა ანც იაკობის პირველსახარების თარგმანში ფიგურირებს; და მეორე — ზემოთ აღინიშნა, რომ ამგვარი განსხვავება ლიტერატურულ პირველწყაროსა და ილუსტრაციას შორის მხოლოდ ქართულ ძეგლებში არ დასტურდება.

<sup>53</sup> J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—64.



აღრევა, უქველია, „ძღვნის უარყოფის“ და „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების“ სიუჟეტებში წარმოდგენილ მღვდელთმთავართა გაიგივების შედეგია (ამ უკანასკნელში ხომ მღვდელთმთავარად ზაქარია და ახელებული<sup>54</sup>). ბერთუბნის ტაძრის მოხატულობა ამ მხრივ სხვა ძეგლთა შორის გამოიყვანისა, თუმცა არა ერთადერთი. სან-მარკოს კიბორიუმის სვეტზე ამავე სცენის თანმიხლულ განმარტებით წარწერაში მითითებულია: „ISAHAR PONTIFEX DES-PEXIT JOACHIM ET MUNERA EIUS SPREVIT“<sup>55</sup>. მღვდელთმთავარად ზაქარია არის დასახელებული ხილანდარის (სახელი „ზაქარია“ იქ მას მოსახამზე აქვს)<sup>56</sup>, და დეჩანის<sup>57</sup> მოხატულობის ამავე სიუჟეტებში. როგორც ვხედავთ, მსგავსი თავისებურება სხვადასხვა პერიოდის ძეგლებსათვისა დამახასიათებელია.

„ძღვნის უარყოფის“ მსგავს ლაკონურ რედაქციას მისდევს ქართულ ძეგლთა დიდი ნაწილიც<sup>58</sup> (იხ. აღწერილი სცენა ახტალის, ზარზმის<sup>59</sup> მოხატულობებში, უბისის ფერწერულ<sup>60</sup>, ლაკლაკის<sup>61</sup> და აწყურის<sup>62</sup> ქედურ ხატებზე), ამასთან, ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობაში არსებული სიუჟეტი მათგან აღნიშნული თავისებურების გარდა კომპოზიციური აგების პრინციპითაც გამოიყოფა: ჩვენს სცენაში, ერთი მხრივ, მღვდელთმთავარი, ხოლო მეორე მხრივ, ანა-იოვაკიმე ხუროთმოძღვრული ნაგებობების (სალხინებლისა და სახლის) ფონზე იმგვარადაა ჩაწერილი, რომ კადრის ცენტრალურ ხუროთმოძღვრულ ფონისგან თავისუფალ ნაწილში მთავარი შინაარსობრივი კომპონენტები — იოვაკიმეს გაწვდილი ხელები ძღვნითურთ და მღვდელთმთავრის მიგებების ნიშნად გაშლილი მარჯვენა ექცევა; ამით კომპოზიციური ცენტრიცაა გამახვილებული და თავად სიუჟეტიც მკაფიოდ გაწონასწორებულია.

სიუჟეტის შესახებ მსჯელობის დასასრულს უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საგულისხმო მომენტიც: „ძღვნის უარყოფის“ მსგავსად ყველა შემდგომ სცენაში მეორდება ანა-იოვაკიმეს (სამხრეთ კედლის სიუჟეტებში, ჩანს, მარიაამისაც) სამოსი, „მიწის“ თეთრი ფერი, თეთრივე შარავანდები.

<sup>54</sup> ზაქარიას იაკობის პირველსახარებაში ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანის შემდგომაც — მარიაამის დაწინდესთან დაკავშირებულ სიუჟეტშიც ვხვდებით, მაგრამ გაიგივების მიზეზი ბერთუბნის ეკლესიის მხატვრობაში უფრო მეტად „ტაძრად მიყვანება“ უნდა იყოს, რადგან ზაქარიას სახელთან დაკავშირებულ სცენათაგან აქ მხოლოდ ეს უკანასკნელია მოცემული.

<sup>55</sup> J. Lafontaine-Dosogne, Iconographie de la colonnade du ciborium de Saint-Marc à Venise. Actes du XII<sup>e</sup> Congrès International des Études Byzantines (Ohrid, 1961), t. III, Beograd, 1964, გვ. 215.

<sup>56</sup> O. Bogdanović, V. Djurić, D. Medacović, Chilandar sur le Mont Athos, Belgrad, 1978, ტაბ. 59.

<sup>57</sup> V. R. Petrović, La peinture serbe au moyen âge, II, Belgrade, 1934, ტაბ. CXXXVI.

<sup>58</sup> ატენის მოხატულობის ამ სცენაში რუბენის გვერდით ებრაელ სამღვდელთა ჭკუფიცაა წარმოდგენილი (შ. Я. Миранашвили, История грузинской монументальной живописи, გვ. 83).

<sup>59</sup> E. C. Такашвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, I, გვ. 55.

<sup>60</sup> თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 44.

<sup>61</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, ტაბ. 203.

<sup>62</sup> Н. П. Кондаков, Дм. Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 11.



„მწუხარედ მიმავალი იოვაკიმე და ანა“ ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფულ სცენათაგან ერთ-ერთი შედარებით იშვიათი სიუჟეტია: ქართული ძეგლების — ატენისა<sup>63</sup> და ბერთუბნის გარდა დღეისთვის ამ სიუჟეტის შემცველი მხოლოდ ორ ათეულამდე ციკლია ცნობილი. ეს გასაგებიცაა, რადგან ლიტერატურულ პირველწყაროში აღნიშნული ეპიზოდი აღწერილი არაა (იაკობის პირველსახარებაში ძღვნის უარყოფის შესახებ თხრობას უშუალოდ მოსდევს: „და შეწუნა იოვაკიმ ფრიად და არა ეჩუენა ცოლსა თუსსა. მიიქცა პირი თუსი და წარვიდა უდაბნოდ...“ (I, 3)).

ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში ანა-იოვაკიმეს ისტორიის ეს ეპიზოდი ცალკე დამოუკიდებელ კომპოზიციადაა გამოყოფილი: (სურ. 2): ამჯერად დამწუხრებული სახის მეუღლეები წინა სიუჟეტის საწინააღმდეგოდ — სახლისკენ მიემართებიან. ეს უკანასკნელი „ძღვნის უარყოფის“ კომპოზიციის მსგავსად, კადრის მარცხენა ნაწილშია გამოსახული, თუმც იგი აქ უკვე ერთი ვიწრო და ძალზე მაღალი პროპორციების ნაგებობის სახითაა მოცემული (ფსაღზე ჩანს გადაწერის კვალი, რომელიც უდავოდ სცენის შესრულების დროსვე ეკუთვნის და ბერთუბნელი ფერმწერის მუშაობის პროცესს ასახვას: ლილვშემოყობებულ კარს ზემოთ შესრულებული სამი წრიული სარკმლის ქვემოდან შეიმჩნევა ორი შედარებით ფართო, თაღიანი ღიობის აღნაბეჭდი); მეუღლეებს შორის და სახლის წინ, „მიწის“ თეთრ ფონზე ორი მცირე ზომის მცენარეა — მათი სიმადლე ამ ზოლს არც სცდება. სიუჟეტს ასრულებს ანას და იოვაკიმეს გამოსახულებებს ზემოთ დატანილი ორსტრიქონიანი წარწერა, რომელიც კადრის მარჯვენა ნაწილშია ოდნავ გადაწეული და ამით ერთგვარად არბილებს სახლის მაღალ ვერტიკალსა და ფიგურათა ზომებს შორის სხვაობას (ნახ. 3):

# იუხტუბნის მწუხრე:

## მწუხრე:

ნახ. 3

იუხტუბნის მწუხრე: იოვაკი(ი)მ და ანა მწუხარედ მამავალინი

ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობის ეს სცენა აღმოსავლურ-ქრისტიანული სახვითი ხელოვნების ძეგლთა შორის, მირიოჟის ტაძრის მოხატულობის (1156 წ.) შემდგომ მწუხარედ მიმავალი იოვაკიმეს და ანას ამსახველი სიუჟეტის ერთი უადრეს ნიმუშთაგანია (უდავოდ ამის გამოა, რომ აღნიშნული კომპოზიციის წარმომავლობას ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლურ რეგიონებს

<sup>63</sup> უნდა აღინიშნოს, რომ თვით ატენის მოხატულობაშიც ამ სიუჟეტის ძალზე თავისებური სახესხვაობაა წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს მის განმარტებითი წარწერიდანაც: **ΣΑΩΑ[1]Υ[2]Α-Υ[3]ΛΣ ΙΑΥ[4]ΣΑΥ[5] ΣΥΝΕΣ [...]** ΣΑΩ[6]Λ (აყუედრებს იოვაკიმ ანას უშვილობისათვის). III. Я. А м и р а н а ш в и л и, История грузинской монументальной живописи, გვ. 84; ამდენად, ქართულ ძეგლთა შორის ბერთუბნის ზემოთაღნიშნულ სიუჟეტს ზუსტი პარალელი არ ეპოება.



უკავშირებენ<sup>64</sup>); მაგრამ ჩვენს შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია სხვა მხარე, კერძოდ — სიუჟეტის ცალკე გამიჯვნა და დანარჩენ სცენათა ტოლფას დამოუკიდებელ კომპოზიციად წარმოდგენის ფაქტი. ამგვარი რამ ტაძრიდან მიმავალი მეუღლეების გამოსახულებათა შემცველ ზემოთმითითებულ მცირერიცხოვან ციკლებშიც კი შედარებით იშვიათია (გვხვდება მირიოვის ტაძრის<sup>65</sup>, ვოლოტოვოს (დაახ. 1380 წ)<sup>66</sup> მოხატულობებში, უბისის ფერწერულ ხატზე<sup>67</sup> და რამდენიმე სხვა ძეგლშიც). ამგვარი გამოყოფით ციკლი დასაწყისშივე მკაფიოდ გამოხატულ თხრობით ხასიათს იძენს.

„იოვაკიმეს ხარება“ მწუხარე მეუღლეთა ტაძრიდან უკან დაბრუნების ამსახველ სიუჟეტს მოსდევს (სურ. 1,2). მისი განმარტებითი ორსტრიქონიანი წარწერა ამჟამად დაღუპულია:

ႠႠႠႠႠႠ; ႠႠႠႠႠႠ; ႠႠႠႠႠႠ  
 ႠႠႠႠႠႠႠႠႠႠ

იოვაკიმეს ახარებს ანგელ(ო)ზი  
 შეილიერობასა

კადრში ტალღური, რბილი მოხაზულობის თეთრი მთის ფონზე (იგი კომპოზიციის ძირითად ნაწილს იკავებს; ფონისაგან — ბათქაშის დაუფარავი ფენისაგან, მას ნაცრისფერი კონტური გამოყოფს) გამოსახულია მოვარდისფრო ფარდაგადაფარებულ მცირე ზომის წაქცეულ ტოტზე (ხეზე) მჯდომი იოვაკიმე. მას თავი მკვეთრად აქვს მიტრიალებული მარცხნივ და მზეგას ზემოთ მიაპყრობს, სადაც მფრინავი, მაკურთხეველმარჯვენაგაწვდილი ანგელოზი ახარებს მას:

„იოვაკიმ, იოვაკიმ, შეისმინა უფალმან ვედერებაა შენი; გარდაგულად ამიერ, რამეთუ ცოლი შენი მიუდგეს და შვეს“ (იაკობის პირველსახარება IV,2).

კამარის ჩამოქცევის გამო ანგელოზის ფიგურისაგან მაკურთხეველი მარჯვენა, მუქი ლურჯი კვართის სახელო და წინა სიუჟეტის („მწუხარედ მიმავალი იოვაკიმე და ანა“) შემომსახლრავ ზოლზე გადასული, ამ ზოლისავე ფერის და მისგან შავი კონტურით გამოყოფილი, ტერფია დარჩენილი (გ. ჩუბინაშვილის მითითებით ანგელოზს ღია მოწითალო-ყავისფერი ფრთები ჰქონდა<sup>68</sup>). კომპოზიციაში მჯდომარე იოვაკიმეს ორსავე მხარეს ნაზი ვარდისფერით შესრულებული მცენარეებია: მარცხენა მათგანი საკმაოდ მაღალი, თხელყოლებიანი ხეა აქა-იქ მუქი ნაცრისფერი, მოშავო პატარა ზომის ფოთლებით<sup>69</sup>, ხოლო მარჯვენა, მთის თეთრ ფონზე და მის ქვემოთ გამოსახული კი — ბროწეულის შედარებით მცირე ორი ბუჩქი, ნაცრისფერი ნაყოფებითურთ (ფერი აქაც უდავოდ სახეშეცვლილია).

<sup>64</sup> J. Lofontaine-Dosogne, Iconographie de l'Enfance de la Vierge, I, კვ. 82—89; მისივე, The Kariye Djami, 4, გვ. 169.

<sup>65</sup> М. Н. Соболева, Стенопись Спасо-Преображенского собора Мирожского монастыря в Пскове, წიგნი: «Древнерусское искусство, художественная культура Пскова, М., 1968, გვ. 20.

<sup>66</sup> М. В. Алпатов, Фрески церкви Успения на Волотовом поле, М., 1977, გვ. 34.

<sup>67</sup> თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 43.

<sup>68</sup> Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 66.

<sup>69</sup> უცვლელია, რომ აქ ფოთლების თავდაპირველი ტონი — მწვანე ან ცისფერი საკურთხევის კონქში გამოსახული ცისფერფოთლებიანი მცენარეების მსგავსად ამჟამად ჩამოკვენილია და დარჩენილია მხოლოდ სარჩული. კომპოზიციაზე ახლო მანძილიდან დაკვირვებისას ნათელი ხდება, რომ ეს სარჩულიც მეტწილად გამჭრალია და მცენარის ხშირი ფოთლებიდან ამჟამად მხოლოდ ძალზე მკრთალი აღნაბეჭდილია განირჩევა.

„ოვაკიმეს ხარების“ კომპოზიცია ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის ერთ-ერთი ტრადიციულ სიუჟეტთაგანია არა მხოლოდ შუა საუკუნეების ქართულ, არამედ ქრისტიანული აღმოსავლეთის სახვითი ხელოვნების ძეგლთა დიდ უმრავლესობაში<sup>70</sup>, ბერთუბანში იგი შედარებით მარტივი, ე. წ. „კლასიკური“ რედაქციითაა წარმოდგენილი<sup>71</sup>, თუმცა კი თავისი მხატვრული გადაწყვეტით ეს სცენა ბერთუბნის ციკლის სხვა სიუჟეტებს შორის გამორჩეულ ადგილს იჭერს; აქ შირჩეულ იქნა ეპიზოდის უფლაზე ნაკლებ თხრობითი ვარიანტი — კომპოზიციაში ვერ ვხედავთ მწყემსების, ცხვრების გამოსახულებას, სხვა ფართოდ მიღებულ დეტალებს (საგულისხმოა, რომ მსგავსი რედაქციის შესახებ ლიტერატურაში მითითებულია: «La formule qui semble pourtant de dépassée à l'époque»<sup>72</sup>). მთის უჩვეულოდ თეთრ ფონზე<sup>73</sup> წარმოდგენილი იოვაკიმეს გამოსახულება (მოსასხამის ფერი აქ დეფორმირებულია) კადრში განსაკუთრებით შკაფიოდ გამოიყოფა.

თავისი მხატვრული შესრულებით აღწერილი კომპოზიცია გამორჩეულად დგას ამ თემაზე შექმნილ არამხოლოდ ქართულ<sup>74</sup>, არამედ აღმოსავლურ-ქრისტიანულ<sup>75</sup> სიუჟეტთა შორის. უეჭველია, რომ ბერთუბნის ტაძრის მხატვრის ინდივიდუალობა ციკლის სცენათაგან ყველაზე მეტად სწორედ აქ გამოვლინდა. აქვე უნდა დავასახელოთ „იოვაკიმეს ხარების“ ჩვენ მიერ განხილულ სცენასთან აბლო მდგომი სეგლებიც: ევანგელისტია მისტრაზე (XIV ს-ის დასასრული)<sup>76</sup>, პელენდრის წმ. ჯვრის ეკლესია (ვ. კვიპროსი — XV ს-ის დასასრული)<sup>77</sup>, სოფის ეროვნულ გალერეაში დაცული

<sup>70</sup> ლიტერატურულ პირველწყაროში — იაკობის პირველსახარებაში მოთხრობილია, რომ ანგელოზმა თედაპირველად ანას ახარა, და მხოლოდ ამის შემდეგ — იოვაკიმეს (ქართულის მსგავსად ასეა პირველსახარების სირიულ და სომხურ რედაქციებშიც), თუმცა ბიზანტიური სამყაროს სახვით ხელოვნებაში ჩამოკალიბებული ტრადიციით ციკლებში მეტწილად პირველი „იოვაკიმეს ხარება“ გამოისახება და მხოლოდ ამის შემდგომ — „ანას ხარება“.

<sup>71</sup> J. Lafontaine-Dosogne, *Iconographie de l'Enfance de la Vierge*, I, გვ. 76—81, განსაკუთრებით გვ. 79.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>73</sup> ამჟვარი სახის პეიზაჟური ფონი უჩვეულოა დასახლებული სცენისათვის; ტრადიციულად ღმრთისმშობლის ყრობის ისტორიის ამ სიუჟეტში ჩაფიქრებული ან მწუხარე იოვაკიმე ბუჩქისმაგვარი მწვანე ფერის მცენარის (მცენარეების) ფონზე გამოისახება. ბერთუბანში, ცხადია, ეს ელემენტი ადგილობრივი ფერმწერის შემოქმედების ნაყოფია; საფიქრებელია, რომ იგი ადგილობრივი ლანდშაფტის (ნაკუ საუარაუდოა, რომ ზაპარის პეიზაჟის) ვაუკუნათ არის შექმნილი.

<sup>74</sup> ქართულ ძეგლებში არსებული იოვაკიმეს ხარების ასახველი სიუჟეტები (ატენი, ზარზმის კედური ხატი, ტმოთესუბანი, საფარა, უბისის ხატი, გელათი) ძირითადად ზეჟოთაღწერილი კომპოზიციის მსგავსი მოკლე იკონოგრაფიული რედაქციითაა მოქმედი. თუკ ბერთუბნისაგან განსხვავებით, ჩამოთვლილ ნიმუშებში იოვაკიმე მშვიდი პოზაში, ზოგჯერ ფონტალურადაც არის წარმოდგენილი.

<sup>75</sup> გ. ჩუბინაშვილის აღწერას: «Такая композиция как благовествование Иоакиму не стесняясь может стать рядом с композициями Сіото по проникновенности чувства и выразительной лаконичности», Г. Н. Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, გვ. 66.

<sup>76</sup> G. Millet, *Monuments byzantins de Mistra. Matériaux pour l'étude de l'architecture et de la peinture en Grèce aux XIV<sup>e</sup> et XV<sup>e</sup> siècles*, ტაბ. 135.

<sup>77</sup> The Kariye Djami, 4, ფოტო 5 (ვ. ლაფონტენ-დოსოგნის სტატისტიკის დართული ტაბულეზიანი).



ხატი (XVI ს.)<sup>78</sup>, თუმცა მათგან განსაკუთრებით პირველი უნდა გამოიყოს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „მიწის“ მინიშნების გარეშე (იგი ლანდშაფტთანაა გაერთიანებული), მთის ფონზე სხვადასხვა ზომის მცენარეების განსხვავებულ დონეზე წარმოდგენით, აგრეთვე მჯდომარე ოვაკიმეს სხეულის (განსაკუთრებით ქვედატანის, ტერფების) ოსტატური განთავსებით კომპოზიციამ ბერთუბნის ციკლის სხვა სუჟეტებთან შედარებით (მათგან მხოლოდ „ქრისტეს შობა“ გამოირჩევა), გაცილებით თვალსაჩინოა ფერწერული კადრის პლანებად დაყოფა.

„ანას ხარება“ ჩრდილოეთ კედლის უკიდურეს დასავლეთ კუთხეშია გამოსახული (სურ. 1). ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ანას თეთრ წარავანდს ზემოთ მოცემული ორსტრიქონიანი მსხვილი ასომთავრული წარწერა გვაუწყებდა (სურ. 2):

ԵԻԵ : ԸԻ

აქ ანას ახარა

ԻԸԸ : ԸԸԸԻԸ

„და უამსა ოდენ მეცხრესა შთავიდა სამოთხესა თუსსა და იხილა ხც ერთი უზუერულისა<sup>79</sup> და დაჯდა მას ქუეშე და ევედრებოდა იგი უფალსა... და აჰა ესერა ანგელოზი უფლისაი წარმოუდგა და ჰრქუა მას: „ანა შეისმინა შენი უფალმან ღმერთმან და მოხედვა იყო ვედრებასა შენსა; რამეთუ მიუდგე და შეე შენ, და ითქუმოდის ნათესავი შენი ყოველსა ქუეყანასა და ყოველსა სოფელსა“ (იაკობის პირველსახარება, II, 4; IV, 1).

ბერთუბნის ეკლესიის ამ სიუჟეტში ანა სცენის ცენტრშია გამოსახული. იგი დგას და ვედრების ნიშნად მკერდს წინ ხელემაწეული ზემოთკენა მიმართული. კადრის მარჯვენა ზედა კუთხეში, ბროწეულის ხის ზემოთ, „ოვაკიმეს ხარების“ მსგავსად ცისფრითომოსილი, მფრინავი მახარებელი ანგელოზი იყო წარმოდგენილი (მისი ფიგურის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად აღარ არსებობს). აქვე, კომპოზიციის მარჯვენა ნაწილში გამოსახულია სიუჟეტისთვის ტრადიციული წყაროც. მას თან ახლავს დაქარაგმებული განმარტებითი წარწერა: ԲԿՄԸԸ—წყ(ა)როი. არც თუ მცირე ზომის ეს ნაგებობა — მისი ძირითადი კორპუსი და აუზი მიწისფრითაა ნაწერი, ხოლო კრამიტი — ცისფერით; აუზზე თეთრი ტონით ორნამენტია შესრულებული — თავისი ფორმებით არსებითად განსხვავდება აუზთა (და არა წყაროთა) იმ სხვადასხვაგვარი, ე. ლაფონტენ-დოზონის მითითებით — განსაზღვრული ეპოქის არისტოკრატიული წრეების გემოვნების ამსახველი<sup>80</sup> ტიპებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება დასახელებული სცენის აღმოსავლურ-ქრისტიანულ (დაფნი<sup>81</sup>, ოპრიდის წმ. კლიმენტი (1378 წ.)<sup>82</sup>.

<sup>78</sup> K. Weitzmann, M. Chadzikakis, K. Miatev, S. Radojčić, Frühe Ikonen, Sinai, Griechenland, Bylgarien, Jugoslawien, Wien und München, 1965, ტაბ. 115.

<sup>79</sup> უზუერული — დაფნა. იხ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 421.

<sup>80</sup> J. Lafontaine-Dosogne, Iconographie de l'Enfance de la Vierge, I, გვ. 74.

<sup>81</sup> G. Millet, Le monastère de Daphni, ტაბ. XIX, 1.

<sup>82</sup> J. Lafontaine-Dosogne, Iconographie de l'Enfance de la Vierge, I, სურ. 19.

ვოლოტოვო<sup>83</sup>, კაპრიე ჯამე<sup>84</sup>, ათონის ლავრა (1512 წ.)<sup>85</sup> და სხვ.), ღრძობა ქართულ (ტიმოთესუბანი, ზარზმის და აწყურის ხატები) ნიმუშებში; უნდა ვიფიქროთ, რომ ბერებზელმა ფერწერმა აღნიშნული ელემენტი თავისი დროის რეალური ყოფიდან აიღო.

„ანას ხარების“ კომპოზიცია ბერთუბანში მოკლებულია არა მხოლოდ დამატებით (მსახური), არამედ ტრადიციულ (სახლი, ჩიტი ბარტყებითურთ, როგორც ნაყოფიერების სიმბოლური გამოსახულება<sup>86</sup>) ელემენტებს და აქ მხოლოდ ტრადიციული სიუჟეტის<sup>87</sup> ძირითადი სქემაა დარჩენილი<sup>88</sup>; ამასთან, ტრადიციული მსხვილი, ზოგჯერ ოდნავ კლასიკულიანი და ზედა ნაწილში გირჩის ფორმის დაბოლოვებიანი მცენარის ნაცვლად (შეად. ატენის<sup>89</sup>, დაფნის, ტიმოთესუბნის<sup>90</sup>, სნეტოგორსკის (1313 წ.)<sup>91</sup> მოხატულობათა ანალოგიური სიუჟეტები, იაკობის ქადაგებათა მინიატურა, ზარზმის ჰედური ხატის კომპოზიცია) ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ სცენაში პალმის და ბროწეულის ხეებია შესრულებული (ეს უკანასკნელი ანას მხარეს არის რბილად გადახრილი; ხეები, განსაკუთრებით კი პალმა მსუბუქი თხელი მონასმებითაა ნაწერი; გამოყენება თეთრი, ვერცხლისა და ვარდისფერი, აგრეთვე რბილი ყვითელი ტონები).

ბერთუბნის ეკლესიის მხატვრობის ეს იკონოგრაფიული თავისებურება — არატიპური პეიზაჟური ფონები საკუთრებველში, განსაკუთრებით კი ღმრთისმშობლის ყრობის ფერწერულ ციკლში (ამ მხრივ საკვლევ ციკლს ქრისტიანული აღმოსავლეთის ძეგლთა შორის დღეისთვის ანალოგები არ ეპოვება), სპეციალურ კვლევას იმსახურებს. ამჯერად კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ანა-იოვაკიმეს და მარიამის ისტორიის სცენებში ბროწეულის ხის პალმასთან — სულიერი გამარჯვების სიმბოლოსთან<sup>92</sup> ერთად ჩართვა მხოლოდ თეოლოგიური

<sup>83</sup> М. В. Алпатов, Фрески церкви Успения на Волотовом поле, გვ. 37.

<sup>84</sup> D. Talbot Rice, The Art of Byzantium, London, 1959, ტბ. 183.

<sup>85</sup> J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, სურ. 29.

<sup>86</sup> ძნელია დავეთანხმეთ ე. ლაფონტენ-დოზონის მოსაზრებას, რომელიც ჩიტების გამოსახულებას აღნიშნულ სცენაში მხოლოდ დეკორატიულ ელემენტებად მიიჩნევს (იხ. ავტორის დასახელებული ნაშრომი, გვ. 75).

<sup>87</sup> იკონოგრაფიისათვის იხ. ე. ლაფონტენ-დოზონის ზემოთდასახელებული შრომის პირველი ტომი, გვ. 68—76.

<sup>88</sup> თავისი ლაკონური გადაწყვეტით ბერთუბნის ეს სცენა ახლო დგას „ანას ხარებასთან“ მიროის ტაძრის და ტიმოთესუბნის მოხატულობებში (ამ უკანასკნელისთვის იხ.: Е. Л. Привалова, Роспись Тимотеубани, გვ. 53, 207, სურ. 14). ამას გარდა, აღნიშნული სიუჟეტი ქართულ ძეგლთაგან გვხვდება ატენის, საფარის (წმ. საბას ტაძრის მხატვრობის პირველი ფენა — XIII საუკუნის მიწურული), გელათის მოხატულობებში, ზარზმისა და აწყურის ჰედურ, უბისის ფერწერულ ხატებზე.

<sup>89</sup> Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, I, ტბ. 85.

<sup>90</sup> Е. Л. Привалова, Роспись Тимотеубани, გვ. 14.

<sup>91</sup> В. Н. Лазарев, Снетогорские росписи, в кн.: «Русская средневековая живопись», М., 1970, ნახ. გვ. 162-ზე.

<sup>92</sup> А. М. Уваров, Христианская символика, ч. I, М., 1908, გვ. 193; Н. Appleton, and S. Bridges, Symbolism in Liturgical Art, New York, 1959, გვ. 73—74.

მოსაზრებებით<sup>93</sup> არ უნდა იყოს განპირობებული. ჩანს, ამგვარ არჩევანში გარკვეული როლი რეგიონმაც ითამაშა.

„ანას და იოვაკიმეს შეხვედრის“ კომპოზიციიდან ამჟამად დაზიანებული ფრაგმენტები-ლა შემორჩა (სურ. 1), თუმც არსებულსაც შუაზე დიაგონალურად წარმართული საკმაოდ ფართო ბზარი გასდევს და უეჭველია, ამ სცენასაც დასავლეთ კედლის სხვა სიუჟეტების მსგავსად დალუპვა ელის.

„შეხვედრა“ კომპოზიციურად საინტერესოა ვადაწყვეტილი, რასაც მნიშვნელოვანწილად მისთვის განკუთვნილი კადრის სამკუთხა მოხაზულობაც განაპირობებს; აქ განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მხატვრის შესანიშნავი ტექტონიკური ხედვა, უნარი — შედარებით მცირე ზომის, ამასთან თავისებური კონფიგურაციის მონაკვეთზე კედლის ზეოთმოპოვებული თავისებურებების გათვალისწინებით ოსტატურად განათავსოს გამოსახულებები და შექმნას ძალზე გამომსახველი, მონუმენტური კომპოზიცია.

„...და ამა ესერა იოვაკიმ მოვიდოდა სამწყხოსა თუსსა თანა; დადგა ანა წინაშე ბჭეთა თანა და იხილა იოვაკიმ მწყემსთა თუსთა თანა მომავალი, მიეგებოდა ანა და მოეხუა ქედსა მისსა და ჰრქუა მას: „აჲ უწყი, რამეთუ უფალმან ღმერთმან შაკურთხა მე ფრიად, და აჲ ესერა ქურივი და უშვილოა არღარა ვარი მე“ (იაკობის პირველსახარება“ IV,4).

ბერთუბნის სცენაში ტრადიციული იკონოგრაფიული რედაქციის მსგავსად<sup>94</sup> მეუღლეების ამბორის მომენტია გამოსახული. მაგრამ კომპოზიცია აქ უადრესად დახვეწილია, ლაკონური — წარმოდგენილია მხოლოდ სიუჟეტის ორი უმთავრესი ელემენტი<sup>95</sup> — პირისპირ მდგომი მეუღლეები (ისინი სცენის-მთელ ვერტიკალს ავსებენ, ანას შარავანდი კი ჩარჩოს გადაკვეთს და კამარაზე, ე. ი. „ანას ხარების“ კომპოზიციაში გადადის) და ბჭეთა (ან ანას სახლის) სიმბოლური გამოსახულება: ეს უკანასკნელი — მოქმედების ადგილის ძალზე ზოგადი მინიშნებისათვის. სიუჟეტში შენარჩუნებულია მეუღლეების ტრადიციული ყესტები (ერთმანეთზე მიდებელი სახეები, ანას მკლავზე დადებული იოვაკიმეს მარჯვენა და ა. შ.), აქ ვერ ვხედავთ მკვეთრ, ექსპრესიულ მოძრაობას. იგი განსაკუთრებით ნიშანდობლივი ამ სიუჟეტისთვის პალეოლოგოსთა ეპოქაში ხდება<sup>96</sup>, თუმც მსგავს ვადაწყვეტაზე არც შედარებით აღრეული პე-

<sup>93</sup> ბროწეული — ანტიკური პერიოდის სახვით ხელოვნებაში, სიციცხლის, ნაყოფიერებისა და უკვდავების სიმბოლოა; ამავე მნიშვნელობით ბროწეულის გამოსახულება ქრისტიანულმა იკონოგრაფიამაც შეითვისა, დაუკავშირა რა იგი ჭრისტეს, ღმრთისმშობელსა და ეკლესიას. ბროწეულის ნაყოფი, ამას გარდა, სამეფო ხელისუფლების სიმბოლოცაა: ნაყოფის თავისებური, დაკბილული დაბოლოება სამეფო გვირგვინივითა; შესაბამისად — აქედანაა ასოციაციაც სამეფო ხელისუფლებასთან. მწიფე, გახლეჩილი ბროწეულის გამოსახულება კი ლალისფერი მარცვლებითურთ ადვოკატის სიმბოლოდ იქნა მიღებული. H. Appleton and S. Bridges, დასახ. ნაშრ., გვ. 77; Lexikon der christlichen Ikonographie, Bd. 2, Rom, Freiburg, Basel, Wien, 1970, გვ. 198.

<sup>94</sup> J. Lafontaine-Dosogne, Iconographie de l'Enfance de la Vierge, I, გვ. 84.

<sup>95</sup> ჩელებრივი, ამ სცენაში გამოსახება ანას მსახური, ზოგჯერ — მახარებელი (სიუჟეტის იკონოგრაფიისთვის იხ. ე. ლაფონტენ-დოზონის ზემოთ მოთხოვნილი შრომა, გვ. 82—89).

<sup>96</sup> მაგალითისათვის იხ. „ანას და იოვაკიმეს შეხვედრის“ სცენები ოპრდის წმ. კლემენტის ეკლესიის, ვოლოტოვის, პელენდრის მონატულობებში და სხვ.

რიოდის ძეგლებში ამბობენ უარს (იხ. ზაქარია ვალაშკერტელის სვინაქსარის მინიატურა — XI ს-ის დასაწყისი)<sup>97</sup>.

კომპოზიციაში იოვაკიმეს გამოსახულების მარცხნივ, მისი შარავანდის დონეზე მოჩანს ორსტრიქონიანი წარწერა (ძველ ფოტოზე იგი ძალზე ბუნდოვნად გაირჩევა):

ႠႡႠ  
ႠႡႡ

ამბორი

„ანას და იოვაკიმეს შეხვედრის“ სცენა ქართული ხელოვნების რამდენიმე ძეგლში გვხვდება (A-648 ხელნაწერის მინიატურა<sup>98</sup>, ატენის მოხატულობა<sup>99</sup>; იგი დამოწმებულია კირანცში — სომხეთში არსებულ ქართული კედლის მხატვრობის ძეგლში<sup>100</sup>; შესაძლოა ეს სცენა წარმოდგენილი იყო ზარზმის მოხატულობაში<sup>101</sup>). ყოველი მათგანი ძირითადად ბერთუბნის სცენის ანალოგიური იკონოგრაფიული ნიშნებით ხასიათდება, განსხვავებაა ცალკეულ დეტალებში (მაგ. ხუროთმოძღვრულ ფონში), რაც, ცხადია, ქრონოლოგიური მიზეზებითაა განპირობებული.

ზემოთ აღინიშნა, რომ „ანას და იოვაკიმეს შეხვედრა“ ბერთუბნის ტაძრის ფერწერულ ციკლში ერთ-ერთი ყველაზე მცირე ზომის სცენაა. ამას ისიც ემატება, რომ იგი შედარებით უმნიშვნელო ადგილზე — დასავლეთ ტიმპანის ჩრდილოეთ კუთხეშია გამოსახული. მაგრამ ძირითადი პერსონაჟების — მეუღლეების ფიგურათა მკვეთრი აქცენტირებით (მხატვარმა, როგორც მიუთითათ, ამ მიზნისთვის მაქსიმალურად გამოიყენა კადრის ვერტიკალი) სიუჟეტი ციკლში დანარჩენ კომპოზიციათა ტოლფას კომპონენტად აღიქმება<sup>102</sup>.

<sup>97</sup> Г. В. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги, XI—нач. XIII вв., ტაბ. 5—6.

<sup>98</sup> Г. В. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, იქვე.

<sup>99</sup> Ш. Я. Амيرانашвили, История грузинской монументальной живописи, I, გვ. 85.

<sup>100</sup> აღნიშნული მოხატულობა დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. იგი სავარაუდოდ XIII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

<sup>101</sup> ე. თაყაიშვილის მიხედვით, ტაძრის სამხრეთ მკლავის აღმოსავლეთ კედელზე „ძღვნის უარყოფის“ ქვემოთ „მარიაშის და ელისაბედის შეხვედრის“ კომპოზიციაა გამოსახული (E. C. Такашвили, Археологические, экскурсии разыскания и заметки, გვ. 57. თუმცა, მკვლევარს, ამ ციკლის სხვა სცენებისაგან განსხვავებით, არ მოჰყავს სიუჟეტის თანხლები განმარტებითი წარწერა. გამორიცხული არაა, რომ სლავეციის „რესტავრაციის“ შედეგად მოხდა კომპოზიციურად ფაქტურად იდენტური სცენების აღრევა და ანა-იოვაკიმეს შეხვედრის დაზიანებული სიუჟეტი შეცდომით იქნა აღდგენილი.

<sup>102</sup> არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც „შეხვედრის“ ეპიზოდს შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავია სხვა სიუჟეტთა შორის, ან ჩართულია რომელმე მათგანში. ამის მაგალითად ე. ლაფონტენ-დოზონის მოჰყავს კარანის „ბელა ცრკვას“, ხილანდარის, სტუდენიცის მოხატულობები; მიუნჰენის ბაუერის მუზეუმში დაცული ხატი, ი. ე. ლაფონტენ-დოზონის დასახ. ნაშრომი, გვ. 87. მკვლევარს მიერ დასახლებულებთან ერთად უნდა მოვიხსოვოთ ათონის ლავრას სატრაპეზოს მხატვრობაც.



# პ უ ბ ლ ი კ ა წ ი ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  
თინათინ ყაპანიანი

## წილკანის აკლდამის ბერძნული წარწერა

1979 წლის 3 ივლისს წილკანში სამეურნეო სამუშაოების წარმოებისას შემთხვევით აღმოჩნდა აკლდამა, რომლის გასუფთავება და შესწავლა დაევა-  
ლა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

აკლდამა ნაგებია მიწის ქვეშ, შიგ ჩაისვლება 13-საფეხურიანი ქვის კიბით, ხოლო კიბის დამთავრებისას აკლდამაში შესასვლელის თავზე, ქვაზე ამოკვეთი-  
ლია წრე შიგ ჩაწერილი ჯვრით. თვით აკლდამაში არის 2 მაღალი, ორ-ორი გან-  
ყოფილებიანი საცხედრე, რომელზედაც აღმოჩნდა ხუთი მიცვალებულის ჩონ-  
ჩხი, ორის ჩონჩხი — ამ საცხედრეთა შორის, ხოლო ერთის — საცხედრის თავ-  
თან, აკლდამის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. გარდა ამ 8 ჩონჩხისა აკლდამაში  
აღმოჩნდა ერთი სამსანთლიანი სანათური.

რაც მთავარია ჩემთვის, აკლდამის დასავლეთის კედელზე გამოყვანილია  
წითელი და შავი საღებავებით ამჟამად ძალიან დაზიანებული ბერძნული წარ-  
წერა.

აკლდამა თლილი ქვებით არის საგულდაგულოდ ნაგები და შიგნით თხელი  
კირხსნარით დაფარული. წარწერა შესრულებული იყო ამ კირხსნარზე. კირხსნა-  
რი მეტწილად ჩამოცვენილია, ამიტომაც, რომ წარწერა ასეა დაზიანებული  
(სურ. № 1).

ის, რაც ახლა ჩანს ამ წარწერიდან, ასე შეიძლება აიწეროს: I სტრიქონ-  
ში გამოხატულია მხოლოდ ქრიზმა — აღფათი და ომეგით. ჯვარი შავი საღებ-  
ავით არის შესრულებული, ხოლო ასოები — წითლით. შემდეგ ყოფილა 2 სრუ-  
ლი სტრიქონი წითელი საღებავით შესრულებული (ამჟამად I სტრიქონის მარ-  
ჯვენა ნაწილი, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. II სტრიქონის მარჯვენა ნაწი-  
ლის აღსადგენი ფრაგმენტები შემორჩენილია). ეს სტრიქონები ძირითადად  
ერთგვაროვანი ასოებით არის გამოყვანილი, მხოლოდ მარჯვენისაკენ ოდნავ  
შელმართზე ნაწერი. ამის ქვემოთ 2 სტრიქონი შავი საღებავითაა ნაწერი, ასოები  
მეტ-ნაკლებად თანაბარია და უფრო სასხვათაშორისო ნაწერის შთაბეჭდილებას  
ახდენს, ვიდრე ზედა, წითელი საღებავით შესრულებული სტრიქონები. შავით  
ნაწერი სტრიქონები სწორ ხაზზე კი არ არის ნაწერი, არამედ კიდევ უფრო მე-  
ტადაა მარჯვნივ ზემოთკენ წარმართული, ვიდრე ზემოთა სტრიქონები. ამას  
გარდა, შავად ნაწერი სტრიქონთაგან I უფრო მსხვილი ასოებითაა შესრულე-  
ბული, ვიდრე II. ქვემოთ არის ისევ სამი ქრიზმა; ჯვრებიცა და აღფა და ომეგაც  
წითელი საღებავითაა შესრულებული. ეს ქრიზმები თითქოს სიმეტრიულად ივა-  
რაუდებიან. მაგრამ ამჟამად ვითარება ისეთია, რომ I, ე. ი. მარცხენა ქრიზმა  
IV სტრიქონის ქვემოთაა, შუა ქრიზმა, რომელიც უფრო ზემოთაა, ვიდრე I,  
IV სტრიქონშია შეჭრილი, ხოლო მარჯვენა, ანუ III ქრიზმა თვითონ კი ჩანს,  
მაგრამ რადგან ამ მხარეს თვით წარწერა აღარ არსებობს. ვერ ვიტყვით, ის წარ-  
წერის ქვემოთ იყო, თუ ასევე იყო ჩართული სტრიქონში. ეს ქრიზმა შუა ქრიზ-

მაზე სულ ოდნავ ზემოთ არის. ქრიზმები ერთგვარია: გამოხატულია ჯვარი, რომლის მკლავებს ქვეშ წერია  $\alpha$  და  $\omega$  (სამსავე შემთხვევაში ერთგვარი,  $\omega$  მომრგვალებულია, მაშინ, როდესაც ტექსტში კუთხოვანია). ასეთი ქრიზმები ქრისტიანობის გავრცელებისთანავე, I საუკუნიდანვე გვხვდება და გვხვდება ყველგან, ყველა დროს, სადაც ეს სარწმუნოება არსებობს.  $\alpha$  და  $\omega$  ქრისტეს სიმბოლოა, რაც მომდინარეობს იოანეს გამოცხადებიდან (1, 8; 21,6):  $\xi\gamma\omega \epsilon\zeta\mu \tau\theta \alpha\lambda\phi\alpha \kappa\alpha\iota \tau\theta \bar{\omega}$ ,  $\lambda\epsilon\gamma\omega\epsilon: \alpha\rho\iota\sigma\epsilon \delta \mu\epsilon\delta\zeta$  (მე ვარ ანი და  $\theta$ , პირველი და უკანასკნელი, იტყვს უფალი“).

თუ აკლამა საგულდაგულოდ არის ნაგები, წარწერის შესახებ ამას ვერ ვიტყვით. იმასაც ვერ ვიტყვით, რაც ახლა ჩანს (ან რასაც აღვადგენთ და ვვარაუდობთ), მხოლოდ ის იყო თავიდანვე, თუ კიდევ სხვა რამეც; მთელი ეს წარწერა ერთბაშად არის შესრულებული, თუ სხვადასხვა დროს (ამ შემთხვევაში დიდი ინტერვალები არ ივარაუდება); შთაბეჭდილება ისეთია, რომ თავდაპირველად წითელი ასოებით იყო ტექსტი შესრულებული, შავი — მეორადი. წითელთაა ნაწერი I—II სტრიქონები. III სტრიქონის დასაწყისში შავი საღებავის ქვეშ წითელი გამოსკვივის. ზედა I ქრიზმის ჯვარი შავია, თითქოს შავი საღებავით განახლებული, ხოლო ასოები წითელია. მთლიანად წითელთაა გამოყვანილი ქვედა სამი ქრიზმა (ჯვრებიცა და ასოებიც). გარდა 4 ძირითადი სტრიქონისა და ქრიზმებისა, ბათქაშზე აქა-იქ ჩანს კვალი შავი საღებავისა (ე. ი. ჩანს, კიდევ რაღაცა ეწერა იმის გარეთ, რაც ახლაა დატული).

უფრო დეტალური ცნობები წარწერის გარეგნული სახის შესახებ ასეთია: მოღწეული 4-ვე სტრიქონი მარცხნივ დაახლ. ერთ ხაზზე იწყება (ზემოთა ქრიზმის  $\alpha$ -ს ქვემოთ), შესაბამისად სტრიქონების დასაწყისამდე არის თავისუფალი ადგილი, რომელზედაც, როგორც ჩანს, არც ყოფილა რაიმე დაწერილი. ქვედა სამი ქრიზმიდან მარცხენა — სტრიქონებზე დაახლ. 12 სმ-ით შიგნით არის დასმული.

I ნაწერი სტრიქონის ადგილას კედლის სიგრძე 2 მ. 66 სმ-ია, აქედან პირველი 25 სმ. თავისუფალია, დანარჩენი — 2 მ. 25 სმ. წარწერაინია (აქედან ნაწილი კარგად იკითხება, ნაწილის აღდგენა ხერხდება, ზოგიც სავარაუდოა) რჩება 15 სმ., რომელზედაც წარწერის კვალი ამჟამად არ არის.

II სტრიქონი, საკუთრივ (თავისუფალი 29 სმ-იანი ადგილის შემდეგ) 2 მ. 38 სმ-ია, 24 ასოს უეჭველად ვკითხულობ და აღვადგენ, შემდეგ კედლამდე არის ადგილი 1 ასოსთვის, არის ქვემოთ წითელი წერტილი (შეიძლება ასოს კვალი). უნდა შეინიშნოს, რომ I და II სტრიქონი ისეა ნაწერი, რომ მარჯვენა მხარეს მთლად კედლის კუთხემდე არაა მიყვანილი, მაშინ, როდესაც შემდეგ სტრიქონებში ნაწერის კვალი მარჯვენა კუთხეებზედაც არის.

III სტრიქონი, უკვე შავად არის ნაწერი. მის წინ 33 სმ-ია თავისუფალი. 2 მ. 41 სმ. ნაწერია; აქედან 17 ასო უეჭველად იკითხება, 68 სმ-ზე კი ჩანს ასოთა კვალი, სადაც დაახლ. 7—9 ასო დაეტეოდა (ამათგან ყველას აღდგენა არ ხერხდება). 20 სმ. სულ უკვალოა.

დასაწყისი შავი ასოების შიგნიდან გამოსკვივის წითელი საღებავი.

იმ ადგილას, სადაც IV სტრიქონი წერია, სიგრძე 2 მ. 98 სმ-ია. დასაწყისი 34 სმ, როგორც მოსალოდნელი იყო, უწარწეროა, შემდეგ არის 90 სმ-იანი მონაკვეთი, სადაც გამოყვანილი იყო წარწერა. მომდევნო 62 სმ., ცენტრალური ქრიზმის აქეთ-იქით, როგორც ჩანს, იყო უწარწერო (ბათქაში დატულია და

ზედ არ არის წარწერის კვალი). ამ 62 სმ-ის მერე ისევ არის წარწერა, ამჟამად მხოლოდ დაახლ. 30 სმ-ზე და შემდეგ 1 მეტრი არის სრულიად ცარიელი, მასზე მოჩანს დაზიანებული III ქირიზმა, წარწერა უკვალოდ გამქრალია (ბათქაშიც აღარ არის, რომ რაიმე კვალი შემორჩენილიყო).

როგორც აღვნიშნე, ასოები არათანაბარია, ამიტომ ძნელია მათ საერთო ზომებზე ლაპარაკი, შესაძლოა კონკრეტული ასოების სიგრძე-სიგანის აღნიშვნა და ასოთა ჯგუფის მიხედვით საშუალო მანძილების დადგენა.

I სტრიქონი, მაგ., ძირითადად 11 სმ-ის სიმაღლისაა, მეორე — ასევე 10<sup>1</sup>/<sub>2</sub>-11 სმ-ის; რაც შეეხება მაგ., ასოების განს, I სტრიქონის **ა** 10 სმ-ის სიგანისა, II სტრიქონის 0—7 სმ-ის და ა. შ. ასოების სიგანის მიხედვით ვანგარიშობ ძირითადად რამდენი ასო უნდა ყოფილიყო დაზიანებულ ადგილებში (მაგ., I სტრიქონის უეკველ 8 ასოს 88 სმ. უჭირავს, III სტრიქონის 6 ასოს — 59 სმ. და ა. შ., ისე რომ საშუალოდ 10 სმ უნდა ვივარაუდოთ თითოეული ასოსთვის და იმ ხანისათვის, რაც 2 ასოს შორის არის).

წარწერის საერთო სტლი (მიუხედავად იმისა, რომ ქვედა სტრიქონებში მაინც ის დაუდგერად არის შესრულებული) ერთია — ესაა ფართოდ ნაწირი, კუთხოვანი ასოებით შესრულებული წარწერა, სდაც შეეცდომები არ შეინიშნება, საშუალო ბერძნულის ნორმები (იტაციზმი, 0 და ა-ს აღრევა, დიფთონგთა მონოფთონგოზაცია და სხვ.) არ შეინიშნება; დასტურდება ერთი ლიგატურა (ME); შესაძლოა ლიგატურები მეტიც იყო, მაგრამ წარწერა ისეა დაზიანებული, რომ მეტი არ ჩანს, თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წარწერის შემსრულებელს ლიგატურებით გატაცება არ ახასიათებს (თორემ ამისი შესაძლებლობა დატულ მასალაში სხვაც იყო, მაგ., H $\bar{\square}$ ). წარწერაში აშკარად დაცულია შემდეგი ასოები: **ა, ყ, ბ, ე, ზ, ს, ჯ, მ, ვ, ო, პ, რ, თ, ფ, ა.** ა არის ჩატეხილი შუა ხაზით, **ყ, ე, ზ, მ, ვ, თ** — კუთხოვანი. **ო** — სწორკუთხედი, **პ** — ზედა ხაზი მეტწილად არ გადასცდება ვერტიკალურ ხაზებს. **რ** — აქვს გრძელი ღერო. შედარებით ბატარა და მარჯვენა ოდნავ მომრგვალებული თავი, გრძელ ღეროიან **ფ** — აქვს თითქმის ორი სამკუთხედიისაგან შეზღვარი ზედა ნაწილი, **ს** — ზემოთა ხაზები ფართოდაა გადაშლილი, **ჯ** — მარცხენა სწორ ხაზს გვერდითი მარჯვენა ნაწილის ზემოთა ფეხი სამკუთხედად უერთდება, ხოლო ქვემოთა — სწორკუთხედის ნაწილით, **თ** — აშკარად ეტყობა ხაზების ბოლოს წერტილები; ზემოთა ხაზი საკმაოდ ფართოა, ხოლო **ა** ორგვარი — ტექსტში ის ჰგავს ბეჭდურ მთავრულ რუსულ III-ს, ხოლო ქირიზმებთან ის მომრგვალებულია — **ა**. ასოების მოჩაზულობა ასეთია (იხ. სურ. № 2). როგორც აღვნიშნე, არის ერთი ლიგატურა: (იხ. სურ. 2). სრულ ანბანს უკლია 7 ასო (**ბ, ჳ, ძ, ზ, ჯ, ჭ, ჭ**).

წარწერის ტრანსკრიფცია ასეთია:

- |  |   |
|--|---|
| 1) $\epsilon\psi\alpha\zeta\ \kappa\alpha\iota\ \eta\psi\alpha$ . . . . .  | წერტილები აღნიშნავს ასოთა რაოდენობას, რომელიც შეიძლება ამ ადგილებზე დატეულიყო. აქ წარმოდგენილი ასოების ნაწილი მკაფიოდ ჩანს, ზოგი აღდგენილია მიმქრალი, მაგრამ რეალურად არსებული ფრაგმენტების მიხედვით. |
| 2) $\alpha\mu\sigma\varphi\alpha\rho\alpha\nu\sigma\upsilon\sigma\eta\zeta\ \epsilon\pi\iota\eta\psi\alpha\mu\epsilon\psi$ |   |
| 3) $\alpha\mu\sigma\upsilon\sigma\alpha\tau\sigma\upsilon\ \iota\sigma\theta\ \sigma\upsilon$ . . . . .                    |   |
| 4) $\alpha$ . . . $\sigma\iota\pi\alpha\zeta\ \iota\sigma\theta$   |   |

ამ მონაცემების მიხედვით, დამატებითი აღდგენებისა და კომენტარების გარეშე ტექსტი ასე წარმოგვიდგება:

Ա

Ի

Ը

[Յ]

Կ

Թ

Դ

[Լ]

Յ

Ճ

Մ

Փ

Է

Ն

[Ճ]

[Ղ]

Օ

[Մ]

Է

Ի

Պ

Ս

Ս

Թ

[Թ]


Ր

ՄԷ

Ս

Ս





წილანი. აკლამა № 1 ინტერიერი (ხელი აღმოსავლეთიდან).

- 1) ἐγὼ Τιχᾶς καὶ ἦσιν . . .
- 2) α μου Φαρανίστης ἐπιήσαμεν
- 3) βῶμὸν τοῦτον ἰσο . οἰ . . .
- 4) . α . . . οὐραξ Ἰσθ

თარგმანი: „მე ტიკასმა და... ფარანუსესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა“ ... ვფიქრობ, წარწერის შევსება შეიძლება: აშკარაა, რომ ფარანუსესის წინ იქნება მისი მსაზღვრელი სიტყვები და მისი მიმართება ტიკასთან (რადგან გვაქვს ფარანუსესის წინ ნაცვალსახელი მათ—„ჩემი“).

ასევე „ამ აკლდამის“ მომდევნო სიტყვა უნდა იყოს მისი მსაზღვრელი და შემდეგ ეწერებოდა, თუ ვისთვის გაკეთდა ეს აკლდამა.

ქვემოთ, IV სტრიქონში საკუთარი სახელები უნდა იყოს, ხოლო მათ მიყოლებასზე, ალბათ, ეწერებოდა, რომ ისინიც აქ განისვენებენ.

ამ ვარაუდებისა და გადასული ასოების რაოდენობის გათვალისწინების საფუძველზე წარწერას ასე ვავსებ:

1. ἐγὼ Τιχᾶς καὶ ἦσυχαστῆς ἀββ-
2. α μου Φαρανίστης ἐπιήσαμεν
3. βῶμὸν τοῦτον ἰσθῶμιον ἕαυτοις
4. Πατριῶνας (?) Ἰσθιγέρτης (?) πρὸς δὲ καὶ ἐνθάδε κεινται.

„მე ტიკასმა და ბერმა, ჩემმა ამა ფარანუსესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა თლილი ქვებისაგან ჩვენთვის.“

პაპრიუპასი (?), ისლიგერდესი (?) ასევე აქ განისვენებენ“.

ამ წაკითხვასთან დაკავშირებით ასეთი შენიშვნები მაქვს: I სტრიქონში შეიძლებოდა წავგვითხა: ἐγὼ Τιχᾶς Καίης „მე ტიკას კაიესმა“ (ე. ი. ტიკასს თრმაგი სახელი იქნებოდა, შდრ. მაგ., Φλ. Δάτης არმაზისხევის წარწერიდან, Αὐρήλις Ἀχρίλις — სამთავროს წარწერიდან). Καίης — სახელი დადასტურებულია ეგვიპტის ბერძნულ პაპირუსებში (Καίης (Καγῆς) Preisigke...).

ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ ყოფილიყო თვით ამ ტიკასის განსაზღვრა, ვინ არის ის (თუკი ფარანუსესი მისი ამაა, ე. ი. მღვდელი, წინამძღვარი, ვინაა ამ წარწერის I და ძირითადი პირი?).

σ-ის შემდეგ წარწერაში იკითხება σ და შემდეგ მეტისმეტად სათუოდ რამდენიმე ასოს კვლია; სტრიქონის ბოლომდე 8 ან 9 ასო დაეტეოდა კიდევ. ამ ასოთა შორის უნდა ვივარაუდოთ ან კავშირი „და“ (καὶ), რაც ორ ქვემდებარეს (ტიკასსა და ფარანუსესს) ესპიროება (მათ ხომ ერთი ზნა ἐπιήσαμεν აქვთ), ან სხვა რამ დამაკავშირებელი სიტყვა (მაგ., εἶ, კიდევ); ამასთანავე II სტრიქონის σμου აშკარად საპიროებს წინა სტრიქონიდან სიტყვის შევსებას — თუ ეს არაა ἀββᾶ μου, მაშინ უნდა იყოს μετᾶ μου „ჩემთან ერთად“; ამგვარად 6 ასო აკლდება ტიკასის მსაზღვრელ სახელს. გერჩება მისთვის სამი ასო. ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ სახელი შემოკლებულია (თუმცა წარწერაში სხვა შემოკლებები არ გვაქვს და რაღა მაინცდამაინც ტიკასის განმსაზღვრელი სიტყვა შემოკლდა). ს-ზე დაწყებული მრავლისაგან მრავალი სახელიდან ძნელია იმის გამოჩენვა, თუ ტიკასის ეპითეტი რა იქნებოდა, მაგრამ სავარაუდოდ შეიძლება დასახელება: ἡγίατης (განმკურნებელი), ἡγοργάτης (ხევე მწერალი, მხატვარი), ἡμνητής (პიმნების მოძღვრალი), ἡπαρχίας (სარდლის თანამემწე, ქვემდგომი);

მორჩილი, ქვეშევრდომი), *επαρχος* (უზემთაეისი, იპატოსი, კონსული), *ἐπιπέτης* (მრჩეველი), *ἐπιστήτης*; (დებულებათა მომცემი, შემომქმედი), *ἐπιφύτης* (ჭურჭ-მი, ძღველი) და სხვ. მე ვფიქრობ, არც ერთი ეს სიტყვა არ იქნა ხსენებულ ადგილას. ეგებ ტიკასი იმდენად ცნობილი პირი იყო, რომ მას გახსაზღვრა არ სჭირდებოდა.

დგას მეორე საკითხიც. თუ ჩემი წაბოთხვა სწორია და წარწერაში სწერია: *ἐὺν Τηχᾶς καὶ* (მე, ტიკასმა და...), მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის შემთხვევა, როდესაც სიტყვის თავშია *ησα* ... ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს იყოს *ἦ+σα*... ე. ი. დედრობითი სქესის სახელი სახელობით ბრ-ში, რომელიც რაღაცნაირად ჩაჯდება ამ კონტექსტში (ფარანესეისი ვანსაზღვრა ნაცვალსახელ *μαη*-სთან ერთად აუცილებელია; საეჭვოა, რომ მარტო *μαη* იყოს... ე. ი. „ჩემი ფარანესეისი“, ეს „ჩემი“ კიდევ სხვა სიტყვას თხოულობს მის წინ). სა-ზე დაწყებული დედრობითი სქესის სახელი ძალიან ბევრია, მათგან გამოიყოფოდა იმით, რომლებიც რაღაცნაირად შეიძლება შეეფერებოდეს წილკნის აკლდამას და მის წარწერას: *ἦ σαμῆα*, *σάμψις*, *σαμψιστή*, *σάψσις*, *σαψσῆς*; მე უღლე (არ არის შეუღლის საკუთარი სახელი, მაშინ, როდესაც თავის სახელს გარდა ტიკასი მეორე პირის სახელსაც ახსენებს, ეს II სახელი კი *ης*-დაბოლოების მიხედვით ძალიან საეჭვოა. რომ დედრ. სქესისა იყოს). ამასთანავე, აკლდამის გამოხრელი არქეოლოგების ცნობით, იმ 8 ჩონჩხიდან, რომლებიც აკლდამაში აღმოჩნდნენ, არც ერთი არ არის ქალის. წარწერის მიხედვით კი ივარაუდება რომ ისინი, ვინც წარწერაში იხსენიებიან, აკლდამაშივე არიან დაკრძალული. არის ერთი რიგის სახელები, რომლებიც საქმიანობას გამოხატავენ: *συνδριμῆ* (შეწვენა), *σακπαῖμψις* (დახმარება), *σακπαῖμψις* (ერთად კეთება, საქმიანობა), *σακπαῖμψις* (დახმარება, მოწაწილეობა მუშაობაში), *σακπαῖμψις* (ერთად მუშაობა), *σακπαῖμψις* (ერთად შენება), *σακπαῖμψις*, *σακπαῖμψις* (გდახურვა), არც ერთი ეს სიტყვა, ასოთა რაოდენობის მიხედვით კიდევაც რომ ეტეოდნენ I სტრიქონში. სახელობითი ბრუნვის ფორმით არ იქნებოდა — გვექნებოდა ან თანდებული (მაგ., *μὲξ σακπαῖμψις* შეწვენათ), ან სახელი შესაფორის ირიბ ბრუნვაში (მიცემითში მაგ., *τῆς σακπαῖμψις*, რაც ნაკლებად სავარაუდოა).

ასოთა რაოდენობის თვალაზრისით I სტრიქონი დაიტევდა ჩვენი ძეგლისთვის შესაფერის სიტყვებს—*ἦ συνεπιφύτης* (საერთო, კოლექტიური დაკრძალვა), *ἦ σακπαῖμψις* (მხატვრის მიერ საფასურით გაკეთებული ნამუშევარი), *ἦ σακπαῖμψις* (სათათბირო, საბჭო), *ἦ σακπαῖμψις* (შეკრებილობა), მაგრამ მთელი ფრაზისთვის ეს სიტყვები შეუფერებელია (რომ ყოფილიყო მაგ., *τῆς σακπαῖμψις* *μὲξ* ე. ი. I სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ აშკარად სწორედ *ησα*-ჩანს, დანარჩენი სულ ვარაუდის სფეროშია)

გვჩნება ერთადერთი შესაძლებლობა — ვეძებოთ სიტყვა *ησα*—დასაწყისით და დაახლ. სულ 9 ასოსაგან შემდგარი. *ησα*-თი დაწყებული ყველა სიტყვა *ἦσα* — ძირს შეიცავს (*ησα* — ინდოევროპულ სიტყვადაა მიჩნეული და მისი ძირითადი მნიშვნელობაა „წყნარი“, „მშვიდი“). არის ამ ფუძის რამდენიმე ზმნა — *ἦσα*, *ἦσα*, *ἦσα* რამდენიმე ზედსართავი სახელი — *ἦσα*, *ἦσα*, *ἦσα*, *ἦσα*, *ἦσα* და რამდენიმე არსებობა სახელი, მათ შორის — *ἦσα*, *ἦσα*, *ἦσα*, *ἦσα* — მონასტერი, საენე (სონასტერი — ქართ. იხმარება იოანე

და ეფთ ჳმის ცხ-ში, მაგ., სწორედ ამ მნიშვნელობით, და ἱσαχαστης, ბ ბერი, განდგომილი.<sup>1</sup>

ამ სიტყვაზე შეჩერებას ისიც უწყობს ხილს, რომ ἡσა-ს შემდეგ წარწერაში მოჩანს გაცილებით უფრო გრძელი ასო, ვიდრე წინა ასოებია (რაც თავდაპირველად ძალიან დაგრძელებულ, თითქოს სხვა ხელით ნაწერ მ-დ მივიჩინე). როგორც ჩანს, ეს ხაზს ქვემოთ დიდად ჩამოცილებული ასო არის χ (შემდეგი ასოები იმდენად ფრაგმენტულია, რომ მხოლოდ საფარაუდოდ შეიძლება მათი აღადგენა—ამ ვარაუდების საფუძველზე ყველაზე მისაღები სიტყვა არის ἱσαχαστης).

თუ ეს ჩემი აღდგენა სწორია, ამ სიტყვის შემდეგ რჩება ადგილი 2—3 ასოთვის, ამ მოკლე სიტყვის ბოლო ასო გადატანილია II სტრიქონში. ეს სიტყვა შეიძლება იყოს თანდებული  $\mu\epsilon\tau\acute{\alpha}$  ( $\mu\epsilon\tau\acute{\alpha}$   $\mu\alpha$  „ჩემთან ერთად“), ან სახელი  $\acute{\alpha}\beta\beta\acute{\alpha}$  — „ამბა“, მე ვფიქრობ საკუთარ სახელსა და მის მსახვდურელ შორის ჩართვა— „ჩემთან ერთად“ სწორი არ იქნება; „ბერის“ „ვანდგომლის“ შემდეგ უკვე წდება  $\acute{\alpha}\beta\beta\acute{\alpha}$ . სიტყვა, როგორც ცნობილია, სირიულია, abba, იგი ნიშნავს „მამას“, იგი იხმარებოდა ბერძნულშიც, ასეა ის გადმოსული ქართულ ოთხთავშიც (მარკ. 14, 36— $\acute{\alpha}\beta\beta\acute{\alpha}$   $\delta$   $\pi\alpha\tau\epsilon\rho$  „ამბა მამაო“—ყველა რედაქციაში); ქართულ ტექსტებში დასტურდება მისი ფორმები: აბბა, აბა, ამბა და ანბა<sup>2</sup> (აქედან გამომდინარე ლათ. Abbas.—atis, დაედო საფუძველად დღეს ყველა ენაზე გავრცელებულ სიტყვას, „აბატს“). დიმიტრაის განმარტებით ერთ-ერთი მნიშვნელობა თვით ბერძნულში სიტყვა  $\acute{\alpha}\beta\beta\acute{\alpha}$ -ის არის: ἱϋδαίαιος  $\mu\alpha\upsilon\alpha\sigma\tau\epsilon\rho\iota\varsigma$  (მონასტრის წინამძღვარი), რისთვისაც იმოწმებს ეუსტინიანეს ნოვლებს (123,34)— $\acute{\alpha}\beta\beta\acute{\alpha}$   $\tau\alpha\iota$   $\Sigma\alpha\upsilon\alpha$ —სინას წინამძღვარი). ამგვარად, ვფიქრობ, წილკის წარწერაში გვაქვს ძველის ერთ-ერთი მნიშვნელის, ფარანუსის, ბერისა და მონასტრის წინამძღვრის ასე ვრცლად ხსენება.

წარწერის III სტრიქონის I ასო მხოლოდ ერთი ვერტიკალური ხაზის სახით არის შემორჩენილი, ამდენად, აღდგენის ბევრი შესაძლებლობა ჩნდება (Γ, Π, Δ, Β, □...). მომღვეწო III მ სრულიად გარკვევით შეიძლება აღვადგინოთ (იმას ვერ ვიტყვით, რომ ისინი სავსებით მკაფიოდ იკითხებან), შემდეგ არის 3 უფრო მიმჩნეალ ასო, რაც ასევე შესაძლებელია აღდგეს და მერე მკაფიო □ Y T □ N. მე ამას აღვადგენ— $\phi\alpha\upsilon\sigma\eta$   $\tau\omega\iota\sigma\eta$  (პირდაპირი დამატება იმისა, რაც ტიკასმა და ფარანუსესმა გააკეთა).

ყველა იმ შესაძლებლობიდან, რაც ბერძნულს აქვს საუღლავეს, განსაკვენებლის აღსანიშნავად<sup>3</sup>, ტექსტის ამ ადგილისათვის  $\phi\alpha\upsilon\sigma\eta$ , ბ—ყველაზე შესაფერისია (საჭიროა 5 ასოიანი სიტყვა, მამრობითი სქესის, ამას კარნახობს ნაცვალსახელი  $\tau\omega\iota\sigma\eta$ ).  $\phi\alpha\upsilon\sigma\eta$ , ბ—უძველესი ბერძნული სიტყვაა, ის იხმარება ჰომეროსის დროიდან, მისი ძირი არის  $\beta\alpha$  იგივე, რაც ზმნაში,  $\beta\alpha\iota\sigma\alpha$ , მას ბევრი მნიშვნელო-

<sup>1</sup> იმავე ἱσαχ—ძირის საკუთარი სახელებიც არსებობს, მდვდრ. და მამრობითი, სხვადასხვა დაბოლოებით: Ἰσαχᾶς, Ἰσῦχις, Ἰσῦχιος, Ἰσαχῶς—მამრ. Ἰσῦχια, Ἰσῦχίς—მდვდრ.

<sup>2</sup> ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.  
<sup>3</sup> ეს სიტყვებია:  $\beta\alpha\upsilon\sigma\eta$ , ბ;  $\eta\rho\iota\sigma\eta$ , ბ;  $\eta\rho\omega\sigma$ , ბ;  $\sigma\iota\rho\delta$ , ἡ (ამისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა საზოგადო, საერთო საფლავი);  $\tau\acute{\alpha}\rho\delta$ , ბ;  $\tau\acute{\alpha}\rho\eta$ , ἡ (ერთ-ერთი მნიშვნელობა—სარკოფაგი);  $\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\alpha$ , ἡ;  $\lambda\eta\rho\delta$ , ἡ;  $\mu\eta\chi\eta$ , ἡ;  $\sigma\iota\kappa\alpha$ , ბ;  $\sigma\iota\chi\eta\tau\epsilon\rho\iota\sigma$ , ბ;  $\kappa\alpha\tau\iota\sigma\iota\chi\eta\tau\epsilon\rho\iota\sigma$ , ბ;  $\kappa\alpha\iota\mu\eta\tau\epsilon\rho\iota\sigma$ , ბ;  $\mu\eta\chi\iota\alpha$ , ბ;  $\mu\eta\eta\mu\epsilon\tau\eta\sigma$ , ბ;  $\tau\acute{\alpha}\mu\phi\delta$ , ბ;  $\kappa\rho\upsilon\pi\tau\eta$ , ἡ, რაც უფრო მეტად ნიშნავს მიწისქვეშა სამალავს მარტივლათათვის—ქრისტიანული ხანისათვის.



ბა აქვს, ერთ-ერთი, დადასტურებული ბიზანტიური ბერძნულსათვის, არის  $\tau\alpha\phi\omicron\varsigma$  (საფლავი; მიწაში ამოთხრილი ადგილი გვამის ჩასადებად),  $\tau\acute{\alpha}\mu\beta\omicron\varsigma$  (ადგილი, სადაც სწვავენ ან კრძალავენ გვამებს),  $\mu\eta\gamma\mu\epsilon\tau\eta\sigma$  (ნაგებობა — სხვადასხვა სახის საფლავზე მიცვალებულის პატივსაცემად და მოსაგონრად).

შემდეგი სიტყვა, რომელიც მიპყვება  $\tau\alpha\upsilon\tau\alpha\iota\text{-ს}$ , აშკარად შეიცავს ასოებს:  $\iota\sigma\alpha$ . იმ. ორ O-ს შორის ჩანს 1 ვერტიკალური ხაზი; აქაც აღდგენის ბეჭერი შესაძლებლობა რჩება:  $\Gamma, N, \Pi$  (რადგან ქვემოთა ჰორიზონტალური ხაზი არ ჩანს, ამიტომ O-ს არ ვვარაუდობთ, თან სამი O ზედიზედ არაფერს გვაძლევს)

ყველა არსებული ბერძნული სიტყვიდან ასეთი წყობის არის მხოლოდ ორი:  $\iota\sigma\tau\omicron\mu\omicron\varsigma$  და  $\iota\sigma\tau\acute{\alpha}\mu\beta\omicron\varsigma$  (თუმცა მ-ს მონაცემები არ გვაქვს).  $\iota\sigma\tau\omicron\mu\omicron\varsigma$ -ის ძირითადი მნიშვნელობაა — „თანაბარუფლებიანი“, „თავისუფალი“ (ეხება, როგორც წესი, პიროვნებას), მაგრამ გვაქვს ამ სიტყვის ასეთი კონტექსტში ხმარების შემთხვევა:  $\chi\alpha\lambda\iota\kappa\acute{\alpha}\varsigma$   $\iota\sigma\tau\omicron\mu\omicron\varsigma$  ( $\acute{\alpha}\nu\tau\iota\varsigma$ .  $\chi\alpha\lambda\iota\kappa\acute{\alpha}\varsigma$   $\iota\sigma$   $\beta\alpha\lambda\lambda\alpha\chi\eta$  — დიმიტრ.), ე. ი. თავისუფალი? სუფთა? სპილენძი, შეპირისპირებით „განსხვავებული, შეკავშირებული სპილენძისაგან“. თუკი „სპილენძი“, შეიძლება იყოს  $\iota\sigma\tau\omicron\mu\omicron\varsigma$ , რატომ არ შეიძლება  $\beta\alpha\mu\acute{\iota}\delta\varsigma$ , აკლამაც იყოს  $\iota\sigma\tau\omicron\mu\omicron\varsigma$ ?

მი მინდა მგონია, რომ ამ კონტექსტს უფრო შეეფერება მორი სიტყვა- $\iota\sigma\tau\acute{\alpha}\mu\beta\omicron\varsigma$  (თუმცა, ვიმეორებ,  $\delta$  საექვოა. საერთოდ დაბეჯითებით არც ვიცით,  $\Delta$  როგორ იხმარება ამ წარწერაში. IV სტრიქონის  $\Delta$ -ს შეს. ქვემოთ).

$\iota\sigma\tau\acute{\alpha}\mu\beta\omicron\varsigma$  არის „თანაბრადნაშენი“, დამუშავებული, თანაბარი ქვებისაგან ნაგები“ (დამოწმებულია — ვიტრუვიუსი, 2, 8, 6).

რაც შეეხება IV სტრიქონს. ვფიქრობთ, იქ საკუთარი სახელები გვაქვს. სტრიქონის დასაწყისში რეალურად ჩანს ერთი ვერტიკალური შტრიხი და ნაკლებ მკაფიოდ მისგან ზემოთ მარჯვნივ წარმართული ჰორიზონტალური ხაზი. ამდენად, ასო შეიძლება იყოს  $\Gamma, \Pi, P$  (?), ნაკლებ საზარატოდ  $N, M, K$ . შემდეგ არის აშკარა,  $A$ , ამის მერე ორი ვერტიკალური ხაზი, რომელთა შორის ვემოთ შუაში დამოუკიდებელი წრტლია. შედეგ იხვე ორი პარალელური ვერტიკალური ხაზი, და იმდენად დაშორებული ერთმანეთს, რომ ან 1 ფართოდ დაწერილი ასო შეიძლება იყოს (ვთქვათ  $\Pi$  ან  $M$ ) ან ორი — (ვთქვათ  $\Gamma$  ან  $\Pi$ ). ამის მერე არა მთლად მკაფიოდ, მაგრამ უეჭველად სწერია  $O\Gamma\Lambda C$ .

აქ ორი შესაძლებლობაა: უფრო ლოგიკურია იყოს კავშირი  $\chi\alpha\lambda$  და რაიმე სახელი (მაგ.,  $K\alpha\lambda\iota$   $\Pi\omicron\tau\alpha\varsigma$ ), ან კავშირის ვარაუდი ერთი მთლიანი სახელი, სავარაუდოდ  $\Pi\alpha\pi\rho\iota\sigma\tau\alpha\varsigma$  ან  $\Gamma\alpha\beta\rho\iota\sigma\tau\alpha\varsigma$  (უფრო დაწვრილებით სახელთა შესახებ იხ. ქვემოთ).

ამავე სტრიქონში დიდი ხარვეზის შემდეგ, რომელზედაც ბათქაში არის, მაგრამ წარწერის კვალი არ ჩანს, სწერია მეორე სიტყვა. ვფიქრობ, ისიც სახელია.

II სახელის აშკარად დასაწყისი გვაქვს, IC სრულიად მკაფიოა, მესამე ასო არის თითქოს  $\delta$ , მაგრამ ეს ასო წერია უფრო ზემოთ. ვიდრე პირველი ორი,  $\Delta$  ხაზი აშკარად ჩანს, ისიც ნამდვილია, რომ შუაში ჩატეხილი შემავრთებელი ხაზი არაა და თითქოს სადღაც შუისაკენ არის ჰორიზონტალური შტრიხი, ე. ი. ასოს მონახულობა არის ან  $\Delta$  ან  $A$  (ქვემოთ ფეხები საექვოა, მაგრამ IC-ს დონეზე ესაა. მართალია, სტრიქონი მარჯვნივკენ ცოტათი ზემოთ მიიმართება, მაგრამ აქ მეტია აცილება). ზ-ზე თუნდაც იმიტომ არ შეიძლება, რომ ბერძნული ასო-

ებით ნაწერი (სულერთია, რა ენოვანი) ICA დასაწყისიანი სახელი არ გვხვდება, თანაც გარდაგარდმო ხაზი საეჭვო არ ჩანს.

'Iσx-ზე დაწყებული ბერძნულად ნაწერი სახელი ბეგრია ('Iσxαχαιც-ით დაწყებული და 'Iσxαχαჟ-ით გათავებული; სახელდახელოდ შემოწმებული მაგ., პაპეს ლუქსიკონში), მაგრამ ამ სიტყვის ასეთ დასაწყისს გამოვრიცხავ.

'Iσx-დასაწყისით ბერძნულად დადასტურებული სახელების შეს. იხ. ქვემოთ. 'Iσx:αχβჟ; პარობით მაქვს წარწერაში ჩასმული.

წილენის აკლდამის წარწერა შესრულების ტიპის მიხედვით ისეთივეა, როგორცაა ფრესკული წარწერები; საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ამგვარი — ეს უძველესია (ყოველშემთხვევაში ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე ეს ასე ჩანს).

ჩემთვის ცნობილ წარწერათა შორის ამ თვალსაზრისით წილენის წარწერას ჰგავს ერთი წარწერა პანტიკაპეიონიდან: «Надпись исполненная красной и черной красками на стене склепа», «не древнее III в. н. э.»<sup>4</sup> წარწერა საფლავისაა (ἐπιτάφια ἱεραία: ἀμφύχρα), მაგრამ იწყება ნებისმიერი დეკრეტისათვის და სხვა რიგის წარწერებისათვის დამახასიათებელი 'A[χβჟ] τxჟ-ით (წარწერა არაა ქრისტიანული, ისევ პალესტინა ლაბარაკი; იგი 12 სტრიქონიანია, ნაწერი მკვიდროდ, მრგვალი ასოებით, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო მოხაზულობის მხრივ წილენის წარწერის ასოთა მოხაზულობასთან; χβჟτxჟ τxჟ-ს აქეთიქით რომელი ხანისათვის დამახასიათებელი ფოთოლი აქვს, ასეთივე ფოთოლია ბოლოშიც, მე-12 სტრიქონის დასასრულს).

ეს წარწერა მომყავს როგორც ნიმუში იმისა, რომ ასევე აკლდამაზე და ასევე ორფერა საღებავით სრულდება წარწერა (რომელიც, სრულიად ლოგიკურია, ძირითადად საფლავის წარწერაა, სხვა დამატებითი ფორმალური თუ არსებითი ნიშნებიც რომ ჰქონდეს).

ჩვენს წარწერას 4 ქრიზმა აქვს. ივრამდენიც არ უნდა იყოს, იმის მომასწავებელია, რომ ძვილი, რომელზედაც ის არის დახატული თუ ამოკვეთილი, ქრისტიანული ხანისაა. 4 ქრიზმას, ჩემი აზრით, ერთგვარად ორნამენტის მნიშვნელობაც აქვს. 1 არის წარწერის თავში (ჯვრის დასმა წარწერის დასაწყისში შემდეგ ხანებშიც ძალიან ხშირია. ეს არის ერთგვარი აპელაცია ქრისტის მიმართ), ხოლო სამი, წარწერის ქვემოთ, ჩაფაქრებულია თათქოს სიმეტრიულად (რადგან თვით წარწერა არ არის სიმეტრიული და სტრიქონი სტრიქონს არ ჰგავს, ეს ჩანადიქრიც ნაწილობრივ დარღვეულია). წარწერა რამდენიმე ქრიზმით (იმისგან დამოუკიდებლავ, რამდენი მიცვალბებულია დამარხული აკლდამასა თუ ჩვილუბრივსაფლავში) მთელ ქრისტიანულ სამყაროში გვხვდება. მაგ., IV-V სს-ით ათარიღებენ ტანაგრაში მოპოვებულ მარმარილოს სტელას ვრცელი, 40 სტრიქონიანი წარწერით, რომელაც მთავრდება 3 ქრიზმით (წ ასეთი ფორმის) და ქვემოთ კიდევ 3 ყუავალა<sup>5</sup>.

ასევე IV-V სს-ისაა ეპიტეტანოსის ეპიტაფია კრეტიდან, რომელსაც I სტრიქონის თავსა და ბოლოში აქვს ქრიზმა (წ ასეთი ფორმის), ხოლო ტექსტის დასასრულს (სულ 7 სტრიქონია) — ასევე ორი ქრიზმა ასეთი: წა და წ

<sup>4</sup> Корпусе боспорских надписей, зв. 420—422, № 731; იგივე V. Latyshev, JPE..., IV, № 342.

<sup>5</sup> M. Guarducci, Epigrafia greca, IV, 1978, зв. 338.

და აქვე 2 ყვაილი<sup>8</sup> (ამავე დროს 4 მარტილის IV ს-ის ეპიტაფიას ჩრდილო-საბერძნეთიდან მხოლოდ 1 ქრიზმა აქვს ასეთი ფორმის F)<sup>7</sup>.

ამგვარად, წილკნის აკლდამის წარწერის 4 ქრიზმა მე მიმაჩნია ქრისტიანული ხანის წარწერებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტ ორნამენტად (მას კავშირი დაკრძალულ პირთა რაოდენობასთან არ აქვს).

წარწერა შინაარსის თვალსაზრისით 2 ნაწილისაგან შედგება — I ნაწილში ლაპარაკია იმაზე, თუ ვინ და როგორ გააკეთა ეს ნაგებობა და II ნაწილში იქნებოდა ის, თუ ვისთვის გაკეთდა, ანუ ვისი განსასვენებელი იყო ეს აკლდამა. პირველი ნაწილის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის კარგად იკითხება, ხოლო II ნაწილი (რომელიც შესაძლოა თანდათან იგნებოდა) მეტისმეტად დანიანებულია. ამქამად 2 სახელის ფრაგმენტილა ჩანს. ამგვარად, ამ აკლდამის ეპიტაფია (ძირითადი მაინც აკლდამისათვის არის ის, რომ ის განსასვენებელია გარკვეულ პირთა, ე. ი. აქ ეპიტაფიაა სავარაუდო) ამავე დროს შეიცავს მისი (ე. ი. ნაგებობის) გამკეთებლის სახელს, ე. ი. წარწერა ქტიტორულიც არის, ეპიტაფია ემსგავსება საამშენებლო წარწერას.

ამ ტიპის წარწერები გვაქვს ქრისტიანულიც და არაქრისტიანულიც ყველა იმ ქვეყნიებიდან, სადაც კი ბერძნულად წერდნენ. მაგ., IV ს-ის ერთ სტელაზე ფრიგიიდან გვაქვს წარწერა, რომლის I ნაწილი წარმოადგენს იმას, თუ ვინ გააკეთა ეს ძეგლი:  $\text{Αὐρ[ῆ]λιος Ἰουλιανὸς καὶ Διοκλετῆς τρυφῆος τὸ ἔργον (ავრელი აიენოლოტოსმა, დიკლეიონიდან, ხელოსანმა გააკეთა ეს სტელა)}$  და II ნაწილი შედგება 26 ჰეგზამეტრული სტრიქონისაგან, რაც არის გავრცობილი ეპიტაფია აკაკიოს მენოლოროსის ძისა<sup>8</sup>, მთელი წარწერა ერთნაირად არის ამოკვეთილი, არც ხელოსანია გამოყოფილი რამენაირად და არც ის, ვისთვისაც ეს ქვაა გაკეთებული.

საინტერესოა ჩრდილო საბერძნეთში მოპოვებული III-IV სს-ის საოჯახო სამარხის წარწერა, რომლის I ნაწილში ჩამოთვლილია და დახასიათებული 6 გარდაცვლილი ბავშვი, ხოლო ბოლო სტრიქონებში შემდეგი წერია:  $\text{ὁς παῖων παύσαν λατῆν ἐνθάδε Ἀσίου, τέκνου ἐνθίσου καὶ ἀνδρὸς σὺν Ἀσκληπιανῶντι ἄλτρυ<sup>9</sup>... (ამათ ყველას გაუკეთა აქ ლუქსიმა სამარხი)<sup>10</sup>, თავის შვილებს და თავის თავს, თავის მეუღლესთან, ასკლეპიოლოტესთან ერთად“).$

V ს-ით ათარიღებენ ათანასიას ეპიტაფიას დელფოდან. თავში ჩამოთვლილია ამ ქალის ღირსებები, ხოლო შემდეგ წერია:  $\text{ἐπίσημον τὸ μνημῆριον ἀνδρὸς ἐνθάδε ἄστυ<sup>11</sup> (ამავეს ეს საფლავი და მისი ნეშტი აქ განისვენებს“}$ . გამკეთებელი თვით ათანასია ჩანს. სხვა ქვემდებარე ამ მონაკვეთს არ გააჩნია).

რომაული ხანიდან ჩვეულებრივი იყო ის, რომ აღამიანი სიოცხლეშივე იმზადებდა საფლავს და ბევრ შემთხვევაში ეს პირდაპირ აღნიშნულიც არის. მაგ., არსებობს ერთი ასეთი IV ს-ის წარწერა, სადაც იკითხება:  $\text{Γάιος... ἄνθρωπος ἐστὶν ἀνδρὸς καὶ τῆς ἐνθάδε ἔταυς ρα (გაიოსმა... სიოცხლეშივე გაა-$

<sup>6</sup> M. Guarducci, დასახ. ნაშრომი, გვ. 411.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 362.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 392—393.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 363—364.

<sup>10</sup> იგულისხმება ქვისაგან: წარწერა ქვის ფილაზე მოთავსებული.  $\text{λατῆν}=\text{λατῆμιον}$ -ს რაც ნიშნავს „ქვის სამტეხლოს“ (მაგ., სტრაბ. 12, 2, 8).

<sup>11</sup> M. Guarducci, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.

კეთა თავი<sup>12</sup>თვის და თავისიანებისათვის 390 წელს“)<sup>12</sup>. II ს-ით ათარიღებენ გამო-  
 მცემლები ერთი საფლავის წარწერას ქერჩიდან. სადაც ვკითხულობთ: Τιμῆσις...  
 σου γυναικός... καὶ υἱῶν... οὐκ ἔστιν ἄνευ τῆς ματρὸς<sup>13</sup> (ტიმოთოსმა...  
 ცოლთან... და ვაჟთან... ერთად ავიგე ეს ძეგლი“ — აღწერის მიხედვით წარ-  
 წერა გამოყვანილი იყო სტილიაზე 9 სტრიქონად).

მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრისა შეიძლებოდა. ჩვენ შეგვიძლია დავას-  
 კვნათ ის, რომ შინაარსისა და აგებულების მიხედვით წილკნის წარწერის მსგავსი  
 ბევრი სხვა ბერძნული წარწერა მოგვეპოვება, თარიღის თვალსაზრისით ეს  
 წარწერები ძირითადად IV—V სს-ისაა.

წილკნის წარწერაში საინტერესოა დასაწყისი: ჭვ̄ Τιχ̄ς მე ტიკას... სა-  
 ხელობითი ბრუნვის ფორმით დასმული ქვემდებარე (ეპიტაფიებსა თუ მით  
 ჭმეტეს სამშენებლო წარწერებში) იშვიათი არ არის. ყურადღებას იძირობს  
 წინ ნაცვალსახელი ჭვ̄ (და ამის შესაბამისად შემდეგ ზმნა I პირის ფორმით) —  
 ძნელია იმის მტკიცება, რომ მრავალათასიან ბერძნულ წარწერათა შორის  
 მეტი ასეთი ფორმა არ გვხვდება, მაგრამ ერთი უდავოა, რომ ასეთი ფორმა დი-  
 დად გავრცელებული არ არის. ამ დროს არ შეიძლება არ მოგვაგონდეს არმა-  
 ზისხევის ბერესუმას სამარხის III ს. წარწერა: ჭვ̄ παταλεις Φλ. Δῑნიς ἐχαρι-  
 σάμην Βερασῑα π:ι:ζ̄η („მე მიფემ, ფლავიუს დადესმა მივეძღვენ ბერესუმა  
 პიტაიხშს“ — იგულისხმებ ბა ეს ლანგარი, რომელზედაც წარწერა არის პუნქ-  
 ტური თამოქრილი)<sup>14</sup>.

წილკნის აკლამის ბერძნული წარწერის ასოების მსგავსი მოხაზულობა  
 შემდეგ წარწერებში მოგვეპოვება (წარწერები მომყავს სხვადასხვა კუთხიდან,  
 სხვადასხვა მასალაზე შესრულებული და სხვადასხვა დროისა და იმის საილუს-  
 ტრაციოდ, რომ ამ დროისათვის (ხანა — ქრისტიანულია!) ფართოდ გავრცელე-  
 ბული ბერძნული დამწერლობა რაიმე კუთხური და ვიწრო თარიღობრივი ჩარ-  
 ჩობით არ იფარგლება).

წილკნის წარწერა ჰგავს 391—392 წწ. მოზაიურ წარწერას აპამიდან,  
 რომელიც საგულდაგულოდ არის შესრულებული, მაგრამ ისეთივე კუთხოვანი  
 ასოებით, როგორც წილკნის წარწერა<sup>15</sup>. შდრ. A, E, □, III, Y, □, Π, P, M,  
 Φ, B; იშვიათად ა არის მომრგვალებული ფორმის.

ასევე კუთხოვანი ასოებითაა გამოყვანილი წარწერა V ს-ის მოზაიკაზე კილი-  
 კიდან, რაც ნოს კილობანს ასახავს<sup>16</sup>. ეს ასოებია: III, □, □, E, B.

IV-V სს. ძოზაიკა კვიპროსიდან (კურიონიდან) კუთხოვანი ასოებით არის  
 შესრულებული<sup>17</sup> შდრ. ასოები: A, E, □, III, □, Π, Φ.

IV-V სს-ით თარიღდება სარკოფაგი ჩრდილო იტალიიდან, რომლის წარწე-  
 რაზედაც გვხვდება კუთხოვანი ასოები და ქრიზმა<sup>18</sup>; ასოები ასეთია: A, III, □,  
 □, E, ხოლო ქრიზმაში ა მომრგვალებულია, ისევე, როგორც წილკნის წარწე-  
 რაში.

<sup>12</sup> W. Larfeld, Griechische Epigraphik, 1914, გვ. 451

<sup>13</sup> Корпус боспорских надписей, 1965, გვ. 410—411. № 709.

<sup>14</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951, გვ. 264—265.

<sup>15</sup> M. Guarducci, Epigrafia greca, IV, გვ. 220.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 427.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 419—420.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 509.



436—437 წლებით არის დათარიღებული საფლავის ფილის წარწერა ქერჩიდან<sup>19</sup> რომელზედაც წილკნის წარწერის მსგავსი კუთხოვანი ასოები გვხვდება: E, □, Γ, M, Φ, III, B.

II—III სს-დან გვაქვს სხვადასხვა შინაარსის ლაპიდარული წარწერები ხერსონესიდან, სადაც ბევრი ასო ჰგავს წილკნის წარწერისასოებს. მაგ., დაცულია II ს-ის სამშენებლო წარწერის ფრაგმენტი, სადაც გვაქვს: A, E, □ ისეთივე, როგორც წილკანში (ყ— ასეთი ფორმისაა, ე. ი. გადრიგარდმო ხაზია მეტი, K-სტანდარტულია)<sup>20</sup>.

ამავე ტიპისაა ასევე სამშენებლო წარწერა ხერსონესიდან, დათარიღებული IV—V სს-ით. სადაც გვაქვს შემდეგი მოხაზულობის ასოები: A, E, □, III (ყ და K განსხვავებულია)<sup>21</sup>.

II—III ს-ის საფლავის წარწერაში ოლვიიდან გვხვდება ასეთი მოხაზულობის ასოები: A, E, □, III, □, M (მეორენაირი — M), P<sup>22</sup>.

ე. სოლომონიკის წიგნს დართული აქვს პალეოგრაფიული ტაბულა, სადაც ხერსონესის 383—395 წწ-ის ლაპიდარული თარიღიანი წარწერების ასოების მოხაზულობა ჰგავს წილკნის აკლამის წარწერის ასოთა მოხაზულობას, სახელდობრ A, B, Γ, Δ, E, H, M (ეს განსხვავებულია), N, O (განსხვავებულია), Π, P, □, T, Y, Φ (განსხვავებულია), ω და III<sup>23</sup>.

წილკანშივე აღმოჩნდა 1951 წელს ამეთვისტოს გეგმა წარწერით, რაც III—IV სს-ით მაქვს დათარიღებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ წარწერის ასოებს აქვთ მიდრეკილება კუთხოვანეზისაკენ; პარალელურად იხმარება O და □; ω და III; E. არის 2 ლიგატურაც: (-ჲ და -ჲ) (მდრ. თ. ყაუხჩიშვილი, წილკნის გემის წარწერა, იხ. სურ. № 3).

რაც შეეხება იმ ერთადერთ ლიგატურას, რომელიც წარწერაშია დაცული (ეგება სხვაც იყო, მაგრამ ამისი კვალიც კი აღარ არის), ასეთი ლიგატურა ME-ახ. წ. III ს-დან დადასტურებულია ბერძნულ წარწერებში<sup>24</sup>; როგორც ცნობილია, ლიგატურების გაჩიხა ბერძნულ წარწერებში შეიძინევა უკვე ძვ. წ. VI ს-ში<sup>25</sup> და ეს გაჩენა უკავშირდება საწერი მასალის ეკონომიურ ხმარებას. ლიგატურათა რაოდენობა იმატებს აღრიანეს დროინდელ წარწერებში, ხოლო ბიზანტიური ხანის წარწერებსა და მით უმეტეს ხელნაწერებში უკვე საკმაოდ ჰარბად გვხვდება.

ამგვარად, მოხაზულობის მიხედვით წილკნის წარწერის მსგავსი ასოები გვხვდება ძირითადად IV—V სს-ში.

წილკანს წარწერაში ყურადღებას იპყრობს საკუთარი სახელები. I—რაც უეჭველად იკითხება არის Γixz. — ჩემთვის ცნობილ საკუთარ სახელთა ლექსიკონებში ის სახელა ორგერი დაწრილობით (Γixz და Tzixz) გვხვდება

<sup>19</sup> В. Латышев, Сборник греческих надписей христианских времен..., 1896, гв. 88. სხვათაშორის, იმ დროისათვის ეს იყო უძველესი თარიღიანი, ქრისტიანული წარწერა ბოსფორიდან.

<sup>20</sup> Э. Соломоник, Новые эпиграфические памятники Херсонеса, 1973, гв. 106 № 128.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 120—121, № 134.

<sup>22</sup> Надписи Ольвии (1917—1955), 1968, гв. 89, № 102.

<sup>23</sup> Э. Соломоник, Новые эп. пам... 1964, гв. 189.

<sup>24</sup> W. Larfeld, Gr. Epigraphik, 1914, гв. 276.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 275.

მხოლოდ პრაიზიგკეს ცნობილ ეგვიპტის პაპირუსებში მოპოვებულ საკუთარ სახელთა შორის<sup>26</sup> (B II 630 IV, 31 [II/III], Genf. 16,5 (III) (ისიც, როგორც ჩანს, თითოჯერ დამოწმებულია მისი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა  $\text{T}\epsilon\chi\alpha$ . სახელი გავრცელებული არ არის. გაფორმებულია იგი ბერძნულ ყაიდაზე (აჰ— დაბოლოებით).

$\text{T}\epsilon\chi$ —ძირის შემცველი ბერძნული სახელები (გარდა ხსენებული  $\text{T}\epsilon\chi\alpha$ -ის) მაინცდამაინც გავრცელებული არ არის: გვაქვს იეროპაში ამ ძირის გეოგრაფიული სახელობი (მაგ.,  $\text{T}\epsilon\chi\iota\sigma\alpha$  ბევრ ავტორთან დამოწმებული), არის მცირე აზიაში, კაპადოკიაში საკუთარი სახელი,  $\text{T}\epsilon\chi\epsilon\pi\iota\sigma$  (ნათესაობითის ფორმით)<sup>27</sup>. თვით არსებითი სახელებიც  $\text{T}\epsilon\chi$ // $\text{T}\epsilon\chi$ - ძირის გვაქვს, ხოლო  $\text{T}\epsilon\chi$ -ძირის არ გვაქვს (ზმნა  $\text{T}\epsilon\chi\alpha\omega$  „ემოზავ“ რედუპლიკაციურია და  $\text{T}\epsilon\chi\alpha$ —ფორმას გვაგვარადებინებს ამოსავლად).

ამგვარად, ბერძნულად გაფორმებული იშვიათად ხმარებული სახელის,  $\text{T}\epsilon\chi\alpha$ -ის წარმომავლობა ბერძნული მასალის ფონზე მთლად ნათელი არ არის. არც იმაში ვარ დარწმუნებული, ლაზარე ფარპეცის მიერ ნახმარი, პიროზის დროინდელი ქურუმის სახელი,  $\text{A}\phi\phi\chi$  (ათიკ) ამასთან არის მოსატანი, თუ არა.

ვინ არის ტიკასი, წარწერაში განმარტებული არაა. როგორც ჩანს, ის არის მთავარი პირი ამ წარწერისა და მისი პიროვნება იმ დროისათვის კარგად იყო ცნობილი, მას განმარტება არ სჭირდებოდა.

ასივე სრულიად გარკვეულად იკითხება II სტრიქონში  $\text{F}\alpha\rho\alpha\upsilon\sigma\alpha\gamma\epsilon$ . რა- ნაირადაც არ უნდა გავიგოთ ეს სახელი (მამაკაცის სახელი სახელობით ბრუნვაში, ქალის სახელი ნათესაობით ბრუნვაში), იგი თავისი წარმომავლობით ირანულია. მისი ძირია Pharnah, უხვად გამოყენებული თვით სპარსულ ონომასტიკონში (მიდიური წარმოშობის ირანული სიტყვაა, ნიშნავს „დიდებას“, „ბრწყინვალებას“<sup>28</sup> (და ხშირად დამოწმებული სხვადასხვა დროის ბერძნულ ტექსტებში: Pharnos, მიდიელთა მეფე, ქტესიასთან; Pharnuchos — პეროლოტესთან, Pharnutis გეოგრაფიული სახელი ბითინიიდან, მრავალი „ფარნაკები“ — Pharnakes; ფარხავაზი, ფარნუკი, ფარნაჰომი, ფარუხი — ქართულ წყაროებში; Pharnas— მოსე ხორენცლთან. Pharnah-ში მოხდა ბგერათავადასმა (და მივიღეთ  $\text{F}\alpha\rho\alpha\upsilon$ ). ხოლო დაბოლოება ( $\text{S}\alpha\omega$  თუ  $\text{S}\alpha\gamma\epsilon$ ) გრეციზებულია<sup>29</sup>.

თუ სახელი  $\text{F}\alpha\rho\alpha\upsilon\sigma\alpha\gamma\epsilon$  გავიგეთ როგორც მამრობითი სქესის სახელი, მაშინ თითქოს ყველაფერი რიგზეა —  $\text{F}\alpha\rho\alpha\upsilon$  არის ბევრა ვადასმული Pharnah. ხოლო  $\gamma\epsilon$ -დაბოლოება ბერძნული (ამჟამად გრეციზებული ირანული) მამაკაცთა სახელებისთვის ჩვეულებრივი დაბოლოებება სახელობით ბრუნვაში. მრავალი ირანული მამაკაცის საკუთარი სახელის მოყვანა შეიძლება, სადაც ბერძნულად გადმოცემის დროს მათ დოკუმენტურად დადასტურებული  $\gamma\epsilon$ -დაბოლოება აქვთ. ამიტომაც ალბათ, რომ პეროლოტე წერს (I, 139) სპარსელთა სა-

<sup>26</sup> Fr. Preisigke, Namenbuch enthaltend alle...Menschennamen, Heidelberg, 1922.

<sup>27</sup> S. Zgusta, Kleinasiatische Personennamen, Prag, 1964.

<sup>28</sup> შხ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 499 და სხვ.

<sup>29</sup> ირანულ სახელებთან დაკავშირებით, კონსულტაციისათვის მადლობას მოვახსენებ შხია ანდრონიკაშვილსა და თეო ჩხეიძეს.

10. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1982, № 2

კუთარი სახელები, ზოგი უი არა, ყველა ერთსა და იმავე ასოზე მთავრდებიან და ეს ასო არის *ε-ო*. ცხადია, რომ ჰეროდოტემ სპარსული სახელების ბერძნული ტრანსკრიფცია იცოდა და მის ამ დებულებას საფუძველი ეს ჰქონდა.

თუ *Φαραსαίης* არის მდებარე. სქესის სახელის სახელობითი ბრუნვა, დაბოლოება *ης* ცოტა უზერხელობას ქმნის, აქ მოსალოდნელი იყო *ε-ა*—დაბოლოება (ისევე, როგორც ირან. რტაუნ-ბერძნ. *ἸΑρσάνης-ს*; ეს სიტყვა როგორ იბრუნვის ბერძნულად არ ვიცით, არიანესთან „ანაბ“ 7. 4, 6 დადასტურებულია მხოლოდ *acc.*; *ἸΑρσάνης*; *ἸΑμψαρτίς* ჰეროდოტესთან ხშირადია, ეს იბრუნვის *gen*-ში *ἸΑμψαρτίδος* *acc-ი* ორგვარი შეიძლება). ირანულ ქალთა სახელებს დაბოლოებად ჩვეულებრივ *ī* და *ē* აქვთ, რაც ბერძნულში იძლევა: *ε*, *η* (*Ἰάρις* მაგ., დარიოსის ცოლი, ჰერ., III, 88, VII 78), *α* და *η*- დაბოლოებებს.

თუ *Φαραსαίης*; ქალის სახელის ნათ. ბრ-ის ფორმაა, მაშინ სახელობითში ის იქნებოდა *Φαράσιας* (შდრ. *ἸΑτσα*, ირან. *Hutausa gen. ἸΑτσαίης*).

დაბეჯითებით ლაპარაკი სხვა საკუთარ სახელებზე არ შეიძლება. წარწერის IV სტრიქონი, ჩემი აზრით, შეიცავდა იმ პირთა სახელებს, რომლებიც გარდა აკლდამის აღმშენებლებისა, კიდევ იყვნენ ამავე აკლდამაში დასაფლავებულნი. სავარაუდოდ ეს სახელები ასე შესახება:

განსაკუთრებით რთულია პირველი სახელის აღდგენა. მისი ბოლო, როგორც ზემოთ ვთქვე, არის ამკარად *σπας*, ხოლო მის წინ—4 (ან 5) ასო, რომელთაგან მორე არის *α*. დანარჩენთაგან რეალურად გვაქვს 4 სრული გერტიკალური ხაზი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები ინტერვალით დაშორებული. ამ მონაცემების გათვალისწინებით და ჩვენ ხელთ არსებული საკუთარი სახელების ლექსიკონებში დაცული სახელების მიხედვით ვითარება ასეთია:

— *σπας*—დაბოლოვებიანი ბერძნულად ნაწერი საკუთარი სახელი არ შემხვედრია. არის —*σπας*-დაბოლოვებიანი: *Καλιόσπας* (პრაიზიგე...), რაც იგივე არ არის, მაგრამ *σπ-სა* და *σ-ს* მონაცვლეობა შენიშნული მოვლენა<sup>30</sup>; გვაქვს მთელი წყება სახელების, რომელთაც დაბოლოება აქვთ *ან σπ*, *ან σπας* // *σπας*, *σπας*. ეს სახელებია: *Πανσπ*, *Κασασπας*, *Φριπασπας*, *Τατσασπας* // *Τατσασპας* // *Τατσασπας*, *Πατσασპας*, *Παρσπας*, *Πασαχσპας*, *Ταფსπας*, *Ταχსპας*<sup>31</sup>, სახელები მამრობითი სქესისა (ზოგ მათგანში II ელემენტად არის კარგად ცნობილი *ἸΑσπας*, თავისი ფონეტიკური ვარიანტებით)<sup>32</sup>. წარწერებიდან ცნობილია სახელები: *Παππας*, *Πππας*, *Παπας*, *Παπσπ* // *Πάππας*, *Πσππας*, *Πσπας*, *Παπσπας* და სხვ.

ამგვარად, არც ერთი აქამდე ცნობილი სახელი არ ჯდება იმ მონაცემებში, რაც წილკნის წარწერაში გვაქვს. ახლად აღმოჩენილმა ბერძნულმა წარწერებმა ბერძნულ ონომასტიკონს ბევრი ახალი სახელი შესძინა. არის შემთხვევები, როცა რომელიმე სახელი მხოლოდ 1 წარწერის მეშვეობით არის ცნობილი (ორელი, კოვაკი, კარპაკი...), ამდენად, ზომ არ შეიძლება აღვადგინოთ: *Πα-*

<sup>30</sup> *Καλλιόσπης*. *Καλλιόσπας*, *Καλλιόσπης* ვაზრცილებული ბერძნული სახელებია (ბერძნულივე ეტიმოლოგია).

<sup>31</sup> აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სახელი ეგვიპტის პაპირუსებიდან არის. შდრ. Fr. Preisigke, *Namenbuch*...

<sup>32</sup> არის ამ ტიპის მამრობითი სახელები და არის არატიპური, *ἸΑτπας* და *ἸΑτπας* ტიპის დედა. სახელები.

πρωταγ (ან Παρωταγ), Γαβριηαγ (იმის შესაბამისად, α-სა და ο-ს შორის 2 ასოს ვცნობთ თუ 3-ს.)

ირანული სახელები — პას — დაბოლოვებით ცნობილია (პა — „მცველი“, „უფროსი“, „მწყემსი“; ისინი ჩვეულებრივ კომპოზიტურ სახელებში გვაქვს, და კომპოზიტის I ნაწილი -უ- დაბოლოვებიანი უნდა იყოს) მაგ., „დაპიუ-პას“, (აი, მაშინ გვაქვს სახელის ბოლო ნაწილი — უპას) -უ- წინა სიტყვისაა. ამგვარად, როგორც ჩანს, IV სტრიქონში დაცული პირველი სახელი ირანული წყობისა იყო.

მეორე სახელიდან მოღწეულია პირველი სამი ასო Iამ თითქოს უქვევლია. Iამ—დასაწყისიანი სახელები იშვიათია (Iაჲ არ არსებობს, Iაჲ—დასაწყისიანი, ბევრია, მაგრამ მესამე ასოს ამჟარად არა აქვს შუაში ჩატეხილი ხაზი).

ჩემთვის ცნობილ მასალაში ბერძნულად ნაწერი ასეთი სახელი სულ ორიოდი ვნახე: ᾠαῖν-ἱερέης; (ევაგრესთან, აგათიასთან, სვიდასთან); ᾠαῖν-ἱερέας, ᾠαῖν-ἱερέας და ᾠαῖν-ἱερέας (პროკოპი კესარიელთან). გამორიცხული არც ისაა, რომ წილკნის წარწერაში Iამ -დასაწყისიანი სხვა რაიმე სახელი იყოს, მით უმეტეს, რომ ირანულ ონომასტიკონში „ისდ“ პირველი ნაწილის შემცველი სახელი საკმაოდ ბევრია (ამ პირველ ნაწილთან დაკავშირებით შეიძლება გავგახსენდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ -დან კათალიკოსი იზიდბოზიდი (სპარსული ეტიმოლოგიით — „ღვთის დახსნილი“<sup>33</sup>. რამდენად შეესაბამება მას მენანდრე პროტექტორატის ᾠαῖν-ἱερέας, ან „ანთოლოგიის“ ᾠαῖν-ἱερέας, არ ვიცი).

ამგვარად, სახელები, რომლებიც წარწერაში რიალურად არის (Iაჲ, Δαρωσაჲ) და სახელები, რომელთაც სავარაუდოდ აღვადგენ, ბერძნულ-რომაული წარმოშობის არ ჩანს, მაგრამ ამჟარად გაბერძნულებული ფორმით არიან გაღმოკეფული.

ძეგლი თავისი წარწერებითურთ აღრექრისტიანული ხანისაა (დაახლ. IV—V სს-ის). ვფიქრობ, ამ მოსაზრებას ისიც მხარს უჭერს, რომ თვით აკლდამა მიწის ქვეშაა მოთავსებული და არა ზემოთ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სადაც ქრისტიანობა იდევნებოდა, ქრისტიანთა საფლავები მიწისქვეშ კეთდებოდა (მაგ., რომის კატაკომბები), ხოლო სადაც და როდესაც ის არ იდევნებოდა, იქ — მიწის ზემოთ (მაგ., ფრიგიაში), უნდა ვიფიქროთ, რომ წილკნის აკლდამის მიწის ქვეშ გაკეთება, მაშინ როდესაც ქრისტიანობა საქართველოში უკვე ოფიციალურად მიღებული რელიგია იყო, იმ აღრინდელი ტრადიციის გამოძახილია.

აკლდამა საეკლესიო პირთა, ქრისტიან ღვთისმსახურთა განსასვენებელი იყო. იგი აიგეს ტიკასმა და ფარანუსესმა თავისთვის; თავდაპირველად ის 4 კაცისთვის ივარაუდებოდა. როგორც ჩანს, მათ მერე კიდევ რამდენიმე კაცი დაკრძალეს (არც თუ დიდი ინტერვალის დაშორებით). წარწერა, რომელიც თავიდან გაკეთებული იყო წითელი საღებავით (I—II სტრიქონი, შემდეგ საკმაო თავისუფალი მანძილი, ქვემოთ 3 ქრიზმა), შემდეგ იესებოდა შავი საღებავით.

<sup>33</sup> მწ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 473.



Т. С. КАУХЧИШВИЛИ

## ГРЕЧЕСКАЯ НАДПИСЬ ЦИЛКАНСКОГО СКЛЕПА

### Резюме

На западной стене открытого в сел. Цилкани в 1979 г. склепа, обнаружена сильно поврежденная греческая фресковая надпись с четырьмя хризмами, выполненная красной и черной красками.

В восстановленном виде надпись читается:

ἐγὼ Τιχῆς καὶ ἡσὺ [χρᾶτης ἀββ] / ἰ μου  
 Φαρανῦσης ἐποίησαμεν / βωμὸν τοῦτον  
 ἰσόδομον ἑαυτοῖς / Παπριουπας Ἰσιδῆρδης  
 πρὸς δὲ καὶ ἐνθάδε κεῖνται.]

В переводе надпись гласит: «Я Тикас, и монах, мой настоятель Фаранусес, построили сей склеп из тесаных камней. Паприупас, Исидигердес также здесь покоятся».

По содержанию, строению текста, палеографическим данным цилканская надпись датируется раннехристианским временем (IV—V вв.).

В. И. СИЛОГАВА

## НОВЫЕ МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИНО-БОЛГАРСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

Автору этих строк во время научной командировки в Болгарскую Народную Республику (X—XI.1978 г.), которая была связана с открытием болгарскими исследователями древнегрузинских надписей, удалось выявить некоторые, ранее неизвестные факты и материалы, относящиеся к истории Петрицкого (Бачковского) монастыря. Вместе с открытием болгарскими археологами в окрестностях болгарского города Провадия древнегрузинских надписей это послужило поводом для настоящего сообщения.

### ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ НАСКАЛЬНЫЕ НАДПИСИ В ОКРЕСТНОСТЯХ г. ПРОВАДИЯ

В феврале 1977 года в юго-восточной Болгарии, в Варненском округе, в окрестностях г. Провадия местными краеведами-любителями под руководством директора Провадийского городского музея Николая Панайотова были обнаружены грузинские надписи на стене скальной пещеры<sup>1</sup>.

Город Провадия размещается в ущелье между двумя отвесными скалами, которые окружают его с восточной и с западной сторон. Над плоскогорьем, находящем с востока, размещено средневековое городище Овеч. На западных отвесных скалах находятся три довольно большие пещеры, которые в настоящее время сильно разрушены, видимо, землетрясением<sup>2</sup> (рис. 1). В одной из них, которая побольше

<sup>1</sup> Об этой находке в местной печати были помещены предварительные сообщения: Н. Панайотов. Уникални скални надписи, газ. «Народно дело», от 23.IV.1977; он же, Скалните надписи от «Северната пещера», газ. «Провадийски глас», от 4.VII.1977; А. Маргос, За «загадъчния» надпис при град Провадия, газ. «Народно дело», от 14.VII.1977. Следует заметить, что о существовании каких-то надписей в провадийских пещерах упоминал еще Н. Ганев (см. Провадия в своего минало и настояще, София, 1929, с. 122). О провадийских пещерах, но без указания о существовании в них надписей, писал Конс. Иречек, путешествовавший здесь в 1883—1884 гг. (см. его, Пътувания по България, София, 1974, с. 920).

Предварительная публикация неполных текстов этих надписей без указания места их находки, по фрагментарным фотоснимкам, высланным Н. Панайотовым, была предпринята и в Грузии (см. А. Шанидзе, Новооткрытые надписи в Болгарии, «Маце (Вестник)», серия языка и литературы, № 3, 1978, с. 93—94). Здесь и в болгарском варианте настоящей статьи (см. примечание 32) провадийские надписи-граффити датированы XIV веком.

<sup>2</sup> Пещеры в настоящее время находятся на высоте 16 м от уровня дороги. Забраться в них можно лишь с применением альпинистических снаряжений; большую

других и находится севернее, были обнаружены вышеназванные грузинские надписи. Размеры этой полуразрушенной пещеры: 350×210 см; высота 260 см. Часть ее северной стены, направо от входа, площадью размером 108×78 см специально вымощена и в ней вырезаны две неглубокие ниши среднего размера (рис. 2). Ниши находятся рядом друг с другом; размер левой ниши: 37—38×31×17 см, правой — 29×41×34 см. Левая ниша прямоугольной формы, а правая сверху закруглена. Видимо, в свое время они предназначались для вставления в них икон. Надписи вырезаны на верхней части левой ниши; кроме них, на этой же части стены вокруг этих ниш, имеются разные графические стилизованные изображения. Все это на стене пещеры размещено на высоте 145 см над уровнем пола.

Надписи, являющиеся в сущности граффитами, выполнены древнегрузинским письмом асомтаврули (заглавное) со смещением букв письма нусхури (строчное)<sup>3</sup> (рис. 3).

Первые две надписи, каждая из них в одну строчку, процарапаны глубокой резьбой над нишей. Они помещены в четырехугольную рамку удлиненной формы (размер рамки: 30×5 см). В верхней части рамки изображены двенадцать кружков, размещенные в полукруг, каждый посередине с точкой, а сверху с крестом. Это изображение, как поясняется в надписи № 2, символизирует апостолов. Кружки разного диаметра — от 2 до 3,5 см; размер крестов: 4,5—5×2,5 см; высота букв: 0,6—1—1,8 см. Тексты надписей таковы (рис. 4):

Надпись № 1:

ႢႧႧ ႧႣ ႠႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧ

Ⴂ Ⴀ(ႧႧႧ)Ⴇ Ⴀ(ႧႧ)Ⴇ Ⴀ(ႧႧႧ)Ⴇ, Ⴇ(ႧႧႧ)Ⴇ Ⴇ(ႧႧ)Ⴇ(Ⴇ), Ⴇ(ႧႧ)Ⴇ(Ⴇ)Ⴇ(Ⴇ)Ⴇ Ⴇ(ႧႧ)Ⴇ, Ⴇ(ႧႧ)Ⴇ.

„Ⴂ Господи Иисусе, Христе, Боже наше, помилуй нас, амин!“

Надпись № 2:

ႧႧႧ ႠႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧႧ

ႧႧ Ⴀ(Ⴇ)Ⴇ(Ⴇ)Ⴇ Ⴇ(Ⴇ)Ⴇ(Ⴇ)Ⴇ(Ⴇ)Ⴇ Ⴇ(Ⴇ)Ⴇ(Ⴇ)Ⴇ.

„Это святые апостолы“.

Налево от описанного изображения, на площади размером 9×8,5 см, вырезана третья надпись в 5 строк. Продолжение (вернее, конец) ее текста — одно слово — процарапано на правой стороне описанного изображения и полностью текст читается так (рис. 6, 7).

помощь в этом оказали мне ребята из «Клуба 1300»: Святослав Тодоров, Николай Бакарджиев, Севкан Ахмедов (фотографировавший надписи) и Красен Панов, которым выражаю сердечную благодарность. Особенно хочу поблагодарить Николая Панайотова — директора Провадийского городского музея, создавшего все условия для моей работы над этими надписями.

<sup>3</sup> Так, например, письмом нусхури переданы буквы Ⴇ (а), Ⴇ (л) и Ⴇ (и) во всех случаях, когда они встречаются в этих надписях. Некоторая угловатость письма и распределение корпуса букв в четырехлинейной сетке, видимо, вызвана своеобразием материала, на котором эти надписи процарапаны; но они процарапаны глубокой резьбой, так что все буквы читаются очень четко и ясно.





Надпись № 3:

ჰაქ

ჰელაძე

ქონისაჲ

რისცაჲჲ

სეთ

ქორი

სი

მიქ(ა)ელ, მე, ცოდვილი ლოცვათა მომხმე(ნე)თ, მქ(არ)თველი.

«Микаэла, меня грешного, в молитве помяните, грузина».

Следующая надпись находится в верхней части изображения креста; она процарапана на передней стенке перегородки между нишами и передает имя святого Георгия:

Надпись № 4:

წა უკა

წ(მიდა)ე გ(ორ)გა

«Святой Георгий».

Все четыре надписи выполнены одной рукой и по палеографическим признакам датируются XI веком. Процарапавший надписи, крест и символические изображения апостолов Микаэл, назвавший себя грузином, по другим источникам нам незнаком. Судить конкретно о причинах появления грузин и грузинских письменных памятников в этих местах, в настоящее время из-за отсутствия других, дополнительных сведений, нет возможности.

Текст надписи № 1 является началом так называемой «Иисусовой молитвы». Интересно, что этот текст в такой же форме засвидетельствован в памятнике грузинской литературы середины X века (написан в 951 году) — «Житие Григория Хандзтийского»: «Тогда с радостью приготовил он [старец отшельник Хуедиос] по обычаю стол, который имелся в его великой бедности, и они [Хуедиос и Григорий Хандзтийский] благословили его и стали есть, произнося все время назидательные для души слова: «Господи Иисусе Христе, Боже наше, помилуй нас»<sup>4</sup>.

Следует также сказать о графических изображениях, помещенных на правой и левой сторонах ниш. На правой стороне представлено весьма стилизованное изображение человека в фас, как будто восседающего на троне, и таким образом можно было предположить, что здесь имеем изображение Спаса на троне. Но более конкретной и уверенной идентификации этого изображения мешают его слишком стилизованный характер и царапины, нанесенные на него. Зато изображения на левой стороне ниши более четкие и читаются сравнительно уверенно. Здесь представлено изображение в профиль, во весь рост 5 лошадей, шествующих или же скачущих в направлении справа на-

<sup>4</sup> Георгий Мерчуд, Житие св. Григория Хандзтийского. Введение, издание, перевод Н. Я. Марра. «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. VII, СПб., 1911, с. 89.



Рис. 1






Рис. 2



Րիս. 4



Րիս. 5





Рис. 7



Рис. 6





Рис. 8




Рис. 9




Рис. 10



лево. На одной из них как будто различается всадник. Несмотря на большую заманчивость идентифицировать это изображение со св. Георгием, приходится воздержаться от этого из-за чрезмерной стилизованности и схематичности изображения.

Выше изображения лошадей, на стене пещеры процарапаны около 20 маленьких вертикальных линий. Такие черточки, как магические знаки, обычно наносятся молящимися на стенах церквей, или же на предметах в знак заклинаний<sup>5</sup>.

Вполне возможно, что лицо, судя по всему, Микаэл, вырезавший эти надписи и изображения, является выходцем из грузинских обителей Афона, Петрикона, или какого-нибудь другого культурно-просветительного грузинского зарубежного центра на Ближнем Востоке, но в связи с этим сказать что-нибудь конкретно нет возможности из-за недостаточности материала.

#### ОБ ОДНОЙ ГРУЗИНСКОЙ ФРЕСКОВОЙ НАДПИСИ ИЗ КОСТНИЦЫ БАЧКОВСКОГО МОНАСТЫРЯ

Грузинская эпиграфика Бачковского (бывшего Петриконского) монастыря в последнее время пополнилась еще одной интересной фресковой надписью XIV века, которая была открыта и в 1975 году опубликована Э. Бакаловой и Р. Сирадзе<sup>6</sup>. Так что к настоящему времени с Бачковским монастырем связаны 4 древнегрузинские надписи, выполненные заглавным письмом асомтаврули (или же мргловани): 1) ктиторская надпись братьев Афанасия и Окропира Эгнатисшвили на серебряном окладе иконы Богородицы; 2) надпись на кресте, воздвигнутом над куполом главного храма (католикона) монастыря; 3) пояснительная надпись на фресковом изображении св. Георгия Кашуетского на северной стене западного притвора костницы и 4) фрагментарная фресковая надпись около изображения св. Иоанна Богослова на северной стене западного притвора костницы. Из них первая надпись датируется 1311 годом<sup>7</sup>. Остальные по палеографическим признакам датируются XIV веком — две последние выполнены не раньше 1344 года и, возможно, между 1344—1363 годами, так как

<sup>5</sup> См. сборник «Сванети, I», Тбилиси, 1977, рис. 22—23.

<sup>6</sup> Е. Бакалова, Р. Сирадзе, Новооткрыт старогрузински надпис в Бачковската костница, «Музеи и паметници на културата», № 3, 1975, с. 7—10.

<sup>7</sup> Публикацию текста надписи и библиографию о нем см.: А. Шанидзе, Грузинский монастырь в Болгарии и его типик. Грузинская редакция типика. «Памятники древнегрузинского языка», 13, Тбилиси, 1971, с. 355—362 (на груз. и рус. яз.). Копия (с погрешностями) этой пространной надписи, снятая неизвестным лицом на картонной бумаге, хранится в Софии, в Народной библиотеке Кирилла и Мефодия (шифр: Georg. 1). Она приклеена на последней странице единственной грузинской рукописи, хранящейся в этой библиотеке. Сама рукопись является поздней (XVIII в.) копией грузинского типика Бачковского монастыря. Фото одной части копии надписи, болгарский перевод всего текста и описание названной рукописи см.: Опис на гръцките и други чуждаевични ръкописи в Народна библиотека «Кирил и Мефодий». Състави Маньо Стоянов, София, 1973, с. 188, рис. 24.



роспись западного притвора церкви-костницы, поверх которой эти надписи нанесены, связана с эпохой болгарского царя Ивана Александра<sup>8</sup>. Все эти надписи в настоящее время находятся на месте, за исключением одной — третьей. Эта надпись, которую открыл и скопировал Д. Ласков в 1896 году и опубликовал в 1915 году<sup>9</sup>, по его же сообщению, не существует, по крайней мере, с 1912 года<sup>10</sup>. Д. Ласков свое сообщение об этой надписи закончил словами: «Азь допускаем дори, че ако по-внимателно се проучи църквата-гробница, въ нея може би ще открият и други остатъци от фрески съ грузински надписи отъ XI векъ»<sup>11</sup>.

И действительно, слова Д. Ласкова, оказались пророческими — в церкви-костнице Бачковского монастыря (рис. 5), как было выше сказано, Э. Бакаловой и Р. Сирадзе была открыта еще одна грузинская надпись, правда не XI, но XIV века.

Надпись, выполненная белой краской (темперой) на темно-синем (зеленоватом) фоне, находится на северной стене западного притвора церкви-костницы. Здесь, в нише восточной полуарки, сохранилось фресковое изображение Иоанна Богослова, повернутого влево и обращенного в молебной позе к деснице Вседержителя, изображение которого помещено на правом углу полуарки<sup>12</sup>. Сохранилось лишь погрудное изображение Иоанна, так как нижняя часть росписи вместе со штукатуркой в настоящее время осыпана и окончательно погублена.

Фрагмент грузинской надписи сохранился перед изображением Иоанна Богослова, вдоль края осыпи штукатурки, на уровне верхнего угла кодекса, который держит Иоанн. Нижние части первых шести букв срезаны, так что край осыпи штукатурки по надписи проходит чуть косо — начальные буквы срезаны больше, чем последующие, а четыре последние буквы сохранились почти полностью<sup>13</sup>, так что налицо десять букв надписи и они читаются так (рис. 8):

<sup>8</sup> Е. Бакалова, Р. Сирадзе, указ. работа, с. 8, 10; Е. Бакалова, Бачковската костница, София, 1977, с. 158, 170, 175. Третью надпись А. Шанидзе датирует XIII—XIV веком (А. Шанидзе, указ. работа, с. 365).

<sup>9</sup> Д. Ласков, Грузински надпис от Бачковския манастир, «Известия на Българското археологическо дружество», IV (1914), София, 1915, с. 268—270.

<sup>10</sup> Последнюю публикацию надписи с подробной библиографией см.: А. Шанидзе, указ. работа, с. 364—368.

<sup>11</sup> Д. Ласков, указ. работа, с. 270.

<sup>12</sup> Цветную фотографию изображения см.: Е. Бакалова, указ. работа, с. 171, рис. 134.

<sup>13</sup> Контуры надписи можно различить на фотоснимке, опубликованном Е. Бакаловой, см.: Е. Бакалова, указ. работа, рис. 134. Белая краска, которой нанесена надпись, в настоящее время сильно выцвела, и надпись можно заметить только лишь при внимательном и пристальном осмотрении этого места. Сохранившаяся часть надписи занимает площадь 32×7 см; высота букв — 6 см. В конце строчки, видимо, были еще 2—3 буквы (места до края арки достаточно для этого; кроме того, тут еле заметны незначительные остатки каких-то букв, выполненных белой краской, и, несомненно, являвшихся частью предыдущего текста), но это место штукатурки изрезано каким-то острием и различить эти буквы в настоящее время невозможно.





რ-ა ႁ-ႁႁ-ႁႁ-ႁႁ [...] , т. е. после раскрытия титу: წ(მილა)ო  
 ი(ოჰან)ე მ(ა)ხ(ა)რ(ე)ბ(ე)ლო, [შ(ეიწყა)ლ]ე...] а в переводе:  
 „Святой Иоанн Евангелист, [помилуй...]“<sup>14</sup>.

В публикации Э. Бакаловой и Р. Сирадзе, видимо, под влиянием пояснительной греческой надписи изображения Иоанна Богослова, в которой читаем Ὁ Ἅγιος Ἰωάννης Ἐβανγελιστῆς т. е. «Святой Иоанн Богослов», грузинская надпись читается так: წმილა იოანე ღმრთისმეტყველი т. е. «Святой Иоанн Богослов». К сожалению, такое неточное чтение текста надписи дает возможность авторам предполагать, что надпись «в сущности предва на грузински език името на изобраzenia на фреската светец»<sup>15</sup>. А чуть ниже уже с большей определенностью сказано, что «Новооткрытиет грузински надпис повтара (т. е. превежда) на грузински език грькиа надпис, съпровождат изображението на Иоан Богослов»<sup>16</sup>.

В самом деле, сохранившиеся слова грузинской надписи являются только лишь частью текста (его первой строкой) более пространного, который был помещен перед изображением Иоанна и который к настоящему времени, к сожалению окончательно и безвозвратно погублен.

Дело не в том, что по чтению, предложенному Э. Бакаловой и Р. Сирадзе, Иоанн назван Богословом (ღმრთისმეტყველი) вместо Евангелиста (მახარებელი), что в сущности, как известно, одно и то же, а в том, что в надписи слова стоят не в именительном падеже, а в звательном (в форме обращения к кому-нибудь) и текст надписи является началом обращения кого-то к изображенному здесь святому Иоанну Евангелисту. Таким образом, здесь мы имеем непояснительную надпись фрески, и перевод имеющейся там же пояснительной греческой надписи, а начало текста, который содержал какое-то историческое сведение, самое малое — имя какого-то лица, возможно, ктитора, или донатора, причастного к росписи.

<sup>14</sup> Или же: «Святой Иоанн Евангелист, [будь заступником...]». Поверхность фрески и то место, где находится грузинская надпись, испещрены многочисленными граффитами, которые выполнены большей частью кириллицей, а два или три — армянскими буквами. В связи с этим следует заметить, что армянскими граффитами XVII—XIX вв., которые сделаны пришедшими переселенцами, испещрены почти все фрески церкви-костницы Бачковского монастыря. Особенно много их на фресках алсиды и притвора — на высоте, где только достигала вытянутая рука человека. Они не только портят впечатление от этой великолепной живописи, но и обезобразивают ее. Шесть армянских граффит церкви-гробницы Бачковского монастыря вместе с подобными же граффитами из других болгарских церквей, изданы Ара Маргосом (см.: Ара Маргос, Арменски надписи в Български средновековни църкви, «Музеи и паметници на културата», № 2, 1968, с. 9—12).

<sup>15</sup> Е. Бакалова, Р. Сирадзе, указ. работа, с. 7. То же самое повторено и в названной монографии Э. Бакаловой «Бачковската костница»; см. с. 170.

<sup>16</sup> Е. Бакалова и Р. Сирадзе, указ. работа, с. 8. К сожалению, такое ошибочное прочтение фрагмента этой надписи нашло отражение в специальной литературе: Н. Ломоури, К истории грузинского Петрицонского монастыря, Тб., 1981, с. 12—13.



К сожалению, мы лишены возможности судить о том, что было указано в надписи перед изображением Иоанна Евангелиста, но что эта надпись была исторического содержания, может быть, с ктиторским или же с донаторским текстом, а не являлась просто пояснительной надписью изображенного здесь святого — сомнению не подлежит.

В последнее время Э. Бокаловой, которая специально занималась росписью церкви-костницы Бачковского монастыря, опубликованы основополагающие исследования по этому вопросу<sup>17</sup>. Эти исследования как бы подвели итог многолетнему изучению разными исследователями росписи Бачковской костницы, и на их основе мы можем заключить, что в костнице имеются две росписи — самой церкви XII века (II четверти XII века) и ее притвора — XIV века (эпохи болгарского царя Ивана Александра, 1344—1363 гг.). После опубликования Ив. Гошевым греческой надписи художника Иоанна Иверопулоса (т. е. *грузина*) из Бачковской костницы<sup>18</sup>, стало очевидно, что роспись XII века была выполнена под руководством художника-грузина, который, как предполагается, был и главным художником всей росписи<sup>19</sup>. Две грузинские надписи, сопровождающие роспись притвора XIV века — одна пояснительная<sup>20</sup> и вторая, находящаяся около изображения Иоанна Евангелиста, дают основание предполагать, что и к росписи XIV века грузины были причастны в какой-то мере.

#### ГРУЗИНСКИЕ ПРИПИСКИ ДВУХ ГРЕЧЕСКИХ РУКОПИСЕЙ БАЧКОВСКОГО МОНАСТЫРЯ

Из замечательного и обширного собрания грузинских рукописных книг, пожертвованных Григорием Бакурианис-дзе основанному им Бачковскому монастырю, до нас ничего не дошло<sup>21</sup>. Во всяком случае, в настоящее время не известно о существовании хотя бы одной рукописи из этой коллекции в каком-нибудь древнехранилище.

Известно, что в Бачковском монастыре велась работа и по переписке книг; одна из таких рукописей в настоящее время хранится в

<sup>17</sup> Е. Бакалова, Стенная роспись в церкви-гробнице Бачковского монастыря, София, 1967; ее же, Фрески церкви-костницы Бачковского монастыря и византийская живопись XII века. Сб. статей в честь В. Н. Лазарева «Византия. Южные славяне и Древняя Русь. Западная Европа». М., 1973, с. 216—234; ее же, Бачковската костница, София, 1967.

<sup>18</sup> Ив. Гошев, Нови данни за историята и археологията на Бачковския манастир. «Годишник Софийската Университета». Богословски факултет, т. VIII, 1930—31, с. 341—390. Новую публикацию надписи см.: Е. Бакалова, Бачковската костница, с. 128, рис. 103, 104, с. 133.

<sup>19</sup> Е. Бакалова, указ. работа, с. 133, 218 и др.

<sup>20</sup> См выше — третья надпись настоящей заметки.

<sup>21</sup> Пожертвованные Григорием Бакурианис-дзе рукописи им перечислены в отдельной, специальной главе (34) Типика: А. Шанидзе, указ. работа, с. 119—120, 321—322.

Институте рукописей им. К. С. Кекелидзе Академии наук Грузинской ССР<sup>22</sup>.

Из бачковских собраний грузинских рукописей последующего времени (т. е. после Григория Бакурианис-дзе) до нас дошли лишь две рукописи и обе являются копиями грузинской редакции Бакуриановского типика; одна — конца XIII—XIV в. — хранится на о. Хиосе, в Корайской библиотеке, а другая — конца XVIII—XIX в. — находится в Софии, в Народной библиотеке им. Кирилла и Мефодия. Обе хорошо известны и изучены в специальной научной литературе, тексты обеих изданы на грузинском, русском и латинском языках<sup>23</sup>.

Известно, что Григорий Бакурианис-дзе Бачковскому монастырю пожертвовал как грузинские, так и греческие рукописи<sup>24</sup>. В настоящее время часть греческих рукописей этого монастыря хранится в Пловдиве в библиотеке им. Ивана Вазова, в Софии в библиотеке им. Кирилла и Мефодия и в Церковном историко-археологическом музее при св. Синоде<sup>25</sup>. Подавляющее большинство этих рукописей позднего времени, но несколько роскошных рукописей XI века без сомнений можно отнести к первоначальной коллекции и связать их с именем Григория Бакурианис-дзе<sup>26</sup>.

В поиске грузинских следов (записей, приписок...) мы просмотрели все греческие рукописи, связанные с Бачковским монастырем,

<sup>22</sup> Шифр: Н-1760; см. Описание грузинских рукописей Государственного музея Грузии. Коллекция Н, т. IV. Составила и подготовила к печати Е. П. Метревели, Тб., 1950, с. 189—195 (на груз. яз.). Рукопись XV века, состоит из 365 листов, написана на бумаге и содержит «Праздничные чтения». (У Э. Бакаловой рукопись названа сборником проповедей — хомилиарием: Бачковскат костница, с. 170); переписана двумя писцами и обоих звали Григолом; заказчик рукописи некий Махарабели Окрокмайдзе. В колофоне указано, что «эти святые праздничные чтения были написаны в Петрицоне, в монастыре святой Богородицы...» (225 г.). Уже в XVI, или в XVII веке она попала в Сванети, как явствует из одной записи этого времени на листах 72г—74г. Может быть, в свое время ее из Петрицона в Грузию привез сам заказчик Махарабели Окрокмайдзе, так как в колофоне говорится, что рукопись «написана... на средства Махарабели Окрокмайдзе для ношения с собой, сколько <он этого> видно...». В 1870 году рукопись находилась в с. Ушгули (Верхняя Сванетия), как видно из двух записей на лл. 220 v и 294 v.

<sup>23</sup> Подробно об открытии и изучении этих рукописей см.: А. Шанидзе, указ. работа, с. 40—57, 247—255.

<sup>24</sup> Напр., Григорий Бакурианис-дзе, перечисляя в Типике пожертвованные им монастырю рукописи, указывает: «Евангелие греческое, одно, украшенное золотом и финифтью, на котором сидят весьма дорогие камни» (А. Шанидзе, указ. работа, с. 321 (№ 21)).

<sup>25</sup> Из них самая обширная коллекция Музея при Синоде — их 102; см.: №№ 803—905.

<sup>26</sup> В первую очередь это относится к рукописям синодального собрания: № 803 — Гомилый Василия Великого; № 814 — Поучения церковных отцов, №№ 804, 807, 806 — Синаксарий и др. Насколько нам известно, печатного (или же рукописного) описания греческих рукописей Церковного историко-археологического музея при св. Синоде, к сожалению, не существует. При ознакомлении с этими рукописями мы пользовались каталогом и руководствовались любезными консультациями проф. Христо Кодова из Софийской Духовной Академии, за что приносим ему глубокую благодарность.

а в настоящее время хранящиеся в вышеуказанных местах<sup>27</sup>. Грузинские записи были выявлены только лишь на двух рукописях синодального собрания — № 812 и № 814.

Рукопись № 814 содержит 274 л.; писана на бомбичине; письмо — строчное; размер: 26,5×17,5 см; размер текста: 19,5×13 см; является стихирарием; текст невмирован, т. е. сопровождается нотными знаками<sup>28</sup>. По мнению проф. Христо Кодова, рукопись по палеогеографическим признакам относится к XIV веку.

Грузинская приписка, сделанная т. н. гражданским письмом мхедрули, помещена на нижнем крае страницы 2 г и занимает площадь размером 9×2,5 см; высота букв: 0,5—1—1,5 см; выполнена черными чернилами; состоит из двух слов, которые разделены двоеточием; такое же двоеточие стоит в конце приписки; чернила местами выцвели; первая буква частично стерлась из-за протирания края листа. По палеографическим признакам приписка датируется XIV—XV вв. и текст читается так (рис. 9):

[მ]უნსტრისა სტიქარუნი т. е. „Монастырский стихирарий“.

Настоящая приписка библиографического порядка, видимо, сделана рукою библиотекаря монастыря и указывает, что рукопись является монастырским стихирарием.

Рукопись № 812 содержит 255 л.; написана на пергаменте; письмо — строчное; размер 23,5×17,5 см; размер текста: 17,5×13,5 см; 1—105 лл. переписаны одним, а лл. 106—255 — другим переписчиком; текст — стихирарий и невмирован предкукузельской системой нотных знаков, но не ранее XII века (Хр. Кодов); по палеографическим признакам датируется началом XIII века (Хр. Кодов).

На с. 158 г, на нижнем крае помещены две грузинские приписки: первая — гражданским письмом мхедрули, а другая — церковным строчным, нухури; первая занимает площадь размером: 7,5×1 см, а вторая: 4×7 см. Приписки сделаны в один ряд, черными чернилами, видимо, одним и тем же лицом. По палеографическим признакам датируются XVII—XVIII вв. Конечные слова приписок, где было указано имя, специально выскоблены (рис. 10). Текст первой приписки:

ესე წიგნი ჩემი არაა სარმტ[...], т. е.: „Эта книга моя...“.

ღმერთო, შეიწყალე ვე[...], т. е. „Боже, помилуй Ев[...]“<sup>29</sup>.

Эти приписки особо важных сведений не содержат, но ценны тем,

<sup>27</sup> Частично такую работу провели в 1968 году члены грузинской научной экспедиции в Болгарии проф. С. Г. Каухчишвили и А. В. Урушадзе (см. А. В. Урушадзе, Очаг грузинской культуры в Болгарии, Тб., 1969, с. 70—71, на груз. яз.), но, к сожалению, безрезультатно. В связи с тем, что у них время было ограничено, они осмотрели лишь часть рукописей. В названной книге А. В. Урушадзе даже перечислены номера тех рукописей, которые следовало бы в этом отношении изучить в первую очередь, но на них грузинских приписок не оказалось.

<sup>28</sup> Эти нотные знаки, по мнению Христо Кодова, предкукузельской системы, но не ранее XII века.

<sup>29</sup> Вслед за нашей публикацией, но независимо от нее, издан неправильно прочитанный („ესე წიგნი სინოდის...“, «Эта книга синода...») и датированный («XVI—XVII вв.») текст грузинской приписки синодальной рукописи № 812: М. В. Библиков, О греческих рукописях Бачковского монастыря в собраниях Софии и Пловдива, ВВр. т. 41, 1981, с. 256; см. также: Н. Ломоури, указ. работа, с. 67, прим. 169.



что указывают на пребывании грузин в Бачковском монастыре на рубеже XVII—XVIII вв., о чем раньше сведений не имели.

Таким образом, сопоставив по векам все те сведения, которыми мы располагаем в настоящее время о пребывании грузин в Бачковском монастыре, получается следующая картина:

XI в.— Основание монастыря в 1083 году Григорием Бакурианисдзе.

XII в.— Роспись церкви-костницы монастыря под руководством и при участии художника Иоанна Иверслудоса — грузина.

— Николай, игумен Петрицонского монастыря, делает пожертвование Иверскому монастырю на Афоне, за что братья и игумен Иоанн определили ему синодик 6(19) декабря, день поминовения св. Николая Чудотворца<sup>30</sup>.

XIII в.— Изготовление копии грузинской редакции типика.

XIV в.— Изготовление чеканного оклада соборной иконы Богородицы в 1311 году по заказу и на средства братьев Эгнатисшвили.

— Роспись западного притвора церкви-костницы: некоторые фресковые изображения с грузинскими надписями.

XV в.— Грузинская приписка на греческой рукописи № 814.

— По заказу *Махаребели Окрокмайсдзе* двумя грузинами-переписчиками — *Григолом* и *Григолом*, в скриптории монастыря переписывается обширная рукопись «Праздничные чтения» (H-1760).

XVII в.— Две грузинские приписки на греческой рукописи № 812.

XVIII в.— Прибытие, видимо, с паломнической целью, ахалцихского священника Иоанна Маркозашвили в монастырь и приписка, сделанная им в 1702 году<sup>31</sup>.

Из приведенных фактов следует заключить, что грузины в Бачковском монастыре пребывали с XI по XVIII в. почти непрерывно. С конца XIV века монастырь был захвачен греческими монахами и с этого времени следы пребывания там грузин носят спорадический характер. Несмотря на это, этот монастырь на протяжении столетий как важный культурно-просветительный центр средневековья, сыграл большую роль в истории культуры как грузинского, так и болгарского народов<sup>32</sup>.

Представлена Институтом рукописей им. К. С. Кекелидзе АН ГССР

<sup>30</sup> Рукопись Афонского Иверского монастыря 1074 года с синодиком, Тбилиси, 1901, с. 253 (на груз. яз.). Этот Николай является единственным грузинским игуменом среди известных Петрицонских настоятелей, если не считать первого игумена монастыря — Григола Ванели, которого настоятелем определил сам Григорий Бакурианисдзе (см. Типик монастыря — А. Шанидзе, указ. работа, с. 318—319). Синодик Николаю Петрицонскому определил предводитель Иверского монастыря Иоанн (1162—1170 гг.).

<sup>31</sup> А. Шанидзе, указ. работа, с. 48.

<sup>32</sup> Настоящая статья с небольшими сокращениями была опубликована на болгарском языке в журнале Болгарской Академии наук «Археология» (№ 2, 1980).



გზაჲ ურანაშვილი

**ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან, ტბ., 1980**

ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, XIX ს-ის ქართველი ინტელიგენციის საკითხი არაა მონოგრაფიულად შესწავლილი. ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს პროფ. ა. სურგულაძის ნაშრომი „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“.

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ ჩვენ გვაქვს მთელი რივი შენიშვნებისა. დავიწყებთ თავიდან.

ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში, როგორც ცნობილია, ტრადიციად არის დამკვიდრებული ნაშრომის დასაწყისში ისტორიოგრაფიული ნარკვევის წამყვანობა, სადაც მიმოიხილება ხოლმე საკითხის კვლევაში წინამორბედთა ნააზრევები, მიღწევა-ნაკლოვანებანი, წარმოჩინდება ხოლმე ის გზა, რომლის გავლითაც ხდება ახალი ნაშრომის შექმნა. ა. სურგულაძის სარეცენზიო წიგნში, სამწუხაროდ, ამას ვერ ვხვდებით. ეს ალბათ იმიტომაც მოხდა, რომ აღნიშნული ნაშრომი ძირითადად XIX ს-ის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას<sup>1</sup> შეეხება; საკუთრივ ამ ხანის ქართველი ინტელიგენციის ისტორიის მთელ რივ ასპექტებზე მასში ძალზე ცოტაა ნათქვამი.

XIX ს-ის ქართული ინტელიგენციის ისტორიის შესწავლისას მკვლევარს საქმე აქვს უამრავ დოკუმენტურ მასალასთან (სწორედ ძირითადად ამის საფუძველზე შექმნა თავისი მშვენიერი ნაშრომი მ. ბერძნიშვილიმ)<sup>2</sup>. მაგრამ ჩვენი ისტორიის სხვა პერიოდების მკვლევართათვის საშურველი ეს გარემოება ა. სურგულაძეს არ გამოუყენებია. მკითხველი ამაოდ დამწერება იმის ძებნაში თუ რა საარქივო მასალა გამოიყენა ავტორმა XIX ს-ის საქართველოს ისტორიის აღნიშნული საკითხის რეკონსტრუქციისას. მხოლოდ ერთგან, წიგნის 179-ე გვერდის სქოლიოში, ვხვდებით მითითებას ამაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაშრომში კონკრეტულად არსად არ არის ნაჩვენები სახელდობრ რა საარქივო მასალაა გამოყენებული და როგორი დასკვნებია მისგან გაკეთებული.

სარეცენზიო წიგნში ა. სურგულაძე თითქმის ყოველთვის ლაპარაკობს დემოკრატიულ ინტელიგენციაზე. ძალზე იშვიათად და ძუნწად მოგვითხრობს იგი ქართველი ინტელიგენციის დანარჩენ ნაწილზე, ასე ვთქვათ „არადემოკრატიულ“ ინტელიგენციაზე. მაგალითად, 56-ე გვერდის ერთ აბზაცში ვკითხულობთ ამ ფენის კარიერიზმის, ცრუპატრიოტიზმის შესახებ. 357-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს თავდაზნაურული ინტელიგენციის თანამშრომლობას მეფის რუსეთის მოხელეობასთან. ვფიქრობთ, მკითხველი დაგვეთანხმება იმაში, რომ ინტელიგენციის ამ ფენის პრაქტიკული მოღვაწეობისა და აზროვნების წარმოჩენა და-

<sup>1</sup> ამ თემაზე ავტორს უკვე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, ტბ., 1973.

<sup>2</sup> ეს ნაშრომიც გამოიცა ამავე წელს. იხ. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის.

ლიან საინტერესო იქნებოდა. სხვა ამბავია ნაშრომის სათაურში რომ ნაგულისხმები ყოფილიყო მხოლოდ დემოკრატიული ინტელიგენცია. მაშინ ჩვენი პრეტენზია ავტორისადმი ამ მხრივ მოიხსნებოდა.

სარეცენზიო წიგნის პირველი თავი (იხ. გვ. 5—35) ეძღვნება XIX ს-ის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაობისა და პერიოდიზაციის საკითხს. ავტორის განცხადებით, კაპიტალიზმამდელ საზოგადოებაში აღგილი ჰქონდა სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომელთა ძირითად მიზანდასახულობას დამპყრობთა განდევნა და საკუთარი ცხოვრების სუვერენულ უფლებებში აღდგენა შეადგენდა (გვ. 7). ამისაგან განსხვავებით, ავტორის თანახმად, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აღგილი ჰქონდა მხოლოდ ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესის დამამთავრებელი ეტაპიდან მოყოლებული (იქვე) და უკანასკნელის მიზანი მდგომარეობდა სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილებების ძირეულ შეცვლაში. ა. სურგულაძის ეს პოზიცია ჩვენ იმთავითვე მცდარად მიგვაჩნია. ეს მოსაზრება ძალზე აკნინებს მოვლენის არსს საერთოდ და კერძოდ, ამახინჯებს ჩვენს ისტორიას. ტერმინების ასეთი პედანტური ხმარებით საექვოა, რომ XX ს-ის მრავალი ანალოგიური მოძრაობა აზიასა და განსაკუთრებით აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებლად ჩაითვალოს, რადგან ბევრი აზიელი და განსაკუთრებით აფრიკელი ხალხი ეთნიკური კონსოლიდაციით სულაც არ არის წინ ფარნავაზის ხანის საქართველოს მოსახლეობაზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნების ასეთი დავიწროებული შინაარსით წარმოდგენის უხერხულობას, როგორც ჩანს, თვით ავტორიც გრძნობს, რომელიც ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ აცხადებს: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ტენდენცია ყველა ქვეყანაში ეროვნული სახელმწიფოების შექმნა-ჩამოყალიბება იყო (გვ. 8), „ძირითადი პროგრამა, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ისახავს, უცხო ძალის ბატონობისაგან ერის განთავისუფლება და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება“ (გვ. 12. იხ. აგრეთვე გვ. 12—13).

ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს ავტორის ურთიერთსაწინააღმდეგე მოსაზრებებთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის გაგების საქმეში. სწორედ აღნიშნული მოვლენის პირველი, ვიწრო შინაარსით გააზრების საფუძველზე ცდილობს ა. სურგულაძე XIX ს-ის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხის გაგებას. მის მიხედვით, მთელუცის 1804 წლის აჯანყება, იმერეთის 1810 წლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (ამას ავტორი საერთოდ არ ახსენებს), კახეთის 1812 და იმერეთის 1819, გურიის 1820 წლების აჯანყებანი არ წარმოადგენდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას<sup>3</sup>. ეს მოსაზრება ჩვენ ასევე იმთავითვე მიუღებლად მიგვაჩნია. მაგრამ ამ მოსაზრების კრიტიკაზე ჩვენ საგანგებოდ აქ ვერ შევჩერდებით<sup>4</sup>, მით უმე-

<sup>3</sup> ავტორი არსად არ მოიხსენიებს გურიის 1841 და სვანეთის 1875 წლის აჯანყებებს. ეს უბრალოდ იმით, რომ ეს აჯანყებანი ვერ „ჩდება“ მისეულ მეორე პერიოდში (გურია—ხსიათით და ქრონოლოგიურად, სვანეთისა — ხსიათით).

<sup>4</sup> ამ თემატიკის თანახმად, გამოდის, რომ პოლონეთის 1794 და 1830—31 წლების (სხვათა შორის, ამ უკანასკნელს ავტორი „დიდ ეროვნულ რევოლუციად“ მოიხსენიებს გვ. 22), სიპაგების (ინდოეთში), ტაიპინების (ჩინეთში), მაჰდის (სუდანში) და სხვა მრავალი აჯანყება არ შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ-განმათავისუფლებლად. ყველაფერი ეს შესაძლოა იმით მოხდეს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ავტორმა აურია ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციაში.



ტეს, რომ ა. სურგულაძე აშკარად გრძნობს თავისი პოზიციის სისუსტეს ამ საკითხში, რის გამოც იძულებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსი და მიზანი მეორენაირადაც, ფართო აზრით გაიაზროს. და თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ უნდა იქნეს გაგებულნი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად XIX ს-ის პირველი მეოთხედის მასობრივი აჯანყებანი საქართველოში?

კიდევ მეტი. ასეთად ავტორი მიიჩნევს ქართველი თავადაზნაურების 1832 წლის შეთქმულებას. მაგრამ თუ ვინემდგენალებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც სოციალ-პოლიტიკური რევოლუციის, შინაარსით, როგორც ამას ერთ შემთხვევაში ა. სურგულაძე აკეთებს, მაშინ ასეთად არც 1832 წლის შეთქმულება ჩაითვლება მისი სოციალური კონსერვატიზმის გამო. ამ ვარაუბებს ავტორი კარგად გრძნობს. ამიტომაც მიუთითებს: „კაპიტალისტური ურთიერთობის აღმოცენებისა და განმტკიცების ეპოქაში, ეროვნული მოძრაობის თავისთავად ბურჟუაზიული შინაარსის მიუხედავად, მრავალჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად თავადაზნაურულ-მემამულური კლასის წარმომადგენლები გამოსულან (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალების მოუმწიფებლობის გამო) და ისეთი პროგრამა დაუსახავთ, რომელიც მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენას გულისხმობდა და ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას უცვლელად ტოვებდა“ (გვ. 12—13). თუ ეს ასეა, მაშინ ავტორის ლოგიკის (ერთ შემთხვევაში) თანახმად როგორ უნდა ჩაითვალოს ასეთი მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებლად? ანდა როგორ შეიძლება 1832 წლის შეთქმულთა აბსოლუტური უმეტესობა, რომელიც წარმოშობით, სოციალური მდგომარეობით, სოციალური მსოფლმხედველობით და ა. შ. არისტოკრატები იყვნენ, დემოკრატიულ ინტელიგენციად ჩავთვალოთ.

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ XIX ს-ის საკუთრივ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისი პერიოდები გარკვეულ გავლენას ახდენდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. მაგრამ XIX ს-ის რუსეთის აღნიშნული მოვლენა, ვ. ი. ლენინის მიერ მისი პერიდიზაცია სრულ გასაღებად რომ იქცეს XIX ს-ის ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მისი პერიოდების გასაგებად—ასეთი ცდა სულაც არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს<sup>5</sup>. ჯერ-ერთი, აღნიშნული ეპოქების რუსეთი და საქართველო საკმაოდ განსხვავდებოდა სოციალური წყობილების აზრით; პირველში სოფლის მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილი სასოფლო თემებად ცხოვრობდა, რამაც განაპირობა ა. გერცენისა და ნ. ჩერნიშევსკის თავისებური „სოციალისტური“ თეორიები, ნაროდნიკების მძლავრი მოძრაობა, მეორე, ამ ხანის რუსეთში ბევრად უფრო ძლიერი იყო კაპიტალისტური ცივილიზაციის ელემენტები სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურისა და კულტურის განვითარებაში, რაც გამოვლინდა რუს რაზნოჩინელთა მოძრაობაში. და მესამე, პოლიტიკური აზრით (ეროვნული თავისუფლების ქონა-არქონა) აღნიშნული ორი ქვეყანა, რასაკეარველია, რადიკალურად განსხვავდებოდა.

ასეთი დიდი განსხვავებანი კი ამ ორ ქვეყანას შორის არ შეიძლებოდა არ ასახულიყო მათს შესაბამისი ხანის ისტორიაში. რუსეთის ისტორიის შესაბამისი ეპოქის ისტორიული „კალკები“ გადმოტანამ საქართველოში ავტორი აიძულა უარეყო, რომ XIX ს-ის პირველი მეოთხედის აჯანყებები საქართველოში

<sup>5</sup> მსგავსი ცდა მოცემული ჰქონდა პრ. რატანს (იხ. საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 529).



ატარებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს და ასეთად ჩაეთვალა პირველად მხოლოდ ქართველ თავადაზნაურთა 1832 წლის შეთქმულება<sup>6</sup>. მაგრამ, როგორც ცნობილია, დეკაბრისტებისაგან განსხვავებით, ეს მოძრაობა სოციალური შინაარსის მხრივ კონსერვატიული იყო. ეს მომენტი რომ გამოასწოროს, ავტორი ერთგან ლაპარაკობს ოცდაათორმეტიანელთა მძლავრ ჯგუფზე, რომელსაც ბატონყმობის გაუქმება სურდა (იხ. გვ. 50). მაგრამ ეს მოსაზრება აშკარად მცდარია. სხვადასხვა ადგილას (გვ. 23, 64, 109, 126) თვითონ ა. სურგულაძე აღნიშნავს ამ მოძრაობის სოციალურ კონსერვატიზმს. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას (რესპუბლიკის დამყარებას), ამის მომხრენი 1832 წ. შეთქმულებაში ძალზე მცირერიცხოვანი იყვნენ.

იმავე მცდარი ანალოგიის გამო ქართველი სამოციანელები ავტორის მიერ ჩათვლილია რაზნოჩინელებად, რომლებიც თითქოსდა ასეთები იყვნენ ოცდაათორმეტიანელების, როგორც თავად-აზნაურების საპირისპიროდ. მაგრამ ა. სურგულაძეს ალბათ კარგად მოეხსენება, რომ ქართველ სამოციანელთა აბსოლუტური უმეტესობა არ შეიძლება ჩაითვალოს რაზნოჩინელებად. ზოგჯერ ჩვენს სამოციანელებს ავტორი მოიხსენიებს როგორც დემოკრატიულ ინტელიგენციას. მაგრამ ეს ასე შეიძლება სამოციანელთა მსოფლმხედველობის, სოციალური განწყობის გამო. სოციალური წარმომავლობითა და მდგომარეობით ისინი, ისევე როგორც ოცდაათორმეტიანელები, ასევე, ძირითადად თავადაზნაურები იყვნენ. ამ მხრივ მათსა და რუს რაზნოჩინელთა შორის დიდი განსხვავება იყო. საერთოდ კი ეს მომენტი სპეციფიკურ დაღს ასევეს საქართველოს შესაბამისი ხანის ისტორიას რუსეთის ისტორიასთან შედარებით.

11მე-131-ე გვერდებზე ა. სურგულაძე ლაპარაკობს სახელმწიფოებრიობის დიდ როლზე ერის ჩამოყალიბებაში, აცხადებს მას ერის ერთ-ერთ ნიშნად. ჩვენთვის გაუგებრად რჩება თუ როგორ მოიტანა სიტყვამ ამ საკითხზე მსჯელობა, «Вопросы истории»-ს ფურცლებზე ამ საკითხზე აღძრული დისკუსიის განხილვა ნაშრომის III თავში, რომლის სათურია „ი. ჭავჭავაძის სოციალური პოლიტიკური შეხედულების შეფასების საკითხისათვის“. ჩვენ დადებითად მივიჩნევთ სახელმწიფოებრიობის დიდი როლის ჩვენებას ერის განვითარებაში (ამისაგან განსხვავებით არადამაჯერებლად ვთვლით ერის ნაშან-თვისებათა შორის სახელმწიფოებრიობის შეტანის აუცილებლობას). მაგრამ ეს არაა ახალი აზრი: გერმანულ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში იგი დიდი ხნის წინათ გამოითქვა. კიდევ მეტი. ეს იდეა ქართულ აზროვნებაში თვალსაჩინოდ იქნა წარმოჩენილი არჩ. ჯორჯაძის მიერ „ისრისა“ და „ამირანის“ ფურცლებზე 1907 წელს (არჩ. ჯორჯაძის შესაბამისი ნაშრომები შეტანილია ავტორის თხზულებათა პირველ წიგნში). სამწუხაროა, რომ ა. სურგულაძე თავის ნაშრომში არსდ არ მეთითებს არჩ. ჯორჯაძის მიერ გამოთქმული მსგავსი შეხედულებების შესახებ, მაგრამ არათუ ეს გარემოება, არამედ არჩ. ჯორჯაძის აქვე უკვე ნაშრომში არ არის მითითებული თვით ბიბლიოგრაფიაშიც კი. ეს ეხება არჩ. ჯორჯაძის სპეციალურ ნაშრომსაც „მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“ (სხვათა შორის, არჩ. ჯორჯაძემ ტექსტში მოიხსენიება მხოლოდ ინტელიგენციის საკითხში უკანასკნელის თვალსაზრისის კრიტიკისას).

<sup>6</sup> მისასალმებელია ავტორის მიერ ამ მოძრაობის დადებითად შეფასება. მაგრამ ფაქტობრივად იგივე მანამდე ვააკეთა პრ. რატინმა (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 530, 434).



ახლა ი. ჭავჭავაძის ა. სურგულაძისეულ შეფასებაზე, რომელსაც, როგორც უკვე მივუთითებდით, ნაშრომის სპეციალური თავი ეძღვნება. მისასაღმებელია, რომ ავტორი ცდილობს ილიას ფენომენი გაიზროს ახლებურად, უფრო ფართო ასპექტში, ვიდრე ეს მიღებულია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. იგი, ერთი მხრივ, აცხადებს: „ილია არც ლიბერალი იყო, არც ჩერნიშევსკის თარგზე გამოპირილი რევოლუციონერ-დემოკრატი, არც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ამ მიმართულების ცალკე ელემენტი მოიპოვებოდა მის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში, ცხადია, არა ეკლექტიკური ნარევის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის ორგანული შემადგენელი ნაწილის სახით“ (გვ. 31—32). მაგრამ არაერთგზის დასძენს, რომ ილიასა და საერთოდ თერგდალეულთა იდეოლოგიის ეს მომენტი მათს სუსტ მხარეს, თავისებურ უტოპიურ სოციალიზმს წარმოადგენდა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ილიას ფენომენი, როგორც მთელი ქართველი ხალხის იდეოლოგიისა და ბელადისა, გაცნობიერა ვაჟა-ფშაველამ (გვ. 32). მაგრამ ავტორი კვლავ დუმს იმის თაობაზე, რომ უფრო ვრცლად და დამაჯერებლად ამას ამტკიცებდა არჩ. ჯორჯაძე.

თუ ი. ჭავჭავაძე, ერთი მხრივ, ავტორის შეხედულებით, მთელი ქართველი ხალხის საერთო ინტერესების გამომხატველი იყო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში (იხ. გვ. 29, 30, 31, 33, 159—60 და სხვ.), მეორე მხრივ, ავტორისავე მოსაზრებით, ილია მესამე წოდების ინტერესების გამომხატველი იყო, ე. ი. ავტორი უფრო ავიწროებს იმ სოციალურ ბაზას, რომელსაც ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე ეყრდნობოდა. როგორც ა. სურგულაძე მიუთითებს, ილიამ მესამე წოდების (ამ შემთხვევაში მხოლოდ ამ წოდების!) გაერთიანება შეძლო სპეციფიკურ ვითარებაში, როდესაც მესამე წოდება (გლეხობა, ხელოსნები, ვაჭრები) გაუმიჯნავი, არადიფერენცირებული იყო. ამდენად, ილია განიხილება ისევე, როგორც ვოლტერი ან რუსო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინარე ხანაში. თუ ეს ასეა, ე. ი. თუ ილია გამოხატავდა მხოლოდ მესამე წოდების ინტერესებს, რომლის უპირავლესობას გლეხობა შეადგენდა (ზემოთ მოტანილ ციტატაში ავტორი ხომ კატეგორიულად უარყოფდა ილიას წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგობას!), მაშინ გაუგებარია რა აქვს დიდი საკამათო ა. სურგულაძეს პრ. რატიანთან, რომელიც მსგავსს აზრს იზიარებს.

ამრიგად, ა. სურგულაძის აზროვნებაში ი. ჭავჭავაძის ფენომენი გავრეხული სახით წარმოდგა: ერთი მხრივ, ილია იყო მთელი დაჩაგრული ქართველი ხალხის იდეოლოგი და ბელადი, ხოლო, მეორე მხრივ — მხოლოდ მესამე წოდებისა. ავტორის სხვა განცხადებით, თერგდალეულებს თავიე მიაჩნდათ მთელი ხალხის წარმომადგენლებად, მაშინ როდესაც ისინი თავისი იდეოლოგიით თითქოს მხოლოდ მესამე წოდების ინტერესებს გამოხატავდნენ (გვ. 336—337, 372). მაგრამ საქმეს ვერც ეს შველის. გამოდის, რომ თერგდალეულები როცა მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველებად ასალებდნენ თავს, ამ მხრივ მათ ილუზიები ჰქონდათ, რომ საერთოდ, კლასობრივ საზოგადოებაში არავითარ შემთხვევაში არ არსებობს საფუძველი საზოგადოების ფართო ფენების ინტერესების დროებითი თანხედრობისა (მაგრამ ამაზე ქვემოთ).

ავტორის წარმოსახვაში ილიას გავრეხა მოხდა სხვა მიმართებითაც. მის მიხედვით გამოდის, რომ ილიას შემრიგებლურ იდეოლოგიას შეიძლება ადგილი ჰქონდა მხოლოდ 60-იან—70-იან წლებში, როდესაც მესამე წოდება ჯერ კიდევ გაუმიჯნავი იყო. მაგრამ აი, ამის შემდეგ მოხდა მესამე წოდების დიფე-

რენციაცია, რომელიც დაიყო ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. კითხვა ისმის: რა დაემართა ი. ჭავჭავაძეს ამ ვითარებაში, ე. ი. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, მით უმეტეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სარბიელზე მუშათა მოძრაობის, მესამე დასის გაჩენიდან მოყოლებული? ასეთ სიტუაციაში, ა. სურგულაძის აღიარებით, არჩ. ჯორჯაძის საერთო ნიადაგის თეორია წმინდა ბურჟუაზიული იყო, რომელიც მიზნად ისახავდა მხოლოდ ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს. მაგრამ თუ 60—70-იან წლებში ილიამ შეძლო თავადაზნაურობისა და გლეხობის საერთო ინტერესების გამოხატვა (თუ ა. სურგულაძის ერთ მოსაზრებას დაუჯერებთ), რატომ არ შეიძლებოდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო ინტერესების გამოხატვა 80—90—900-იან წლებში, როდესაც ქართველების ეროვნული ჩაგვრა რუსეთის ცარიზმის მხრივ არანაკლები იყო? ამასაც რომ თავი დავანებოთ, თვითონ ა. სურგულაძე მიინცდა მაინც არ უნდა იყოს მომხრე ქართული კაპიტალიზმის დიდი განვითარებისა, ქარველი ბურჟუაზიის მნიშვნელოვან კლასად ჩამოყალიბებისა ამ ხანაში. იგი ხომ აცხადებს: „საქართველოში კაპიტალიზმის სუსტი განვითარების პირობებში სუსტი იყო ბურჟუაზიული ინტელიგენციაც. საქართველოს თავისი რიაბუშინსკები და ტერეშჩენკოები არ ჰყოლია. თითო-ორიოლა მრეწველი განათლებული კაპიტალისტი (სარაჯიშვილი, ხოშტარია და სხვ.) საქართველოში დიდ მეცენატურ-ფილანტროპიულ საქმიანობას ეწეოდნენ და დემოკრატიულ წრეებთან სიახლოვეს ესწრაფოდნენ. ეს განწყობილება, ვფიქრობთ, იმიტაც იყო შეპირობებული, რომ მეტროპოლიისა და სომხური სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალით შევიწროებული ქართული კაპიტალისტური წრეები თავს დაჩაგრულად გრძნობდნენ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პრივილეგიური მდგომარეობის დამკვიდრებას რადიკალურ-დემოკრატიული წრეების მხარდაჭერით აპირებდნენ“ (გვ. 335).

აღნიშნული პუნქტის გასაზრებლად სათანადო მეთოდოლოგიური საფუძველია ფრ. ენგელსის აზრები, გამოთქმული დაპყრობილი ხალხების შესახებ. ამ სიტუაციაში, ენგელსის მიხედვით, ხდება „სიცოცხლისუნარიანი ხალხების“ (ერების) შეკავშირება დამპყრობლების წინააღმდეგ, წინა პლანზე წამოიწევა ეროვნული განთავისუფლების საქმე, რომლის განხორციელების შემდეგ კი დგება საკითხი სოციალური განთავისუფლებისა<sup>7</sup>. ამას ენგელსი აღნიშნავდა 1882 წელსაც, პოლონეთის ვითარების მიმართ<sup>8</sup>, ე. ი. იმ ქვეყნის მიმართ, სადაც კაპიტალიზმის განვითარებისა და შესაბამისად ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასებად ჩამოყალიბების პროცესი ბევრად უფრო ღრმად იყო წასული აღნიშნული ხანის საქართველოსთან შედარებით. მოვიგონოთ აგრეთვე ვ. ი. ლენინის მრავალგზისი გამოანათქვამები კოლონიური ქვეყნების მთელი მოსახლეობის შეკავშირების შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ ეროვ-

<sup>7</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 18, გვ. 555; т. 22, გვ. 221, т. 35, გვ. 230. იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 614. აქვე შევნიშნავთ, რომ ვასილი სალუქის 60-იან—70-იან წლებში ილიას ჰქონდა საფუძველი ქართული თავადაზნაურობის ახალ სოციალურ და კულტურულ ფუნქციებზე დიდი იმედები დაემყარებინა (მოვიგონოთ ინგლისის, პრუსიის, იტალიის და ა. შ. თავადაზნაურობის ნაწილის ჩართვა ახალი, კაპიტალისტური საზოგადოების ფუნქციონირებაში). მაგრამ შემდგომი ხანის სინამდვილემ აჩვენა ჩვენი თავადაზნაურობის უუნარობა და ისტორიული უპერსპექტივობა.

<sup>8</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 35, გვ. 221.

ნული განთავისუფლებისათვის, ამ საქმეში ეროვნული ბურჟუაზიის პროგრესულ როლზე<sup>9</sup>.

რა დაემართა ი. ჭავჭავაძეს ახალ ისტორიულ სიტუაციაში? ავტორი აღიარებს, რომ ამ ვითარებაში თერგდალეულთა კლასობრივ (sic!) პოზიციას საფუძველი მოეშალა (გვ. 337), თავი იჩინა მათი იდეოლოგიის კრიზისმა (გვ. 338). მაგრამ ამ საკითხში ავტორს არ სურს ბოლომდე თანმიმდევრული იყოს.

ილიას ავტორისეული გარებულობანი ამით არ მთავრდება. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ა. სურგულაძის ციტატა, სადაც ილიას იდეოლოგია დახასიათებული და სადაც კატეგორიულად არის განცხადებული, რომ უკანასკნელი არ იყო რევოლუციონერ-დემოკრატი. მაგრამ სარეცენზიო წიგნში უამრავ ადგილას არის საუბარი თერგდალეულებზე, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიისა და საქმიანობის ადამიანებზე (იხ. გვ. 28, 52, 62, 64, 63, 159, 240, 337, 359, 364, 368—9 და ა. შ.). ამ შემთხვევაში ძნელდება ილიას გაგება, კითხვა ისმის ნუთუ იგი რევოლუციონერ-დემოკრატ თერგდალეულებისაგან განცალკევებით იღვა? სხვაგან ავტორი არაერთგზის აღნიშნავს ილიასა და დანარჩენი თერგდალეულების ერთიანობას. წიგნის 36-ე გვერდზე კი პირდაპირაა აღნიშნული, რომ ილია ჭავჭავაძეს ადრინდელი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებისათვის არ უღალატნია, უკან არ დაუხევია (ამ შემთხვევაშიც საკითხავია რა აქვს საკამათო ა. სურგულაძეს პრ. რატინთან).

ახლა ილიას ცნობილი „ჩენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ შესახებ. ა. სურგულაძე გვითავაზობს ამ სიტყვების ახლებურ ინტერპრეტაციას. მათში, გვარწმუნებს იგი, ილია გულისხმობდა რუსეთში დემოკრატიულ რევოლუციასა და ახალ რუსეთში საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას, ამდენად, არავითარ შემთხვევაში — საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თვით 60-იანი წლების დასაწყისშიც კი. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ეს სიტყვები ილიამ ათქმევინა გაუნათლებელ გაიბოტნელ მოხევეს. გამოდის, რომ ლელთ ღუნია მათში გულისხმობდა ისეთ რთულ სოციალ-პოლიტიკურ კატეგორიებს, როგორიცაა დემოკრატიული რევოლუცია, პოლიტიკური ავტონომია და ილია „მიუხვდა“ ამას. ეს ტექსტზე აშკარა ძალდატანებაა. ა. სურგულაძე აღნიშნულ სიტყვებს ლოზუნგის სახით წარმოიდგენს, სინამდვილეში ლელთ ღუნიას პირით მათ თხრობის ფორმა აქვთ: ადრე („ადრიდა“) ჩენი თავი ჩვენვე გვეყუთვნოდა („გვეყუდნეს“). „გვეყუდნეს“ მოხეურ დიალექტში მომავალს კი არ გულისხმობს, არამედ წარსულს. იგულისხმება სახელდობრ სიტუაცია საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამდე, უბრალოდ ეროვნული დამოუკიდებლობა.

ილია, როგორც ცნობილია, არ იზიარებდა ა. გერცენისა და ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებას გლეხური რევოლუციისა და აგრარული სოციალიზმის შესახებ. მომავალი დემოკრატიული რუსეთი, ამდენად, ილიას განჭვრეტით, უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიული. მაგრამ ცნობილია ის გარემოება, რომ ეროვნული საკითხი ბურჟუაზიული წყობილების დროს არ გადაჭრილა და ვერც გადაიჭრებოდა. თვითონ ილიასათვის ამ მხრივ თვალწინ იყო ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციების შემდგომი ეპოქების მაგალითები. ამასაც რომ თავი დავანებოთ, „ეროვნული სახელმწიფო არის კაპიტალიზმის წესი და

<sup>9</sup> ამკამად ვ. ი. ლენინის ეს თვალსაზრისი ფართოდაა ვაზიარებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

„ნორმა“, ეროვნულად ატრელებული სახელმწიფო კი ჩამორჩენილობა ან გამო-  
ნაკლისია. ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით, კაპიტა-  
ლიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს, უეჭველია, ეროვნული სახელმწი-  
ფო წარმოადგენს“<sup>10</sup> (ვ. ი. ლენინი).

აი, ის ძირითადი შენიშვნები, რაც ჩვენ გვაქვს ა. სურგულაძის სარეცენზიო  
ნაშრომის მიმართ. ამით შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ როგორ არამყარ საფუ-  
ძველზე, ალოგიკურ მსჯელობაზეა დაფუძნებული ა. სურგულაძის აღნიშნული  
ნაშრომი.

სარეცენზიო ნაშრომში მრავლად გვხვდება აგრეთვე სხვა სახის უხეშო  
შეცდომები, არაზუსტი გამონათქვამები, რომელთა გადმოცემასაც მრავალი  
ათეული ვეერდი დასჭირდებოდა. შეეჩრდებით მხოლოდ მათს ნაწილზე.

„კოლონიური ჩავერა, როგორც ცნობილია, კლასობრივი საზოგადოების  
გაჩენიდან, ხალხების სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების დროიდან იწყება. კო-  
ლონიების მფლობელი ქვეყნები იყვნენ თავის დროს ფინიკია და ეგვიპტე, ან-  
ტიკური საბერძნეთი და რომი“ (გვ. 7). მკითხველს ალბათ კარგად მოეხსენება,  
რომ ფინიკიის, საბერძნეთისა და ა. შ. კოლონიები სულ სხვა ხასიათისა იყო,  
ვიდრე კაპიტალიზმის ეპოქისა. ამდენად მათი აქ მოტანა უადგილოა.

„ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ძირითადი მისწრაფება იყო იტა-  
ლიელი და გერმანელი ერებისა, როცა პირველი თავგამოდებით იბრძოდა ნაპო-  
ლეონ პირველის, მეორე კი ავსტრია-უნგრეთის უღლისაგან განთავისუფლები-  
სათვის“ (გვ. 9). ამაზე შევნიშნავთ, რომ იტალიელების უმეტესობას ეროვნუ-  
ლი სახელმწიფოებრიობა თითქმის ყოველთვის ჰქონდა, ნაპოლეონ I-ის ხანის  
მითითება, დროის სიმციროსა და დაპყრობილი ტერიტორიების შეზღუდულობის  
გამო, აქ არ არის მოსატანი. იტალიის ტერიტორიის ნაწილი კი დაპყრობილი  
იყო ავსტრიის იმპერიის მიერ. გერმანელი ერი კი არასოდეს არ იჩაგრებოდა  
ავსტრია-უნგრეთის უღლისაგან. თუ ამ შემთხვევაში ავტორი იტალიელებს გუ-  
ლისხმობდა, აქაც არანაკლები უზუსტობაა: ცნობილია, რომ ავსტრიის იმპერია  
დუალისტურ (ავსტრია-უნგრეთის) იმპერიად ჩამოყალიბდა 1867 წელს, ე. ი.  
მაშინ, როდესაც მთელ იტალიელებს ჰქონდათ მოპოვებული ეროვნული თავი-  
სუფლება.

ნაშრომში ეკითხულობთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა  
გერმანიაში ფართოდ ყოფილა გაჩაღებული მარქსისა და ენგელსის დროს (გვ.  
11; იხ. აგრეთვე გვ. 121). ამის მტკიცება აშკარად მიუტყეველი შეცდომაა.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების მთავარ მიზეზად ა. სურგულაძე  
თვლის მის (შეთქმულების) სოციალურ კონსერვატულობას, იმას, რომ შეთქ-  
მულებმა ვერ გაიყოლიეს გლეხობა. ვეპვობთ, რომ ამ შემთხვევაშიც კი ეს მოძ-  
რაობა თუ გაიმარჯვებდა; ძლიერი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში  
ქართველ ხალხს ამ დროს გაერთიანების შემთხვევაშიც კი არ ჰქონდა გამარჯ-  
ვების შანსი.

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 488; იხ. აგრეთვე გვ. 483. აღნიშნულს  
ფონზე გაუგებარი ხდება ა. სურგულაძის განცხადების აზრი იმაზე, რომ ქართველმა სამოცი-  
ნელებმა ეროვნულ პირობაში წამოაყენეს და თავიანთ დროსაზე წააწერეს საქართველოს ეროვნუ-  
ლად სუვერენიტეტის აღდგენა-განვითარება, რომ ერის გამოღვიძლებას ლოკალურად უკავშირ-  
დებოდა მეორე ამოცანა: ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება (გვ. 29); ანდა, რომ ოცდა-  
თორმეტწიანელთა მომდევნო თაობის მოღვაწეთა შორის ვაბედულად იკავებდა გზას ეროვნული  
რადიკალიზმი (გვ. 362).



„ფრ. ენგელსმა „გერმანულ იდეოლოგიაში“ ინტელიგენციის გაჩენა უყოყმანოდ დაუკავშირა კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობას“ (გვ. 38). მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ეს ნაწარმოები მარქსისა და ენგელსის ერთობლივი ნაშრომია. ამავე გვერდზე ავტორი მართებულად თვლის აღნიშნულ მოსაზრებას, ხოლო მომდევნო გვერდზე კი ინტელიგენციის გაჩენას უკავშირებს კაპიტალიზმს.

ნაშრომის 99-ე გვერდზე ლაპარაკია აზიის კარჩაკეტილობაზე, უკიდურეს ჩამორჩენილობაზე თვით XIX ს-ში. მაგრამ ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურმა განვითარებამ ამ პერიოდში ჩაითრია აზიის ქვეყნებიც, რაც არაერთგზის აღუნიშნავთ მარქსიზმის კლასიკოსებს.

ავტორი ლაპარაკობს ნ. ნიკოლაძის 60-იანი წლების შეხედულებაზე საქართველოს მომავალი პერსპექტივების შესახებ (გვ. 108). მაგრამ იგი არ განმარტავს ნიკოლაძის მოსაზრების არსს; როგორც ა. გერცენისა და ნ. ჩერნიშევსკის მიმდევარი, ნიკოლაძე ამ დროს იღვა აგრარული სოციალიზმის პოზიციებზე. მას მიაჩნდა, რომ სოციალიზმის დამყარება რუსეთში უფრო ადრე და ადვილად შეიძლებოდა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. სწორედ ამიტომ ნიკოლაძე არ იყო მომხრე საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფისა.

„რა დასამალია, ამ მხრივ (იგულისხმება ეროვნული ინდიფერენტისმი, — გ. ყ.) მართლა სცოდავდა ზოგიერთი „მესამე დასელი“, განსაკუთრებით სცოდავდა მისი თბორტუნისტული ფრთა, რომელიც მკვეთრად გამოისახა საუკუნის დამდეგიდან“ (გვ. 211). თუ ავტორს სურდა გულახდილობა გამოეჩინა, მაშინ მას უნდა აღენიშნა, რომ ეს ეხება „მესამე დასს“ მთლიანად და არა მხოლოდ მის ნაწილს.

1892 წელს ქართველ სტუდენტებს „შეუთვისებიათ“ სხვათა შორის ო. ბაუერის ბურჟუაზიულ-იდეალისტური შეხედულებანი ერის შესახებ, რომლებიც თითქოს 80-იან წლებში გაჩენილა (გვ. 252). ამაზე შეგნიშნავთ, რომ ო. ბაუერის ცნობილი ნაშრომი ეროვნული საკითხის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა 1907 წელს, თანაც იგი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ისტორიულ მატერიალიზმს.

„მართლაც, ბიზანტიურ-ელისური კულტურა თავის დროზე მსოფლიო კულტურის როლში გამოდიოდა“ (გვ. 278). „ბიზანტიურ-ელისურ“ კულტურას ისტორიული მეცნიერება არ იცნობს; სინამდვილეში არსებობდნენ ბიზანტიური და ელისური კულტურები, ამასთან, რასაკვირველია, ისინი დროში სულაც არ თანაარსებობდნენ (ელისური, რასაკვირველია, ბევრად უსწრებდა ბიზანტიურს). ეს ორი კულტურა, რა თქმა უნდა, მსოფლიო კულტურის მხოლოდ შემადგენელი ნაწილი იყო.

ივ. ჯავახიშვილის საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის კონცეფციას რომ ეხება, ა. სურგულაძე ცდილობს დაასაბუთოს პირველის შეხედულების სისწორე გვიანი გვაროვნული წყობილების დროს სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე (გვ. 291—92). მაგრამ ა. სურგულაძის ეს დასაბუთება არადამაჯგობრებელია. ჯავახიშვილი ამ საკითხში ნაწილობრივ სწორი იყო, მაგრამ ამის წარმოჩენა, ჩვენება სხვანაირად უნდა მომხდარიყო.

„შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიულ ფაქტორს მეცნიერი (ივ. ჯავახიშვილი, — გ. ყ.) ერთგვარად გადაჭარბებულადაც აფასებდა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე პატარა საქართველოს ტრაგიკულ ისტორიულ წარსულს, მეცნიერს ჰქონდა იმის უფლება (sic!), რომ

გეოგრაფიული ფაქტორებისათვის საგანგებო ყურადღება მიექცია“ (გვ. 307). აქ ავტორი გულისხმობს ჯავახიშვილის მიერ 1919 წელს გამოცემულ ნაშრომს საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ. ნაშრომში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დაედო საფუძვლად ხევები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებს, ავტორთავე კავკასიონის ქედის დიდ როლზე ჩრდილოეთის მხრიდან ჩენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. რაშია აქ გეოგრაფიული ფაქტორის გადაჭარბება? რაც შეეხება ჩენი ისტორიის ტრაგიკულობას ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობის გამო, გეოგრაფიული ფაქტორი და მისი როლი აქ არაფერ შუაშია; ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისტორიული გარემოს საკითხს.

ლაპარაკობს რა კვლავ ივ. ჯავახიშვილზე, ა. სურგულაძე წერს: „თავის სამაგისტრო ნაშრომში (იგულისხმება «Государственный строй древней Грузии и древней Армении», — გ. ყ.). მეცნიერმა მოგვცა IV—V საუკუნეებში სომხეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზი, პირველმა გაამახვილა ყურადღება კლასთა ბრძოლის საკითხებზე“ (გვ. 314). ამ ნაშრომში აღნიშნული პროცესისათვის სომხეთში ისევე როგორც ძველ ქართლში, ჯავახიშვილს თვალი გადაიწვივებული აქვს ბევრად უფრო ძველი ხანიდან დაწყებული. და მეორეც, კლასთა ბრძოლის „საკითხების“ განხილვა აქ ჯავახიშვილს არ უწარმოებია.

ნორვეგიის პოლიტიკური გაერთიანება თითქმის მოხდა XIII საუკუნეში (გვ. 123). სინამდვილეში ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა X—XI სს, (რასაც ავტორი უარყოფს). ამასთანავე ავტორი საქმაოდ დაბალგანვითარებულად და არაზუსტად წარმოადგენს იმ ეკონომიკურ ბაზისს, რის საფუძველზედაც წარმოიშვა ნორვეგიის სახელმწიფო.

ა. სურგულაძის აზრი იმაზე, რომ კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაზე კლასობრივ ძალთა ანტაგონიზმი არაა ძლიერად გამოკვეთილი (გვ. 14), აშკარად მცდარია. ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მაგალითები ამის საწინააღმდეგოს ადასტურებს.

არაზუსტია ავტორის აზრი 60—70-იან წლებში პროლეტარიატის მძლავრი გამოსვლების შესახებ საფრანგეთსა და ინგლისში (გვ. 26). ამ პერიოდში ასეთ გამოსვლას წარმოადგენდა მხოლოდ პარიზის კომუნა საფრანგეთში.

ავტორის მტკიცებით, სწორედ კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში ჩამოყალიბდნენ ეროვნულ სახელმწიფოებად ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ. (გვ. 8—9). სინამდვილეში ინგლისში, საფრანგეთში და სხვ. ამას ადგილი ჰქონდა ფეოდალიზმის გვიანდელ ფაზაში, ხოლო რუსეთში კიდევ უფრო განსხვავებულ სოციალ-ეკონომიკურ ბაზაზე. ქრონოლოგიურად კი ეს მოვლენა ემთხვევა XV საუკუნეს.

მცდარია იმის მტკიცება, რომ ბატონყმობა დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში „ევროპის დემოკრატია“ მოსპო (გვ. 100). რიგ ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) ეს ინსტიტუტი მოსპობილ იქნა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების შედეგად, ბურჟუაზიული რევოლუციების მოხდენამდე ბევრად უფრო ადრე, ხოლო რიგ ქვეყნებში (ავსტრიის იმპერია, დანია, პრუსია და ა. შ.) რეფორმების გზით, ასევე ბურჟუაზიული რევოლუციების მოხდენამდე, ისევე, როგორც ეს მოხდა რუსეთში.

70-ი გვირდზე გვითხვობთ. რომ დ. ჩუბინაშვილმა შექმნა ძვილი ქართული დამწერლობის ქრისტომათია. რომ მას პიტერბურგის უნივერსიტეტში მიჰყავდა: ქართული დამწერლობის კურსი. სინამდვილეში საქმე ეხება ქართულ მწი-

როლებს, სიტყვიერებას (რუსულად СЛОВЕСНОСТЬ, რომელიც ავტორმა დამწერლობად თარგმნა).

ლაპარაკია რა 1724 წელზე (ვახტანგ VI-ის ამაღლის საქართველოდან რუსეთში წასვლის თარიღზე), მოსკოვი გამოცხადებულია რუსეთის დედაქალაქად (გვ. 42). რუსეთის იმპერიის დედაქალაქი ამ დროს, როგორც ცნობილია, იყო პეტერბურგი.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1856 წელს 11 არ მოხდა (იხ. გვ. 301), არამედ 1857 წელს.

ავტორის მიხედვით, „ფეოდალურ კულტურას ქმნიდნენ ფეოდალური კლასის წარმომადგენლები, აზნაურთა წრიდან გამოსული ადამიანები“ (გვ. 41). ამ მტკიცებაში რომ შეცდომაა დაშვებული, ამას, ვფიქრობთ, კომენტარი არ სჭირდება.

ა. სურგულაძე ამტკიცებს, რომ დაქვეითების ხანაში — XIII—XVII საუკუნეებში შინაარსითა და ფორმით დიდებული ისტორიული თხზულებანი“ უბირმა ქრონიკებმა შეცვალეს (გვ. 264). მაგრამ ხომ უნდა ყოფილიყო აღნიშნული ის გარემოება, რომ უამთააღმწერლის მართლაცდა „შინაარსითა და ფორმით დიდებული ისტორიული თხზულება“ სწორედ დროის ამ მონაკვეთში შეიქმნა.

ნაშრომის რუსულ რეზიუმეში ე. მაიერი, ფ. ლენორმანი და გ. მასპერო გამოცხადებულია მედიევისტებად (გვ. 374—75), მაშინ, როდესაც ესენი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტები იყვნენ.

ირლანდიის დაპყრობისათვის ინგლისის მიერ წარმოებული ომების თარიღად ავტორი მიიჩნევს XII—XV სს. (გვ. 123). ისტორიული სიზუსტე კი მოითხოვს, რომ იყოს XII—XVII სს. სხვაგან ავტორს მოაქვს ენგელსის აზრი იმის თაობაზე, რომ ინგლისელთა დაპყრობებმა ეს ქვეყანა ერთი საუკუნით უკან გადაისროლა (გვ. 126). სინამდვილეში ენგელსი ლაპარაკობდა საუკუნეებზე.

„რუსეთის ცარიზმმა უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასია რომ შეიერთა, მათი სახელმწიფოებრიობაც მოსპო“ (გვ. 121). მაგრამ ცნობილია, რომ ამ ხანაში და მანამდეც უკრაინასა და ბელორუსიას თავიანთი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდა. იგი არ გააჩნდა „ამიერკავკასიასაც“, ხოლო მის შიგნით — სომხეთსა და აზერბაიჯანს.

ერი არაა მხოლოდ ადამიანთა სოციალური ერთობის ფორმა, როგორც ამას აცხადებს ა. სურგულაძე (გვ. 126). ერი არის ეთნიკური, ანდა ეთნოსოციალური ფორმა.

თითქოსდა XIX ს-ში საქართველოს კულტურული კავშირთა ერთობა გაცხოველდა ჩეხოსლოვაკიასთან (გვ. 362). მაგრამ ასეთი პოლიტიკური ერთეული როგორც ვიცით, მხოლოდ 1918 წელს წარმოიქმნა.

დ. ბლაგოვეი წიგნში გამოცხადებულია რუს მარქსისტად (გვ. 258). სინამდვილეში, როგორც ცნობილია, ბლაგოვეი ბულგარელი ვახლდათ.

ნაშრომში ვკითხულობთ, რომ პარტია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ორგანიზაცია (გვ. 61). რაც აშკარა ლაფსუსია.

მცდარია გამოთქმები: „კავკასიელი ხალხი“ (გვ. 27), „კავკასიური ენები“ (იქვე). (ამ უქანასკნელს, როგორც ვიცით, ენათმეცნიერებაში სპეციალური მნიშვნელობა აქვს. ავტორის მიხედვით კი ეს ტერმინი გულისხმობს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებსაც).

მცდარია, რა თქმა უნდა, ფეოდალიზმის ხანისათვის შემოქმედებითი ახალგაზრდობის მტკიცება (გვ. 363), ანდა მტკიცება კაცობრიობის (sic) სოციალიზმად გადაქცევასზე (გვ. 15).

სარეცენზიო ნაშრომში საკმაოდ ხშირად გვხვდება პიროვნებისა და მოვლენების გაზვიადებული სახით წარმოდგენა. ასე მაგალითად, ნ. ბარათაშვილზე ავტორი წერს, რომ იგი 30—40-იანი წლების საქართველოს მოველია „ფიქრთა ღყრობელად“ (გვ. 357). 324-ე გვერდზე კი ე. პოტიე გამოცხადებულია დიდ ფრანგ პოეტად. XVIII ს-ის დასასრულისთვის ინტელექტუალურ მოღვაწეთა რიგები საქართველოში, ავტორის აღიარებით, აერთიანებდა პედაგოგებს, მწერლებს, პოეტებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს, რომ მათი უმრავლესობა ეპოქის მოთხოვნათა დონეზე იდგა (გვ. 43). ავტორის გაზვიადებული მტკიცებით, XIX ს-ის ქართულ კულტურას ცხოველი შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა შუა აზიის კულტურასთან (გვ. 362), ასევე თბილისის „ფილოსოფიური“ სემინარია მეცნიერებათა სწავლების დონით უმაღლეს სასწავლებელს არ ჩამოუვარდებოდა (გვ. 43).

გადაჭარბებული და მცდარია ავტორის მტკიცება ერის მიზანდასახულებასზე მონოპოლისტურამდე და მონოპოლისტურ სტადიებზე (გვ. 14). რამდენადაც აქ ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების აზრით განვითარებული, ხოლო ეროვნული ურთიერთობების აზრით თავისუფალი ერები იფულისხმება, ამდენად, ეს მტკიცება მოკლებულია რეალურ საფუძველს. კახეთის 1812 წ. აჯანყება, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვა ნაშრომში გამოცხადებულია „გრანდიოზულად“ (გვ. 17, 134). გაზვიადებულია და მცდარია აგრეთვე ლაპარაკი დანიელ ჭონქაძის ჯგუფზე (გვ. 52), „კაცია-ადამიანზე“ როგორც ეპოპეაზე.

რიგ ადგილებში (ხუთჯერ მაინც) მარქსისა და ენგელსის აზრები პირველწყაროებით კი არაა მითითებული, არამედ ვ. ი. ლენინის ნაშრომების მიხედვით (იხ. გვ. 11, 12), რიგ შემთხვევებში კი მცდარად არის მითითებული წყაროები (იხ. გვ. 40, 44, 118, 133, 212, 317). საკმაოდ ხშირად გვხვდება გამეორებები (იხ. გვ. 25—26—28; გვ. 30—96—97; 127—131; 36—37—322; 37—38—325; 77—334 და ა. შ.). ასევე ეგზარქოს (ავტორი მას ეპისკოპოსად მოიხსენიებს) რუსნაგვის სახელი თეოფილე კი არ გახლდათ (გვ. 45), არამედ თეოფილაქტე. სიმონიძის ნაცვლად (იქვე) უნდა იყოს სიმონოვიჩი. რეკლიუს სახელი იყო არა ელიზარ (გვ. 324), არამედ ელიზე. „კლევრეტების“ მაგიერ (გვ. 107) უნდა იყოს კლევრეტები, „კავკასიის მთიელების“ (გვ. 27), „კავკასიის მთიანეთის“ (გვ. 45) მაგიერ — დაღესტნელები და ჩეჩნები (ქართველებს ხომ საკმაოდ კონკრეტული წარმოდგენა გვაქვს კავკასიის მთიელებზე და მთიანეთზე!). გადაჭარბებულად ხმარობს ა. სურგულაძე სიტყვა „პროფილს“: ეროვნული პროფილი, ინტელიგენციის იდეოლოგიური პროფილი, თერგდაღვიულთა ორგანიზაციული პროფილი, იდეური პროფილი (მათივე), მეურნეობის პროფილი, ქართული კულტურის პროფილი, ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი.

ავტორი ხშირად ხმარობს ტერმინს „საზოგადოებრივი აზრი“, უფრო იშვიათად იმავე მნიშვნელობით—ტერმინს „საზოგადოებრივ აზროვნებას“. ისევე როგორც სხვა ენებში (ინგლისურში, რუსულში და ა. შ.) კარგი იქნებოდა ამ ორი ტერმინის ხმარება სინონიმებად კი არა, არამედ სხვადასხვა მნიშვნელობებით.



ისტორიული პიროვნებანი, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი წიგნში ხან მხოლოდ გვართ მოიხსენიებიან, ხან გვართა და სახელის ინიციალით.

მრავლადაა შეცდომები დაშვებული ლიტერატურის სიაში<sup>11</sup>. მაგალითად, რ. კილაძის მონოგრაფია ეგ. ნინოშვილზე ორჯერაა მითითებული. მცდარადაა ნაჩვენები გ. მელიქიშვილის ნაშრომის სათაური და გამოსვლის თარიღი. В. М. Хмельницкий-ს ნაცვლად უნდა იყოს Хмелинский და ა. შ. არაა მითითგვხვდება. და აი, ჩამოვთვლია ნაშრომის პოზიტიურ მომენტებს:

დასასრულს მკითხველი ალბათ შეგვეკითხება: ნუთუ 20 თაბახიან ნაშრომში ვასაკრიტიკებლის მეტი არაფერი არაა, რაიმე პოზიტიური მასში ნუთუ არ გვხვდება. და აი, ჩამოვთვლით ნაშრომის პოზიტიურ მომენტებს:

1. მისასაღმებელია ავტორის ცდა ი. ჭავჭავაძის ფენომენის უფრო ფართო სოციალური საფუძვლით გააზრებისა; 2. ვფიქრობთ, სწორია ა. სურგულაძის თვალსაზრისი 1859—60-იან წლებში საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არარსებობის შესახებ; 3. ასევე სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ ილიას პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა შეუწყვეტია სრულიადაც არა საქართველოში რევოლუციის მოხდენის მიზნით; 4. ექვს გარეშეა, რომ თერგდალელელები არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიას; 5. სწორია ავტორი ვინმე პ. გ. სემიონოვის კრატიაში ეროვნული სახელმწიფოებრიობის ზედმეტობის საკითხში; 6. კარგადაა გამახვილებული ყურადღება სახელმწიფოებრიობის როლზე ერის ჩამოყალიბების პროცესში; 7. სწორია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ოპორტუნისტული ფრთის გაჩენა არ უნდა ვეძიოთ ამ მოძრაობის ჩასახვიდანვე.

მაგრამ აღნიშნული მომენტები უკვე ფიგურირებს სხვა ავტორთა შრომებშიც. ა. სურგულაძის ამოცანა იყო მათი გაღრმავება და უფრო დამაჯერებელი სახით წარმოჩენა. მაგრამ ამას, სამწუხაროდ, აქ განხილულ ნაშრომში ვერ ვხვდებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო დავასკვნით, რომ ა. სურგულაძის სარეცენზიო ნაშრომი ისტორიოგრაფისათვის ახალს არაფერს არ იძლევა, რომ, იგი ძირითადად ავტორისეული ადრეული ნაშრომების კომპილაციაა და მის გამოსვლას რაიმე დადებითი აზრი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ ადრეული საკითხების მკითხველთა ფართო მასისათვის გაცნობის აზრით.

<sup>11</sup> იხ სია, მართალია, 200-მდე დასახელების ნაშრომს შეიცავს, მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი ავტორს გამოყენებული აქვს თავის 1973 წელს გამოსულ წიგნში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  
პაპაი სურგულაძე

### პასუხი რეცენზენტს

„ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ არ ისახავს მიზნად გააშუქოს ქართველი ინტელიგენციის XIX ს. ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ეს კარგად ჩანს მონოგრაფიის სათაურიდანაც და ობიექტური შკითხველი ასეთ პრეტენზიას, ცხადია, ავტორს არ წაუყენებდა. „ნარკვევები“ წიგნს იმიტომ ჰქვია, რომ მასში სამსჯელოდ გამოტანილია XIX ს. ინტელექტუალური ცხოვრების არა ყველა, არამედ რამდენიმე ძირითადი საკითხი. სხვა საქმეა — რამდენად მართებულა ამ საკითხების შერჩევა და სისტემატური დალაგება. კარგი იყო რეცენზენტს ეთქვა თავისი აზრი საკითხთა შერჩევის მიზანშეწონილობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მხრივ სადავო ვერაფერი ნახა და დუმილი ამჯობინა.

სასურველია, რომ ყოველ მონოგრაფიულ ნაშრომს წინ უძლოდეს ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. რეცენზენტმა იცის, რომ ჩვენ მიერ დაწერილ ყველა გამოკვლევას XIX საუკუნეზე თან ახლავს წამოჭრილი პრობლემების ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. რაც შეეხება სარეცენზიო ნაშრომს, იგი პრობლემების დაყენების მხრივ ზემოთმითითებულ ნარკვევებს უკავშირდება — ესაა XIX ს. ქართული ინტელექტუალური ცხოვრება, ქართული საზოგადოებრივი აზროვნება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX ს. სხვადასხვა ეტაპზე, სარეცენზიო წიგნისათვის რომ კვლავ ისტორიოგრაფიული მიმოხილვა წაგვემძღვარებინა, ბუნებრივია, განმეორებას ვერ ავცდებოდით, ისევ უნდა მოგვეცა ყველა წინამორბედი ავტორის ნააზრვის შეფასება. ეს არ ვცანით საჭიროდ. მით უმეტეს, წიგნის შესლუდული მოცულობა არ იძლეოდა ამის შესაძლებლობას. ისიც სათქმელია, რომ ქართველი ინტელიგენციის ისტორიაზე საგანგებო გამოკვლევა ჯერ არ დაწერილა. ჩვენი წიგნი პირველ მოკრძალებული ცდაა ამ პრობლემის ზოგი საკითხის გააზრებისა. იგი კრებული რამდენიმე დამოუკიდებელი ნარკვევისა, ესეც გამოორიცხავს ერთიანი ისტორიოგრაფიული შესწავლის შესაძლებლობასა და საჭიროებას. გვწამს და არაერთხელ გვითქვამს, რომ ინტელიგენციის, აზროვნების, კულტურის ისტორია კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს და მხოლოდ ავტორთა ფართო კოლექტივს შესწევს უნარი წარმოაჩინოს ყველა მხარე ამ რთული ფენომენისა მის სისტემურ მთლიანობაში.

რაც შეეხება არქივს, სპეციალისტებს კარგად მოეხსენებათ, რომ ყველა საკვლევ პრობლემას თავისი შემოქმედებითი ლაბორატორია, თავისი საშუალებული გააჩნია. საკვლევ პრობლემა თვითვე გკარნახობს სად უნდა ეძიო მისი სრულად გაშუქების წყაროები. XIX ს. ინტელექტუალური ცხოვრების წარმოსაჩენად, ჩვენ, ბუნებრივია, პირველ რიგში, ამ ეპოქის გამოჩენილ მწერართა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებით მემკვიდრეობას და ქართულ-რუსულ პერიოდიკას ვეყრდნობოდით, საჭირო შემთხვევაში — გამოქვეყნებულ

დოკუმენტურ მასალებს და სახელმწიფო არქივის ფონდებსაც. არ მიმანხნდა მიზანშეწონილად დამეტვირთა ნაშრომი ყელამდე მობჯენილი სქოლიოებითა და საარქივო ფონდების მითითებებით — ეს ავადმყოფობაა ზოგი ავტორისა, რომელსაც ამ გზით სურს შექმნას პრობლემაზე ჩაღრმავებული მუშაობის შთაბეჭდილება. ეპოქის მცოდნე და ობიექტური რეცენზენტი მიგვანიშნებდა მაინც—რომელი ფაქტი ან მოვლენაა წიგნში გაშუქებული არასრულად და მიგვითითებდა სად, რომელ არქივში მოგვეძია დამატებითი მასალა მეტი სიზუსტისა და დამაჯერებლობისათვის. რეცენზენტი ამას არ აკეთებს ჩვენი აზრით ორი გარემოების გამო: 1. ნაშრომში წამოჭრილ საკითხთაგან გაშუქების სისრულის მხრივ დასაწუნი, ალბათ, ვერაფერი ნახა; 2, რომც ენახა, არ შეეძლო მიეთითებინა ჩვენ მიერ თითქოს უგულვებელყოფილ საარქივო მასალაზე, რადგან XIX ს. საარქივო ფონდებში საერთოდ არ ჩაუხედავს.

ახლა სადავო პრობლემათა შესახებ:

„ნარკვევების“ პირველ თავში ვცდილობთ გამოვკვეთოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ნიშნები საერთოდ, და, კერძოდ, ეუჩენვენი ამ მოძრაობის წარმოშობა და განვითარების ეტაპები საქართველოში. მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კაპიტალიზმის ეპოქის მოვლენადაა აღიარებული. ამ თვალსაზრისიდან გამოვდივართ და ვსაბუთებთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში იწყება XIX ს-ის 30-იანი წლებიდან. იგი ჩვენში გაჩნდა ეროვნული კონსოლიდაციის დამამთავრებელ ეტაპზე და მიმართული იყო სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა არსებული სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას, ქვეყნის დემოკრატიზაციასა და ახლებურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. ჩვენი პოზიცია გ. ყორანაშვილს „იმთავითვე მცდარად“ მიუჩნევია, რადგან, თურმე „ეს მოსაზრება ძალზე აენინებს მოვლენის არსს და კერძოდ, ამახინჯებს ჩვენს ისტორიას“. მიუტევებელი ბრალდებაა! მაგრამ ყველა ბრალდებას, მიუტევებელია თუ მისატევებელი, დასაბუთება უნდა! ასეთ დასაბუთებას რეცენზიაში ვერ ვპოულობთ. რეცენზენტი აქვე გვისაყვედურებს „ტერმინების პედანტური ხმარების გამო“ (?) მოვლენათა დაკინებებს და ასეთი მოტივი მოაქვს: „საეპევა XX საუკუნის მრავალი ანალოგიური მოძრაობა აზიასა და განსაკუთრებით აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებლად ჩაითვალოს, რადგან ბევრი აზიელი და განსაკუთრებით აფრიკელი ხალხი ეთნიკური კონსოლიდაციით სულაც არ არის წინ ფარნავაზის ხანის საქართველოს მოსახლეობაზე“. ამ ბუნდოვანი მსჯელობიდან ნათელია მხოლოდ ერთი რამ: რეცენზენტს უკვირს—რატომ არ მიგვაჩინია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად ფარნავაზის ან ქუქის მეთაურობით ქართველთა ბრძოლა უცხოელთა წინააღმდეგ და ასეთად ვთვლით აზიელი და აფრიკელი ხალხების ბრძოლას კოლონიური ჩაგვრისაგან გათავისუფლები-სათვის XX საუკუნეში. განა ფარნავაზისდროინდელი ქართველი მოსახლეობა ეთნიკური კონსოლიდაციით უფრო მაღლა არ იდგა, ვიდრე დღევანდელი აზი-სა და აფრიკის ხალხებიო!—გაკვირვებით კათხულობს რეცენზენტი. გ. ყორანაშვილის ისტორიაში ვანსწავებულობის საილუსტრაციოდ მართო ეს ფაქტიც კარა! ჩანს, მას ვერ გაუფლა რომ კაპიტალიზმმა, რომელიც XIX საუკუნიდან მსოფლიო მოვლენად იქცა, თავის ორბიტში აზიის და აფრიკის ხალხებიც ჩაით-რია, რომ სოციალისტურმა წყობილებამ, რომელიც ასევე მსოფლიო სისტე-მად იქცა XX საუკუნეში, ბევრი აზიელი და აფრიკელი ხალხი, მათი ეთნიკუ-

რი კონსოლიდაციის დონის მიუხედავად, სოციალიზმის გზაზე დააყენა. მოდი და ვიყვიროთ ახლა: ფარნავაზის დროინდელი ქართველი მოსახლეობა სოციალიზმისათვის უფრო მომზადებული იყო, ვიდრე დღევანდელი აზიის ან აფრიკის ხალხებო.

ვინაიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კაპიტალისტური ეპოქის მოვლენაა, ივლისსხმება, რომ მას აღრინდელი ეპოქების განმათავისუფლებელ მოძრაობათაგან განმასხვავებელი ნიშნები აქვს. სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ამ მოძრაობის ძირითადი ტენდენცია სოციალური ჩაგვრის ლიკვიდაცია და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაა. ამაში ვლინდება მისი ანტიკოლონიური და დემოკრატიული ხასიათი. კაპიტალისტური ეპოქის აღმავალ ეტაპზე მას ეროვნული ბურჟუაზია ჰეგემონობს. ამ ზოგად მარქსისტულ-ლენინურ დებულებათა შუქზეა განხილული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და მოცემულია ცდა მისი პერიოდიზაციისა. რეცენზენტი თავს არ ზოგავს, რომ მკითხველი დაარწმუნოს ჩვენი დებულებების „ურთიერთწინააღმდეგობაში“, უკვირს — თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არა ფარნავაზის დროიდან, არამედ XIX საუკუნიდან იწყება, რატომაა განზე დატოვებული XIX ს. პირველი მეოთხედის ანტირეჟიმული აჯანყებანიო. ამასთან არ ერიდება ცალკეულ დებულებათა საერთო კონტექსტიდან ამოგლეჯის და მათი მექანიკური გადაბმის მანიპულაციებს, რაც საერთოდ დამახასიათებელია ტენდენციურად განწყობილი კრიტიკოსებისათვის. დიახ, ჩვენ არ მიგვაჩნია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად 1804 წ. მთიულეთის, 1812 წ. კახეთის, 1819 წ. იმერეთის, 1820 წ. გურიის აჯანყებანი, რადგან მათში ვერ ვხედავთ იმ ძალებსა და დანიშნულებას, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ახასიათებს. „ეროვნულ-განმათავისუფლებელს ეს მოძრაობა (ლაპარაკა XIX ს-ის პირველი ნახევრის მასობრივ აჯანყებაზე — ა. ს.) არ გულისხმობდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ „გლეხთა აჯანყებას“ იდეურად და ფიზიკურად ისევ თავადაზნაურობა ხელმძღვანელობდაო“ — შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი (ტ. II, გვ. 469): ამ ანტირეჟიმულ გამოსვლაში გლეხობა ებრძოდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს და იმედებს ისევ „კეთილ მეფეზე“ ამყარებდა. აჯანყებულთ არავითარი პროგრამა არ ჰქონდათ. ეს იყო რუს მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის სტიქიური გამოხატულება და არ შეიცავდა არც ბატონყმური წყობილების ლიკვიდაციის, არც ეროვნულ თვითგამორკვევის მისწრაფებებს. უდავოა, რომ გლეხობა, საერთოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ძალაა, მაგრამ ამ მოძრაობის ჰეგემონობას იგი ვერ დაიჩემებს. მესვეურის როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეებით განსსუვალულ ინტელიგენციას ეკისრება. ჩვენში კი ამ მიმართულების ინტელიგენცია იმ დროისათვის ასპარეზზე გამოსული ჯერ კიდევ არ ყოფილა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავტორისეული გაგებიდან თუ გამოვალთ, მაშინ 1832 წლის შეთქმულებაც არ შეიძლება ამ ხასიათის მოვლენად ჩაითვალოს, რადგან შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა „წარმოშობით, სოციალური მდგომარეობით, სოციალური მსოფლმხედველობით და ა. შ. არისტოკრატები იყვნენო“ — შენიშნავს რეცენზენტი. 1832 წლის შეთქმულების დახასიათებისას ყველა სადავო საკითხზე პასუხი გაცემულია „ნარკვევებში“ (უფრო ვრცლად სათანადო ისტორიოგრაფიის კრიტიკული მიმოხილვით — „ნ. ბარათაშვილის ეპოქაში“). აქ, მოცულობის შეზღუდულობის გამო





ვიტყვი მხოლოდ შემდეგ: სოციალური წარმოშობა თუ მდგომარეობა ამ თუ იმ მოღვაწის მემკვიდრეობის კლასობრივი შეფასების კრიტერიუმად ვერ გამოდგება. არისტოკრატები იყვნენ დეკაბრისტები, მაგრამ თავგანწირვით იბრძოდნენ რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნისათვის. წარმოშობითაც, სოციალური მდგომარეობითაც თავადი იყო ალ. წულუკიძე, მაგრამ მარქსისტული მოძღვრების თანმიმდევრულ დამცველთა და პროპაგანდისტთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა. 1832 წ. მესვეურებს (ქართველთა ბატონიშვილები, ორბელიანები, ერისთავები, ჩოლოყაშვილები, ჭავჭავაძე და სხვ.) არისტოკრატულ წარმოშობისა და მდგომარეობის მიუხედავად, გულწრფელად სურდათ საქართველოს პოლიტიკური სტატუსის აღდგენა 1783 წ. ტრაქტატის ფარგლებში, სურდათ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ევროპეიზაცია. ეს შეთქმულება შეიცავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრეს ნიშნებს იმიტომ, რომ ნავარაუდები იყო საქართველოს პოლიტიკური (და რამდენადმე სოციალურიც) რეორგანიზაცია ახლებურ ყაიდაზე, მისი ეროვნული თვითგამორკვევა. ხომ აშკარა ისიც, რომ შეთქმულთა საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული საზოგადოებრივი აზრის გაცხოველებას, ქართული კულტურის ამაღლებას. რეცენზენტი ვერ ბედავს წინ აღუდგეს საერთოდ აღიარებულ ამ აზრს და მიესალმება კიდევ 1832 წ. შეთქმულების ჩვეულ შეფასებას. მაგრამ ამ „მისალმების“ ფასი და დანიშნულება ცხადი ხდება, როცა წერს: იგივე მანამდე პრ. რატიანმა გააკეთაო. აქ საჭიროდ არ ვთვლით განმარტებას, თუ 1832 წ. შეთქმულების შეფასებაში რა სიახლე შევიტანეთ და აქვს თუ არა მას რაიმე საერთო რატიანისეულ შეფასებასთან. სპეციალისტებს ეს კარგად მოეხსენებათ. უხერხული ჩანს ჩემი ნაშრომის გასაბაბარებულად გამიზნულ რეცენზიაში პრ. რატიანის ზედიზედ დამოწმება. პ. რატიანმა და მეც უკეთ ვიცით ჩვენი ნაშრომების ღირსება თუ ნაკლი, ვიდრე ეს ყორანაშვილს შეუძლია გაიაზროს.

რეცენზენტს მართებულად არ მიაჩნია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის პერიოდიზაცია, რომელიც „ნარკვევებშია“ მოცემული. იგი გვისაყვედურებს მიმართვას ისტორიული „კალკებისადმი“, შეცდომად გვითვლის, რომ პერიოდიზაციის გამოკვეთისას ვეყრდნობით ვ. ი. ლენინის ცნობილ მითითებას რუსეთის რევოლუციური მოძრაობის სამი ეტაპის შესახებ. „XIX ს. რუსეთის აღნიშნული მოვლენა — წერს რეცენზენტი — ვ. ი. ლენინის მიერ მისი პერიოდიზაცია სრულ გასაღებად რომ იქცეს XIX ს. ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მისი პერიოდების გასაგებად — ასეთი ცდა სულაც არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს“. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითების შუქზე არაა მხოლოდ ჩვენი დამსახურება. ამაზე ადრე აქვთ მითითებული მკვლევრებს ლ. გორგილაძეს, ი. კაჭარავას, დ. გამეზარდაშვილს, პ. რატიანს. ეს ჩვენ საგანგებოდ გვაქვს აღნიშნული („ნარკვევები“, გვ. 20) რეცენზენტმა მართალია, უგულვებელყო ჩვენ მიერ დასახელებული ავტორები და პრიორიტეტი მხოლოდ პ. რატიანს მიანიჭა (ბარაქალა ერთგულებავ!), მაგრამ ამ შემთხვევაში რატიანიც კი არ დაინდა და აცხადებს, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობის ეტაპების გამოსაკვეთად სხვა ხასიათის მიზეზები უნდა მოინახოს, რადგან საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და ხასიათი რუსეთისაგან იმდენად განსხვავდება, რომ მათში საერთოს დანახვა შეუძლებელიაო. ნიშანდობლივია, რომ აქაც, ისე

როგორც წინა შენიშვნებისას, რეცენზენტი მხოლოდ შიშველი, კატეგორიული განცხადებით კმაყოფილდება და საჭიროდ არ თვლის მის მიერ წამოყენებული საპირისპირო დებულებების დასაბუთებას.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან ეტაპობრივ დამთხვევაზე რომ მიუთითებენ, მკვლევრები გამოდიან იმ მართებული წანამძღვრებიდან, რომ საქართველომ, რომელიც XIX ს. დამდეგიდან მოექცა რუსეთის ისტორიული განვითარების ორბიტში, გაიზიარა ხვედრი რუსეთის იმპერიის ხალხებისა. XIX ს. დამდეგიდან საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმართა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც რუსეთის ისტორიის ეტლი მიაქანებდა. კაპიტალისტურმა ურთიერთობამ აქაც გზა გაიკვლია, აქაც დღის წესრიგში დადგა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციის გარდუვალობა. ქართველი ხალხი განიცდიდა რუსეთის ცარიზმის მიერ თავმოხვეული რეჟიმის სიმძიმეს, ორმაგ ჩაგვრას. საქართველოს განათლებულ შვილებს, რომლებიც რუსეთში აღიზარდნენ, შესისხლხორცებული ჰქონდათ ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნის ის იდეები, რითაც ხელმძღვანელობდა პირველ ეტაპზე რუსეთის თავადაზნაურულ-რევოლუციური, ხოლო მეორე ეტაპზე რევოლუციურ-დემოკრატიული, რაზნოჩინციული ინტელიგენცია. ამასთან საქართველოს მოწინავე შვილებს აწუხებდათ მისი ხალხის ეროვნული ჩაგვრა და ამიტომ სოციალურ პროტესტს თან ერთვოდა კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებისაკენ მისწრაფება. ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა ქართველი პროგრესული ძალების საბრძოლო სულისკვეთებას. ამიტომ იყო, რომ საქართველო, კაპიტალიზმის განვითარების მხრივ რუსეთთან შედარებით ერთგვარად ნელი ტემპების მიუხედავად, განმათავისუფლებელი მოძრაობის სამივე ეტაპზე თითქმის რუსეთის მხარდამხარ იდგა. რა შუაშია აქ ისტორიული „კალკები“. რატომ უნდა დახუჭოს თვალი ქეშმარიტმა ისტორიკოსმა ამ საერთო მოვლენების გააზრებისას, რატომ უნდა წაიტყუოს იგი ორიგინალობის მაცდუნებლობამ იმდენად, რომ წინა პლანზე წამოწიოს მეორე და მესამე ხარისხოვანი მოვლენები. რეცენზენტი გვარწმუნებს, რომ რუსეთის სოფელს თავისი სპეციფიკა ჰქონდა, რომ ამ სპეციფიკამ (თემმა) შეაპირობა გერცენის და ჩერნიშევსკის „სოციალისტური“ თეორიები და ნაროდნიკების მოძრაობა, რომ რუსეთში „უფრო ძლიერი იყო კაპიტალისტური ცივილიზაციის ელემენტები სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისა და კულტურის განვითარებაში, და რომ ყველაფერი ეს დიდათ ასხვავებდა ორ ქვეყანას შესაბამისი ხანის ისტორიაში. ვიმეორებ, ყველა ის თავისებურება, რომელიც რეცენზენტი მეტად ბუნდოვნადაა წარმოადგინო, ოდნავადაც ვერ ცვლის იმ საერთო ტენდენციებს, რომლებიც (ქართველი, რუსი და რუსეთის იმპერიის მფლობელობაში მყოფი ხალხების უკრაინა, ბელორუსია, ბალტიკური) სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას წარმართავდა.

ისტორიული „კალკების“ მომარჯვების იმავე ცდუნებამ თურმე შეაპირობა ჩვენი მომდევნო შეცდომა, როცა ქართველი სამოციანელები რაზნოჩინელთა თაობას მივაკუთვნეთ. ეს დასაშვებია მხოლოდ სამოციანელთა მსოფლმხედველობის სოციალური განწყობის გამო, მაგრამ „სოციალური წარმომავლობით ისინი, ისევე როგორც ოცდათორმეტეანელები, ასევე ძირითადად თავადაზნაურები იყვნენ, ამ მხრივ მათსა და რუს რაზნოჩინელთა შორის დიდი განსხვავება იყო“ — გვასწავლის რეცენზენტი. ისევ ვულგარული სოციალ-

ლოგიზმის ნაგავწყარილი დებულება—აზნაური აზნაურულად აზროვნებს! ამ დებულებით თიშავდნენ ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. მაჩაბელს და სხვებს ერ-  
 ვენულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა რიგებიდან რაპელები  
 ოცდაათიან წლებში. გვრჩება მხოლოდ მცირე რიცხვი მოღვაწეთა (ი. გოგება-  
 შვილი, ნ. ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვ), რომლებიც შეიძლება იმის გამო,  
 რომ თავადები არ ყოფილან, რაზნოჩინელებად ჩავთვალოთ. ვის მოუვა ახლა  
 აზრად ამ დიდებული პლეადის დანაწევრება, სოციალური წარმომავლობის  
 მიზეზით? განა თავადმა ილია ჭავჭავაძემ ყველაზე მკაცრი განაჩენი არ გამოუ-  
 ტანა ბატონობას და ბოლომდე განუხრელად არ ატარა დემოკრატიზმის დრო-  
 შა საქართველოში! განა თავადი. აკაკი წერეთელი დაუძინებელი მტერი არ  
 იყო თვითმპყრობელური რეჟიმისა და არ შენატროდა მის დამხობას,  
 რომ ესხლა ახალი, დემოკრატიული რუსეთი და საქართველო? ახლა, როცა  
 ასე ღრმადაა შესწავლილი სამოციანელთა იდეური სამყარო და პრაქტიკული  
 მოღვაწეობა ვის მოუვა აზრად წინა პლანზე მათი სოციალური წარმომავლობა  
 წამოწიოს და ამის მიხედვით დააჯგუფოს ეს მოღვაწენი. განა რუს რაზნოჩი-  
 ნელთა შორის ცოტანი იყვნენ აზნაურული წარმოშობისა? ვ. ი. ლენინს რაზ-  
 ნოჩინელი არასოდეს არ გაუაზრებია როგორც მხოლოდ სოციალური წარმო-  
 მავლობის შემცველი ცნება. რაზნოჩინელებად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ადამიან-  
 ნები, რომლებიც დემოკრატიის მხურვალე მოსარჩლენი გახდნენ და გაბედუ-  
 ლად წამოაყენეს იმდროინდელი რეჟიმის დამხობის იდეა. „ბატონყმობის და-  
 ცემამ — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — გამოიწვია რაზნოჩინელის, როგორც მთავარი,  
 მასობრივი განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწის გამოჩენა“. ი.  
 ჭავჭავაძე და მისი თაობა აღიზარდა რუსეთის რაზნოჩინელთა რევოლუცი-  
 ურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე და მათი მთელი მოღვაწეობა საქართველო-  
 ში ამ თაობის საერთო დროშის ქვეშ მიმდინარეობდა, რა თქმა უნდა, ეროვნ-  
 ული სპეციფიკის გათვალისწინებით. ყველაფერი ეს დიდი ხანია დასაბუთებ-  
 ბულია. ყოვანაშვილი ამჯერადაც შიშველ განცხადებებს ჯერდება მხოლოდ.

ახლა ი. ჭავჭავაძის შეფასების გამო: მაღლობა ღმერთს! რეცენზენტი მიე-  
 სალმება ი. ჭავჭავაძის ფენომენის ახლებურ გააზრებას, რაც „ნარკვევებშია“  
 მოცემული. მაგრამ მომდევნო სტრიქონიდან ისევ გესაყვედურობს ილიას და-  
 ხასიათებაში თითქოსდა, ჩვენი „გაორების“ გამო.

სარეცენზიო წიგნში საკმაო სისრულითაა დახასიათებული ი. ჭავჭავა-  
 ძის მსოფლმხედველობა და მას აღარ გავიმეორებთ. ტყუილად ირჯება რეცენ-  
 ზენტი, როცა ცდილობს ცალკე გვერდებიდან ამოგლეჯილი და მექანიკურად  
 შეკაოწინებული დებულებებით წინააღმდეგობებში და „გაორებში“ დავეი-  
 ჭიროს. ვარკვევით მივუთითებთ, რომ თერგდალეულები ასახედდნენ ეროვნუ-  
 ლი და სოციალური ჩაგვრისაგან გათავისუფლებისათვის მეგრძოლ მასების,  
 მშრომელი და ექსპლუატირებული მასების ინტერესებს, რომლებიც მაშინ  
 ((XIX ს. 60-იან წლებში) აერთიანებდა გლეხსაც, პროლეტარსაც, ვაჭარსაც,  
 ყველას — ვისაც ბატონყმური რეჟიმი ჩაგრაგდა და წინსვლის გზას უხშობდა.  
 ეს იყო კლასობრივად ჯერ მკვეთრად გაუმიჯნავი „მესამე წოდება“. („ნარკვე-  
 ვები“, გვ. 93). რატომ ეწინააღმდეგება ჩვენი ეს დებულება ჩვენივე მეორე  
 დებულებას, რომ ილია იყო მთელი დაჩაგრული ქართველი ხალხის იდეოლოგი  
 და რომ მან, როგორც ეს ვაჟა-ფშაველამ თქვა, მამობა და ბელადობა მთელ  
 ქართველ ხალხს გაუწია. ან: რა საერთო აქვს ამ დებულებას პ. რატინის



(ისევ პ. რატინი!) ცნობილ დებულებასთან ი. ჭავჭავაძის წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიების შესახებ.

ვის შეუძლია უარყოს, რომ დიდ ილიას აწუხებდა ბედი მთელი ერისა, ზრუნავდა მის უკეთეს მომავალზე და ამ მიზნით წოდებათა შორის წინააღმდეგობის შერბილებას, ერის მთლიან ძალად შეკვრას ესწრაფვოდა. „მესამე წოდების“ დაშლის შემდეგაც ილია ადრინდელი შეხედულების ერთგული დარჩა და 90—900-იან წლებში აღმოცენებულ არც ერთ პარტიულ დაგუფებას არ ვაპყობია. ილია დიდად თანუგრძობდა რევოლუციურ დემოკრატიულ იდეოლოგიას, მაგრამ თავის აზროვნებას არც ერთ თარგზე არ სჭრიდა. ყველა მის საქმიანობას, შემოქმედებითსა თუ პრაქტიკულს, საფუძვლად ედგა ქართული სინამდვილე და საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის ზრუნვა. ესაა მაგისტრალური ხაზი ილიაზე ჩვენი მსჯელობისა და სრულიადაც არაა ჩვენი საზრუნავი ის, ყორანაშვილი მას გაიზიარებს, თუ არ გაიზიარებს. უცნაური შენიშვნაა: რატომ ვიმარჯვებთ ი. ჭავჭავაძის ფენომენის დასახასიათებლად ვაჟა-ფშაველას გამონათქვამს, მაშინ როცა, ილია ჭავჭავაძის ეროვნული როლის შეფასება ვაჟა-ფშაველაზე ადრე თურმე არჩილ ჯორჯაძეს აქვს მოცემული. ვისაც წაუციოხავს ა. ჯორჯაძის ნარკვევი ი. ჭავჭავაძეზე, დამემოწმება, რომ იქ ბევრი უზუსტობა და წინააღმდეგობაა. ა. ჯორჯაძე დადებითად ახასიათებს ი. ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამას, მაგრამ იწუნებს მის ეკონომიურ პროგრამას და თვლის, რომ ილიამ და მისმა თაობამ მოსჭამა თავისი დრო და ახლა პოზიცია სოციალისტ-დემერალისტურ პარტიას უნდა დაუთმოსო. (ა. ჯორჯაძე, თხზ., ტ. II, გვ. 79—133). ა. ჯორჯაძის სტატისა ილიაზე აზის დალი პარტიული ტენდენციურობისა. ჩვენი აზრით, ყველაზე სხარტად და მოხდენილად ილიას როლი და დამსახურება შეაფასა ვაჟა ფშაველამ. ამიტომ მოვიშველიეთ მისი ნათქვამი.

ყორანაშვილს ასევე არ მოსწონს „ახლებური ინტერპრეტაცია“ ილიას „მგზავრის წერილების“ დედაახრისა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“ თურმე მე გაუნათლებელი გაიბოტნელი მოხევის ლელთ ლუნის ამ სიტყვებში ვგულისხმობ „ისეთ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ კატეგორიებს, როგორიცაა დემოკრატიული რევოლუცია!“ „მგზავრის წერილების“ ასეთი პრიმიტიული გაგება მიკარგავს რეცენზენტთან სერიოზული კამათის ხალისს. საქმე განა ის არის, თუ რა თქვა გაიბოტნელმა მოხევემ, თუ — მთავარი და ძირითადი ისაა, როგორ გაიზარა ეს ნათქვამი რუსეთიდან მომავალმა მეოცნებე ჭებუკმა, რომელსაც წინ ედო დიდი სამოღვაწეო გზა? ყველა ოდნე განათლებულ ქართველსაც კი ზეპირად ახსოვს ილიას სიტყვები: „მივიხვედი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლელი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — სიტყვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რალაც უუცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამიბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა, როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!...“ ამრიგად, ილია შეაყრყოლა მისი გამყოლი მოხევის ამ სიტყვებმა, რადგან იგი მის ოცნებას, იდეალებს ესიტყვებოდა. მოხევის ამ გამონათქვამში გაცნობიერებულა ილიას მომავალი სამოქმედო პროგრამა. ილიას მოხევისათვის პასუხი უნდა გაცა და თავისი შემოქმედებით გასცა კიდევ. ამიტომ აძლევდნენ მოხევესთან საუბარს ასეთ დიდ მნიშვნელობას ილიას შემოქმედების აღიარებული მკვლევრები. ამიტომ აღიარეს თერგდალეულთა საბრძოლო ლოზუნგად



გაიბოტნელი მოხვეის ნათქვამი ფრაზა კიტა აბაშიძემ, არჩილ ჯორჯაძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა. ახლა კი გამოჩნდა კაცი, რომელსაც არასოდეს არ უზრუნია ჩაეხედა XIX ს. ტივილებში, ერთი სიტყვაც კი ამ ტივილებზე არ დასცდენია, და უეცრად ტალახში სერის ყოველივეს, რის წარმოჩენასაც მკვლევრებმა ამდენი ენერგია შეაღიეს. ლელთ ლენიას ნათქვამს თხრობის ფორმა აქვს, თანაც ნამყო დრო იგულისხმება და რა ლოზუნგი, რის ლოზუნგით — გაიძახის იგი. რა ვუწოდოთ, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ უმეტრების ფართი-ფურთს?

რეცენზენტის აზრით, ილია თურმე არ იზიარებდა ა. გერცენისა და ნ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ დემოკრატიზმს. ილიას განჭვრეტით მომავალი დემოკრატიული რუსეთი უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიული, მაგრამ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ეროვნული საკითხი ხომ არასდროს არ გადაწყვეტილაო. — ასე ერთი ხელისმოსებით ნიადაგს აცლის ყორანაშვილი ი. ჭავჭავაძის მთელ დემოკრატიულ იდეალებს და იგი უბრალო ბურჟუაზიული ილუზიებით შეპყრობილ მეოცნებემდე დაჰყავს.

ამით მთავრდება „ძირითადი შენიშვნები“, რითაც გ. ყორანაშვილი ცდილა ეჩვენებინა თურმე („როგორ არამყარ საფუძველზე, ალოგიკურ მსჯელობაზეა დამყარებული ა. სურგულაძის აღნიშნული ნაშრომი“... ხედავთ, როგორი პრეტენზიით შედგომია საქმეს რეცენზენტი! ხედავთ. როგორია მისი ავით-დაჯერება! დაე, მკითხველმა განსაჯოს ვინ დგას არამყარ საფუძველზე, ან რამდენად ლოგიკურია რეცენზენტის დასკვნები და მსჯავრი ჩვენს ნაშრომზე.

ახლა თვალს გადავაგლოთ სხვა ხასიათის უხეშ „შეცდომებს“, „არაზუსტ გამოჩინაობებს“, რომელთა მხოლოდ „ნაწილი“ „გამოთქანია სამსჯელოდ“ რეცენზენტს.

„ნაშრომში ვკითხულობთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გერმანიაში ფართოდ ყოფილა გაჩაღებული მარქსისა და ენგელსის დროს (გვ. 11. იხ. აგრეთვე გვ. 121). ამის მტკიცება აშკარად მიუტყვევებელი შეცდომააო“ — აღნიშნავს რეცენზენტი. წიგნში კი წერია: — „ცნობილია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფართოდ იყო გაჩაღებული მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობის პერიოდში. არა მარტო დასავლეთი, არამედ კოლონიური აღმოსავლეთიც იწყებდა გამოფხიზლებას“ (გვ. 11). იქვე ფორჩხილებში მითითებულია გერმანია, იტალია, ირლანდია, პოლონეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები. აზრი ამ დებულებისა ცხადია: ჩვენ მივუთითებთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე XIX საუკუნის 30—60-იან წლებში. განა ამ პერიოდში იტალიელი ხალხი შეუპოვრად არ იბრძოდა ეროვნული მილიანობის აღდგენისათვის? განა ირლანდიელი ხალხის ბრძოლა ინგლისელთა წინააღმდეგ არ აღუვებდა მარქსსა და ენგელსს? განა პოლონეთმა ორი დიდი ომი არ გადაიხადა ეროვნული სუვერენობის აღდგენისათვის? განა ბალკანეთის ხალხები მთელი XIX ს. მანძილზე შეუპოვრად არ იბრძოდა თურქი და ავსტრიელი დამპყრობლების წინააღმდეგ? განა გერმანია XIX ს. პირველ ნახევარში დაქუცმაცებულ პატარა სახელმწიფოებს არ წარმოადგენდა, რომელთა გაერთიანებისათვის ბრძოლას წარმატება არ ჰქონია რუსეთის ცარიზმის ჩარევის გამო და გერმანელი ხალხის მილიან სახელმწიფოდ გაერთიანების იდეა ბისმარკმა არ განახორციელა „ცეცხლითა და მახვილით“ 60—70-იან წლებში? რეცენზენტმა განგებ დაამახინჯა გამოთქმული აზრი, მსოფლიო მოვლენების შესახებ გამოთქმული მოსაზრება მხო-

ლოდ გერმანიამდე დაიყვანა და ამის შემდეგ ატეხა განგაში „უხემ შეცდომაზე“. რა ვუწოდოთ ასეთ მანიპულაციებს? რაც შეეხება 121 გვერდს, იქ გარკვევით წერია: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გერმანელი ხალხის ცხოვრებაში ეროვნული სახელმწიფოების ნიშნით მიმდინარეობდა და გამარჯვებით დაგვირგვინდა — გერმანელმა ერმა შექმნა თავისი სახელმწიფო და წარმატებით დაასრულა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი“. რა „უხემი“ შეცდომაა აქ დაშვებული? ვინც ჩახედულია XIX საუკუნის გერმანიის ისტორიაში. ამ აზრის მართებულებზე ვერ შეგვედავება.

ყორანაშვილი თითქოს დიდსულოვნობას იჩენს, როცა რეცენზიის მე-7 გვერდზე წერს, „ჩვენ დადებითად მივიჩნევთ სახელმწიფოებრიობის დიდი როლის ჩვენებას ერის განვითარებაში“, მაგრამ „არადამაჯერებლად“ მეჩვენება „ერის ნიშან-თვისებათა შორის სახელმწიფოებრიობის შეტანის აუცილებლობა“. როგორც ცნობილია, ერის რაობის დადგენის თაობაზე ორი წელი მიმდინარეობდა დისკუსია „ეპროსი ისტორიის“ ფურცლებზე. ბევრმა ავტორმა საჭიროდ ჩათვალა ერის ნიშანთა შორის ეროვნული სახელმწიფოც ყოფილიყო შეტანილი. ამ დისკუსიას თავის დროზე ჩვენც გამოვხვებართ და მხარი დავუჭირებთ იმ ავტორთა ჯგუფს, რომელიც ერის ფორმირებაში სახელმწიფოს ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ანიჭებდა. ამ როლის დასაბუთება ვცადეთ არა მარტო ევროპული ქვეყნების, არამედ XIX ს. საქართველოს მაგალითზეც. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციას საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა წარმოადგენდა და ეს კარგადაა გაცნობიერებული „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“ ფორმულაში. ეს იდეა ასულდგმულედა ი. ჭავჭავაძეს და მის თაობას. ამიტომ შევიტანეთ ეს საკითხი „ნარკვევებში“. გ. ყორანაშვილს, გ. ბრეგაძეს და პ. რატიანს არ მიაჩნიათ სახელმწიფო ერის ნიშნად, მაგრამ მისი დასაბუთება არ უცდიათ. რატომ ხუჭავენ თვალს ავტორები. იმის თაობაზე, რომ XIX საუკუნეში, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ტენდენცია კოლონიური ჩავვრისაგან თავისდალწევა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობაა. ამით ხომ ისინი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც აბიაბრუებენ. რაა ერი სახელმწიფოს გარეშე? რატომ ასხამენ ისინი წყალს ზოგი ისტორიკოსის წისქვილზე, რომელთაც სოციალისტური რევოლუციის თანხვედრ ობიექტურ პროცესად მიაჩნიათ ერების დენაციონალიზაცია და ეწვიან კიდევ ამ ჩვენის აზრით მაგნე დებულების პროპაგანდას?

რეცენზენტი გვწამებს ფაქტობრივ შეცდომას, რადგან ნორვეგიის პოლიტიკური გაერთიანების თარიღად XIII ს. გვაქვს მითითებული. „სინამდევლეში“ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა X—XI საუკუნეებშიო — გვასწავლის იგი. მან არ იცის, რომ IX—X საუკ. მხოლოდ დაიწყო ნორვეგიის პოლიტიკური გაერთიანება. მაგრამ წარმატება ამ პროცესს მაშინ არ ჰქონია. ნორვეგია დანიის მიერ იქნა დაპყრობილი. მხოლოდ XIII საუკუნიდან, ზოკან შოხტის დროს (1217—1263) ფეოდალური ურთიერთობანი და ფეოდალურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია წარმატებას აღწევს. მომდევნო პერიოდში (მანგუს მეექვსის მეფობაში) შეიქმნა საერთო სახელმწიფოებრივი დებულებანი, რომელმაც შეცვალა იმდროინდელი საოლქო კანონები. ამით დასრულდა ნორვეგიის სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

რეცენზენტი ასევე შეცდომად გვითვლის ირლანდიის დაპყრობისათვის

ინგლისის მიერ წარმოებული ომების თარიღად XII—XV სს გამოცხადებას. „სიზუსტე მოითხოვს რომ იყოს XII—XVII საუკუნეები“— აღნიშნავს იგი. ინგლისის ან ირლანდიის ისტორიის ნარკვევებზე თუ ხელი არ მიუწვდება, რეცენზენტი მიუთითებდით საბჭოთა ენციკლოპედიაზე, სადაც გარკვევითაა ნათქვამი, რომ XII საუკუნიდან იწყება ინგლისის შექრა და გაბატონება ირლანდიაში. ცნობილია 1495 წ. ე. წ. პრინინგის აქტი, რომლითაც ირლანდია ინგლისს დაუმორჩილა. ამ დროიდან ირლანდიის მოსახლეობის ძირითადი მასა შეექცა ინგლისის მფლობელობაში. რა თქმა უნდა, ირლანდიის კოლონიზაცია გრძელდებოდა შემდეგ საუკუნეებშიც. ირლანდიელი ხალხი არ შერიგებია ინგლისის ბატონობას. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება, მაგრამ ჩვენს მოვალეობას არ შეადგენდა ამ პროცესის აღწერა.

„მცდარია იმის მტკიცება, რომ ბატონყმობა დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში „ევროპის დემოკრატია“ მოსპო — გვიმტკიცებს რეცენზენტი და შემდეგ იწყებს ჩვენს დაპოპულარას, თუ როგორ მოისპო ბატონყმობა ევროპის ქვეყნებში. წიგნში კი სიტყვა-სიტყვით გვიწერია შემდეგი: „თერგ-დალეულები ნათლად ხედავენ ბატონყმური წყობილების დრომოქმედობას. ბატონყმობა არ იყო მართოდენ ქართული მოვლენა. თავის დროზე იგი მძვინვარებდა ევროპაში, მაგრამ ევროპის დემოკრატია ადრე გააჩაღა ბრძოლა მის წინააღმდეგ და გამარჯვებაც მოიპოვა. დიდი სოციალური რევოლუციები ევროპაში, ამავე დროს ერების კონსოლიდაციის ძირითადი ფაქტორი. პროგრესის მამოძარავეელი ძალა გახდა.“ (გვ. 100—101). ნორმალურად მოაზროვნე ყველა ისტორიკოსი დაგვიდასტურებს, რომ აქ ყველაფერი რიგზეა, რომ ევროპის დემოკრატია აქ ყველა იმ ძალებს გულისხმობს (მესამე წოდება, დემოკრატიული ინტელიგენცია), რომლებიც გაერთიანებულად იბრძოდნენ ამ დრომოქმედი რეჟიმის წინააღმდეგ.

ასევე „აშკარად მცდარი“ ყოფილა თურმე მტკიცება იმისა, რომ მონოპოლისტურამდელ კაპიტალიზმის პირველ სტადიაზე „ერის კლასობრივ ძალთა ანტაგონიზმი არაა ძლიერად გამოკვეთილი“, ისე ძლიერად, როგორც შემდეგ სტადიებზე, რომ საზოგადოებრივი ფენების კოალიცია ამ პერიოდში მიმართულია ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ და სხვ. მაგრამ ეს დებულება ხომ ვ. ი. ლენინს ემყარება, რომელიც ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპის დახასიათებისას საგანგებოდ მიანიშნებს, რომ მამინ „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მამინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ“ (ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 128). ვთქვათ, ყორანაშვილს ვ. ი. ლენინის ეს დებულება უმართებულოდ ეჩვენება, მაგრამ ხომ საჭიროა ნაოქვამის დასაბუთება?

მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ აღიარებული დებულებაა, რომ ეროვნული მოძრაობა და ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების ტენდენცია კაპიტალისტური ფორმაციისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და სწორედ აღმავალი კაპიტალიზმის ხანაში მიმდინარეობდა ეს პროცესი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. რეცენზენტი იწუნებს ამ დებულებასაც, არც ინგლისში და საფრანგეთში, არც რუსეთში ასე არ მომხდარაო. დასავლეთის ქვეყნებში ეს პროცესი (ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა — ა. ს.) „ფეოდალიზმის გვიანდელ ფაზაში“ განხორციელდაო. რეცენზენტს უნდა მოვავიწყოთ, რომ ფეოდა-



ლიზმის „გვიანდელ ფაზაში“, როცა კაპიტალისტური წყობა უკვე ფესვგად-  
გმული იყო, ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ დასრულდა ფეოდალიზმზე კაპიტა-  
ლიზმის გამარჯვების შედეგად. რაც შეეხება რუსეთს, აქ ეროვნული კონსო-  
ლიდაცია დასრულდა არა XV საუკუნეში, როგორც ეს რეცენზენტს ჰგონია,  
არამედ XVII ს-ის მიწურულსა და XVIII ს-ის დასაწყისში. რა თქმა უნდა,  
რუსეთში, როგორც ეროვნულად ჰრელ ქვეყანაში. ამ პროცესს სხვა ფაქტო-  
რებიც განსაზღვრავდნენ, მაგრამ ამ ფაქტორთა კვლევა ჩვენი ნაშრომის და-  
ნიშნულებას არ შეადგენდა.

რეცენზენტს მცდარად მიაჩნია „ნარკვევების“ მე-14 გვერდზე გამო-  
თქმული აზრი XIX ს-ის 60—70-იან წლებში საფრანგეთსა და ინგლისში კლას-  
ობრივი ბრძოლის ინტენსიურობის შესახებ. ამ პერიოდში მხოლოდ პარიზის  
პროლეტარიატის გამოსვლაა ცნობილი — გვარწმუნებს იგი. რეცენზიიდან  
ამკარად ჩანს, რომ ბევრი რამ არაა ცნობილი ყორანაშვილისათვის. ისტო-  
რიაში კი ცნობილია და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებშიც აღნიშნუ-  
ლია, რომ XIX ს-ის 50-იანი წლების მიწურულს ეკონომიკური კრიზისის შე-  
დეგად ინგლისში იწყება მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობა, რომ 1859 წ.  
ლონდონში ადგილი ჰქონდა მუშათა დიდ გაფიცვებს და ამ დროს შეიქმნა  
სწორედ ტრედუნიონთა ლონდონის საბჭო, რომ XIX ს-ის 60-იანი წლების  
დასაწყისში, ინგლისის საგარეო პოლიტიკის მუშათა ინტერესებთან შეუთა-  
სებლობის გამო, ადგილი ჰქონდა მსხვილ პოლიტიკურ გამოსვლებს ინგლის-  
ის პროლეტარიატის რიგებში. და განა პროლეტარული მოძრაობის აქტიურობ-  
ის მნიშვნელოვანი და მეტყველი ფაქტორი არაა ის, რომ 1864 წ. ლონდონში  
ჩამოყალიბდა პირველი ინტერნაციონალი! განა დერბის კონსერვატული სა-  
მინისტრო 1867 წ. მუშათა მზარდი მოძრაობის შიშით იძულებული არ იყო  
გაეტარებინა საპარლამენტო რეფორმები, რომლითაც ამომრჩეველთა რაოდენ-  
ობა საგრძნობლად გადიდდა? 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან განა მსოფ-  
ლიოს ყურადღება არ მიიქცია ირლანდიელი ხალხის ბრძოლამ ინგლისის ჩაგ-  
ვრის წინააღმდეგ. შეიძლებოდა სხვა მრავალი ფაქტის მოტანაც, მაგრამ ყვე-  
ლაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო პარიზის კომუნაც კი არ კმარა, რომ  
ისტორიკოსმა ეს პერიოდი ევროპაში კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავე-  
ბისა და კლასობრივი ბრძოლის გაინტენსიურების ხანად გამოაცხადოს?

რეცენზენტი ნიშნისპოვებით წერს, რომ ჩვენ თურმე არ გვცოდნია ვახ-  
ტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწის დროს რუსეთის დედაქალაქი რომ პეტერ-  
ბურგი იყო. „ნარკვევების“ 42-ე გვერდზე კი წერია, „რუსეთს გადახვეწილი  
ქართული კულტურის მოღვაწენი სავსებით მომზადებულნი იყვნენ, რომ რუ-  
სეთის დედაქალაქისა და კულტურის ცენტრის — მოსკოვის ინტელექტუა-  
ლურ ცხოვრებაში ჩაბმულიყვნენ“. როგორც ჩანს, რეცენზენტმა ვერ გაიგო ამ  
წინადადების შინაარსი. რუსეთის დედაქალაქად აქ პეტერბურგი იგულის-  
ხმება, კულტურის ცენტრად — მოსკოვი. ამას ტირეც მიგვანინშნებს. პეტერ-  
ბურგი 1714 წ. გამოცხადდა რუსეთის დედაქალაქად და იმ დროს მშენებარე  
ქალაქში ეროვნული კულტურის ტრადიციები ფეხმოკიდებული არ ყოფილა.  
რუსეთის კულტურის ცენტრს, XVIII ს-ის 60-იან წლებამდე მაინც წარმო-  
ადგენდა მოსკოვი, სადაც არსებობდა უნივერსიტეტი და სადაც თავმოყრილი  
იყო უპირატესად შემოქმედებითი ძალები მთელი რუსეთისა.

„ნარკვევებში“ გვიწერია, რომ ფეოდალურ კულტურას ქმნიდნენ ფეო-  
დალური კლასის წარმომადგენლები, აზნაურთა წრიდან გამოსული ადამიან-



ბი. ამ დებულებას რეცენზენტი შეცდომად თვლის. მაგრამ ვერ კი ამჩნევს, რომ ამით უარყოფს კულტურის კლასობრივ ბუნებას და ვ. ი. ლენინის ცნობილ მითითებას კლასობრივი საზოგადოების ყოველ ნაციონალურ კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ. დიას, ფეოდალურ კულტურას, როგორც გაბატონებულ კულტურას, აზნაურული კლასის წარმომადგენლები ჰქმნიდნენ. მაგრამ სრულიად სხვა ცნებაა კულტურა ფეოდალიზმის ეპოქაში. ეროვნული კულტურის შექმნაში ყველა კლასი მონაწილეობდა.

რეცენზენტი შეცდომად გვითვლის „ნარკვევებში“ მოტანილ აზრს XIII XVII საუკუნეებში ქართული ისტორიული მეცნიერების დამცრობის შესახებ, იმის შესახებ რომ შინაარსითა და ფორმით დიდებული ისტორიული თხზულებანი ამ დროს „უბირმა ქრონიკებმა შეცვალეს“. ეს მტკიცება ჩვენ არ გვეკუთვნის. ამაზე მიუთითებდნენ ი. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი. ჩვენ ვიზიარებთ ამ დებულებას, რაც შეეხება ქამთაღმწერლის თხზულებას, მისი შეფასება „ნარკვევებში“ სათანადო ადგილას საკმაო სისრულითაა მოცემული („ნარკვევები“, გვ. 283).

რეცენზენტის მტკიცებით თურმე არ გვესმის და ვერც ვაგვიგებთ მიზეზებს, რამაც ნ. ნიკოლაძე საქართველოს რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა. რეცენზიის ამ ერთ აზრში რამდენი წინადადებაცაა, იმდენი შეცდომაა. შეცდომაა რომ ნიკოლაძე „აგარაული სოციალიზმის“ მოქადაგედ გამოაცხადოთ. ასევე შეცდომაა რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულობის შეგნება ნ. ნიკოლაძესთან მხოლოდ ამ ცნებამდე („აგარაულ სოციალიზმამდე“) დაიყვანოთ. ნ. ნიკოლაძეს, როგორც ჰუმანიტ თერგდალეულს, გაცილებით ღრმა წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ შედეგებზე, ვიდრე ეს ყორანიშვილს ჰგონია და „ნარკვევებში“ ეს სათანადო სისრულითაც არის ნაჩვენები.

რეცენზენტი ინტელიგენციის გაჩენის თაობაზე გვედავება და ისე გამოჰყავს, რომ თითქმის ვუპირისპირდებით მარქსისა და ენგელსის იმ აზრს რომ ინტელიგენციის გაჩენა კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობასთანაა დაკავშირებული. ჩვენ სწორედ მარქსიზმის კლასიკოსებიდან ამოვდივართ, როცა ინტელიგენციის ჩასახვას ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების შექმნას ვუკავშირებთ. ინტელიგენცია არსებობდა მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებში, მაგრამ ინტელიგენცია, როგორც სოციალური ფენა, რომლისთვისაც გონებრივი შრომა პროფესიად და არსებობის საშუალება იქცა, გაჩნდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში (გვ. 39).

რეცენზიის მესამე გვერდზე გ. ყორანიშვილი გვედავებოდა და გვიმტკიცებდა, რომ ფარანავის დროს ქართველები უფრო მაღლა იდგნენ ეთნიკური შეგნების თვალსაზრისით, ვიდრე დღევანდელი აზიის და აფრიკის ხალხებიო. რეცენზიის მე-14 გვერდზე კი ბრალად გვდებს, რომ ჩვენ XIX ს-ის აზია კარჩაკეტილად გვაქვს წარმოდგენილი და გვისწორებს: „დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურმა განვითარებამ ამ პერიოდში ჩაითრია აზიის ქვეყნებიცო“. რეცენზენტი თვითონვე სცოდავს როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში. ნარკვევების 99-ე გვერდზე, ვეხებით რა თერგდალეულთა ეროვნული იდეალებს, ვწერთ „მხოლოდ მამულიშვილობისა და ქართველობის გრძნობის გამოღვიძების შემდეგ შეიძლება კოლონიური ჩაგვრის უღელსაგან თავის დაქრევა. ცივილიზაციის გზაზე სწრაფმავალი ხალხებისათვის ფეხის აწყობა,



აზიური კარჩაკეტილობიდან გამოსვლა და წინსვლა პროგრესის გზაზე“. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ ლაპარაკია აზიური კარჩაკეტილობიდან საქართველოს გამოსვლასა და მის ევროპეიზაციაზე, რაც XIX ს-ის დამდეგიდან ქართველთათვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო. მხედველობაშია არა აზიის კარჩაკეტილობა, არამედ საქართველოს კარჩაკეტილობა აზიური ქვეყნების გარემოცვაში.

რეცენზენტი ასევე უმართებულოდ გვისაყვედურებს „გაზვიადებას“ ცალკეული ფაქტებისა თუ პიროვნებების მნიშვნელობისა და დამსახურების შეფასებაში. ნ. ბარათაშვილზე რომ ვსაუბრობთ, გვიწერია, რომ XIX ს-ის 30—40-იან წლებში იგი მოგვევლინა საქართველოს „ფიქრთა მპყრობელად“. რატომა ეს გაზვიადება? ვანა „ბელი ქართლისას“, „მერანის“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „საფლავი მეფისა ირაკლისას“ ავტორი არ იმსახურებს ყორანაშვილის მოწყალებას, რომ იგი უდიდეს ქართველ მწერლად და მისი თანამედროვე ეპოქის „ფიქრთა მპყრობელად“ მიიჩნიოს? ასევე მწყრალადაა იგი ფრანგ პოეტ ექენ პოტიეზე, რომელიც, მართლაც, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოეტი იყო. ვ. ი. ლენინს იგი ნიანხნა „ერთ-ერთ უდიდეს პროპაგანდისტად სიმღერის მეშვეობით“. ჩვენ ვთვლით, რომ 1900 წ. 4 აგვისტოს მუშათა გაფიცვა თბილისში თავის მასშტაბით, მართლაც, გრანდიოზული მოვლენა იყო საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რეცენზენტს ესეც გაზვიადებად ეჩვენება...

გ. ყორანაშვილი გვედავება, რომ ერი არაა სოციალური ერთობის ფორმა. არამედ ენო-სოციალური ფორმაო. კონტექსტში სოციალური ცალკეე გამოყოფილი იმითმ, რომ მინიშნებულია ამ ფაქტორის მნიშვნელობაზე. ხოლო ორი სტრუქტურის ქვევით სწორედ ეთნიკურ ფორმაზეა საუბარი. „პარტია უფრო მაღალი საფეხურია, უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე ორგანიზაცია — ეწერთ ჩვენ. რეცენზენტი ამაზე დაობს. რეცენზენტი შეცდომად გვითვლის ფეოდალურ საქართველოში „შემოქმედებითი ახალგაზრდობის“ ხსენებას. თითქოს იმ ეპოქაში ყველა მოხუცად იბადებოდა! „კაცობრიობის სოციალიზმად გადაქცევის ტენდენციაში“ ვგულისხმობთ მსოფლიოს ხალხთა ზრდილას სოციალიზმის საყოველთაო გამარჯვებისათვის და ვფიქრობთ, ამ გამოთქმაში შეცდომა არაა დაშვებული. ასევე გაუგებარია, რატომ მიანჩია უმართებულოდ რეცენზენტს, „კავკასიის მხარის“ ან „კავკასიელი ხალხის“ ზმარება, როცა ამ ცნებებს არა ენათმეცნიერული, არამედ გეოგრაფიული მნიშვნელობით ვიყენებთ. „კავკასიის მხარე“ იმდროინდელ გეოგრაფიულ აღმინისტრაციულ დაყოფაში ცალკე ერთეულად იგულისხმებოდა. აღნიშნული გვაქვს, რომ კოლონიური ჩაგვრა კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს გაჩენიდან არსებობს და თავის დროზე „კოლონიებს“ ფლობდნენ ფინიკია და ეგვიპტე, საბერძნეთი და რომი. რეცენზენტი გვისწორებს — კოლონიური ჩაგვრა კაპიტალისტური ეპოქის მოვლენააო. ობიექტური მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ კოლონიებს ჩვენ ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობით ვხმარობთ და ვგულისხმობთ რომის და საბერძნეთის მიერ დაპყრობილ ხალხებს, რომლებიც განიცდიდნენ ისეთსავე ჩაგვრას და შევიწროვებას უცხო ძალისაგან, როგორსაც კაპიტალიზმის ეპოქაში განიცდის მრავალი დაპყრობილი ქვეყანა.

რეცენზენტს, მართლაც, მიუგნია წიგნი ზოგი უზუსტობისათვის, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ. ქეშმარიტად სჯობდა „ბიზანტიურ-ელინურ-

რი კულტურის“ ნაცვლად გვეთქვა ბიზანტიური და ელინური კულტურები. „ქართული დამწერლობის ქრესტომათიის“ ნაცვლად— „ქართული მწერლობის (ან სიტყვიერების) ქრესტომათია“. უადგილოდ იხსენიება წიგნის 252-ე გვერდზე ო. ბაუერი. უხერხული შემოკლების შედეგად რეზიუმეში მედიცინისტებად, არიან გამოცხადებული ძველი ისტორიის ცნობილი სპეციალისტები მასპერო, ლენორმანი, მე-8 გვერდზე ენგელის ნაცვლად უნდა იყოს მარქსი და ენგელსი და სხვ. მაგრამ ნუ თუ ეს უზუსტობანი, შედარებით იმ სი-ახლესთან, რასაც „ნარკვევების“ ავტორი მკითხველს სთავაზობს, იმდენად სა-განგებო და მიუტყეველია, რომ რეცენზენტს უფლებას აძლევს მთელი წიგ-ნი აბუჩად აიგდოს და ტალახში ამოსვაროს?

გ. ყორანაშვილმა იცის, რომ 20 თაბახიანი მონოგრაფიის ასე ხელაღე-რით ლანძღვა ეჭვის აღძვრელია, მით უმეტეს, რომ პრესაში ადრე მასზე და-ღებითი გამოხმაურება იყო და თვით მონოგრაფიას წინ უძღვის რედაქტორის ვრცელი დახასიათება ნაშრომში აღძრული საკითხებისა. ცალმხრიობა, ტენ-დენციურობა რომ არაეინ შესწამოს, კითხვასაც აყენებს: „დასასრულს მკით-ხველი ალბათ შეგვეკითხება, ნუ თუ 20 თაბახიან ნაშრომში გასაკრიტიკებე-ლის ნეტი არაფერაა, რაიმე პოზიტიური მასში არ გვხვდებაო“ და იქვე რამ-დენიმე სტრიქონში ჩამოთვლის ამ „პოზიტიურ მომენტებს“.

ესეც საქმეაო — იფიქრებს ალბათ წიგნზე ხელჩაქნული მკითხველი, მაგრამ იქვე მოელის იმედგაცრუება: მომდევნო აბზაცი ეძღვნება იმის მტკი-ცებას, რომ თურმე „აღნიშნული მომენტები“ (ე. ი. ყველაფერი რაც წიგნში პოზიტიურია — ა. ს.) ფიგურირებს სხვა ავტორთა შრომებშიც. ამით რეცენ-ზენტმა წიგნს საბოლოო განაჩენი გამოუტანა და ამის შემდეგ არ გასჭირვე-ბია ეთქვა: „სარეცენზიო ნაშრომი ისტორიოგრაფიისათვის ახალს არაფერს იძლევა, კომპილატური ხასიათისაა და მხოლოდ ფართო მასების ინტერესს თუ დააკმაყოფილებსო“.

აქ შესაძლებლობა არა გვაქვს და საჭიროდაც არ ვთვლით ვამტკიცოთ რაა ახალი წიგნში და როგორაა ვაცემული პასუხი წამოჭრილ პრობლემებ-ზე. ამას მკითხველი უჩვენოდაც შეამჩნევს. მაგრამ ჩემთვის მაინც აღსნენლია და გოცებასაც კი იწვევს ის, თუ რატომ აუარა დუმილით გვერდი რეცენზენ-ტმა წიგნის ასეთ საკვანძო პრობლემებს, როგორიცაა XIX ს. ქართველი ინ-ტელიგენციის სამი თაობის ეროვნული მოღვაწეობის იდეური საფუძვლების, ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის იდეური პროფილის დახასიათე-ბა, 80—90-იანი წლების დემოკრატიული ინტელიგენციის საქმიანობის ანა-ლიზი გარდამავალი პერიოდის სპეციფიურობათა გათვალისწინებით, რატო-მაა გვერდავლილი ჩვენი თვალსაზრისი რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრა-ტიულ რევოლუციებში ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის პოზიცი-ის შესახებ, რასაც მთელი თავი ეძღვნება, განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე პერიოდში თერგდალეულთა პოზიციის და პრაქტიკული საქმიანობის შეფასება და მრ. სხვ. ჩვენ როდი ვვალდებულეთ ყორანაშვილს ან სხვა ვინმეს ჩვენი თვალსაზრისი გაიზიაროს, მაგრამ მეცნიერული კრიტიკის ეთიკა მოითხოვს საპირისპირო თვალსაზრისის დასაბუთებას.

ყველაზე მეტ გულსწყრომას მაინც რეცენზიის ტონი, რეცენზენტის წე-რის მანერა იწვევს. ასეთი კატეგორიული ტონით სერიოზული მეცნიერები არასოდეს არ წერენ. როცა მკითხველს რაიმე ახალ დებულებას ვთავაზობთ, ჩვენ ყველგან მივუთითებთ — „ჩვენი აზრით“—მეთქი, მხედველობაში

გვაქვს, რომ არსებობს ან გაჩნდება სხვა აზრი და განსხვავებული აზრის მიმართ ავტორს მუდამ მოკრძალება და ანგარიშგაწევა მართებს. გ. ყორანაშვილის რეცენზიის ტონი კი აქსიომატურად კატეგორიულია, იგი აკვიატებული რწმენით, ყოველგვარი მტკიცების გარეშე გვთავაზობს „აზრებს“ და მიაჩნია, რადგან ეს ყორანაშვილმა თქვა, უკამათოდ უნდა ვირწმუნოთ.

რეცენზიას რომ გავეცანი (გ. ყორანაშვილმა ადრე ეს რეცენზია უფრო მეტ ფერებში და ემოციურად მოახსენა აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების გაფართოებულ სხდომას, რომელსაც ჩვენ მივლინებაში ყოფნის გამო არ ვესწრებოდით), ბუნებრივია, კითხვა აღმექრა. რად დასჭირდა გ. ყორანაშვილს, რომელიც ძველი ისტორიის პერიოდში მუშაობს, ასე გარჯილიყო XIX ს-ის საქართველოზე დაწერილი ნაშრომის განსაქიქებლად? რით უნდა ავხსნათ, რომ კაცი, რომელსაც აქამდე XIX საუკუნის საქართველოზე სტრიქონიც არ დაუწერია და საჯაროდ არსად თავისი აზრები არ გამოუთქვამს, მოულოდნელად ასეთი მკაცრი და კატეგორიული მსაჯულის როლში გამოგვეცხადა? ასეთი რეცენზია სრულ მორალურ უფლებას იძლევა პასუხისას ისეთივე ვაბოროტებული ტონი აირჩიო, როგორიც რეცენზენტს აუბრჩევია და სათანადო მიუზღო „არამკითხე მოამბეს“. დარწმუნებული ბრძანდებოდეს ყორანაშვილი, რომ ეს ჩვენ არ გავვიჭირდებოდა. არც ის გავვიჭირდებოდა, რომ მისი ასეთი საქციელისათვის შესაფერისი კვალიფიკაციები მოგვეძებნა. ან ჩაგვეხედა მის ორიოდ ბროშურაში და სათანადო „მარგალიტები“ ამოგვეკრიფა. სხვა საქმეა — ყორანაშვილი რომ XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის სპეციალისტი იყოს და მისი ნაშრომიდან გამაჩნდეს კამათისათვის ხელმოსაყიდი რაიმე დებულება. სპეციალისტს ნამდვილად ვერ ვაპატიებდი ასე უვცაოდ დაწერილ რეცენზიას. ყორანაშვილს კი ეპატიება, რადგან ჯერ ერთი, ეს მისი ჰობია (ჩემს გარდა რამდენს წევდა ყელში უსამართლოდ!). მეორეც — ალბათ მასაც დაუდგება დაღვინების პერიოდი, როცა ისწავლის სხვისი ნამუშევრის პატივისცემას და კრიტიკულ მიდგომას საკუთარი თავისადმი. მაშინ თავის ადრინდელ საქციელს ალბათ თვითონვე მოინანიებდა.



## ქ რ ი ზ ი კ ა   დ ა   ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

### ცხოვრება საქართველომას (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი. უნიფონები და სპინელუები დაუბრუნო გიული ალასანიამ, თბ., 1980 (გვ. 172), გამოცემლობა — მეცნიერება“

„ცხოვრება საქართველომას“ ანუ როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში უფრო ცნობილია, „პარიზის ქრონიკა“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატიული წყაროა. აღნიშნული წყაროს დღემდე ცნობილი მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერი არსებობს, რომელიც დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. იგი თავბოლონაკულია. ავტორგრაფი არ არის. მისი ავტორი უცნობია. ტექსტი დაწერილია 1901/2 გვერდზე კარგი მხედრულით. გვხვდება მასში გადამწერის შეცდომები და გამოტოვებული ადგილები (იხ. შესავალი, გვ. 11—14).

ქრონიკის ხელნაწერი შეიცავს 1373—1683 წლების საქართველოს ისტორიას. იგი პირველად გამოაქვეყნა მ. ბროსემ 1829 წელს პარიზში. ორი წლის შემდეგ (1831 წ.) ქართული ქრონიკის ტექსტი მან კვლავ გამოსცა ახლა ფრანგული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით. ხოლო უფრო გვიან, 1841 წელს მ. ბროსე კვლავ დაუბრუნდა ქრონიკას და მეორედ გამოსცა მისი ფრანგული თარგმანი.

1903 წელს „პარიზის ქრონიკის“ გამოცემა განახორციელა ზ. ჰიქინამ. მან გაიმეორა მ. ბროსის პუბლიკაცია უგამოკვლეოდ და უკომენტაროდ. გ. ალასანია თავის გამოცემის შესავალში გვიჩვენებს ამ პუბლიკაციითა ღირსება-ნაკლოვანებებს და მართებულად ასკვნის: „დღემდე არა გვაქვს ქრონიკის ტექსტის მეცნიერული გამოცემა“ (იქვე, გვ. 13). ამდენად, მისი ხელახალი პუბლიკაცია სასეებით დროულია და მიზანშეწონილი. მით უმეტეს აღინაშნული გამოცემები დიდი ხანია უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

ახალი გამოცემა შესრულებულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის ფოტობეჭდის საფუძველზე და, ამგვარად, ხელნაწერი გამომცემლის წინაშე სრულქმნილად არის წარმოდგენილი.

აღნიშნული გამოცემის შესავალში დეტალურადაა მოცემული ქრონიკის შესწავლის ისტორია. როგორც აქედან ჩანს, მ. ბროსეს გარდა, ქრონიკას სწავლობდნენ და მასზე თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ თეიმურაზ ბატონიშვილი, ე. სენ-მარტენი, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი, თ. ყორღანია, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ტ. რუხაძე, ა. კიციძე, დ. კაციტაძე, ჯ. ოდიშელი. მაგრამ, როგორც გ. ალასანია შენიშნავს, „ყველაზე მეტი წვლილი ქრონიკის შესწავლის საქმეში შეიტანა ე. თაყაიშვილმა“ (იქვე, გვ. 18). თვით სახელი „პარიზის ქრონიკა“ პირველად ე. თაყაიშვილმა უწოდა ამ წყაროს პირობითად, რადგან მისი ხელნაწერი პარიზშია დაცული და იქვე გამოცა. ეს სახელწოდება მ. ბროსეს დასახელებებთან („ცხოვრება საქართველომას“ და „ქართული ქრონიკა“) შედარებით უფრო პოპულარული გახდა. მკვლევრები მას უმეტესად ამ სახელით იხსენიებენ.

„პარიზის ქრონიკა“ კომპლაციაა, ე. ი. მას საფუძველად უღევს სხვადასხვა დროისა და ავტორთა წყაროები. ეს აღრევე დაადგინა ე. თაყაიშვილმა და მანვე განსაზღვრა მისი შემადგენელი ძირითადი წყაროებიც. შემდეგ კიდევ თ. ყორღანიამ და ივ. ჯავახიშვილმა გამოავლინეს ქრონიკაში შესული ზოგი სხვა წყარო. ბოლოს, ტ. რუხაძემ მიაჩნო კიდევ ერთ წყაროს, რომელსაც „ფართოდ იყენებს“ ქრონიკის ავტორი.

„პარიზის ქრონიკაში“ გამოყენებულ წყაროთა შესახებ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების სისტემატიზირებისა და შეჯამების საფუძველზე გ. ალასანიამ ქრონიკის შემადგენელი წყაროების სია ასე წარმოავლინა:

1. გელათური ქრონიკონი;
2. ალექსანდრე I-ის 1440 წლის სიგელი;
3. მესხური მატანე;
4. გ. სააკაძის დღიური ან იოსებ ტფილისის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“...;
5. როსტომ მეფის 1648 წლის გუჯარი;
6. გრიგოლ

დოდორქელის ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ და 7. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების უკანასკნელი ნაწილი“ (იქვე, გვ. 19—20).

წინამორბედ მკვლევართა ნააზრების მიხედვით მოცემული „პარიზის ქრონიკის“ შემადგენელ წყაროთა ეს სია გ. ალასანიამ დასაბუთებულად შეასწორა, შეავსო, დაზუსტა და მასში მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა.

„პარიზის ქრონიკის“ ცნობების „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გავრძელების შესაბამის ცნობებთან და ალექსანდრე მეფის 1440 წლის სიგელთან ტექსტოლოგიური შედარების საფუძველზე მკვლევარმა, წინააღმდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისისა, სრული დამაჯერებლობით გამოიტყობა ქრონიკის უშუალო წყაროდ აღნიშნული სიგელის გამოყენება. სწორია ჩვენი აზრით, ავტორის მტკიცება, რომ „დაწყებული თავიდან (ე. ი. 1373 წლის ცნობიდან, — ო. ს.) 1587 წლის ცნობის ჩათვლით „პარიზის ქრონიკის“ ძირითადი წყაროებია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გავრძელება და „მესხური მატინე“. ალექსანდრე I-ის 1440 წლის სიგელი არ წარმოადგენს „პარიზის ქრონიკის“ უშუალო წყაროს“ (იქვე გვ. 23).

გ. ალასანიამ გადასინჯა „პარიზის ქრონიკის“ გელათური ქრონიკონთან ურთიერთობის საკითხიც და, ვფიქრობთ, იეცე სწორად გადაკრა. ამ საკითხის ვასარკვევად მან მიმართა ვახუშტის თხზულებას — „დღწერა სამეფოსა საქართველოსას“, რადგან „გელათური ქრონიკონი“ არ შემორჩენილა, და, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მასზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ ვახუშტის მონაწილეების მიხედვით. ადარებს რა გ. ალასანიამ ვახუშტის მიერ ციტირებულ „გელათური ქრონიკონის“ ცნობებს „პარიზის ქრონიკისას“, სამართლიანად უარყოფს „მათ შორის რაიმე კავშირს“ (იქვე, გვ. 23—24).

მკვლევარმა მიაგნო და გამოაღვინა „პარიზის ქრონიკის“ კიდევ ერთი წყარო. ესაა არჩილ მეფის პოემა „გაბაასება რუსთველისა თეიმურაზთან“. შედარებითი ტექსტოლოგიური ანალიზით მან დაადსტურა, რომ ამ პოემით სარგებლობდნენ „სწავლული კაცებიც“ და ქრონიკის შემდგენელიც და ეს პოემა მათთვის საერთო წყარო იყო (იქვე, გვ. 25—27).

თავის კვლევის შედეგად გ. ალასანიამ „პარიზის ქრონიკის“ შემადგენელ წყაროთა სია ასე ჩამოაყალიბა:

1. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გავრძელება; 2. „მესხური მატინე“; 3. იოსებ ტფილელის პოემა „დიდმოურავიანი“; 4. გრიგოლ დოდორქელის „ცხოვრება და წამება ქე-

თევან დედოფლისა“; 5. არჩილ ბაგრატიონის პოემა „გაბაასება რუსთველისა თეიმურაზთან“, 6. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება. 7. როსტომ მეფის 1648 წლის სიგელი (იხ. გვ. 161, რეზიუმე).

ახლა ამ სიას წინამორბედ მკვლევართა ზემომოტანილ სიას თუ შევადარებთ, მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია: გ. ალასანიას სიაში არაა „გელათური ქრონიკონი“ და ალექსანდრე I-ის 1446 წლის სიგელი. სამაგიეროდ მასში შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გავრძელება და არჩილ მეფის „გაბაასება რუსთველისა თეიმურაზთან“. „პარიზის ქრონიკის“ შემადგენელ უშუალო წყაროთა შესახებ მკვლევარის ამ განსხვავებულ, ახალ თვალსაზრისს საფუძველად უღვდეს მტკიცე არგუმენტაცია.

საუბრაოდებოა ქრონიკის გამომცემლისეული შეფასება. იგი წერს: „ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია ქრონიკაში გამოყენებულ არც ერთ წყაროს. მათი შედარებითი ტექსტოლოგიური შესწავლით შესაძლებელი ხდება ზოგიერთის ნაწილობრივი აღდგენა ან დაზუსტება“ (გვ. 28). ქვემოთ ავტორი კონკრეტულად ეხება ამ „ზოგიერთ“ წყაროს და საინტერესოდ დაკვირვებას იძლევა (გვ. 28—31). ამასთან ძეგლის წყაროთმცოდნეობითი ღირსების შეფასებისას, იგი მართებულად აღნიშნავს, რომ მასში შემონახულია საქართველოს ისტორიის შესახებ მთელი რიგი ისეთი ცნობა, რომელიც სხვა წყაროებთ უცნობია (გვ. 161).

„პარიზის ქრონიკის“ ხელნაწერი უთარბილოა. გამომცემელი განიხილავს მისი დათარიღების შესახებ სხვადასხვა მკვლევარის თვალსაზრისს (რომელთაგან ამ წყაროს თარიღს ზოგი XVIII ს-ის დამდგენით, ზოგი მისი პირველი ნახევრით განსაზღვრავს) და თავად ის მას აღნიშნული საუკუნის 30-იანი წლებით ათარიღებს. მაგრამ იქვე სქოლიოში შენიშნავს: „წინამძღვრები, რომელთაც ემყარება დათარიღება, მთლად მყარი არ არის. პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა, სხვა მონაცემებთან ერთად, აუცილებლად მოითხოვს „სწავლულ კაცთა“ ნაშრომისა და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გავრძელების კიდევ ერთხელ შესწავლასა და ზუსტ დათარიღებას. გამოთქვამთ რა ზოგიერთ ვარაუდს, აღნიშნული საკითხის კვლევას კვლევა ვაპირებთ“ (გვ. 35, შენიშვნა 78). აქ უნდა ითქვას, რომ სასურველი იყო პრობლემისათვის საპირო საკითხების კვლევა ავტორის ჭეროვნად მოეთავებინა და მისი „საბოლოოდ გადაწყვეტა“ მომავლისათვის არ გადაედო.

ქრონიკის ავტორი, როგორც ზემოთ აღნიშნა, ცნობილი არ არის. ხელნაწერის გადაწერა

კი, გ. ალსანიას ვარაუდით, „წარმოშობით შესაძლებელია დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, გურუიდან ან იმერეთიდან იყოს. ამაზე მიუთითებს სიტყვები — მუუღღა, მუუღღვა, მუუღღუნ და ა. შ.“ (გვ. 14). ეს ვარაუდი სარწმუნოდ გვეჩვენება.

ჩვენი აზრით, სწორად მოიქცა ავტორი, როცა ქრონიკას ტრადიციული სათაურები დაუტოვა. ეს იმიტია გამართლებული, რომ „ქრონიკის ტექსტი არ გეთავაზობს მისი ზუსტი დასათურების შესაძლებლობას“ (გვ. 36). ხოლო მ ბროსესელი დასათაურება (ცხოვრება სა-ქართველოსა), რომელიც წყაროს ძირითად სათაურადაა მოცემული, უფრო ასახავს მის შინაარსს. ამასთან, ძეგლის ქვესათაურებად „პარიზის ქრონიკის“ მიღება აუცილებელი იყო, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი ამ სახელით მეტადაა ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი უკავშირდება მხოლოდ მისი პირველი გამოცემის ადგილს და სრულებით არ გამოხატავს თხზულების შინაარსს (იხ. იქვე).

დიდ ღირებულებას ანიჭებს „პარიზის ქრონიკის“ გ. ალსანიას გამოცემას მისი კომენტარები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაუღალავი შრომითა და საქართველოს ისტორიის წყაროებისა და საკითხების ღრმა ცოდნით შექმნილი ეს კომენტარები ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ მკვლევარებს.

ქრონიკის გამოცემას დართული აქვს სულ 286 კომენტარი და მათი უმეტესი ნაწილი შეიძლება ცალკე გამოკვლევად ჩაითვალოს. ასეთია, მაგალითად, კომენტარი 1, 5, 6, 10, 11, 12, 13, 14, 17, 20, 51, 52 და მრავალი სხვა. აქ ავტორი სხვადასხვა ფაქტის კომენტარებისას ფართოდ განიხილავს საკითხის ირგვლივ არსებულ საისტორიო ლიტერატურასა და წყაროებს, დასაბუთებულ მოსაზრებას გამოთქამს ამა თუ იმ მოვლენაზე, აზუსტებს ან აღგენს ცალკეულ ფაქტსა და ქრონოლოგიას და დამაჯერებლად მსჯელობს მათთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე.

ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან სხვა კომენტარებიც. ამასთან, თითქმის ყოველთვის მითითებულია სად, რომელი წლის ცნობის შემ-

დეგ იწყება და თავდება „პარიზის ქრონიკაში“ გამოყენებული ამა თუ იმ წყაროს ცნობა, რომელ წყაროში უფრო ვრცლად ან მოკლედ არის მოთხრობილი ქრონიკის ესა თუ ის ცნობა, რომელი მისი თარიღია სწორი ან მცდარი და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამომცემლის განკარგულებაში იყო ქრონიკის მხოლოდ ერთადერთი ცნობილი ხელნაწერი, მაგრამ მის პუბლიკაციას სქოლიოებში ერთგვის კითხვასხვაობანი ქრონიკის ყველა უშუალო წყაროს მიხედვით.

ამგვარად, მკითხველის ხელთაა „პარიზის ქრონიკის“ მაღალ დონეზე შესრულებული პირველი ყოველმხრივ გამართული კრიტიკულ-მცენიერული გამოცემა, რომელიც დიდად ამდიდრებს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზას.

გვაქვს მცირე შენიშვნა ქრონიკის კომენტარების მიმართ: კომენტარი 272-ში შანაზარ-ხანის ვინაობის განმარტებისას, მის მაჰმადიანურ სახელთან ერთად, ქრისტიანული სახელი — არჩილიც უნდა იყოს მოხსენიებული. სხვა მსგავს შემთხვევებში ეს ასედაცაა, მაგრამ აქ ავტორი რატომღაც არღვევს ამ პრინციპს.

უზუსტობაა გაპარული ზოგიერთი მეფის ზეობის წლებში: იმერთა მეფის ლევანის მეფობა 162 კომენტარში 1583—1592 წლებითაა ნაჩვენები. სინამდვილეში მისი ზეობა 1583—1590 წლებზე მოდის, ასევე იმერთა მეფის გიორგი III-ის მეფობა 210 კომენტარში 1604—1637 წლებშია მითითებული, მაშინ, როდესაც მისი ზეობის წლებია 1605—1639.

საბედნიეროდ ნაშრომი იმ რიგისაა, რომელშიც რეცენზენტი სხვა რაიმე პრინციპული ხასიათის ნაკლოვანებას ვერ იპოვის.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო გამოცემა შედის გ. ალსანიას იმ მაღალხარისხოვან ნაშრომთა ციკლში, რომლებმაც ღირსეულად დამსახურეს საქართველოს ლენინური კომპარტიის პრემია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე „პარიზის ქრონიკის“ ეს გამოცემა საისტორიო წყაროს საუკეთესო გამოცემად უნდა ჩაითვალოს.

ოლღა სოსელია

# ქრონიკა და ინფორმაცია

## ეთნოგრაფიული ლიტერატურის განხილვა

1981 წ. 29 ოქტომბერს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, შედგა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიული სექტორის სხდომა, რომელიც მიემდგნა 1980 წ. გამოცემული ეთნოგრაფიული ლიტერატურის განხილვას.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს და კავკასიის ეთნოგრაფიული სექტორის განყოფილებების, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეთნოგრაფიის კათედრის თანამშრომლები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორის თავმჯდომარემ, აკად. გ. ჩიტაიამ.

მან აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელმაც უნდა გამოავლინოს ჩვენი მუშაობის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეებიც. ახლად გამოცემული ნაბეჭდი პრობლემების საჯარო განხილვა უნდა გახდეს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანი. აქ უნდა მოხდეს ახლად გამოცემული ლიტერატურის კრიტიკული და სამართლიანი შეფასება, გამოტანილი და განხილული იქნეს ეთნოგრაფიისათვის საინტერესო პრობლემები, რაც ხელს შეუწყობს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და გაღრმავებას.

ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე ახალი პრობლემები დადგა, რომელთა გაშუქება ნაბეჭდ ლიტერატურაში ახალ მოთხოვნათა შესაბამისად უნდა მოხდეს, ყოველი ნაშრომი უნდა ხასიათდებოდეს საკვლევი მიმართულებით ანა მარტო ვიწრო მეცნიერული მიდგომით, არამედ ხალხის მრავალსაუკუნოვანი საწარმოო შედეგების პოპულარიზაციითა და ყოფაში გამოყენების რეკომენდაციებით. ყოველი ასეთი შეხვედრის მიზანი უნდა იყოს აზრის ურთიერთ-გაზიარება და დარგისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. სურგულაძემ წარმოადგინა რეცენზია წიგნზე „სა-

ქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“ მასალები, ავტორთა კრებულში, თბ., 1980.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამოცემის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს, თუ რა პრინციპებზე იქნება აგებული საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მრავალტომეული. მისი გამოცემა სრულიად აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაბიჯად მიგვაჩნია. სურვილების სახით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება თუ საატლასე წერილები გადატვირთული არ იქნება მოცულობით, ტერმინებით, და საკამათო დებულებებით, რადგან მან შეიძლება არასპეციალისტს დამატებითი სიმძნელები გაუჩინოს. უმჯობესი იქნება ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შედგეს რეგიონალური რუქებიც, კულტურის ელემენტთა გავრცელების არეების ჩვენებით.

გ. ჯავახიშვილის წიგნზე „საქართველოს მემშახტეთა ყოფა და კულტურა“ (რუს. ენაზე, თბ., 1980) რეცენზია წარმოადგინა ი. ჭყონიამ; ჯ. რუხაძის ბროშურაზე „ახალ ხუროთმოძღვრება და თანამედროვეობა“ (თბ., 1980) თ. ოჩიაურმა; აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის კრებულზე „მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“ (თბ., 1980) ჯ. რუხაძემ და ბ. გამყრელიძემ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრებულზე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“ (თბ., 1980). გ. ჯალაბაძემ; ლ. მარგოშვილის „ენეტრალური კავკასიონის მთიეთი ქალის ტანსაცმელი, (მეცნიერება“ 1980) აკ. სოხაძემ. ალ. ოჩიაურის „სტუმარი-მასპინძლობა ხეცსურეთში“, („მეცნიერება“ 1980) ე. ითონიშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს თ. ოჩიაურმა, ა. სოხაძემ, ჯ. რუხაძემ, ლ. ფრუიძემ, რ. თოდუამ, ი. სურგულაძემ, ზ. გავლოევამ და სხვ.

სხდომაზე გამოითქვა აზრი (ე. ითონიშვილი) რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რეცენზიების გამოქვეყნებას, რაც მკითხველს უფრო ახლოს გააცნობს ეთნოგრაფიული კვლე-





ვის შედეგებს და ამავე დროს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს სხვა დარგის წარმომადგენელთა ნაშრომებსაც, რომელთაც ეთნოგრაფიული კვლევის პრექტნზია აქვთ, მაგრამ სინამდვილეში მოკლებული არიან მეცნიერულ ღირებულებას.

სექტორის სხდომის მუშაობა საბოლოოდ შეჯამებულ იქნა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორის თავმჯდომარის მოადგილის, პროფ. ალ. რობაქიძის გამოსვლაში.

მან აღნიშნა, რომ ჩატარდა ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო ღონისძიება. საქაროდ განხილულ იქნა 1980 წ. გამოცემული შეიდი წიგნი. ვანხილისას ზოგი რეკენზენტი უფრო ზოგადი პრინციპების ან შინაარსის გადმოცემით კმაყოფილებოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში მეტად საჭირო შენიშვნები იქნა გამოთქმული, რაც ბუნებრივია ხელს შეუწყობს შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებას. მავალითისათვის დაეასახელებთ ჯ. რუხაძის გამოსვლას, რომელიც სერიოზულ პრაქტიკულ შენიშვნებს შეიცავდა.

ყველა განხილულ ნაშრომთა შორის, ცხადია, მთავარი ყურადღება მიიპყრო, 1980 წ. გამოცემულმა ნაშრომმა „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები“. ამიტომაც მსჯელობა, მოხსენებთა მოსმენის შემდეგ, არსებითად მის გარშემო გაიშალა. ატლასი გამოცემულია მასალების სახით და ასახავს საქართველოში მრავალწლიანი ეთნოგრაფიული კვლევის მიღწევებს. მე მიმაჩნია, რომ ეს ნაკვეთი არის ეტაპი, ჩვენი მეცნიერული შემოქმედელი კვლევა-ძიების ნაყოფი. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მასში გამოჩნდეს ლაკუნები, რომელთა შევსებას არა ერთი და ორი წელი დასჭირდება. ატლასის გამოცემამ ნათელი გახადა რომ ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფებს აქვთ მიღწევები დარგის შესწავლაში, მაგრამ ამის გვერდით ის ფაქტიც, რომ საქართველოს ყველა რეგიონი ერთნაირი ინტენსივობით არ გვაქვს შესწავლილი თავის დროს. სავსე მუშაობაში ჩვენ რამდენადმე დისპროპორცია დავუშვით, რომლის შედეგად საქართველოს მთიანეთი მეტად შესწავლილი აღმოჩნდა ვიდრე ბარი. დღეს, ჩვენ მოგვეპოვება უნიკალური მასალა ხევსურეთიდან, სვანეთიდან, საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონ-

ბიდან. მაგრამ პირადად მე როცა გადავხედ ჩემს განკარგულებაში მყოფ მასალას, მაგ., საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ, ნაკლებობას ვგრძობ.

მაგრამ კიდევ შეგახსენებთ, რომ ამ რიგის ატლასისათვის ეს ბუნებრივი ნაკლია. ამას შეესება უნდა, ხოლო შევსებას შრომის სათანადო ორგანიზაცია. მისი სრულყოფა არა მართა ჩვენი, მომავალი თაობის ვალიცაა რაც ვაკეთდა კი იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლებელია არსებული სიმწელების დაძლევა. რაც შეეხება აუარას, აღხაზეთს და სამხ. ოსეთს, იგი მუშავდება ადგილობრივი ეთნოგრაფიული კოლექტივების მიერ და სათანადო ასახვას პოვნენ მთლიან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში.

სასურველია შემუშავდეს ატლასისათვის სავსე სტრუქტურა, რასაც უშუალოდ უნდა პასუხობდეს თითოეული სტატია. მაშინ ნაკლები იქნება აზრთა სხვადასხვაობაც. შესანიშნავია ჯ. რუხაძის და ა. ლეკიაშვილის სტატიები, მაგრამ შესრულებულია სხვადასხვა სტრუქტურით. საქმისათვის სასიკეთო იქნება ერთი სტრუქტურის საფუძველზე მუშავებოდეს ყველა სტატია.

იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც დგას ამ ნაკვეთის წინაშე კარტოგრაფები გაეყოფებოდა დადებითად. რაც შეეხება კლასიფიკაციას, შეიძლება სხვადასხვა დონეზე იქნეს. მაგ. ხისა და ქვის ნაკეთობანი, და დაყოფილ იქნეს სხვადასხვა კლასებად. მაგრამ მეორე მომენტია მასშტაბი. იგი ვერ იქნეს ყველა თავისებურებებს რაც დაკავშირებულია ტიპოლოგიის დეტალიზაციასთან. მასშტაბები და ტიპოლოგიის დეტალიზაციის დონე ისე უნდა იყოს შეთანხმებული, რომ რაც შეიძლება მეტად იქნეს ნახვევები ფორმების სიმრავლე. ამიტომ უმჯობესია მთელი ტიპოლოგიური ნიშნების კომპლექსი იქნეს მიღწეული. ამისათვის საჭიროა კიდევ საქმიანი თათბირის ჩატარება, მიღწეულის შეჯამება და შემდგომი მუშაობის ამოცანების განსაზღვრა.

საბრუნავი ბევრია, მაგრამ ნებისმიერ სიმწელებს გადავლახავთ თუ მთელი კოლექტივი ერთად. შეთანხმებული ფორმით ჩავებმებით ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში.

თამილა ცაგარეიშვილი

631/146



ფასი 1 მან. 30 კაპ.

ინდექსი 76197